K 223793
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს ისტორია

ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე,
გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან დღემდე

დამხმარე კურსი საშუალო და
არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის

ილია ანთელავას რედაქციით

K 823 793/3
12995 160/3
161/3
793/3

თბილისი
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მელიქიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — თავები 2-8.

ილია ანთელავა, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — თავები 1, 9-17, 21-38.

რევინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — თავები 18-20.

მიხეილ გაფრინდაშვილი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — თავები 39-44, 47-61.

მერაბ ვაჩნაძე, დოცენტი — თავები 45-46.

დამხმარე კურსი

შედგენილია ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების პროგრამის შესაბამისად.

K 223.793

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

© ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი 1996

1. საქართველოს ისტორიის საგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან წარსულს სწავლობს. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია უწყვეტი ჯაჭვი ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა უძველესი, პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული. ქართველი ერის წინაპარი ქართველური ტომები ძალზე ადრე გამოვიდნენ საისტორიო ასპარეზზე და მკაფიო კვალი დატოვეს როგორც ჩვენი სამშობლოს მატერიალურ კულტურაში, ისე მეზობელი თუ შორეული ხალხების საისტორიო ძეგლებში. საქართველო ძველი მსოფლიოს ის რეგიონი იყო, სადაც ჯერ კიდევ შორეულ ეპოქაში წარმოიშვა უძველესი სახელმწიფოები, რომლებიც ეგრისის (კოლხეთის) და ქართლის სამეფოების წარმოქმნის ისტორიულ წანამძღვრებს ქმნიდნენ. მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული იდეოლოგია დაედო საფუძვლად შუა საუკუნეების მაღალ ქართულ კულტურას.

საქართველოს ისტორია აღსავსეა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლის ფაქტებით. ეს ბრძოლა წითელ ხაზად გასდევდა მთელ ისტორიულ ეპოქებს, ჰკრავდა და ადუღაბებდა საერთო ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. სადღეისოდ ჩვენმა ქვეყანამ კვლავ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. ეს ჩვენი სახელოვანი წარსულის ლოგიკური შედეგი და მთელი თაობების ბრძოლის ღირსეული დაგვირგვინებაა.

საქართველოს ისტორიის საგანი ქართველთა და გარკვეულწილად მათ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების წარსულის, მათი განვითარების თავისებურებების შესწავლაა.

ერის, ქვეყნის ისტორიის შესწავლას არა აქვს მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა. ისტორია ხალხთა მასწავლებელია და მის ღრმა ცოდნას, წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებას სადღეისოდ და სამომავლოდაც უაღრესი ფუნქცია ენიჭება.

ეროვნული ისტორიის მაღალი მისია სათანადოდ ჰქონ-

დათ შეფასებული ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მესვეურთ.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყანისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის, და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუასისა მიმართ“.

ქართველი ერის სულიერი მამა, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ“...

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

2. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში. ჩრდილოეთით მას ეკვრის კავკასიონის მთავარი ქედი, დასავლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, სამხრეთით — სომხეთი და თურქეთი.

საქართველოს ბუნებრივი პირობები ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით. მისი რელიეფი ჩამოყალიბდა ნეოტექტონიკური ცვლილების შედეგად, რასაც მოჰყვა ლანდშაფტის მრავალფეროვნება კლიმატური, ჰიდროლოგიური რეჟიმის, ნიადაგების, მცენარეული და ცხოველური სამყაროს მრავალრიცხოვანი ტიპებით.

ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთ რეგიონს ქმნის კავკასიონის ქედი (უმთავრესად მისი სამხრეთი კალთები, ნაწილობრივ აგრეთვე ჩრდილოეთი კალთები).

კავკასიონის სამხრეთით მდებარეობს დაბლობი ტერიტორია, რომელსაც ქმნიან: დასავლეთში — კოლხეთის დაბლობი, აღმოსავლეთში კი — იბერიის დაბლობი, რომელიც თვით იყოფა შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ალაზნის (კახეთის) დაბლობებად. კოლხეთისა და იბერიის დაბლობებს ჰყოფს ძირულის მასივი (ზემო იმერეთის პლატო), ხოლო ქვემო ქართლისა და ალაზნის დაბლობებს შორის იმყოფება ივრის ზეგანი.

კავკასიონიდან სამხრეთისაკენ ეშვება რამდენიმე ქედი, რომელთაგან სურამის ანუ ლიხის ქედი ჰყოფს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. მცირე კავკასიონის ქედებია ასევე მესხეთის, შავშეთის, თრიალეთის და სხვა ქედები.

საქართველო მდიდარია წიაღისეულითა და საამშენებლო მასალებით. სასარგებლო წიაღისეულიდან შეიძლება დავასახელოთ ქვანახშირი, ნავთობი, მანგანუმი, რკინისა და სპილენძის, მოლიბდენის, დარიშხანის, ვოლფრამისა და სხვ. საბადოები. ჩვენში მოიპოვება მრავალფეროვანი საამშენებლო მასალა: საშენი ქვა, მარმარილო, ტუფი, კირქვა, მერგელი,

თაბაშირი, ცეცხლგამძლე და კერამიკული თიხა, ხახვრავი ფიქალი, საალიზე თიხა და სხვა. ბევრია საქართველოში მინერალური და თერმული წყაროებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატი საქართველოში სუბტროპიკულიდან ზომიერზე გარდამავალი ტიპისაა. კოლხეთის დაბლობზე სუბტროპიკული კლიმატი ხასიათდება განსაკუთრებით თბილი ზამთრით, ტემპერატურის უმცირესი წლიური ამპლიტუდით და ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობით. იბერიის დაბლობის კლიმატისათვის კი დამახასიათებელია უფრო ცივი ზამთარი, საშუალო წლიური ტემპერატურის მაღალი დონე, ატმოსფერული ნალექების ნაკლები რაოდენობა და მათი სეზონების მიხედვით უფრო თანაბარი განაწილება.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის კლიმატი გამოირჩევა შედარებით კონტინენტალურობით, ატმოსფერული ნალექების მცირე ოდენობით და მკაცრი ზამთრით.

საქართველოს წყლის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული. მდინარეთა უფრო მჭიდრო ქსელია დასავლეთ საქართველოში. აქაური მდინარეები არ ქმნიან ერთიან სისტემას და მათი დიდი ნაწილი დამოუკიდებლად ერთვის შავ ზღვას. მთავარ სამდინარო სისტემას აქ ქმნის მდ. რიონი და მისი შენაკადები: ცხენისწყალი, ტეხური, ყვირილა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მდინარეები ბზიბი, კოდორი, ენგური, ღალიძგა, ხობი, სუფსა, კინტრიში, ჩაქვისწყალი, აჭარისწყალი და ჭოროხი. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ თითქმის ყველა მდინარე მტკვარს ერთვის და ასე ერთიანად ჩადის კასპიის ზღვაში. მტკვრის ძირითადი შენაკადებია: დიდი ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი, ფარავანი, ძამა, ალაზანი, ტანა, თეძამი, ალგეთი, ხრამი.

მეტად მრავალფეროვანია საქართველოს ფლორა და ფაუნა. ქვეყნის ტყის მასივს ამჟამად უჭირავს ტერიტორიის 36,7%, ძველად კი ბევრად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული და გამოიდევნა სხვადასხვა კულტურული მცენარეულის მიერ. დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა საქართველოს ფაუნამაც.

საქართველოს ისტორიის შესწავლისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-გეოგრაფიული პრო-

ცესების გათვალისწინებას. აუცილებელია ვიცოდეთ ისტორიულად ჩამოყალიბებული ძველი ქართული მხარეების („ქვეყნების") სახელწოდება და საზღვრები, რომლებიც ცვალებადი იყო. სწორედ ამ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების" ერთ ქვეყნად ჩამოყალიბების პროცესის შედეგია ქვეყანა „საქართველოს" შექმნა.

საქართველოს ცენტრალურ მხარეს ქართლი წარმოადგენს. სწორედ მისი სახელწოდებიდან მომდინარეობს ჩვენი ქვეყნისა და ერის სახელწოდებები — საქართველო და ქართველი. ქართლი შედგებოდა თავის მხრივ ცალკეული მხარეებისაგან — შიდა, ქვემო და ზემო ქართლისაგან. შიდა ქართლს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი საზღვრავდა, დასავლეთით — სურამის ანუ ლიხის ქედი, აღმოსავლეთით — მდ. არაგვი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი. ქვემო ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს თრიალეთის ქედი წარმოადგენდა და იგი მოიცავდა მდინარეების — ალგეთისა და ხრამის ხეობებს. დასავლეთით მას საზღვრავდა ჯავახეთის, ხოლო სამხრეთით ბამბაკ-ერევნის ქედი. ზემო ქართლი ანუ მესხეთი მოიცავდა ტერიტორიას მტკვრის სათავიდან ტაშისკარამდე და ჭოროხის აუზს — სათავიდან აჭარისწყლის ხეობამდე. მტკვრის ზემო წელზე მდებარეობს: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, ხოლო მდ. ჭოროხის ზემო წელზე: კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, ოლთისი, სპერი. XIII-XIV სს-დან მესხეთს სამცხე-საათაბაგოსაც უწოდებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს ასევე კახეთ-ჰერეთი, რომელიც ქართლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. კახეთი ივრისა და ალაზნის ზემო წელს მოიცავდა, ხოლო ჰერეთი ამ მდინარეების შუა და ქვემო წელს. XV საუკუნიდან ამ მხარეს მთლიანად კახეთი ეწოდება. ქართლისაგან მას ადრე მდ. არაგვი საზღვრავდა, შემდეგ კი საზღვარი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადიოდა მდ. მტკვრამდე. უფრო ცვალებადი იყო კახეთის საზღვრები აღმოსავლეთით. XVII-XVIII საუკუნეებში აქ ჩასახლდნენ დაღესტნელი მთიულები და ეს კუთხე („საინგილო") მოწყდა სამშობლოს. ამჟამად ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონები აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

დასავლეთ საქართველოს უძველეს ხანაში მთლიანად „ეგური“, ან „ეგრისი“ ეწოდებოდა. ბერძნები მას ჯერ „კოლხიდას“ ეძახდნენ, შემდეგ „ლაზიკას“; სომხები „ეგერს“. მოსახლეობას საკუთრივ ქართულად „მეგრელი“ ეძახდა, სვანურად „ზანი“. შემდეგში ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ცნება თანდათან ვიწროვდება. რიონის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას არგვეთი ეწოდა. თანდათან ჩამოყალიბდა ცნება „იმერეთი“, რომელიც დაერქვა დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც ლიხის ქედსა და ცხენისწყალს, რაჭის ქედსა და მესხეთის ქედს შორის იყო მოქცეული. ცხენისწყლიდან ვიდრე ანაკოფიამდე მდებარეობდა სამეგრელო ანუ ოდიში, ხოლო ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზეთი. XVIII საუკუნის დამდეგს აფხაზეთის საზღვარმა ენგურამდე გადმოიწია.

დასავლეთ საქართველოშივე მდებარეობდა გურია, რომელსაც საზღვრავდა რიონი, მესხეთის ქედი და შავი ზღვა. სამხრეთ-დასავლეთით გურიას ებმის აჭარა და ლაზეთი (ჭანეთი). აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მთიანეთში მდებარეობდა დვალეთი, მთიულეთი და ხევი, ხოლო კახეთის მთიანეთში თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი (ფხოვი). დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობდა სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი (ძველი თაკვერი).

3. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა. არქეოლოგიურ კვლევას გამოვლენილი აქვს მისი ნაკვალევი პალეოლითის (ძველი ქვის ხანის) სულ უძველესი საფეხურებიდან დაწყებული, ყველა სხვა მომდევნო საფეხურის (ნეოლითი, ენეოლითი, ადრეული ბრინჯაო, შუა ბრინჯაო, გვიანი ბრინჯაო — ადრერკინის ხანა) გავლით.

პალეოლითის ხანას სამ პერიოდად ჰყოფენ — ადრეულ (ქვედა), შუა და გვიან (ზედა) პალეოლითად. ეს უკანასკნელი დაახლოებით 30-35 ათასი წლის უკან იწყება.

საქართველოში მკვეთრად გამოიყოფა პალეოლითური კულტურის გავრცელების ფართო არეალი. ყველაზე ძველი ძეგლები აღმოჩენილია ნაქალაქარ დმანისში, ჭიჭანის მთაზე ფარავნის ტბის მახლობლად, მთა იაშთხვაზე, სოხუმთან, სოფ. რუხთან (ზუგდიდის რ-ნი), კუხში (ჭიათურის რ-ნი), ლაშებალთაში (შიდა ქართლი), ასევე კუდაროსა და წონას მღვიმეებში.

პალეოლითის უძველესი საფეხურების ძეგლებიდან ნათელი ხდება, რომ ქვეყანა მჭიდროდ ათვისებული ყოფილა უძველესი ადამიანის მიერ. ამ პერიოდის მონადირეთა და შემგროვებელთა მიერ ათვისებული ჩანს არა მარტო დაბლობი, არამედ მთისწინა და მთიანი რეგიონები, ვიდრე სუბალპურ ზონამდე. ამ დროს არსებულ ადამიანთა „პირველყოფილი ჯოგი“ შეიცავდა სულ რამდენიმე ათეულ სრულწლოვან ადამიანს. ამჟამად ირკვევა, რომ ამ დროის ადამიანები ეწეოდნენ საკმაოდ ბინადარ ცხოვრებას, რასაც ხელს უწყობდა ფაუნის სიმდიდრე იმ ეპოქაში. უკვე ამ დროს ეყრება საფუძველი და შემდეგ ზედა პალეოლითში ფართოდ გავრცელდა შრომის დანაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით — მამაკაცები მისდევდნენ ნადირობას, ქალები კი შემგროვებლობითა და საშინაო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი.

გვიან (ზედა) პალეოლითში ადამიანი უფრო ძლიერი გახდა, რასაც იარაღის გაუმჯობესება უწყობდა ხელს. ამ

პერიოდის ადამიანთა ნამოსახლარი მღვიმეები ბევრგანაა მიკვლეული. მაგ. მდ. ჩხერიმელას ხეობაში ე. წ. დევისხვრელი, საკაჟიას მღვიმე (თერჯოლის რ-ნი), საგვარეულეს მღვიმე, მღვიმეები მდ. ჯრუჭულას ხეობაში და სხვ.

პალეოლითის ეპოქას მოჰყვა მეზოლითი, ანუ შუა ქვის ხანა, რომელიც დაახლოებით 12 000 წლის წინ დაიწყო. ამ პერიოდში ყალიბდებოდა თანამედროვე კლიმატი, ფლორა და ფაუნა.

საქართველოს ნეოლითური კულტურის (ძვ. წ. IX-X ათასწლეულები) ფესვები საძებნია დას. და აღმ. საქართველოს მეზოლითში. ნეოლითური კულტურა წარმოადგენს თვისობრივად ახალ საფეხურს პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაში. უმთავრესია ის, რომ ჩამოყალიბდა მეურნეობის მწარმოებლური სახეები (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა).

ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორია შედიოდა აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ნეოლითურ კულტურაში, რომელიც წინააზიური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს. ნეოლითური ტომები დაეუფლნენ თვით ყველაზე უფრო მაგარი ჯიშის ქვის გახვრეტისა და გაპრიალების ტექნიკას, თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიას, მცენარეულის თესვა-მოყვანას, მოიშინაურეს ცხოველები და საფუძველი ჩაუყარეს მესაქონლეობას.

მწარმოებლური მეურნეობა ჩნდება უკვე ადრეულ ნეოლითში. გარკვეული გავლენა ამაში მოახდინა სამხრეთის რეგიონებთან კავშირებმაც.

ნეოლითის შუა საფეხური საქართველოში შეინიშნება საკმაოდ სუსტად. გვიანნეოლითურ მასალაში მრავლად გვხვდება მდინარის კენჭებიდან გაკეთებული იარაღები, რომელთა დიდი ნაწილი განკუთვნილი იყო ტყის გასაკაფად და ხის დასამუშავებლად.

საგანგებოდ აღსანიშნავია მეთუნეობის გაჩენა. თიხის ჭურჭელი ხელით კეთდებოდა. განვითარდა ძვლის, რქის, ხისა და ტყავის დამუშავება.

გვიან ნეოლითში მიწათმოქმედების ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასია წარმოადგენდა მწარმოებლური მეურნეობის

ერთ-ერთ უძველეს კერას.

დას. საქართველოს ნეოლითური მასალა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა ამ დროს სახლობდა მცირე, [illegible] ბით ერთი ჰექტარი ფართობის მქონე სოფლებად [illegible] ნა გორაკებზე, აგრეთვე მდინარეების ნაპირას და საზღვაო ტერასებზე. ამ სამოსახლოების მიწისზედა ხის ან თიხით შელესილი წნულის სახლში ცხოვრობდა, როგორც წესი, ერთი ცალკე ოჯახი, რომელიც წარმოადგენდა ნეოლითური საზოგადოების სოციალურ საფუძველს. ნეოლითური კულტურის ძირითადი ძეგლებია: ხუცუბანი, ქობულეთი (აჭარა), ანასეული, გურიანთა (გურია), კისტრიკი (აფხაზეთი), თეთრამიწა (ქუთაისთან), ზემო ალვანი (კახეთი) და სხვ.

ენეოლითის („სპილენძ-ქვის") ხანა (დაახლ. 6-7 ათასი წლის უკან) ლითონების გამოყენებაზე გადასვლას მოასწავებს და განასახიერებს ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემდგომ განვითარებას. სამოსახლოები (მაგ. შულავერის გორა, იმირის გორა (ქვემო ქართლი) გაშენებულია ხელოვნურ ბორცვებზე („გორებზე") და ეკუთვნის ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებს. სახეზეა მოსახლეობის მტკიცე ბინადარი ცხოვრების სურათი. ამ მოსახლეობისათვის არსებითი ჩანს მიწათმოქმედების წამყვანი მდგომარეობა. დადასტურებულია ურწყავი და სარწყავი მიწათმოქმედების თანაარსებობა. აქაური მოსახლეობა მისდევდა შინაური საქონლის მოშენებასაც. არის მხატვრული ხელოსნობის ნაკვალევიც — ჭრა ძვალზე და ქვაზე, თიხისაგან სკულპტურული ნივთების გამოძერწვა, რიტუალური და სათამაშო ნივთების დამზადება და სხვ.

ადრესამიწათმოქმედო სამოსახლოებზე წყვილადი ოჯახია გავრცელებული. ქონებრივი დიფერენციაციის რაიმე კვალი არ ჩანს. მიწა და საძოვარი მთელი კოლექტივის განკარგულებაში იყო, ერთობლივად წარმოებდა მიწის დამუშავება, მოსავლის აღება, სარწყავი თხრილების თხრა, საქონლის შენახვა და სხვ. მიღებული პროდუქტიც ნაწილდებოდა ოჯახებს შორის ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ჩვენს წინაშეა საგვარეულო თემი, რომლის სათავეში იდგა მამასახლისი, შეიძლება იყო უხუცესთა

საბჭოც. მიცვალებულებს სამოსახლოს ფარგლებში კრძალავდნენ. თითქმის ყველა ანთროპომორფული ფიგურა ქალს გამოსახავს, რომელიც ნაყოფიერების ბოლოს განსახიერებად ითვლებოდა.

ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებში ჩამოყალიბებას იწყებს ადრეული ბრინჯაოს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა. ყალიბდება მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურა, რომლის მატარებელი მოსახლეობა IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე კავკასიაში მომხდარი დემოგრაფიული აფეთქების შემდეგ დიდ ფართობზე ვრცელდება, მტკვარ-არაქსის შუამდინარეთს გარდა კავკასიასა და მცირე აზია-ირანის მომიჯნავე რაიონებში.

მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდი ხასიათდება ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებით. ნაპოვნია სამხრეთ კავკასიაში ამ დროს ჩამომსხმელი სახელოსნოების ნაშთებიც (ამირანისგორა). აღმოჩენილია ასევე ბრინჯაოსაგან გაკეთებული როგორც სამუშაო (ნამგალი, ნაჯახი), ისე საბრძოლო (შუბი, ხანჯლისპირი) იარაღი.

მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე დამახასიათებელ ფენომენს მაინც ქმნის სპეციფიკური შავლაკიანი მშვენიერი და მრავალსახეობიანი ხელით ნაკეთები ჭურჭელი.

დაკრძალვის წესის თვალსაზრისით დომინირებს ინდივიდუალური საფლავები, უმეტესწილად ქვის ყუთებში, სხვა შემთხვევაში — გრუნტში. დამოწმებულია თვით სამოსახლოში, სახლის იატაკის ქვეშ ბავშვების დაკრძალვის ფაქტები. გვხვდება ყორღანებიც. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა სულიერ კულტურაში დომინირებს ნაყოფიერების იდეასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. მიწის თაყვანისცემის გვერდით თავს იჩენს მზისა და მთვარის ღვთაებათა თაყვანისცემაც. ნაყოფიერების იდეასთანაა დაკავშირებული ამ კულტურის არეალში დიდად გავრცელებული საოჯახო კერის ფორმებიც. ოჯახის, გვარის ინსტიტუტის შემდგომ განმტკიცება-განვითარებასთან დაკავშირებით იზრდება მასში მამაკაცის წამყვანი მდგომარეობა, რაც ასახვას ჰპოვებს რწმენა-წარმოდგენებში, მთვარისა და ხარის კულტთან მის დაკავშირებაში.

ადრებრინჯაოს ხანაში ყალიბდება დიდი პატრიარქალური

ოჯახები. ოჯახი აერთიანებდა რამდენიმე პატარა ოჯახს — ადამიანთა ორ-სამ თაობას და ცხოვრობდა ცენ-ტრალური კერის მქონე ერთ სახლში.

ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან იგრძნობა მტკვარ-არაქსის მძლავრი ადრებრინჯაოს კულტურის დაკნინება. მისი სამოსახლოები მიტოვებულია, დაბლობში ცხოვრება ხშირად ქრება, მაშინ როცა იწყება უფრო ინტენსიური ათვისება მთისწინა და მთის რაიონებისა. ცვლილებები სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც უკავშირდება მეურნეობის განვითარებას, მათ შორის მეტალურგიის და სხვადასხვა ხელოსნობის ზრდას, ძველაღმოსავლურ სამ-ყაროსთან ეთნოკულტურული ურთიერთობის გაღრმავებას, განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოში და მიმდებარე ტერიტორიებზე მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე ახალი, თრიალეთის შუაბრინჯაოს კულტურის წარმოშობა-ჩამოყალიბებას.

ამ კულტურის არეალში არსებითად იცვლება დაკრძა-ლვის წესი, ჩნდება ინდივიდუალური, ყორღანული ტიპის სამარხები, რომლებიც ზოგჯერ უზარმაზარ სიდიდეს აღ-წევენ. მდიდარია ამ ყორღანებში არსებული ინვენტარი — არის მხატვრული ნაკეთობები, მაღალხარისხოვანი კერამიკა და ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოს ნივთები, ოთხთვალა ეტლი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მაღალმხატვრული საიუველირო ნაწარმი.

თრიალეთის კულტურის აყვავების ხანა ძვ. წ. II ათასწლეუ-ლის I ნახევარზე მოდის. ეს არის დიდი სოციალური ძვრების ხანა. იქმნება ძლიერი სატომო არისტოკრატია ტომის ბელადით სათავეში.

თრიალეთის დიდ ყორღანებში იკრძალებოდნენ ადამი-ანები კრემაციის წესით. დასაკრძალავი დარბაზები მოფე-ნილი იყო დიდ-დიდი ჭურჭლებით, მიცვალებულის ფერ-ფლს ატანდნენ აგრეთვე ძვირფასი ლითონებისაგან დამზა-დებულ ნივთებს. ძვირფასი ლითონებისაგან გაკეთებული ნივთები გამოირჩევიან დახვეწილი ფორმით, დიდი გე-მოვნებით. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ ოქროს თასი და ვერცხლის თასი, სარწყული, რომლებიც საიუვე-ლირო ხელოვნების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებული ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთის კულტურის ტომების ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან საგრძნობლად შესუსტდა. ეს უკანასკნელი განაგრძობდა ცხოვრებას წინამავალი პერიოდის ტრადიციებით. ამ დროს იწყება კოლხეთის დაბლობის საკმაოდ ინტენსიური ათვისება და საფუძველი ეყრება მომდევნო პერიოდის — გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთის კულტურის შექმნას.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას უწოდებენ, რადგან ამ ეპოქაში ისახება რკინის მეტალურგიაზე გადასვლა. ამ კულტურის ნიმუშია დასავლეთ საქართველოს, ანუ კოლხური კულტურა. მის დამახასიათებელ ძირითად იარაღებს წარმოადგენენ კოლხური ცული, თოხი და ტყის გასაკაფი იარაღი. თვით კოლხური კულტურა ჩაისახა კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რასაც ხელი შეუწყო ჭოროხის აუზში სპილენძის მადნების სიუხვემ, აგრეთვე წინააზიურ სამყაროსთან სიახლოვემ.

რამდენადაც ეს კულტურა დიდ ტერიტორიას მოიცავს — მთელ დასავლეთ საქართველოს და მეზობელ რაიონებს, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უნდა არსებულიყო ძლიერ ტომთა კავშირი ან ადრეკლასობრივი სახელმწიფო, რომელსაც აქტიური როლი უნდა შეესრულებინა კულტურულ მონაპოვართა ფართო ტერიტორიაზე გავრცელების საქმეში.

გვიანბრინჯაოს ხანაში განახლებულ იქნა შუაბრინჯაოს ხანაში არსებითად შეწყვეტილი ურთიერთობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის.

I ათასწლეულის დასაწყისიდან ქვეყნის ეკონომიკაში დიდი აღმავლობა შეიმჩნევა. მეურნეობაში ინერგება რკინის იარაღის ფართო გამოყენება. იგრძნობა აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვეყნის როგორც დაბლობ, ისე მთის რეგიონებში.

ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობის გავრცელება ხელს უწყობდა ვაჭრობა — აღებ-მიცემის განვითარებას. მას, თავის მხრივ, მოსდევდა ერთმანეთზე კულტურული გავლე-

ნის და კულტურულ მონაპოვართა გავრცელება. ასეთი კულტურული სიახლოვე იჩენს თავს მომიჯნავე ოლქებს შორის — შიდა ქართლსა, ერთის მხრივ, და დასავლეთ საქართველოს, ჩრდ. კავკასიას, კახეთსა და ოსეთს შორის. არის ნაშთები ამგვარი კავშირებისა წინა აზიის ქვეყნებთან.

სულიერი კულტურის შესახებ მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა როგორც ადრე, ისე უკანასკნელ დროს მრავლად გამოვლენილმა სამლოცველოებმა (ვაისწყალი, ნაცარგორა, ხოვლე და სხვ.) ისინი, უმთავრესად ნაყოფიერების კულტს ემსახურებოდნენ. ყურადღებას იქცევს ამავე სფეროს შესახებ ჩვენი ინფორმაციისათვის ბრინჯაოს სარტყლები მითოლოგიური სცენების გამოსახულებით და სხვ.

ეს ეპოქა არის დიდ ტომთა გაერთიანებების შექმნის ხანა. თვით საზოგადოების შიგნით ძლიერდება ქონებრივი და, უნდა ვიფიქროთ, სოციალური დიფერენციაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებობდა სატომო ტერიტორიების ძირითადად ერთგვარი დანაწილება. მაშასადამე, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა არსებით ცვლილებებს ტომთა განლაგებასა და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც კავკასიის, კერძოდ ამიერკავკასიის მოსახლეობა ძირითადად ისეთივე ეთნიკური შემადგენლობისა იყო, როგორც უფრო გვიან. წინა პერიოდისაგან განსხვავებით ეს იყო საკმაოდ არამშვიდობიანი, საომარი შეტაკებებითა და ბრძოლებით აღსავსე ეპოქა. ამ მუდმივ ომიანობის ვითარებაში გზას იკვლევდა დიდი, სახელმწიფოებად გადაქცევის ზღურბლზე მდგომი გაერთიანებების შექმნის ტენდენცია.

4. უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩნდება უკვე წერილობითი ცნობები ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. ჩვენ აქ ვხვდებით ამ მოსახლეობის საკმაოდ დიდ გაერთიანებებს, რომლებიც საფიქრებელია, უკვე ადრეკლასობრივ (განუვითარებელ კლასობრივ) სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ასეთი გაერთიანებები იყო დიაოხი (ტაოხი, ტაო) და კოლხა (კოლხეთი), რომელთა შესახებ ცნობები გვხვდება ძვ. წ. XII-IX სს. ასურულ და VIII ს. ურარტულ ლურსმულ წარწერებში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის I ნახევარში ჩამოყალიბებას იწყებენ საკმაოდ დიდი და მყარი გაერთიანებები.

მყარ პოლიტიკურ ძალას ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში ძვ. წ. XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოადგენდნენ „ნაირის ქვეყნები" — მდ. ყარა-სუზე (დას. ევფრატი) და ყარა-სუსა და მურად-სუს ორმდინარეთში მდებარე პოლიტიკური ერთეულების კავშირი. ყველაზე გამოჩენილი მათ შორის იყო დიაოხი, ან როგორც მას ასურელები ეძახდნენ — დაიაენი. „დიაოხის" ამ ქვეყანას ურარტელები უწოდებდნენ. ეს სახელი შემორჩა ისტორიული საქართველოს ერთერთ ოლქს — ტაოს. ჩვენამდე მოაღწია არზრუმის მიდამოებში ამოკვეთილმა ლურსმულმა წარწერამ, სადაც ურარტუს მეფე მენუა მოგვითხრობს დიაოხისა და მისი „სამეფო ქალაქის" შაშილუს დაპყრობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერიტორია იმ დროს დიაოხში შედიოდა.

დიაოხის ტერიტორია დღევანდელ არზრუმის და ყარასუს სათავეებიდან ჩრდილოეთით ვრცელდებოდა. ამაზე მიუთითებს, მაგალითად ის, რომ დიაოხის მეზობლად ურარტული წყაროები იხსენიებენ „ზაბახა"-ს (ჯავახეთს).

ძვ. წ. XII ს. ბოლოს დიაოხი (დაიაენი) ყველაზე ძლიერი ჩანს „ნაირის ქვეყნებს“ შორის. იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ნაირის ქვეყნების ბრძოლაში ასურეთის წინააღმდეგ. დიაოხის მეფე სიენი ხელმძღვანელობდა 23 „მეფის“ კოალიციას ტიგლათფილესერ I-ის წინააღმდეგ (ძვ. წ. 1112 წ.) დიაოხის გავლენა ვრცელდებოდა „ზემო ზღვის“ (შავი ზღვა) მახლობლად მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომებშიც.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კოლხის (კოლხეთი) მოსახლეობა ამ დროს ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ განვითარება დიდი და მყარი გაერთიანებისაკენ მიდიოდა. ძვ. წ. VIII ს. შუა ხანებში, როდესაც კოლხეთთან ბრძოლები უხდება ურარტუს ძლიერ სახელმწიფოს, იგი უკვე ერთიანი პოლიტიკური ერთეულია თავისი მეფით, „სამეფო ქალაქებით“, პროვინციების გამგებელი მეფისნაცვლებით. ეს ტრანსფორმაცია ძვ. წ. XI-IX სს. მანძილზეა სავარაუდებელი.

ძვ. წ. IX საუკუნიდან ასურეთი ანახლებს ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობებს და ცნობები დიაოხის შესახებ კვლავ ჩნდება ასურულ ლურსმულ წარწერებში, ხოლო მალე დიაოხის, ისევე როგორც კოლხას შესახებ ბევრია საუბარი ასევე ურარტულ ლურსმულ წარწერებშიც.

დიაოხის მახლობლად ძლიერი ურარტუს სახელმწიფოს გაჩენით მისი მდგომარეობა ძალზე გართულდა. დიაოხი, როგორც ყველაზე ძლიერი სამხრეთ ამიერკავკასიის ტომთა გაერთიანებებს შორის, ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა ამ მხარეში. ამიტომაც, ურარტუს მეფეები ცდილობენ პირველ რიგში მის განადგურებას.

დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკია ურარტუს მეფის მენუას საკმაოდ ვრცელ წარწერაში, რომელიც ქ. არზრუმის მიდამოებში კლდეზეა ამოკვეთილი. მენუა მეფე დიაოხის „ძლევამოსილ ქვეყანას“ ეძახის. მენუას დროს ურარტელებს გაუჩანაგებიათ დიაოხის ქვეყანა. მენუას ლაშქრობა, როგორც ჩანს, ამ მეფის მმართველობის ბოლოს მოხდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ დიაოხის მეფე უტუფურსის, რომელსაც ებრძოდა მენუა, იხსენიებს მისი მემკვიდრე, არგიშთი I. არგიშთი I-საც (ძვ. წ. 786-764) დიდი ბრძოლები გადახდა დიაოხისთან. მის ერთერთ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარწერაში მოტანილი ოდენობა დიაოხში ხელთგდებული ტყვეებისა და ნადავლისა, ასევე ხარკი გვიჩვენებს, რომ დიაოხი არგიშთი I-ის დროსაც დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო. ამავე მასალის მიხედვით დიაოხში დიდად განვითარებული ჩანს მესაქონლეობა და მეტალურგია.

ურარტელთა ლაშქრობებმა დიდად დაასუსტეს დიაოხი. ურარტელებმა მათ წაართვეს სამხრეთი რაიონები და შექმნეს აქ დასაყრდენი პუნქტები. დიაოხის მათ მძიმე ხარკი დაადეს, მაგრამ ურარტუს არ შეეძლო მთლიანად დაეპყრო დიაოხი. უკანასკნელი ლახვარი დასუსტებულ დიაოხის მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა — კოლხამ ჩასცა.

ამიერიდან, კოლხეთი და ურარტუ უშუალო მეზობლები გახდნენ. მათ შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა. ურარტუს მეფის სარდური II-ის წარწერებში კოლხეთთან ბრძოლას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ურარტუს ამ მეფის მატიანედან ვიგებთ ორი ლაშქრობის შესახებ, რომელიც ურარტელებს კოლხების წინააღმდეგ მოუწყვიათ ძვ. წ. 750-741 წწ.

პირველად ურარტელები კოლხას სამხრეთ პერიფერიას შეესივნენ. მეორეჯერ, ისინი უფრო ჩრდილოეთით მოქმედებენ და იპყრობენ ქალაქ ილდამუსას, სადაც მეფისნაცვალი იჯდა. კოლხეთი, რომელსაც ურარტუ ებრძვის, საფიქრებელია, უკვე ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო. ზოგი ნიშნის მიხედვით, ამ ძველ კოლხებს საკუთარი დამწერლობაც კი უნდა ჰქონოდათ.

სწორედ კოლხას ამ ძლიერი და უძველესი სამეფოს არსებობის ხანაში გაეცნენ ბერძნები პირველად შავიზღვისპირეთის ამ კუთხეს. ამ სამეფოს ძლიერებამ და ბრწყინვალებამ ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინა მათზე, რომ თავის მითებსა და თქმულებებში ძველმა ბერძნებმა კოლხეთს საპატიო ადგილი მიუჩინეს. ასე მაგალითად, თქმულება არგონავტების შესახებ მოგვითხრობს, რომ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად საბერძნეთიდან შორეულ კოლხეთში გაემგზავრა ორმოცდაათიოდე ბერძენი გმირი იაზონის მეთაურობით. კოლხეთის მეფე აეტმა არგონავტები თავის ბრწყინვალე სასახლეში მიიღო. იაზონმა ამცნო

მოსვლის მიზანი და ოქროს საწმისის სანაცვლოდ მეზობლებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. აეტმა უპასუხა იაზონს: „ოქროს საწმისს მოგცემ, ოღონდ მანამდე სამი რამ უნდა გააკეთო: სპილენძისჩლიქიან და ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მიწა მოახვნევინო, ურჩხული მოკლა და მისი კბილები დათესო; და, ბოლოს, იმ ნათესიდან რომ დევგმირები ამოვლენ, ისინი დახოცო.“ ბერძნები შეაკრთო ამ ამოცანის სიძნელემ და მხოლოდ აეტის ასულის, გრძნეული მედეას დახმარებით შეძლეს მისი შესრულება. იაზონმა და მისმა თანამგზავრებმა გაიტაცეს ოქროს საწმისი მედეას დახმარებით, მედეაც თან წაიყვანეს და საბერძნეთისაკენ გაემართნენ. გზაში მათ წამოეწივნენ აეტის მეომრები მედეას ძმის აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ არგონავტებმა დაამარცხეს მდევრები და თვით აფსირტეც მოკლეს.

ზღაპრულ ამბებთან ერთად, ამ თქმულებაში ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კოლხეთის სამეფოს აღწერისას მასში აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება. თუმცა მცირე, მაგრამ კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს ამ დიდი კოლხური გაერთიანების შესახებ გვაწვდიან ურარტული ლურსმული წარწერები, როდესაც მოგვითხრობენ კოლხას ქვეყნის შესახებ.

კოლხას (ძველი კოლხეთი) სამეფო განადგურდა ძვ. წ. VIII ს. უკანასკნელ მეოთხედში ჩრდილოეთიდან კიმერიელთა შემოსევის შედეგად.

ძვ. წ. VIII ს. II ნახევარში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან დაიწყო სკვითებისა და კიმერიელების დიდი შემოსევები სამხრეთში. განსაკუთრებულ ძალას ამ შემოსევებს, როგორც ჩანს, ის აძლევდა, რომ სკვითებსა და კიმერიელებს უერთდებოდნენ დიდი ძველაღმოსავლური სახელმწიფოებისაგან შევიწროებული კავკასიისა და უფრო სამხრეთით მცხოვრები მცირე ტომები.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევა რამდენიმე ნაკადად მოხდა. ძვ. წ. VIII ს. 30-იან თუ 20-იან წლებში წინა აზიას შემოესია კიმერიელთა დიდი მასა. ისინი მოდიოდნენ ე. წ. მეოტიდა-კოლხეთის გზით, აზოვისა და

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებით. ცოტა უფრო გვიან, დარუბანდის გავლით, წინა აზიაში მოვიდნენ [illegible].

კიმერიელებმა სასტიკად დაამარცხეს ურარტელები. ურარტუსთვის რომ მიეღწიათ, კიმერიელებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროთი მოდიოდნენ, უნდა გაევლოთ კოლხას მიწა-წყალზე და მისი წინააღმდეგობა გადაელახათ. ურარტუზე ადრე კიმერიელთა დარტყმა ალბათ კოლხეთმა იგემა. იგი სასტიკად უნდა გაენადგურებინათ კიმერიელთა ურდოებს. ძველი კოლხური სამეფო დაეცა.

მუდმივი ომიანობა, საწარმოო ძალების საკმაოდ მაღალი განვითარება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ახალი, დიდი და მყარი სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნისათვის. ქართული ტომების ამ ახალი გაერთიანებების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა სამხრეთში ახლად წარმოქმნილ დიდ სახელმწიფოებთან — მიდიასთან და შემდეგ სპარსეთთან ინტენსიური ურთიერთობის პირობებში.

5. ეგრისის (კოლხეთის) სამეფო. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ სამყაროში „კოლხეთი“ (კოლხიდა) — სახელმა ადრე მოიპოვა ზოგადი, კრებითი მნიშვნელობა და ხშირად აღნიშნავდა შავიზღვისპირა ქვეყანას კავკასიონის ქედიდან დაწყებულს ვიდრე დღევანდელ ტრაპეზუნტის რაიონამდე. ასეთი ფართო მნიშვნელობის გარდა ეს ტერმინი უფრო ვიწრო-ეთნიკური ან პოლიტიკური ერთეულის მნიშვნელობით იხმარებოდა. სწორედ ასეთი ვიწრო მნიშვნელობით იხმარებოდა კოლხების სახელი ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტესთან, როდესაც იგი ლაპარაკობს აქემენიანთა იმპერიასთან მათი ურთიერთობის შესახებ. აქემენიანებმა თავისი სამფლობელოები ადმინისტრაციულ ერთეულებად — სატრაპიებად დაჰყვეს. მე-19 სატრაპია აერთიანებდა სამხრეთ კოლხეთში მცხოვრებ ქართველ ტომებს. უფრო ჩრდილოეთით მცხოვრებმა კოლხებმა აქემენიანთა მიმართ იკისრეს „ნებაყოფლობითი ძღვენის“ მიცემა — ყოველ მეხუთე წელს ირანში აგზავნიდნენ 100 გოგოსა და 100 ბიჭს.

ძველი ბერძნული წყაროების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, აქემენიანთა ირანის (ძვ. წ. VI-IV სს.) თანამედროვე კოლხური გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი მდ. რიონზე (ფაზისზე) უნდა ყოფილიყო. რიონის შუა და ქვემო დინებაზე იმყოფებოდა ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული რაიონები.

ამ დროს უკვე არსებობდა ძველი ბერძნული ახალშენი მდ. ფაზისის შესართავთან — ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთის მიდამოებში) და ბერძნულ სამყაროში, უეჭველია, საკმაოდ სწორი წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ კოლხეთში არსებულ ვითარებაზე. ბერძნული ახალშენები იყო აგრეთვე კოლხეთის არაერთ სხვა ზღვისპირა პუნქტში. აქ, ისევე როგორც შავიზღვისპირეთის სხვა რაიონებში, წამყვან როლს ახალშენებისა და სავაჭრო ფაქტორიების (ემპორიონების) შექმნაში მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე არსებული ბერძნულ-იონური ქალაქი მილეტი ასრულებდა.

დღევანდელი საქართველოს სანაპიროზე არსებული ბერძნუ-

ლი ახალშენებიდან ცნობილია ფაზისი (ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი).

ბერძნული ახალშენების დაარსებამ უცილობლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებაში და საერთოდაც ხელი შეუწყო ამ ადგილებში სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების დაწინაურებას და გარკვეულად დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი ადგილობრივ მოსახლეობაში.

უმთავრესად ამ ზღვისპირა ბერძნული სამოსახლოების გზით ხორციელდებოდა კოლხეთის მოსახლეობის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან. ამასთან, ასეთი ურთიერთობა ჩანს არა მარტო საბერძნეთთან, არამედ სირიასთან, ეგვიპტესთან, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან, ბოსფორის სამეფოსთან. ამ ურთიერთობას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ყირიმში, ნიმფეის არქაული ტაძრის გათხრებისას, ძვ. წ. VI ს. II ნახევრის ფენაში აღმოჩნდა კოლხური პითოსების (დიდი ზომის ჭურჭლის) ნამტვრევები კოლხურ ვერცხლის მონეტებთან („კოლხურ თეთრთან") ერთად. პანტიკაპეის ექსპედიციამ აღმოაჩინა VI-IV სს. კოლხური ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები.

ძვ. წ. VI ს. კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები. აქაური ნაწარმი ნაპოვნია ბათუმის, ქობულეთ-ფიჭვნარის, ფოთის მიდამოების ნამოსახლარებზე და კოლხეთის შიდა რაიონებში. ძვ. წ. VI ს. ბოლოდან კოლხეთში შემოაქვთ აგრეთვე ატიკური პროდუქციაც. ატიკური იმპორტის ძირითად ნაწილს ფუფუნების საგნები შეადგენდა. კოლხეთის ექსპორტში დიდი ადგილი ეკავა ხე-ტყეს, ფისს, ცვილს, სელს, სელის ზეთს.

გარე სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიურობაზე ლაპარაკობს აგრეთვე ადრეანტიკური ხანის მონეტების მრავლად აღმოჩენა კოლხეთში. საკუთრივ კოლხური მონეტებიც არის აღმოჩენილი კოლხეთის საზღვრებს გარეთ. საკუთრივ დასავლეთ საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე კოლხური ვერცხლის მონეტა ათასობითაა ნაპოვნი. ხშირია აქ მათი განძები. ესაა მცირე ზომის ვერცლის მონეტა, რომლის ერთ მხარეზე ადამიანის თავია გამოსახული, ხოლო მეორეზე კი — ხარის, უფრო იშვიათად ლომის. კოლხური მონეტები გავრცელებულია ძირითადად სოხუმსა და ბათუმს შორის მდებარე ტერიტორიაზე, ე. ი. სწორედ ძვ. წ. VI-IV სს. კოლხური გაერთიანების ფარგლებში და მოჭრილია ძირითადად სწორედ ამ პერიოდში. თვით მონეტებზე მოცემული გამოსახულებების კავშირი ადგილობრივ კულტურულ-რელიგიურ წარმოდგენებთან, აგრეთვე ამ მონეტების უფრო მეტად გავრცელება კოლხეთის შიდა რაიონებში, ვიდრე ზღვისპირა ზოლში, იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ მათ კოლხეთის სახელმწიფო ხელისუფლება ჭრიდა.

მონეტის ინტენსიური მიმოქცევა დამახასიათებელია ადგილობრივი კოლხური საზოგადოებისათვის და სოციალურ-ეკონომიკურად მის დაწინაურებაზე მიგვითითებს. იგი გულისხმობს წარმოებისა და ვაჭრობის მაღალ განვითარებას, ვაჭართა ფენის არსებობას, რაც ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ამ დროის კოლხური საზოგადოება, კოლხეთის დაბლობზე არსებული პოლიტიკური ერთეული კლასობრივ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

ამ კოლხური პოლიტიკური ერთეულის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივი ქალაქური ტიპის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების არსებობა ქვეყნის შიდა რაიონებში. ვანის, დაბლაგომისა და საირხეს ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ამ პუნქტებში უკვე ადრეანტიკურ ხანაში ქალაქური ტიპის დასახლებები უნდა ყოფილიყო.

ეგრისის (კოლხეთის) სამეფო ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო. საზოგადოების ზედაფენა მცირერიცხოვან მონებს გარდა ექსპლუატაციას უწევდა რიგით მეთემეთა-თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასას. ასე დაწინაურდა ძირითადად ცენტრალური კოლხეთის, კოლხეთის ბარის მოსახლეობა. კოლხეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებნი კი უმთავრესად კვლავ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ

დიდხანს ამის შემდეგაც.

ერთიანი აღმოსავლურ-ქართული (ქართლის, იბერიის) სამეფოს შექმნა, როგორც ჩანს, ისტორიულ ქართლის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა გაერთიანებების ბრძოლის პროცესში მოხდა. ამის ანარეკლს ვპოვებთ ძველქართულ გადმოცემებში ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ.

„მოქცევაი ქართლისაი"-ს ქრონიკაში ნათქვამია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა, ქართლის დაპყრობის შემდეგ (ცნობა ლეგენდარულია, ალექსანდრე მაკედონელს ქართლი არ დაულაშქრავს) მცხეთაში მმართველად დატოვა არიან-ქართლის მეფის ძე აზო. ეს უკანასკნელი წავიდა მამის სამეფო არიან-ქართლში, წამოიყვანა იქიდან ათასი სახლი (ე. ი. გვარი) და მამამძუძეთა (აღმზრდელთა) ათი სახლი და დაასახლა ისინი „ძველ მცხეთას". აზომ მოიტანა იქიდან აგრეთვე ღმერთების გაცისა და გას კერპები. ქრონიკის მიხედვით ეს აზო იყო პირველი მეფე მცხეთაში. მისი სიკვდილის შემდეგ კი გამეფდა ფარნავაზი, რომელმაც დადგა მთის შვერილზე არმაზის დიდი კერპი, ააშენა გალავანი მტკვრის მხრივ და სიმაგრეს ამ ღვთაების პატივსაცემად არმაზი უწოდა.

ქართული საისტორიო თხზულებების კრებულ „ქართლის ცხოვრებაში" თქმულებამ აზოს შესახებ მოაღწია უფრო გავრცობილი, მაგრამ განსხვავებული სახით. იქ ამ თქმულებასთან არის შერწყმული თქმულება მცხეთის მკვიდრის ფარნავაზის შესახებ, რომელიც ქართლის სამეფოს ნამდვილ დამაარსებლად არის მიჩნეული.

ქართლის (იბერიის) ერთიანი დიდი სამეფოს წარმოქმნა დედაქალაქით მცხეთაში, როგორც ჩანს, მართებული იქნება ძვ. წ. IV-III სს. დავუკავშიროთ. ქართლის სამეფოს საწყისად კი ძველი ქართული ტრადიცია უცილობლად იმ მომენტს მიიჩნევს, როდესაც საკუთრივ მცხეთა გახდა გაერთიანებული ქართლის ცენტრი. სხვადასხვა ქართული გაერთიანებების ბრძოლაში წარმატებას მიაღწია იმ გაერთიანებამ, რომელსაც სათავეში ფარნავაზი ედგა. ფარნავაზის საქმიანობას უკავშირდება აგრეთვე მცხეთის (არმაზციხის) გადაქცევა სამეფოს დედაქალაქად, არმაზციხის თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობა, აქვე არმაზის კერპის

ალმართვა და სხვ.

ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების — ფარნავაზიანელთა დინასტიის პირველი წარმომადგენლების — ... მცხეთაში — სამეფოს დედაქალაქში — დიდი საქმიანობა წარმოებდა — შენდებოდა თავდაცვითი, საკულტო და სხვ. ნაგებობანი.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს უკვე მისი წარმოქმნის ჟამს, ფარნავაზის დროს სახავს ჯრცელ სახელმწიფოდ. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ფარნავაზმა ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად. მან ერისთავთა სათავეში სპასპეტი დააყენა. ფარნავაზს ემორჩილებოდა „ეგურის" ანუ ეგრისის მმართველი ქუჯიც. ამრიგად, ფარნავაზს თითქოს ემორჩილებოდა მთელი აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო. სხვა წყაროების მიხედვითაც ძვ. წ. III ს. ქართლის მიწა-წყალი შორს, სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული ჩანს, XI ს. ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით: „ფარნავაზ... მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა".

ქართლის (იბერიის) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ეს ხარვეზი ნაწილობრივ ივსება ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობებით იბერიის შესახებ. სტრაბონის ცნობით, იბერები იყოფოდნენ ოთხ „გვარად", ანუ „გენოსად". პირველი გვარი იყო სამეფო, მეორე ქურუმებისა, მესამე — „მიწათმოქმედნი და მეომარნი", ხოლო მეოთხე კი — „სამეფო მონები" (ლაოები). ამ ცნობის მიხედვით, იბერიაში უშუალო მწარმოებელთა ფენა იყოფოდა ორ მკვეთრად გათიშულ ნაწილად. ერთ ნაწილს ქმნიდნენ თავისუფალი მიწათმოქმედნი, რომელთაგან საჭიროების შემთხვევაში ლაშქრის შეკრება ხდებოდა, მეორეს კი — სახელმწიფო, სამეფო ხელისუფლებისაგან დამოკიდებულ მიწათმოქმედთა ფენა.

დამოკიდებული „ლაოების" საპირისპიროდ სავსებით გასაგები ხდება „მეომრების", ამავე დროს თავისუფალი მიწათმოქმედების ფენის არსებობა, რომლის წევრთა უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენდა სამხედრო სამსახური საკუთარი შეიარაღებით. ამ ფენის ადგილობრივი ქართული

სახელი „ერი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც ძველ ქართლში ერთნაირად აღნიშნავდა როგორც „ხალხს“, ისე „ჯარს“.

ელინისტური ხანის ქართლის (იბერიის) საზოგადოება ხასიათდება საერთოდ ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით: ხალხის ძირითად მასას ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემენი („მიწათმოქმედნი და მოლაშქრენი“) შეადგენდნენ; ამის გვერდით ჩვენ ვხვდებით მმართველი ზედაფენის — სახელმწიფოს, სამეფო საგვარეულოს მხრივ დამორჩილებული თემების („ლაოი“) ნახევრად ფეოდალური ტიპის ექსპლუატაციას. გარკვეულ ვალდებულებებს სახელმწიფოსა, დიდებულთა და ტაძრების მიმართ ასრულებდნენ, უეჭველია, თავისუფალი მეთემენიც. გავრცელებული იქნებოდა მონობაც. ამრიგად, აქ, ისევე როგორც სხვა ადრეკლასობრივ საზოგადოებებში, ვხვდებით მონათმფლობელური და წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმების თანაარსებობას ხალხის ძირითადი მასის მიერ ჯერ კიდევ პირადი თავისუფლებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების, სათემო მიწათმფლობელობისა და სხვა არქაული ტრადიციების არსებობის პირობებში.

6. საქართველო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვ. წ. I ს. დასაწყისში საქართველოს სამხრეთით გაძლიერდა პონტოს და სომხეთის სახელმწიფოები. პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა რომი, რომელიც უკვე ძვ. წ. II საუკუნიდან აქტიურად ერეოდა მცირე აზიის საქმეებში და მას საკუთარი ინტერესების სფეროდ თვლიდა. ძვ. წ. 190 წ., მაგნეზიასთან რომმა დაამარცხა სელევკიდების სამეფო, რომელთანაც ქართლს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

ძვ. წ. II-I სს. მიჯნაზე, მითრიდატე VI-ის (ძვ. წ. 11-63 წწ.) დროს, ისტორიული კოლხეთი, სადაც ამ დროს მრავალი ცალკე პოლიტიკური და ტომობრივი გაერთიანება („სკეპტუხიები") არსებობდა, პონტოს სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.

ძვ. წ. 66 წ. პონტოს მეფე მითრიდატესა და სომხეთის მეფე ტიგრანის წინააღმდეგ ომის წარმოება რომის სენატმა გნეუს პომპეუსს მიანდო. მითრიდატეს ამ დროისათვის ძალები ფაქტობრივად აღარ გააჩნდა და სასტიკად დამარცხდა პომპეუსთან შეტაკებაში, რაც ე. წ. „მცირე არმენიაში" მოხდა. მითრიდატემ სასწრაფოდ მიატოვა პონტო და მცირე ლაშქრით კოლხეთისაკენ გაიქცა. აქ მას დიოსკურიაში მოუხდა ზამთრის გატარება, რადგან ბოსფორის სამეფო, საითკენაც იგი მიისწრაფოდა, მისმა ვაჟმა მახარემ ჩაიგდო ხელში. მეორე წელს მითრიდატემ ხელთ იგდო ბოსფორი. იგი ოცნებობდა რომის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებაზე, მაგრამ 63 წ. მეორე ვაჟის ფარნაკის მიერ მოწყობილი აჯანყების შედეგად დაკარგა ძალაუფლება და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამრიგად, უკვე 66 წ. პონტომ ფაქტობრივად შეწყვიტა წინააღმდეგობა. ამიტომაც პომპეუსმა საომარი მოქმედება პონტოს ამიერკავკასიელი მოკავშირეების, სომხეთის, ალბანეთისა და იბერიის წინააღმდეგ გააჩაღა. სომხეთი მალე გამოვიდა მწყობრიდან. ტიგრან II დანებდა პომპეუსს და ძვ. წ. 66 წ. ზავი დადო, რომლითაც სომხეთმა დაკარგა მის მიერ ახლად შეერთებული ბევრი ქალაქი. ტიგრანმა

„რომის მეგობრისა და მოკავშირის“ სტატუსი მიიღო, რაც ამ სიტუაციაში რომისადმი პოლიტიკური დაქვემდებარების აღიარებას მოასწავებდა.

ამის შემდეგ პომპეუსის დღის წესრიგში ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის დალაშქვრა დადგა.

ძვ. წ. 65 წ. პომპეუსმა გადაწყვიტა თავდაპირველად იბერიაზე ელაშქრა და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყო კოლხეთში.

იბერიაში ამ დროს არტაგი მეფობდა. წყაროთა ცნობებით, მან დესპანი გაგზავნა პომპეუსთან მეგობრობის აღთქმით, მაგრამ თითქოს იგი მალულად უეცარ თავდასხმას ამზადებდა. პომპეუსმა ეს შეიტყო, არ აცალა მომზადება და არმაზციხეს მიადგა. არტაგი მტკვრის მეორე მხარეზე გადავიდა და ხიდი დასწვა. არმაზციხის გარნიზონი დამარცხდა ბრძოლაში და დანებდა პომპეუსს, რომელმაც დაიმორჩილა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთელი მხარე.

პომპეუსი ემზადებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასასვლელად, როდესაც მას არტაგის დესპანი მოუვიდა. მეფე პირობას იძლეოდა აღედგინა ხიდი და სურსათიც მიეწოდებინა რომაელებისათვის. ეს პირობები შეასრულა კიდეც, მაგრამ პომპეუსმა მაინც დაიწყო მტკვარზე გადასვლა. არტაგი გაიქცა მდ. არაგვისაკენ, მაგრამ პომპეუსი დაეწია მას და დაამარცხა. ბევრი იბერიელი მეომარი დაეცა ბრძოლაში.

პომპეუსსა და არტაგს შორის კვლავ მოლაპარაკება გაიმართა. საბოლოოდ, არტაგმა მძევალი მისცა პომპეუსს და ზავიც შეიკრა. ძღვენის სახით პომპეუსმა არტაგისაგან მიიღო ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა.

იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში გადავიდა. ფაზისში მას ელოდებოდა რომაული ესკადრა. კოლხეთში პომპეუსს ბევრჯერ მოუხდა ბრძოლით გზის გაკაფვა. კოლხეთის მმართველად მან დააყენა ვინმე არისტარქე. კოლხეთი არისტარქეს შემდეგ აღარ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს რომის პროვინციის სახითაც კი. აქ, ძირითადად მთიელ ტომთა მოძალებით, მდგომარეობა საკმაოდ გართულდა. ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე იგი რომაელთა

პონტოს პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ავგუსტუსის დროს პონტოს მეფის პოლემონ I-ის სამფლობელოში აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პომპეუსის ლაშქრობას ამიერკავკასიაში (ძვ. წ. 65 წ.) მოჰყვა ქართლის (იბერიის) დაქვემდებარება რომისადმი, მაგრამ სულ მალე იბერია უნდა განთავისუფლებულიყო ამ დამოკიდებულებისაგან. ამისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ერთი მხრივ, შინაპოლიტიკური ვითარების გართულება რომში და მეორე მხრივ, ურთიერთობის გამწვავება რომსა და პართიას შორის. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის ჩაეყარა საფუძველი ნებაყოფლობით კავშირზე და ინტერესთა თანხვდენილობაზე დამყარებულ ურთიერთობას რომსა და იბერიას შორის, რომელიც ასე რელიეფურად ჩანს ცოტა უფრო გვიან, ახ. წ. I-II საუკუნეებში.

ახ. წ. I-II სს. ქართლის სამეფო მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაძლიერდა. ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობდა იბერიის ასე გაძლიერებას; კერძოდ, სამხრეთის ძლიერი მეზობლის, სომხეთის დასუსტება, რომსა და პართიას შორის ბრძოლა, ალანებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და სხვ. თავის მხრივ, ქართლის სამეფოს გამოსვლა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, მისი საზღვრების გაფართოება, წარმატებული ომების შედეგად დიდძალი სიმდიდრისა და ტყვე-მონების მოპოვება ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დაწინაურებას, საწარმოო ძალთა განვითარებას და აპირობებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სწრაფ განვითარებას.

იბერიის მეფეები, უეჭველია, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია თავისი საზღვრების გასაფართოებლად. ამ მხრივ ისინი ისეთ წარმატებას აღწევენ, რომ I ს. 30-იან წლებში იბრძვიან არა მარტო სომხეთის სასარგებლოდ ადრე დაკარგული ოლქების, არამედ საერთოდ სომხეთის შემოსაერთებლად. 35 წ. პართიაში მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. აჯანყებულ პართელ დიდებულთა თხოვნით ტიბერიუსმა პართიაში გაგზავნა პართიის სამეფო საგვარეულოს წევრი ტირიდატი. იბერთა მეფე მითრიდატემ, რომელიც

რომაელებს და ტირიდატს უჭერდა მხარს, თავისი ვაჟის სომხეთში გამეფება მოინდომა. იბერებმა დაიკავეს სომხეთის დედაქალაქი. სომხეთისათვის გამართულ ბრძოლებში იბერიელმა ფარსმანმა დაჭრა პართელთა სარდალი ოროდი და დაამარცხა პართელები. ამრიგად, სომხეთში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე და მომდევნო მეფის ფარსმანის ძმა — მითრიდატე. მალე გაიუს კალიგულას (34-41 წწ.) ბრძანებით ეს მითრიდატე რომში გამოიძახეს და ციხეში ჩასვეს.

სომხეთისათვის ბრძოლა ფაქტობრივად სამ სახელმწიფოს — რომსა, პართიასა და იბერიას შორის მიმდინარეობდა. იმპერატორმა კლავდიუსმა (42-54 წწ.) გაათავისუფლა მითრიდატე და სომხეთის ტახტის დასაკავებლად გამოგზავნა. სულ რამდენიმე წლის შემდეგ, 51 წ. იბერიის მეფე ფარსმანი აშკარა ბრძოლაზე გადავიდა თავისი ძმის, სომხეთის მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ფარსმანის ცდას დაუფლებოდა სომხეთის სამეფოს, მაგრამ არ სურდა ამისათვის რომის წინააღმდეგ გამოსვლის ხასიათი მიეცა. იგი ცდილობდა თავისი თავი რომის ინტერესების დამცველად გამოეყვანა და ძმას რომის ღალატში ადანაშაულებდა. თავისი ვაჟის რადამისტის მეშვეობით ფარსმანმა მითრიდატე და მთელი მისი ოჯახი წუთისოფელს გამოასალმებინა. სომხეთის სამეფოს დაუფლების სურვილი ფარსმანში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სიყვარული ძმისადმი.

რადამისტს სომეხი დიდებულები აუჯანყდნენ და იგი იძულებული შეიქნა იბერიაში დაბრუნებულიყო. სომხეთში გამეფდა პართიის მეფის ძმა ტირიდატი. იბერიელებმა და რადამისტმა ამის შემდეგაც არაერთხელ სცადეს სომხეთის დაუფლება, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლეს.

პართელთა მიერ სომხეთის დაუფლებით ვითარება საგრძნობლად გაუარესდა როგორც იბერიისათვის, ისე რომისათვის. ამან კვლავ დააახლოვა ისინი. ფარსმანმა მოაკვლევინა რადამისტი, რათა რომაელებისათვის თავისი ერთგულება ეჩვენებინა. რადამისტი სიცოცხლეს გამოასალმეს ალბათ მამის წინააღმდეგ საქმიანობისათვის: ბიძისათვის სამეფოს წართმევაში დამარცხებული, იგი ახლა ალბათ

მამისათვის სამეფოს წართმევას ლამობდა.

63 წ. რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მყარდებოდა სომხეთის ორმაგი დამოკიდებულება: იგი ხდებოდა პართიის სამეფო სახლის უმცროსი ხაზის წარმომადგენელთა სამფლობელო და ფაქტობრივად პართიისადმი დამოკიდებული სახელმწიფო, მაგრამ ფორმალურად სომხეთის მეფე რომის ვასალად ითვლებოდა.

ასეთმა ვითარებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა იბერიის პოზიციები. I ს. II ნახევარში ბრძოლა იბერიასა და სომხეთს შორის გამწვავდა. იგი ძირითადად მიმდინარეობდა იბერიის სამხრეთი ოლქების გამო, რომლებიც ხან სომხეთისა და ხან იბერიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. იბერები ამ ბრძოლაში ალანებს იშველიებდნენ. იბერების მიერ გადმოშვებული ალანები უკვე I ს. 60-იან წლებში დიდად აწუხებდნენ როგორც რომის, ისე პართიის სამფლობელოებს. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო მათი შემოსევა, რომელიც I ს. 70-იანი წლებში მოხდა.

I ს. 70-იან წლებში, როდესაც უნდა მომხდარიყო იბერიელთა და მათი მოკავშირეების ეს შესევა სომხეთში, ქართლში მეფობდა ფარსმან I-ის ძე მითრიდატე. იგი იბერთა გამარჯვებით დამთავრდა. პართიამ რომის წინაშე დააყენა საკითხი ალანების თავდახმისაგან თავდაცვის შესახებ. რომმა თავის მხრივ ნაბიჯები გადადგა იბერიასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამას მოწმობს მცხეთაში ნაპოვნი 75 წლით დათარიღებული წარწერა, სადაც ლაპარაკია არმაზის ციხის გალავნის გამაგრებაზე რომაელთა მიერ იბერთა მეფე მითრიდატესათვის — „კეისრისა და რომაელთა მეგობრისათვის“.

II ს. I ნახევარში ქართლი კიდევ უფრო ძლიერდება. ეს იყო ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ყველაზე უფრო დიდი ძლიერების ხანა. ამ დროს, II ს. 30-50-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან II, „ქველად“ წოდებული. მის დროს ქართლის საზღვრები შორს იყო გაწეული სამხრეთ-დასავლეთით. ქართლის სამეფოს ტერიტორია ამ დროს ზღვის სანაპიროზე გავიდა. ქართლის ტერიტორია სოლივით შეიჭრა რომის სამფლობელოებში. ქართლის სამეფოში შედიოდა არგვეთიც.

ფარსმან II-ის დროს ქართლი უკვე ყოველგვარი შერიგ-ბვის გარეშე ებრძვის რომს და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან. ქართლის მმართველები ისეთ მრისხანე ძალასთან კავშირში, როგორც ალანები და სხვა ჩრდილოელი ტომები იყვნენ, თამამად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად. 128 წ. რომის იმპერატორმა ადრიანემ, მცირე აზიაში მყოფმა, თავისთან მიიწვია აღმოსავლეთის სხვადასხვა მეფეები და მმართველები. მან ფარსმანს ძვირფასი საჩუქრები გამოუგ-ზავნა. ფარსმანმა იმპერატორს სამაგიერო საჩუქრად ძვირ-ფასეულობა და ოქროქსოვილი მოსასხამები გაუგზავნა, თვითონ კი არ ეახლა. ამით განაწყენებულმა ადრიანემ ფარსმანის ნაჩუქარი მოსასხამებით გლადიატორები შემოსა და ცირკში გამოიყვანა. შეურაცხყოფილმა ფარსმანმა დარ-იალის კარით ალანები გადმოიყვანა და იმპერიის აღმო-სავლეთ პროვინციებს გაუსია.

იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161) მმართველობაში ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის გარკვეულად გაუმჯობესდა. ფარსმან II ამალით გაემგზავრა რომში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. რომის ერთ-ერთ ტაძარში ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება დადგეს.

რომაელთა მიერ დაპყრობილი კოლხეთი მცირე ხანს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ამის შემდეგ დიდი ხნით დაუკავშირდა რომაელთადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პონტოს სამეფოს. როდესაც 63 წ. რომმა გააუქმა პონტოს სამეფო, კოლხ-ეთიც გალატიის პროვინციად იქცა. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაული გარნიზონები იდგა. ადგილობრივი ხელისუფლების დაცემამ და უცხოელთა საკმაოდ სუსტი ადმინისტრაციის დაფუძნებამ ხელ-ფეხი გაუხსნა მეზობელ მთიელებს ბარის რაიონებზე წარმატებული შეტევისათვის.

ამ ტომებს დიდი გაერთიანებები გააჩნდათ. ჩრდილოეთ კოლხეთში და კიდევ უფრო ზემოთ მცხოვრები ეს ტომე-ბი, უეჭველია, აღწევდნენ აგრეთვე ცენტრალურ კოლხეთს. ასე გამოჩნდნენ სანაპირო ზოლში ახ. წ. I ს. სანიგები, აბაზგები და აფშილები. ცენტრალურ კოლხეთში მთიელთა ჩამოსახლება ხდებოდა სამხრეთიდან. ესენი უმთავრესად

დასავლურქართული (ჭანური) ტომები იყვნენ.

ჩამოსახლებული მთიელები ნაწილობივ სდევნიან, მაგრამ ნაწილობრივ ერევიან ბარის ძველ ადგილობრივ მოსახლეობას. ასეთი გაერთიანებები უნდა ყოფილიყო მაკრონებისა და ჰენიოხების, ლაზების, აფშილების, აბაზგების სამეფო-სამთავროები.

69 წ. გაუქმებული პონტოს სამეფოს დიდკაცობამ სცადა გამოეყენებინა კოლხეთის მოსახლეობის უკმაყოფილება და აჯანყდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მონაყოფილი ანიკეტი. იმპერატორმა ვესპასიანემ ანიკეტის წინააღმდეგ სამხედრო რაზმი გაგზავნა, რომელმაც დაამარცხა ანიკეტი. უკანასკნელი ზღვაში გაიქცა და მდ. ხობის შესართავთან „სედოხეზების" მეფეს შეაფარა თავი. მეფემ იგი პირველად შეიფარა, მაგრამ როდესაც ამ ადგილს რომაელები მოადგნენ და მას ომით დაემუქრნენ, მეორე მხრივ კი საჩუქარი აღუთქვეს თუ ანიკეტს გასცემდა, იგი რომაელებს გადასცა.

ანიკეტის აჯანყებამ რომს დაანახა, რომ საჭირო იყო კოლხეთში მოკავშირული ურთიერთობით დაკმაყოფილებულიყო. II ს. 30-იან წლებში შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან დაწყებული ვიდრე დიოსკურია-სებასტოპოლისამდე (სოხუმი) ექვსი სხვადასხვა გაერთიანება იყო. ეს იყო ახალი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ცნო რომმა. ესენი იყო „მაკრონებისა და ჰენიოხების" სამეფო, ძიდრიტები, ლაზები, აფშილები, აბაზგები და სანიგები.

მთიელთა ჩამოსახლებამ ერთგვარად „გააახალგაზრდავა" კოლხეთის საზოგადოება, გააძლიერა „ერი" — თავისუფალ მეთემეთა ფენა.

II ს. მეორე ნახევარში კოლხეთში მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. რომაელებს ძალა არ შესწევდათ კონტროლი გაეწიათ მდგომარეობისათვის ქვეყნის შიგნით, მაგრამ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი დასაყრდენი პუნქტები ზღვისპირა ციხე-ქალაქებში, რაც უზრუნველჰყოფდა მათ მიმართ ადგილობრივი მმართველების ნომინალურ დამოკიდებულებას მაინც.

7. რელიგია და კულტურა ქართველურ ტომებში და პირველ ქართულ სახელმწიფოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური გადმოცემები და ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართველებს ჰყავდათ საერთო (უფროსი) ღმერთებიცა და სატომო ან სატომთაშორისო ღვთაებებიც. ადრეკლასობრივი საზოგადოების დროსაც ქართველთა წინაპრები ყველაზე დიდ პატივს ცის მნათობებს სცემდნენ — მთვარეს, მზეს და ვარსკვლავებს — ვითარცა საერთო ქართულ ღვთაებებს. ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეული მეთაურობდა. პირველი მათგანი უფროსად მიჩნეული და უზენაესი ღმერთი იყო; მეორე — ქალღმერთი მზე, ხოლო მესამე — კვირია. უზენაესი ღმერთი ანუ მორიგე ღმერთი სათავეში ედგა პანთეონს და სამეულს.

იერარქიის მომდევნო საფეხურზე იდგნენ: ჯვარი ან ხატი, ღვთისშვილები და ა. შ. უკვე იმ დროისათვის ქართველთა ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებად არის წარმოდგენილი. უზენაესი ღმერთი არმაზი — მთვარე-ღმერთია. ტრადიცია არმაზის კულტს ფარნავაზ მეფის სახელს უკავშირებს. არმაზთან ერთად იხსენიება ღვთაება ზადენი. ანტიკური ხანის ქართულ წარმართულ პანთეონში ვხვდებით გაცისა და გას სახელებსაც. ძველი ქართული წყაროების მიხედვით, საურმაგ მეფემ შექმნა ორი კერპი — აინინა და დანინა.

დასავლეთ საქართველოში პირველყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ღვთაება ფასისს, რომელსაც „დიდი დედის" რეას ანუ კვიბელეს კულტს უკავშირებენ.

ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალებით დამოწმებულია მზის კულტის ფართო გავრცელება საქართველოში.

ასე ჩამოყალიბებულ პანთეონს, რომლის სათავეში უძველეს ქართულ ღვთაებებს ვხედავთ, ღვთაებათა უფროს-უმცროსობის შესაბამისი საკულტო ცერემონიალიც უნდა ჰქონოდა სათანადო დღესასწაულებით.

მიცვალებულის ძლიერი კულტი ჩანს საქართველოში ანტიკური ხანის მთელ სიგრძეზე. ანტიკური ხანის საქართველოში გვხვდება სხვადასხვა ტიპის სამარხები. ესენია: ორმო-

სამარხები, ქვის სამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტის სამარხები, მავზოლეუმის ტიპის აკლდამები, სარკოფაგები და სხვ. ანტიკურ ხანაში გაბატონებულია მიცვალებულის დაკრძალვა-ინჰუმაცია, მაგრამ ზოგიერთ თემში ჩონჩხის დაწვის წესიც არის დადგენილი.

ანტიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ წარმოდგენა გვექმნება წერილობით წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ ქართველ ტომთა შორის საგანგებოდ გამაგრებული საცხოვრისების არსებობას. ქსენოფონტეს ცნობით, სახლები და სხვა შენობები, მათ შორის კოშკები და ზღუდეებიც კი, ალაგ-ალაგ ხისა უშენებიათ, თანაც ორ სართულად. ზემო სართულში სანოვაგეს და სურსათს ინახავდნენ, ქვემოთ კი თვითონ უცხოვრიათ. სოფლები მინდვრებსა და მთის კალთებზე ყოფილა გაშენებული.

უფრო სრული ცნობებია შემონახული გვიანდელი ვითარების წარმოსადგენად. სტრაბონი აღნიშნავდა, რომ იბერია კარგად იყო დასახლებული ქალაქებითა და დაბებით, კრამიტიანი სახურავები ჰქონდათ, სახლები არქიტექტურულად იყო მოწყობილი. ჰქონიათ ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი. იგი ცნობებს გვაწვდის ასევე ბიჭვინტის, დიოსკურიის, ფაზისის, შორაპნის და სხვ. შესახებ.

ძველი კოლხური საცხოვრისის შესახებ ცნობებს გვაწვდის რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი. დადგენილია, რომ საქართველოში გავრცელებული ყველა ნაირსახეობა ხალხურ ნაგებობათა გადახურვისა წარმოშობილია კოლხური სახლის უმარტივესი ფორმებიდან.

ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრების შესახებ უფრო კონკრეტული წარმოდგენის შემუშავება უმთავრესად არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიხედვით ხერხდება. ძვ. წ. VI-III ს. საქალაქო სასიმაგრო ნაგებობანი უდუღაბოდაა ნაშენები, ამასთანავე ზღუდე-გალავნების, კოშკებისა და ბურჯების საძირკველი და საერთოდ ქვედა ნაწილი ქვათლილებით არის ნაწყობი. ქვათლილთა პირველი წყება ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ საგანგებო

ფოსოებში; მომდევნო რიგები კი ერთი-მეორესთან უწ-ყვეტით არის გადაბმული.

ამრიგად, ანტიკური ხანის საქართველოს [illegible] ქალაქების თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობის ადრინდელ (ძველ-ლეს) საფეხურზე ქვათლილთა საფუძველზე ამოყვანილი ალიზ-აგურის ზღუდე-გალავნები, კოშკები და ბურჯები უშენებიათ. ეს არის ერთადერთი სახე სასიმაგრო ნაგებობებისა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. III საუკუნემდე. ამავე წესით უშენებიათ ტაძრები, სასახლეები, კარიბჭეები და სხვა საზოგადო დანიშნულების საერო თუ სასულიერო ნაგებობანიც. ასეა აგებული არმაზციხის სვეტებიანი დარბაზი, ვანის ტაძარი და კარიბჭე, არმაზციხისა და ვანის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი.

ძვ. წ. III საუკუნიდან საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრებაში დიდი გარდატეხა ჩანს. ვრცელდება ქვითკირი, რომელიც ამიერიდან დამახასიათებელია საქალაქო მშენებლობებისათვის საერთოდ. ძვ. წ. III საუკუნის შემდეგ ქვითკირის ფართოდ გამოყენების კვალი აღმოჩენილია ვანში, მცხეთაში (არმაზციხე, სარკინე, წიწამური, არმაზისხევი); უფრო გვიან, ე. წ. გვიანანტიკურ ხანაში მათ შეემატა უჯარმა, ნოქალაქევი, სკანდა-შორაპანი, ბიჭვინტა, აფსაროსი, სებასტოპოლისი და მრავალი სხვ.

ქალაქთმშენებლობისას სათანადო ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ-ჰიგიენურ დაწესებულებებს. აღმოჩენილია არაერთი აბანო, თავისი გათბობის სისტემით, სავენტილაციო არხებით და წყალსადენი არხებით.

ანტიკური ხანის ,საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და განვითარებული მეტალურგიული წარმოება, ჭიქათმოქმედება, ქვითხუროობა, ოქრომჭედლობა და ხელოსნური წარმოების სხვა დარგები.

ანტიკური ხანის საქართველოში, კერძოდ, ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობისათვის საყურადღებო ჩანს ძვ. წ. IV-III სს. ავტორის — პალეფატესაგან მომდინარე ცნობა. აქ ნათქვამია, რომ კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ქიმიური საშუალებით ოქროს მიღების

შესაძლებლობანი. ამ, და სხვა მსგავს ცნობებში განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ბერძენთა წერილგენით ქართულ (კოლხურ) დამწერლობას ძველი ფესვები აქვს.

კიდევ უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" დაცული პირველი ცნობა ძველ ქართველ ტომებში (კოლხებში) არსებული დამწერლობის შესახებ. ამ ცნობით კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი".

შესაძლებლად ითვლება, რომ ეს ცნობა ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობის მაჩვენებელი იყოს. თუმცა, არაფრის თქმა არ ხერხდება ჯერჯერობით თვით დამწერლობის ხასიათის შესახებ.

გარესამყაროსთან გაცხოველებული ურთიერთობის შედეგად, ანტიკური ხანის საქართველოში ფართო გამოყენება ჰპოვა დამწერლობის უცხოურმა — ბერძნულმა და არამეულმა სისტემებმა. ამ დამწერლობებით ჩვენამდე მოაღწია ანტიკური საქართველოს არაერთმა საყურადღებო ძეგლმა.

აღმოჩენილ წარწერათა შორის გვხვდება ბერძნული, არამეული და ზოგჯერ ებრაულიც. გამოირჩევა სამშენებლო წარწერები, ეპიტაფიები, წარწერები ხელისუფლების ნიშნებზე (ინსიგნიებზე), სამკაულებზე და ვერცხლის ჭურჭელზე. ანტიკური ხანის ერთადერთ სამშენებლო წარწერას, აღმოჩენილს მცხეთაში, წარმოადგენს ახ. წ. 75 წელს შესრულებული ბერძნული წარწერა, რომელიც იმპერატორ ვესპასიანეს სახელითაა შესრულებული.

მცხეთაში, სამთავროს ველზე 1938 წ. აღმოჩენილია საფლავის ქვის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ იქ განისვენებს მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი. საგანგებო ყურადღება მიიქცია იმან, რომ ავრელი აქოლისი პროფესიით ყოფილა მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის ინსტიტუტი არსებულა მცხეთაში, ძველ დედაქალაქში.

საფლავის ქვებზე ამოკვეთილთაგან საქვეყნოდ ცნობილი გახდა 1940 წ. არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის გათხრისას აღმოჩენილი ორენოვანი წარწერა, რომელიც „არმაზის ბილინგვის“ სახელითაა ცნობილი. არმაზის ბილინგვა ამოკვეთილია ქვიშაქვის დიდ ლოდზე, ზედა ნაწილზე ბერძნული წარწერაა მოთავსებული, მის ქვემოთ კი — არამეული. ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია: „სერაფიტი, ასული პიტიახშ ჯავახ მცირისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის იოდმანგანისა — ქართველთა მეფის დიდი ქსეფარნუგის მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაერთი წლისა, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა“. ამ ორენოვანი წარწერის არამეული ასოებით შესრულებული ტექსტის თარგმანი კი ასეთია: „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის ხსეფარნუგ მეფისა — ძისა აგრიფა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა, ის ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით, გარდაიცვალა 21 წლისა“.

არმაზის ბილინგვა მრავალმხრივ საყურადღებო გამოდგა. იგი უძვირფასეს მასალას იძლევა ამ დროის ქართლის სახელმწიფოებრივი წყობის, პოლიტიკური ისტორიის და სხვ. შესასწავლად. ამასთან ირკვევა, რომ ზოგიერთი ქართული ასო ამჟღავნებს გაცილებით უფრო მეტს არქაულობას, ვიდრე I-III საუკუნეების არმაზული წარწერების შესაბამისი ასოები. ამაში უნდა დავინახოთ ქართული დამწერლობის სიძველის უტყუარი ნიშანი.

8. საქართველო III-IV სს-ში

ა. წ. პირველ საუკუნეებში ადრეკლასობრივმა ურთიერთობამ ქართლში თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა სტრუქტურამ მრავალი ცვლილება განიცადა. არქეოლოგიური მასალა განსაკუთრებით მკაფიოდ გვისურათებს ვაჭრობისა და ხელოსნობის მაღალ დონეს იმდროინდელ ქართლში.

უფრო მეტი ცნობები მოგვეპოვება ამ ეპოქაში სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგის შესახებ, როგორიცაა მევენახეობა და მეღვინეობა. არმაზისხევში, პიტიახშთა სამაროვანსა, აბანოსა და სასახლის კომპლექსის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა დიდი მარნის ნაშთები — ნაპოვნია ორმოცდაათზე მეტი ღვინის დიდი ქვევრი. ეს უეჭველია, მიგვითითებს დედაქალაქის რაიონში ვენახების არსებობაზე. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაუწყებელი არქეოლოგიური მასალა მოგვეპოვება ქართლის სამეფოს სხვა რაიონებიდანაც.

მეცხოველეობის განვითარებაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული ამავე ხანის ოსტეოლოგიური მასალა, აგრეთვე ცხოველების (წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) მრავალრიცხოვანი გამოსახულებები ქანდაკებების სახით ანდა სხვადასხვა ნივთზე. მეცხენეობის ფართო განვითარებაზე მეტყველებს ცხენების სამარხების აღმოჩენა, აგრეთვე ცხენების გამოსახულებანი საკულტო ნივთებზე და ა. შ. რაშიც გამოსახულება ჰპოვა ძველ ქართლში ცხენის კულტის არსებობის ფაქტმა.

განსაკუთრებით ფართოდ იყო განვითარებული მეცხვარეობა. იგი სეზონურ ხასიათს ატარებდა ბუნებრივი საძოვრების (მაღალმთიანეთის ალპური ველებისა და დაბლობის საძოვრების) ფართო გამოყენებით. დედაქალაქის რაიონიდან წვრილფეხა რქოსან პირუტყვს, მაგალითად, ზაფხულობით სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებზე მიერეკებოდნენ. IV საუკუნის დასაწყისის ამბების მოთხრობისას „წმ. ნინოს ცხოვრება“ საკმაოდ ვრცლად აგვიწერს წმ. ნინოს შეხვედრას მცხეთელ მწყემსებთან ფარავნის ტბის მიდამოებში.

„მოქცევაი ქართლისაი"-ს ძველქართულ ქრონიკაში დაცულია ცნობები ძველ ქართლში წარმოებული საირიგაციო სამუშაოების შესახებ. ლაპარაკია, მაგალითად, ეფ. ქსნიდან ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში არხის („რუს") გაყვანაზე და ვენახის გაშენებაზე.

მეურნეობის წამყვანი ტიპების მკვეთრი განსხვავება, რომელიც ადრეული ხანის ქართლის მთიანეთსა და ბარს შორის შეინიშნება, ძალაში რჩებოდა ამ დროსაც. ქვეყნის მთიან რაიონებში წამყვანი იყო მეჯოგეობა, მაშინ, როდესაც ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა.

ბარის მიწათმოქმედ მოსახლეობაში ელინისტურ ხანაში ორი ძირითადი ფენა განირჩეოდა: 1. „ერი" — თავისუფალი მიწათმოქმედნი, გაერთიანებულნი უკვე იმ დროს სასოფლო (ტერიტორიულ) თემებში, რომლებიც ამავე დროს ჯარის (სახალხო ლაშქრის) ძირითად ბირთვსა ქმნიდნენ და 2. „გლეხი" — „ლაოი", „სამეფო მონები" — სამეფო ხელისუფლების მიერ დამორჩილებული სხვადასხვა თემის მოსახლეობა. თავისი სოციალური სტატუსის მიხედვით ამ უკანასკნელთ უნდა განეკუთვნონ აგრეთვე სამეფო მიწებზე დასმული გადმოსახლებულებიც.

ანტიკური ქართლის ტერიტორიული (სასოფლო ან საქალაქო) თემი აღარ წარმოადგენდა ადამიანთა კოლექტივს, რომელსაც აერთიანებდა საერთო ქონება. მიწა უკვე დანაწილებული იყო ცალკეულ ოჯახებს შორის, გადანაწილებას ადგილი არ ჰქონდა და თემს უკვე აღარ შეეძლო ეფექტური კონტროლი გაეწია მიწის ფონდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თემს დიდად შეერყა საფუძველი, მიწის გარკვეული, განუყოფელი ფონდის არსებობა — სატაძრო მამულებისა თუ საერთო საძოვრების სახით, სარწყავი წყლით. ერთობლივი სარგებლობა, კოლექტიური ანგარიშგება სახელმწიფოს წინაშე და სხვ. — ხელს უშლიდა მის სრულ გაქრობას.

სათემო და სატაძრო მიწათმფლობელობის, აგრეთვე სამეფო მიწათმფლობელობის გვერდით, ძველ ქართლში არსებობდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობაც. სწორედ იგი წარმოადგენდა ისტორიულად ყველაზე უფრო პერსპექტიულ ინსტიტუტს.

აღნიშნულ პერიოდში სულ უფრო ძლიერდება ასევე თავისუფალ მეთემეთა — „ერის“ დიფერენციაციის პროცესი. მისგან გამოიყოფოდა ერთი მხრივ, სამხედრო წოდება — „აზნაურნი“ და, მეორე მხრივ — „წვრილი ერი“. ამასთანავე, „აზნაური“ ხდება მთელი პრივილეგიური წოდების ზოგადი სახელი. იქმნება „დიდ-დიდ აზნაურთა“ კატეგორია. „ერისთავები“ აზნაურთა უმაღლეს ფენას ქმნიან. აზნაურობა სულ უფრო და უფრო შორდება სამიწათმოქმედო შრომას და მოზრდილ ნაკვეთებს გაღატაკებული მეთემეების და, ნაწილობრივ, მიწაზე დასმული მონების შრომით ამუშავებს.

იზრდება დიდმოხელეთა — ერისთავების ხელისუფლება. ისინი ცდილობენ სრულუფლებიან ხელისუფლებად იქცნენ თავიანთ ოლქებში. ამასთანავე, ხშირად ახერხებენ თანამდებობები მემკვიდრეული გახადონ. ერთი სიტყვით, ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი. მისი დაგვირგვინება ცოტა უფრო გვიან, IV-VI სს-ში მოხდა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ ძველი საქართველო იმ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, სადაც ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში ცენტრალური ხელისუფლება არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს. არისტოკრატიული ზედაფენის დაკომპლექტება ხდებოდა არა სახელმწიფო აპარატის, მსახურეული ხალხის მიერ თავისი პრივილეგიების მემკვიდრეულად გადაქცევის გზით, პირიქით, თვით სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის ფორმირება აქ ხდებოდა ძლიერი, აღზევებული საგვარეულოების ბაზაზე.

საქართველოში ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია მეურნეობის ადრეული ინდივიდუალიზაცია და მიგვიყვანა ცალკეულ საოჯახო თემებს (გვარებს) შორის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებამდე, გამოიწვია ცალკეული „ძლიერი გვარების“ აღზევება და ადგილებზე მათ მიერ ფაქტობრივად ძალაუფლების მოპოვება. სახელმწიფო ხელისუფლებას სხვა გზა არ გააჩნდა, თუ არა შერიგებოდა ამ მდგომარეობას და დაყრდნობოდა არსებითად უკვე ჩამოყალიბებულ არისტოკრატიას. ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდებოდა ქვეყნად არსებული ტომობრივი მრავალფეროვნების

გამო. იგი დაყოფილი იყო, უმთავრესად გეოგრაფიული თავისებურებების გამო, მრავალ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ერთეულებად. ისტორიოგრაფიაში ხაზი ესმის იმას, რომ გვიანდელი ქართული ფეოდალური პროვინციები („საერისთავოები") სათავეს იღებდნენ ცალკეული წინასახელმწიფოებრივი, ტომობრივი წარმონაქმნებისაგან. ასე რომ ფეოდალური საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ტომობრივი დანაწილების მოდიფიკაციად. ამის შედეგი იყო ის, რომ განვითარება აქ არ წავიდა „აღმოსავლური ფეოდალიზმის" მიმართულებით, მისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზაციითა და დესპოტური ხელისუფლებით. ამიტომ იყო, რომ ქართულმა ფეოდალიზმმა უფრო დასავლეთევროპული ფეოდალიზმის სახე მიიღო.

ახ. წ. III საუკუნეში ქართლის სამეფოს გარემოცვა მნიშვნელოვნად შეიცვალა. უმთავრესი ამაში იყო სასანიანთა ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნა პართიის სუსტი სამეფოს ნანგრევებზე, რომელიც ფაქტობრივად მრავალი ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაერთიანებას წარმოადგენდა. განუწყვეტელმა ომებმა რომთან და აგრეთვე შინაურმა არეულობებმა ძირი გამოუთხარეს პართიის ძლიერებას. ამით ისარგებლა სამხრეთ-დასავლეთ ირანის — პერსიდის მმართველმა სასანიანთა საგვარეულომ და ხელთ იგდო ჰეგემონობა ირანში.

სასანური ირანი უფრო ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო, ვიდრე არშაკიდების პართია. არშაკიდი მეფეების ელინისტური ტენდენციების ნაცვლად რელიგიასა და კულტურაში სასანიანები ძველი, აქემენიანთა ირანის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინებიან. ძალზე დიდ მნიშვნელობას იხვეჭს მათ დროს ირანელთა უძველესი რელიგია — ზოროასტრიზმი, რომელიც შემტევი რელიგიის სახით სწორედ ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა.

უკვე პირველმა სასანიანმა მეფეებმა გააჩაღეს ინტენსიური შეტევითი ომები როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით. შაბურ I (242-272 წწ.) იმ ქვეყნებს შორის, ვინც მას ხარკს უხდიდა, ასახელებს იბერიას. შაბურის მეფობაში ჩამოყალიბდა იბერიის ახალი

სტატუსი — იგი სასანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ ქვეყნად განიხილებოდა. შაბურ I-ის ფანამეროვე იბერიის მეფე ამაზასპი ირანის იმპერიის ერთ-ერთ უმაღლეს დიდებულადაა აღიარებული. მისი სახით საქმე უნდა გვქონდეს არა იარაღის ძალით დამორჩილებულ მმართველთან, არამედ ირანის მბრძანებლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან მოკავშირესთან.

ძლევამოსილი შაბურის შემდეგ ირანელებმა რომთან ბრძოლაში მრავალი დამარცხება განიცადეს. ამის შედეგად, III საუკუნის ბოლოსათვის დასრულდა ირანელთა ბატონობა იბერიასა და სომხეთში. 298 წელს რომაელებთან მორიგი წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, ირანელები იძულებულნი გახდნენ რომაელებთან 40 წლის ვადით ნისიბინში დაედოთ საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რომაელებს გადაეცათ მესოპოტამია და ზოგი სხვა ოლქი, ამასთანავე აღიარეს რომის პროტექტორატი სომხეთსა და იბერიაზე.

IV ს. დასაწყისში ქართლის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. რომის იმპერიის ცენტრის გადანაცვლება აღმოსავლეთით იწვევს რომაელთა (ბიზანტიელთა) პოზიციების გაძლიერებას ამ მხარეში. გარდა ამისა, ადგილი აქვს სასანიანთა ირანის ენერგიულ შემოტევას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა შაბურ II-ის (310-379 წწ.) დროს. დასუსტებულ ქართლს არ ძალუძს მარტო საკუთარი ძალებით აღუდგეს წინ ამ მრისხანე მეზობლების შემოტევას. იგი იძულებულია გადამწყვეტი არჩევანი გააკეთოს ერთმანეთის მეტოქე დიდ სახელმწიფოთა — რომსა და ირანს შორის, რათა ერთ-ერთი მათგანის მხარდაჭერით გაუმკლავდეს მეორეს. ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და მისი მოსახლეობის თავისთავადობისადმი მთავარი საფრთხის სახით ამ დროს მკაფიოდ გამოიკვეთა სასანიანთა ირანი. ამიტომაც, ქართლის მმართველები ორიენტაციას იღებენ რომზე (აღმოსავლეთ რომის — ბიზანტიის იმპერიაზე). სწორედ ამ დასავლური ორიენტაციის შედეგი იყო ქართლისა და ეგრისის მიერ ქრისტიანობის მიღება ოფიციალური რელიგიის სახით, სულ მალე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი თავისუფლად

აღიარებულ და სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. რა თქმა უნდა, ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან აქტს საკუთარი შინაგანი მიზეზებიც გააჩნდა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან, რასაც ადგილი ჰქონდა ამ დროის ქართლში.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 337 წელს მოხდა. ძველი ტრადიცია ქართლის გაქრისტიანებაში მთავარ როლს ანიჭებს კაბადოკიელ ტყვექალ ნინოს, რომელმაც ქართლში ქრისტიანობა იქადაგა. მან ავადმყოფობისაგან განკურნა დედოფალი ნანა და დაარწმუნა მეფე მირიანი ახალი რელიგიის ჭეშმარიტებაში. მირიანმა მის მიერ ქრისტიანობის მიღება აცნობა რომის (ბიზანტიის) იმპერატორს კონსტანტინეს, რომელმაც ქართლს მოავლინა ეპისკოპოსი, რამდენიმე მღვდელი და დიაკონი. მათ მასობრივი ნათლისღება მოაწყვეს მცხეთაში, მტკვრის პირას.

ქრისტიანობის გავრცელებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ ქართლის მთისა და ბარის მოსახლეობის ერთ მთლიანობად ჩამოყალიბებაში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მოსახლეობის დაახლოებისა და ერთიანი საქართველოს შექმნის საქმეშიც. ქრისტიანული მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების საქართველოს კულტურას და ეროვნულ ცნობიერებას.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება კიდევ უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ქართლში. რადგან იგი უფრო ახლო და მჭიდრო ურთიერთობაში იყო რომის იმპერიის ქრისტიანულ კერებთან. IV საუკუნეში პიტიუნტში (ბიჭვინთა) უკვე ეპისკოპოსი იჯდა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ეგრისში (ლაზიკაში) უფრო გვიან, VI საუკუნის დასაწყისში მოხდა.

IV საუკუნის II ნახევარში სასანიანთა ირანმა გააძლიერა შეტევა სამხრეთზე. ქართლის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ მათი თავდაცვის ინტერესებში შედიოდა სამხრეთელი ერთმორწმუნე მეზობლის დახმარება. ამ პერიოდის შესახებ მასალებიდან კარგად ჩანს ქართლისა და სომხეთის დიდი

სიახლოვე. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად შაბურ II-ემ დაამარცხა სომხები და ქართლს მიადგა. 368 წელს მან ქართლიდან გააძევა მეფე საურმაგი და გვირგვინი ასფაგურს გადასცა. ამჯერად საქმეში ბიზანტია ჩაერია და ჯარი მიაშველა საურმაგს. როდესაც საურმაგი მტკვარს მიუახლოვდა, ასფაგურმა თხოვა, ქართლის სამეფო გაეყოთ. ერთხანს ასეც იყო, მაგრამ უკვე IV ს-ის 70-იანი წლებისათვის ირანელებმა აღადგინეს ქართლის სამეფოს ერთიანობა და იგი მთლიანად დაიქვემდებარეს. ამავე პერიოდში დაადეს მათ ხარკი ქართლის სამეფოს. ირანელთა გაბატონების შემდეგ ქართლის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება. ისინი სისტემატურად ერევიან ქვეყნის საშინაო საქმეებში, მოხერხებულად იყენებენ დინასტიურ ბრძოლას.

V საუკუნის 40-იანი წლებიდან ახალი ეტაპი იწყება ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (ქართლის, სომხეთის, ალბანეთის) ურთიერთობაში. ამ პერიოდიდან ირანმა წამოიწყო უაღრესად აქტიური და აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო ამიერკავკასიის ქვეყნების შინაგანი დამოუკიდებულობის მოსპობა, ირანის ჩვეულებრივ პროვინციებად მათი გადაქცევა. ამ გეგმის განსახორციელებლად მათ ეტაპობრივ ღონისძიებებს მიმართეს. თავდაპირველად შემოიღეს მძიმე სამხედრო ბეგარა სათანადო საგადასახადო სისტემით. შემდეგ დაგეგმილი იყო პოლიტიკური სუვერენიტეტის ნიშანწყლის მოსპობა და ქრისტიანული რელიგიის ზოროასტრიზმით (მაზდეანობით) შეცვლა. ისინი სარგებლობდნენ ასევე თვით ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგობებითაც. პირველ დიდ წარმატებას ირანელებმა სომხეთში მიაღწიეს, სადაც ადგილობრივი დიდკაცობის მეშვეობით 428 წელს მეფობა გააუქმეს. შემდეგში, 463 წ. მეფობა გაუქმდა ალბანეთშიც.

V საუკუნის შუახანებში გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანულ ეკლესიას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებში, რადგან ეს უკავშირდებოდა ქრისტიანულ ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხსაც. შაჰმა თავისთან დაიბარა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის თავკაცები და კატეგორიულად

მოსთხოვა მათ მაზდეანობის მიღება. მათ მოჩვენებითად შეასრულეს ეს პირობა. ამიერკავკასიის დიდებულებს შაჰმა მოგვები გამოაყოლა, რომელთაც ეკლესიები უნდა დაესურათ და საეკლესიო ქონების კონფისკაციას მოეხდინათ. ადგილზე ჩასვლისთანავე მოგვები საქმეს შეუდგნენ, რამაც 450 წელს სომხეთში საერთო-სახალხო აჯანყება გამოიწვია ირანელების წინააღმდეგ. აჯანყება მალე მოედო ალბანეთსაც. 451 წელს ირანელებმა მოახერხეს აჯანყების ჩახშობა, მაგრამ იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და იმჯერად უარი ეთქვათ ასიმილატორულ პოლიტიკაზე, აღადგინეს სარწმუნოებრივი თავისუფლება და შეამსუბუქეს სამხედრო ბეგარა-გადასახადები. მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯანყებაში ქართლს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, ირანის პოლიტიკაზე ქართლის მიმართ მას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა.

IV საუკუნეში ძლიერდება დასავლეთ საქართველოში მდებარე ეგრისის (ლაზეთის) სამეფო. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორს აღწევდა. აღმოსავლეთით ეგრისი იბრუნებს არგვეთს, რომელზეც უფრო ადრე იბერიის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ჩრდილოეთით ეგრისის სამეფო მოიცავდა სვანეთს და აფხაზეთს.

ამრიგად IV საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველო გაერთიანებული იყო. იგი ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა, თუმცა ეს არსებითად ფორმალური იყო, რადგან IV-V საუკუნეებში აქ არ იდგა მათი ჯარი. ეგრისის ვალდებულება იყო იმპერიის წინაშე, დაეცვა ჩრდილოეთის საზღვრები მომთაბარეთა შემოსევებისაგან. ეს ვალდებულება ფაქტობრივად თვით ეგრისის ინტერესებშიც შედიოდა. ბიზანტიის იმპერატორი ასევე სამეფო ნიშნებს უგზავნიდა ეგრისის ყოველ ახალ მეფეს. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია აღნიშნავდა: „ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზედაც მბრძანებლობენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით... მე არ მეგულება არც ერთი სხვა ასე სახელგანთქმული და განდიდებული... მათ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ“.

V საუკუნის შუახნებში ურთიერთობა ბიზანტიასა და

ეგრისს შორის გართულდა. იმპერატორ მარკიანეს დროს (450-458 წწ.) ეგრისის მეფე გუბაზ I აუჯანყდა ბიზანტიას. აჯანყების კონკრეტული მიზეზი უცნობია, მაგრამ საფიქრებელია, რომ გუბაზ I ცდილობდა ესარგებლა ბიზანტიის გართულებული მდგომარეობით (ვანდალების, ჰუნების შემოსევები, შინააშლილობა) და ბიზანტიის თუნდაც ფორმალური ვასალობიდანაც დაეხსნა თავი. სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გუბაზისეული ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

მომდევნო ხანებში ეგრისი (ლაზეთი) კიდევ უფრო სუსტდება და ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება აქ უფრო საგრძნობი და რეალური ხდება. ეს უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო რომის ინტერესების საბოლოოდ აღმოსავლეთში გადმონაცვლებასთან.

9. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს. II ნახევარში. მეფე ვახტანგ გორგასალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის ერთერთი უთვალსაჩინოესი ფიგურის, ვახტანგ გორგასალის მეფობა ქართლში (V ს. II ნახევარი) ქვეყნის ისტორიის უაღრესად მძიმე პერიოდს დაემთხვა. ირანი დაუნდობლად გადავიდა ქრისტიანობის დევნაზე და მაზდეანობის გავრცელებაზე, რაც 450-451 წწ. სომხეთ-ალბანეთის ომის შემდეგ ისევ გაიმაგრა პოზიციები ამიერკავკასიაში. ვახტანგის ბავშვობისას, მცხეთაში მოსული მაზდეანი ბინქარანი აშკარად ქადაგებდა თავის რწმენას. ქვეყნის მდგომარეობა გართულებული იყო ჩრდილოეთითაც. კავკასიონის გადასასვლელებს ირანელები იცავდნენ, რომლებიც ყოველთვის ვერ უმკლავდებოდნენ მეომარ ტომებს, რომლებიც ქართლსა და სომხეთში გადმოდიოდნენ და აოხრებდნენ. ვითარება მძიმე იყო ქვეყნის შიგნითაც, მეფესა და წარჩინებულთა უმაღლეს წრეს შორის, რასაც ირანის ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს. დიდაზნაურები, ირანის მიერ ზურგმოცემულები, სრულებით არ ეპუებოდნენ მეფეს და მის ხელისუფლებას. მათ ხელში იყო უმაღლესი სასულიერო და საერო თანამდებობები, მართავდნენ მსხვილ ოლქებს, რომელთა სამემკვიდრეოდ დასაკუთრებას ცდილობდნენ. ამ წინააღმდეგობებით შესანიშნავად სარგებლობდა ირანის კარი, რომელიც დიდაზნაურებს აქეზებდა თავისი მეფის წინააღმდეგ. ასეთი ვითარება ბუნებრივად უადვილებდა მათ ქვეყნის მორჩილებაში ყოლას. მეტად დამახასიათებელია ქართლში შექმნილი ვითარება, რომელიც აღწერილია „შუშანიკის მარტვილობაში". ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი ირანის კარზე მიიწვიეს, სადაც მან მაზდეანობა მიიღო. სამშობლო და მისი მეუღლე ამ ნაბიჯს აღშფოთებით შეხვდა, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გააწყო შაჰისაგან ძალმოცემულ პიტიახშთან. მან დაუნდობლად აწამებინა თავისი ცოლი შუშანიკი, რომელმაც არ დათმო ქრისტიანობა.

ირანელებმა, როგორც კი ამიერკავკასიაში ძალა მოიცეს, ისევ აღადგინეს სამხედრო ბეგარა. სრულიად ახალგაზრდა

ვახტანგ გორგასალი, ტახტზე ახლად ასული, ქართლის ლაშქართან ერთად ირანმა სალაშქროდ გაიწვია შუა აზიასა და ინდოეთში. ამ ბრძოლებში ვახტანგმა თავი გამოიჩინა, როგორც უშიშარმა მეომარმა და დიდმა მხედართმთავარმა. ირანის ლაშქრობებიდან დაბრუნების შემდეგ უკვე სახელმოხვეჭილმა მეფემ უკომპრომისო ბრძოლა დაიწყო ქართლის მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად და მეფის მოწინააღმდეგე არისტოკრატიის ასალაგმავად.

უპირველესი ყურადღება ვახტანგ გორგასალმა ქართლის ეკლესიას მიაქცია. ამ დროისათვის ქრისტიანობაში ვითარება დაძაბული იყო, ორი ძირითადი მიმდინარეობის — მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის ურთიერთბრძოლით. მონოფიზიტები აღიარებდნენ, რომ ქრისტეს ჰქონდა მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება, ხოლო დიოფიზიტები კი მიიჩნევდნენ, რომ ქრისტეს ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება ჰქონდა. ქრისტიანობის ამ ორ მიმდინარეობას შორის ბრძოლა აზანზარებდა ბიზანტიის იმპერიას, რომელმაც საბოლოოდ ოფიციალურად დიოფიზიტობა აღიარა. საიმპერატორო ხელისუფლებამ და ეკლესიამ მონოფიზიტობა აკრძალეს. ამ ვითარებით სარგებლობდა ირანი, რომელიც იმ მიმდინარეობას უჭერდა მხარს, რომელსაც ბიზანტია დევნიდა და ასეთი ხერხით მომხრეებს იმრავლებდა. იგივეს აკეთებდა იგი ქართლშიც, რათა ბიზანტიის გავლენა შეესუსტებინა და შემდეგ კი მოესპო.

ასეთ ვითარებაში ვახტანგ გორგასალმა გადააყენა ბევრი ეპისკოპოსი, რომლებიც ცხადია, მისი მომხრეები არ იყვნენ და თავისი თანამოაზრენი წამოსწია. ქართლის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, ამ ფაქტით აღშფოთებულმა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეფეს და დაწყევლა ის და მისი ლაშქარი. ბიზანტიის საეკლესიო ხელისუფლებასთან შეთანხმებით ვახტანგმა გააძევა მიქაელი და თანხმობა მიიღო შემოელო კათალიკოსის იერარქიული პოსტი, რომელსაც ავტოკეფალიის უფლება ექნებოდა. ამდენად, ვახტანგმა ეკლესია დაიქვემდებარა და მას თვითმწყემსობა მოუპოვა. ამის შემდეგ ვახტანგმა უფრო მედგრად შეუტია საერო არისტოკრატიას. მან, შუშანიკის წამების საბაბით, მკვ-

ლელები მიუჩინა ირანის მორჩილ ვარსქენ პატიახშს და 482 წ. მოაკვლევინა იგი. ეს ერთგვარი ნიშანი იყო ანტიირანული გამოსვლებისათვის. ვახტანგ გორგასალი დაუკავშირდა სომხებსა და ალბანელებს და მათთან ერთად აჯანყება გადაწყვიტა. იყო იმის იმედიც, რომ ირანის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ იმიერკავკასიაში მომთაბარე ჰუნების ტომებს. ამ მიზნის მისაღწევად ვახტანგმა დაიკავა კავკასიის ერთი უმთავრესი გადმოსასვლელი — დარიალი (დარ-ი ალანი, ანუ ალანთა კარი), დაიმორჩილა ალანოსები და თითქოს შეუმზადა გზა ჰუნებს, მაგრამ მათი მოკავშირეობის იმედი ფუჭი გამოდგა. ჰუნებისაგან მხოლოდ 300 მეომარი გადმოვიდა, რაც ცხადია სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა. ამასთან, ქართლის დიდაზნაურებმა და მათმა სომეხმა თანამოძმეებმა — ნახარარებმა ისევ ირანთან შეთანხმება არჩიეს და ყოველ გადამწყვეტ მომენტში ღალატობდნენ ვახტანგის განზრახვას.

თავიდან ვახტანგის აჯანყებას გარკვეული წარმატებებიც მოჰყვა. აჯანყებულებმა დაამარცხეს და ქართლიდან მოიშორეს ირანის ჯარის გარკვეული ნაწილი, მაგრამ 483 წელს ირანის მთავრობამ ისეთი ძალა გამოგზავნა, რომელთან შებრძოლება ვახტანგს მხოლოდ ქართლის ძალებით არ შეეძლო. აჯანყებულებმა გაცლა არჩიეს და სომხეთის მთებში გამაგრდნენ. იქ ელოდა ვახტანგი დამხმარე ძალას სომეხთაგან. ქართლის მეფის დასახმარებლად მივიდა სომხეთის ლაშქარი მხედართმთავარ ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით. ქართლისა და სომხეთის გაერთიანებული ლაშქარი გარდაბნის ველზე დაბინავდა, სადაც განზრახული ჰქონდა მტერთან შებმა. სამწუხაროდ, ბრძოლის წინ კვლავ ღალატმა იჩინა თავი. სომეხი ნახარარების ერთმა ჯგუფმა ირანელ სარდალს აცნობა, რომ ბრძოლის დროს პოზიციებს დათმობდნენ და მათ მხარეს გადავიდოდნენ. მართლაც, როდესაც ბრძოლა გაჩაღდა და ვახტანგის ლაშქარმა მოწინააღმდეგის ერთი ფრთა უკუაქცია, მოღალატეებმა დათმეს ბრძოლის ველი და გაეცალნენ. ამან, ცხადია, ირანის ლაშქარს გაუადვილა გამარჯვება, ხოლო ვახტანგ გორგასალი იძულებული გახდა ახალი ბრძოლისათვის დაეწყო მზადება.

ირანის შაჰის პეროზის ბრძანებით 484 წელს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი ქართლში ირანის დიდი ჯარი შემოვიდა ჰაზარავუხტის მეთაურობით. მას ნებრძანებად ჰქონდა ან შეეპყრო, ან მოეკლა ვახტანგ გორგასალი. ირანის სარდალთან მივიდნენ და გვერდში დაუდგნენ მეფის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებიც. უთანაბრო ბრძოლას ვახტანგმა თავი აარიდა და თავისი მომხრეებით ეგრისში გადავიდა. ამ დროს მოვიდა ცნობა ირანის შაჰის პეროზის დაღუპვისა და მისი ლაშქრის მარცხის შესახებ. შეშინებულმა ჰაზარავუხტმა დატოვა ქართლი და ირანში დაბრუნდა. ვახტანგი თავის სამეფოში გადავიდა, ძალების მოკრება დაიწყო და ბიზანტიის დახმარებით ისევ ბრძოლას გეგმავდა.

ირანის ახალმა შაჰმა ბიზანტიის დალაშქვრა გადაწყვიტა და შეუთვალა ვახტანგს მას შეერთებოდა და ლაშქარს გაძღოლოდა. ვახტანგმა კატეგორიული უარი განაცხადა ბიზანტიასთან ომზე და ირანის შაჰს შეუთვალა: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად". ირანელებმა მართლაც გამოილაშქრეს ქართლზე, ააოხრეს რამდენიმე ქალაქი და მდ. ივრის პირზე დაიბანაკეს. განთიადისას ვახტანგი თავს დაესხა ირანელთა ბანაკს, მაგრამ იგი მოღალატურად დაჭრეს. მის ყოფილ მონას სცოდნია, რომ ვახტანგს ჯაჭვის პერანგი იღლიის ქვეშ გახეული ჰქონდა და სწორედ იქ სტყორცნა ისარი. სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე ბრძოლის ველს გააცალეს და მის მიერვე აგებულ უჯარმის ციხეში გადაიყვანეს, სადაც იგი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მომაკვდავმა მეფემ ანდერძად დატოვა: „მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდეგთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა... სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ". „ბერძენთა სიყვარული", ცხადია ბიზანტიური ორიენტაციაა, შემდგომი ეპოქებისათვის ფართოდ გაგებული კი — „პროდასავლური". ამ ანდერძში მთელი მომდევნო ხანის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დოქტრინაა მოცემული.

ქართლის დამოუკიდებლობისათვის, ბიზანტიური კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციისათვის მებრძოლი გმირი მეფე დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობითაც იყო ცნო-

ბილი. მის სახელს უკავშირდება ციხე-ქალაქ უჯარმის, ჭერემის, ხორნაბუჯის, არტანუჯისა და სხვ. აშენება. უმთავრესი კი მაინც თბილისის აშენება და ქართლის დედაქალაქად მისი ქცევა იყო. მეფემ ყურადღება მიაქცია თბილისის მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას, დაიწყო აქ სამეფო ციხე-დარბაზის მშენებლობა, რაც მისი მემკვიდრეების დროს გასრულდა.

ვახტანგის სახელთან და თბილისის დაარსებასთან დაკავშირებულია მომხიბლავი ლეგენდა, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი.

ხალხმა ვახტანგი ეროვნულ გმირად დასახა. საქართველოს შემდგომი მეფეებიც „გორგასლიანობით" შეიქებდნენ თავს და საქართველოს სამეფო (იგივე სახელმწიფო) დროშაც „ვახტანგიან-გორგასლიანი" იყო.

10. საქართველო VI ს-ში

ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ ქართლის ფოსათვის მძიმე ვითარება შეიქნა. ბიზანტიასა და ირანს შორის სადავო ამიერკავკასიის ქვეყნებში სამეფო ხელისუფლება მხოლოდ ქართლსა და ეგრისში იყო დარჩენილი. ბიზანტია გარკვეულად ურიგდებოდა ეგრისის სუვერენიტეტს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი ბევრად უფრო რთული სიტუაცია იყო. სომხეთისა და ალბანეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ირანის ძირითად მიზანს ქართლის მეფის ხელისუფლების მოსპობა წარმოადგენდა. ბიზანტიის დახმარების იმედით ქართლის მეფე გურგენმა 523 წელს აჯანყება სცადა ირანის წინააღმდეგ. ქართლს ირანის დიდი ლაშქარი შემოესია, ხოლო ბიზანტიის დამხმარე რაზმი მცირე იყო და გურგენმა სერიოზული ბრძოლა ვერც გაუმართა ირანელ დამპყრობლებს. იგი იძულებული შეიქნა თავისი დედაწულით და მომხრე დიდებულებით ქართლი დაეტოვებინა და ეგრისს გადასულიყო. ამის შემდეგ ირანელებმა აღარავინ დაუშვეს ქართლის ტახტზე და ამრიგად მეფობაც გაუქმდა. 532 წლის „საუკუნო ზავით" ბიზანტიამ ცნო ირანის ბატონობა ქართლში. გურგენი სამშობლოში ველარ დაბრუნდა. წყაროს ცნობით, მეფობა „დაესრულა ქართლსა შინა". დამყარდა უშუალო ირანული მმართველობა.

ირანის შაჰმა კავადმა თავისი სახელმწიფო ოთხ მსხვილ ოლქად ანუ კუსტაკად დაჰყო. კუსტაკი თავის მხრივ „შაჰრებისაგან" შედგებოდა. ქართლი სომხეთთან, ალბანეთთან და ადარბადაგანთან ერთად ჩრდილოეთის ანუ კავკასიის კუსტაკში შედიოდა და მას ირანელი მარზპანი მართავდა. მისი რეზიდენცია თბილისში იყო. მარზპანს ეპყრა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები. ირანის გარნიზონები ჩადგა თბილისში, მცხეთაში, რუსთავში და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში. მათვე გაამაგრეს კავკასიონის გადმოსასვლელები.

ქართლის მართვაში მარზპანის ხელისუფლება ფართოდ ეყრდნობოდა ადგილობრივ სასულიერო და საერო არის-

ტოკრატიას, რომლებიც ბევრი შელავათით თუ საბოძვარით თავის მხარეს გადაიბირეს. მარზპანის უახლოეს გარემოცვაში იყვნენ ქართლის კათალიკოსი, ქართლის მამასახლისი, პიტიახში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლში გაბატონების შემდეგ, ირანის ხელისუფლების მთავარ ამოცანად ამიერკავკასიაში ეგრისის დაპყრობა გადაიქცა. ირანი კარგად ითვალისწინებდა ეგრისის სტრატეგიული მდგომარეობის ორ ძირითად მომენტს. ერთი, რომ ეგრისში გაბატონებით ირანი გავიდოდა შავ ზღვაზე და უკვე ზღვიდანაც შეუტევდა ბიზანტიას, მეორე კი ის, რომ ქართლს ზურგი მოესპობოდა ირანთან ბრძოლაში. ირანის ყველა მოწინააღმდეგე ქართლიდან ხომ ეგრისში პოულობდა საიმედო თავშესაფარს.

ქართლის 523 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ ცხადად შეიგნო, რომ ეგრისის დაკარგვის ძალზე რეალური პერსპექტივა ესახებოდათ. ამიტომაც გადაწყდა ეგრისში ჯარების შეყვანა და ქართლთან მოსაზღვრე შორაპანისა და სკანდის ციხეების ბიზანტიური გარნიზონებით გამაგრება. ეგრისის მცხოვრებლებმა (ქართულად „მეგრელებმა", ხოლო ბიზანტიური წყაროებით „ლაზებმა") გარკვეულ ხანს გაუწიეს სამსახური ბიზანტიურ გარნიზონებს, შემდეგ კი შეურაცხყოფილებმა, რომ თავისსავე სიმაგრეების დაცვას აღარ ანდობდნენ, სამსახურზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ ბიზანტია იძულებული შეიქნა ორივე სიმაგრე დაეცალა და იგი ირანელებმა უომრად იგდეს ხელთ. ბიზანტიის გარნიზონები ჩადგა ასევე შავიზღვისპირა ციხე-ქალაქებში: ფაზისში (ფოთი), სებასტოპოლისში (სოხუმი), პიტიუნტში (ბიჭვინტა). ეგრისის სამხრეთ სანაპიროზე, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, იმპერატორმა იუსტინიანემ ციხე-სიმაგრე ააგო, სადაც განლაგდა ბიზანტიის ძირითადი ძალები. პეტრაში იყო ბიზანტიის სტრატეგოსის რეზიდენცია. გაამაგრეს ასევე ეგრისის დედაქალაქი ციხეგოჯი (არქეოპოლისი, დღ. ნოქალაქევი სენაკთან). იუსტინიანე ბიზანტიის უდიდესი იმპერატორი იყო, რომელმაც აღადგინა რომის იმპერია და ძალზე აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე მახლობელ აღმოსავლეთში. აქტიური იყო

მისი პოლიტიკა ეგრისშიც.

ამდენად მთელი ეგრისი ბიზანტიის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ქვეყანას ფაქტობრივად სტრატეგოსი განაგებდა, ხოლო მეფესა და ადგილობრივ დიდებულებს არაფერს ეკითხებოდნენ. ქვეყნის საგარეო ვაჭრობაც მთლიანად ბიზანტიელებმა ჩაიგდეს ხელთ. განსაკუთრებული სიხარბით თავი გამოიჩინა სტრატეგოსმა იოანე ციბემ, რომლის თვითნებობა ველარ აიტანა ველარც მეფე გუბაზმა და ვერც მისმა ქვეშევრდომებმა. თავისი ძალებით ბიზანტიის ჯარებს გუბაზი ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომაც მან ირანს თხოვა დახმარება. მეფე გუბაზმა ელჩები გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს, რომელიც ხალისით გამოეხმაურა ამ თხოვნას. მეგრელებმა ირანის ლაშქარი ადვილად გაატარეს ეგრისის გაუვალ ადგილებში და როდესაც ქვეყნის შუაგულს მიაღწიეს, თვით მეფე გუბაზი მიეგება და ეთაყვანა ხოსრო ანუშირვანს. ეს მოხდა 542 წელს. ამ ფაქტით დაირღვა „საუკუნო ზავი" და დაიწყო „დიდი ომიანობა" ეგრისში, რომელიც დროდადრო შესვენებებით თითქმის ოცი წელი გაგრძელდა. ირანისა და ეგრისის ძალებმა პეტრა აიღეს.

ირანის შაჰი თანამშრომლობის მიუხედავად ეგრისის ხელისუფლებას არ ენდობოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მოსახლეობის აყრა-გასახლება, ხოლო ეგრისში ირანელებისა და სხვა სანდო ხალხების ჩასახლება. საამისოდ ირანის მეფეს გუბაზის მოცილებაც ესაჭიროებოდა. ირანელი სარდალი ფაბრიზი დაუკავშირდა მეგრელ წარჩინებულს, ფარსმანს, რომელსაც მტრობა ჰქონდა გუბაზთან და მისი დახმარების იმედი ჰქონდა. ფარსმანმა არ იკადრა მეფისა და სამშობლოს განწირვა და ირანელთა გეგმები ფარულად გუბაზს შეატყობინა. ეგრისის მეფე და წარჩინებულნი უკვე კარგად იყვნენ გაცნობილი ირანელთა განზრახვებს და იუსტინიანე იმპერატორს პატიება და დახმარება სთხოვეს. იუსტინიანემ სასწრაფოდ გამოაგზავნა 7 ათასი ბიზანტიელი ჯარისკაცი და ჭანთა (ლაზთა) ათასეული. ამ ძალებმა ეგრისის ლაშქართან ერთად გადაწყვიტეს პეტრადან ირანელთა გამოძევება, რაც ძალზე ძნელი ამოცანა აღმოჩნდა. ციხე-ქალაქები ხელიდან ხელში გადადიოდა.

ეგრისის მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა თავის მიწა-წყალს. ბიზანტიური წყაროს ცნობით, მეფე გუბაზს ასე მიუმართავს ლაშქრისათვის: „... არავითარი მოწოდება ალარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებითაა უკვე აღფრთოვანებული. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისათვის, შვილებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის... ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით“.

ირანელთა ლაშქარმა დიდხანს ვერ გასძლო ეგრისის მიწაზე. ბიზანტიელები და მეგრელები (ლაზები) მუსრს ავლებდნენ მათ. ეს იყო 549 წელს. მომდევნო წელს ხოსრომ ახალი ლაშქარი გამოგზავნა, რომელიც ასევე დამარცხდა. მიუხედავად მოკავშირეობისა, ურთიერთობა ბიზანტიელ სარდლებსა და გუბაზ მეფეს შორის დაძაბული იყო. გუბაზი მათ ლაჩრობასა და გაიძვერობაში დებდა ბრალს. იგი ამას არც მალავდა და იმპერატორს ატყობინებდა. ბიზანტიელმა სარდლებმა, იმის შიშით, რომ იმპერატორთან მომავალი დაბეზღება შეიძლება ძვირად დასჯდომოდათ, გუბაზი სათათბიროდ მიიტყუეს მდ. ხობისწყლის ნაპირას და ვერაგულად მოკლეს 554 წელს.

ამ მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. ეგრისის მცხოვრებნი თავისი ქვეყნის მომავალ ორიენტაციაზე დაფიქრდნენ და მათმა წარჩინებულებმა ბიზანტიელთაგან ფარულად სახალხო კრება მოიწვიეს. კრებას უნდა გადაეწყვიტა, ვის მხარეს დამდგარიყო ეგრისი — ბიზანტიისა თუ ირანისა. გუბაზის მკვლელობით აღშფოთებული მეგრელები, რომელთა აზრს აეტი გამოხატავდა, მოითხოვდნენ ირანის დახმარებით ბიზანტიის განდევნას. აეტი ამბობდა: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება... რომ... მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც... ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ... ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“. შემდეგ სიტყვა ითხოვა პრობიზანტიური განწყო-

ბილების წარჩინებულმა, ვინმე ფარტაზმა. მან „წყეული და შეჩვენებული“ უწოდა გუბაზის მკვლელებს, მაგრამ კრებას მოუწოდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიეღოთ. „საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან.“

კრებამ მიიღო ფარტაზის აზრი, ხოლო იუსტინიანე იმპერატორმა სასწრაფოდ შეასრულა წაყენებული მოთხოვნები. მან ეგრისის მეფედ დაამტკიცა გუბაზის უმცროსი ძმა წათე, რომელიც დიდი გამოჩინებით ჩამოვიღა ბიზანტიიდან სამშობლოში და ქვეყნის მართვას „მამაპაპური“ წესებით შეუდგა. გუბაზის მკვლელები საჯაროდ გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

„დიდი ომიანობის“ მსვლელობაში 550 წელს ბიზანტიელებმა დაამარცხეს აჯანყებული აბაზგები და დაარბიეს ისინი, ხოლო 555 წელს ცხარე ბრძოლაში დაამარცხეს მისიმიელები.

ხოსრო I ანუშირვანი, დარწმუნებული იმაში, რომ ეგრისში ირანის საქმე წაგებული იყო, 562 წელს ორმოცდაათწლიანი ზავით შეეკრა ბიზანტიელებს. ირანელებმა დატოვეს ეგრისი, ხოლო 575 წლიდან, როდესაც მათი ნაშთები სვანეთიდან განდევნეს, დასავლეთ საქართველოში ფეხი აღარ დაუდგამთ.

ირანის ეგრისში დამარცხების შემდეგ მნიშვნელოვნად გააქტიურდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა ქართლში. VI ს. 70-იან წლებში ბიზანტიელების ხელშეწყობით ამიერკავკასიის ხალხების დიდი მოძრაობა დაიწყო ირანის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ქართლში ადგილობრივი წარჩინებულნი მეთაურობდნენ. მათ ხელმძღვანელობდა გუარამი, რომელიც „განაჩინეს ერისთავად“. „ნელად-რე შეკრბა ქართლი“ და დაიწყო ირანელთა ბატონობიდან გამოსვლა. ეს პროცესი 90-იან წლებამდე გაგრძელდა. 591 წელს ირანმა დათმო ქართლის უდიდესი ნაწილი. ამ დროს ერისმთავარი იყო სტეფანოზ I. იგი ფორმალურად იმპერატორის ქვეშევრდომი იყო, თუმცა მისი ხელისუფლება უკვე რეალური იყო. მემატიანის სიტყვით, ერისმთავარმა „მეფობისა სახელი

ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან“. იმ ეტაპზე იურიდიული სტატუსის გამო მდგომარეობის გამწვავება, ალბათ არც იყო მიზანშეწონილი.

სტეფანოზ I-ის და მისი სახლის ღვაწლითა და [illegible] მტკვრის შესართავთან აშენდა ჯვარის მონასტერი, უკვდავი ძეგლი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-აღორძინებისა.

11. საქართველო VII ს-ში

VII ს. დასაწყისიდან კვლავ განახლდა ირანისა და ბიზანტიის მკვეთრი დაპირისპირება, რომლის ერთ-ერთი არენა ჩვენი მიწა-წყალი იყო. ამ პერიოდში ბიზანტიის ტახტზე ავიდა ჰერაკლე იმპერატორი (610-641 წწ.), რომელსაც მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. მის წინამორბედს ირანელებმა წაართვეს სირია, ფინიკია, სომხეთი, პალესტინა და ეგვიპტე. ცხადია, ბიზანტიას ქართლისათვის ამ პირობებში არ ეცალა და ისიც ისევ გადავიდა ირანის ხელქვეით.

დაიძაბა რელიგიური სიტუაცია ქართლსა და მის უშუალო მეზობელს, სომხეთს შორის. VII ს. დასაწყისში ატყდა დიდი უთანხმოება ამ ორი ქვეყნის ეკლესიათა მესვეურებს შორის, რასაც საფუძვლად ედო ერთი მხრივ საეკლესიო-დოგმატური და მეორე მხრივ პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის საკითხი. ბიზანტიით უკმაყოფილო სომხები მიემხრნენ აღმოსავლური ეკლესიის მოძღვრებას, მონოფიზიტობას, რომელსაც ირანიც არ სდევნიდა. ქართლის საეკლესიო წრეებმა კი, საერო არისტოკრატიის მხარდაჭერით მტკიცედ დაიჭირეს ბერძნულ-რომაული ქრისტიანობის, დიოფიზიტობის მხარე, რომელსაც ქალკედონიტობაც ეწოდებოდა.*

608 წელს სრული განხეთქილება მოხდა და ქართლის (შემდეგში სრულიად საქართველოს) და სომხეთის სარწმუნოებრივი სარბიელის გზები და პოლიტიკურ-კულტურული გეზი ერთმანეთს დაშორდნენ.

მალე ვითარება კვლავ შეიცვალა მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ჰერაკლე იმპერატორმა, ნიჭიერმა მხედარმთავარმა და ორგანიზატორმა მედგრად შეუტია ირანელებს. გამარჯვებულის საბოლოოდ გამორკვევამდე, რომელიმე მხარეს მტკიცედ დადგომა უაღრესად სახიფათო იყო და ამიტომაც ქართლისა და ეგრისის მმართველები ხან ჰერაკლეს მხარეს იჭერდნენ, ხან კი ნეიტრალიტეტს ამჯობინებდნენ. ადარნასე ქართლის ერისთა-

---

* ქალკედონის საეკლესიო კრების მიხედვით, რომელმაც დააკანონა დიოფიზიტური მრწამსი.

ვარი ბიზანტიის მხარეს იდგა. თავის მხრივ ირანელებსაც ჰყავდათ ქართლში მომხრეები, განსაკუთრებით მონოფიზიტური მრწამსის აღმსარებელნი.

ჰერაკლე იმპერატორმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ძლიერი მოკავშირე მოეძებნა და ხაზართა სახელმწიფოს დაუკავშირდა. ისინი გამოეხმაურნენ იმპერატორის მოწოდებას და სხვა ქვეყნების მოოხრების შემდეგ თბილისაკენ დაიძრნენ. ხაზარებს სარდლობდა უფლისწული მოხო, რომელსაც ქართული წყარო ჯიბღუ ხაკანად იცნობს. ჯიბღუ მოხოს ტიტული იყო და მეფისნაცვალს, ხაკანის მოადგილეს ნიშნავდა. სომეხი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის ცნობით: „დაიძრა ნიაღვარი მოვარდნილი და მდინარე ადიდებული ქართველთა ქვეყნისაკენ, გარს შემოადგა და ალყა შემოარტყა ნებიერს, მოვაჭრესა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქს ტფილისს". აქ ხაზარებს შეუერთდა ეგრისიდან დიდი ჯარით გადმოსული ჰერაკლე კეისარი. ეს იყო 627 წ. შემოდგომაზე.

თბილისის დაცვას ხელმძღვანელობდა ირანელი სარდალი თავისი გარნიზონით, ასევე ქართველი მეციხოვნეები, რომელთაც ბიზანტიელთა და ხაზართა ლაშქარს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მოალყეებმა მტკვრის გადაკეტვა და ქალაქზე მიშვება განიზრახეს, მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა. წარმატებას ვერც ბიზანტიურმა ლოდსატყორცნებმა მიაღწიეს. გადაწყდა მოეხსნათ უშედეგო ალყა და გასცლოდნენ ქალაქს. ქალაქის დამცველნი დასცინოდნენ მოალყეებს. მათ დიდ გორაზე ხაზართა სარდლის ჯიბღუს კარიკატურული სახე წარმოსახეს და ხაზარებს ციხის გალავნიდან უჩვენებდნენ. დასცინოდნენ ჰერაკლე იმპერატორსაც და „ვაცის წვერიანს" ეძახდნენ. მოალყეები შეთანხმდნენ ერთი წლის შემდეგ გასწორებოდნენ თბილისს.

627 წლის ბოლოს ჰერაკლემ სასტიკად დაამარცხა ირანის ჯარი, რამაც შედეგად თბილისის ხვედრიც განსაზღვრა. 628 წელს ხაზარები დიდი ლაშქრით მოადგნენ თბილისს და ორი თვის ალყის შემდეგ ძლიერი შტურმით აიღეს იგი. მათ ველური სისასტიკით აოხრეს ქალაქი. დაიწყო განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა. მოსე კალანკატუელის ცნობით: „მათმა ხელებმა დააყენეს სისხ-

ლის ნაკადულები, ფეხებით სთელავდნენ გვამებს... შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი... ხელთ იგდეს ყუთები განძით სავსე, მთელს სიმრავლეს ჯარისას ზურგით მიჰქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვავებდა... ყურებაც კი მოსწყინდა ოქროსა და ვერცხლის ფულის ურიცხვი სიმრავლისა... ვინ მოსთვლის მარგალიტის ქვებით მოოჭვილ საეკლესიო სამკაულსა და ჭურჭელს".. ქალაქის დაცვის ხელმძღვანელები სასტიკი წამებით მოკლეს. ბიზანტიელები დაუნდობლად გაუსწორდნენ ასევე მონოფიზიტობის აღმსარებელ ქართველებსაც.

ჰერაკლე იმპერატორის ლაშქრობებმა კარგახნით ბიზანტიის ჰეგემონია დაამყარა ამიერკავკასიაში. ქართლის ერისმთავარი ისევ გახდა მისი მომხრე ადარნასე, რომელსაც მაღალი ბიზანტიური ტიტულებიც უბოძეს. ქართლში ბიზანტიელები უფრო თავშეკავებულად მოქმედებდნენ, ვინაიდან ეს ქვეყანა მათგან მოშორებული და ირანთან ახლომყოფი იყო. ისინი არ ერეოდნენ ერისმთავრის საშინაო საქმეებში და მხოლოდ ერთგულებით და სამხედრო დახმარებით კმაყოფილდებოდნენ.

სხვაგვარი ვითარება შეიქმნა ეგრისში, სადაც ბიზანტიის გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა. აქ ბიზანტია უფრო მყარად გრძნობდა თავს და შექმნილ სიტუაციაში ადგილობრივ სამეფო ხელისუფლებასაც დიდ ანგარიშს არ უწევდა. VII ს. II ნახევრიდან აღარც ჩანს ეგრისის მეფე. ეს ხელისუფლება ბიზანტიელებმა გააუქმეს, ხოლო ადგილობრივ მმართველს არა მეფის, არამედ „პატრიკიოსის" ტიტული მისცეს. „მეფის" „პატრიკიოსად" ჩამომცრობის მიუხედავად, ეგრისი, როგორც ცალკე ერთეული განაგრძობდა არსებობას და ბიზანტიას იგი უშუალოდ არ მიუერთებია.

შექმნილი ვითარება ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში დიდხანს არ გაგრძელდა. გამოჩნდა ახალი, მრისხანე ძალა არაბთა სახით, რომელთაც მალე რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-კულტურული სურათი იმდროინდელი მსოფლიოს მოზრდილ ნაწილში.

არაბთა სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა VII ს. დასაწყისში. მისი მეთაური იყო მუჰამედი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც ამასთან ახალი რელიგია — ისლამი იქადაგა. ისლამის მიმდევრებს მუსლიმები ეწოდებოდათ, ხოლო მათ წმინდა წიგნს „ყურანი". მუჰამედი გარდაიცვალა 632 წელს და მის მემკვიდრეებს არაბთა სახელმწიფოს სათავეში ხალიფები უწოდეს. ხალიფა მოადგილეს ნიშნავდა არაბულად. ისინი თავს მუჰამედის მოადგილეებად განიხილავდნენ. მათ სახელმწიფოსაც სახალიფო ანუ ხალიფატი ეწოდა.

სახალიფოს პირველი ლაშქრობები წარმატებული იყო, ვინაიდან ახალი დამპყრობლები სამხედრო ძალასთან ერთად, სარწმუნოებრივ შემწყნარებლობასაც იყენებდნენ. მათი გადასახადებიც დაპყრობილთა მიმართ შედარებით ადვილი ასატანი იყო. ჰერაკლე იმპერატორის მმართველობის ბოლო წლებში მათ ბიზანტიას სირია, პალესტინა და ეგვიპტე წაართვეს. არსებობა შეწყვიტა სასანიდური ირანის უძლიერესმა სახელმწიფომ.

ბიზანტიისა და ირანისაგან დაჩაგრული ხალხები თითქმის მხსნელებად მიიჩნევდნენ არაბებს და ხშირად მასობრივად უერთდებოდნენ მათ ლაშქარს.

სომხეთის დედაქალაქის დვინის აღების შემდეგ არაბები პირველად გამოჩნდნენ ქართლში. VII ს. 50-იანი წლებიდან კი ფეხის მოკიდება დაიწყეს აქ. არაბთა სარდალმა ქართლის ერისმთავარს მუქარა შემოუთვალა და დამორჩილება მოსთხოვა. 654 წელს არაბთა ლაშქარი ქართლს მოადგა. ერისმთავარმა არაბ სარდალს ჰაბიბ იბნ-მასლამას საჩუქრები შეაგება და ზავი და მოლაპარაკება შესთავაზა. არსებითად ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ყველა მეზობელი არაბთა უღლის ქვეშ იყო და მხსნელი და მშველელი არსაიდან ჩანდა. არაბმა სარდალმა საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩააგდო, თვით მივიდა თბილისში და ნებაყოფლობით დამორჩილებულ ქართლს „დაცვის სიგელი" უბოძა. ამ სიგელის პირობების თანახმად მოსახლეობას დაეკისრა კომლის თავზე ფულადი გადასახადი თითო დინარი („ჯიზია"). ქართველებს აუკრძალეს კომლების გაერთიანება გადასახადების შემცირების მიზნით, ხოლო არაბებს მათი ხელოვნური გაყოფა ჯიზიას გაზრდის განზრახვით. ქართლი სამხედრო საქმეებში უნდა

დახმარებოდა არაბებს. თუ ქართველი ისლამს მიიღებდა, ის ჯიზიასგან თავისუფლდებოდა და მუსლიმთა თანამოძმე ხდებოდა. არაბები ვალდებულობდნენ დაეცვათ ქართველი გარეშე მტრებისაგან, უშიშარეყოთ მათი ქონება და სარწმუნოება. ამ პირობების დარღვევა ქართლის მხრივ ომის მიზეზად ჩაითვლებოდა.

ამიერკავკასიას ამჯერად არაბები სწრაფად გაეცალნენ, რადგან სახალიფო ტახტის გამო გააფთრებული ომი ატყდა, რომელიც ხუთ წელს გაგრძელდა. ამ პერიოდში ქართლმაც თავი გაინთავისუფლა. 60-იანი წლების ბოლოდან ვითარება ისევ მკვეთრად გამწვავდა. ამიერკავკასიაში და კერძოდ ქართლში სამი ძალა დაეჯახა ერთმანეთს — არაბები, ბიზანტია და ხაზარები. „სამი მხრით ხმლის ქნევას", ცხადია რეალური შედეგის მოტანა არ შეეძლო. ქვეყანა სუსტი იყო ამისათვის. უპირატესობა აგრესორებს შორის ისევ არაბებს დარჩათ. ისინი ენერგიულად შეუდგნენ ისლამის სამყაროს გაფართოებას და ნელნელა ხელს იღებდნენ „სარწმუნოებრივ შემწყნარებლობაზეც". პირიქით, რაც დრო გადიოდა, ისლამი სწორედ „რადიკალური" და „არაშემწყნარე" ხდებოდა. VII ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო მათი სისტემატური თავდასხმები ქართლზე. ისინი ითხოვდნენ „დაცვის სიგელის" პირობების შესრულებას. არაბების გაბატონებას ხელი შეუწყო ეგრისში დატრიალებულმა მოვლენებმაც. ეგრისის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიას და 697 წელს თავისი ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა. VII ს. ბოლოს და VIII ს. დასაწყისში არაბთა გარნიზონები ჩადგა ეგრისის დედაქალაქ ციხეგოჯში და თვით კოდორის ხეობის ციხე-სიმაგრეებში.

12. არაბთა ბატონობა ქართლში VIII ს-ში

VIII ს. დამდეგიდან არაბთა ბატონობა ქართლში დამძიმდა. მათმა სარდალმა ჯარაჰმა ქართლს განუახლა „დაცვის სიგელი", იმ პირობით, რომ მოსახლეობა ჯიზიას გარდა „სარაჯასაც" (გადასახადი) გადაიხდიდა. საადგილმამულო ხარკის დამძიმებამ და არაბულმა მონობამ ხალხი არაერთხელ ააჯანყა. ხალიფამ კავკასიაში თავისი ბიძაშვილი მერვან იბნ-მუჰამედი (მომავალი ხალიფა) გამოგზავნა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრავალტანჯულ ისტორიაში სასტიკი „მურვან-ყრუს" სახელითაა ცნობილი. ეს გულქვა და დაუნდობელი კაცი, რომელსაც ვერაფერს ლმობიერს ვერ შეასმენდი (ამიტომაც უწოდეს „ყრუ") 735 წელს 120 000-იანი ლაშქრით შემოვიდა საქართველოში და წარმოუდგენელი უბედურება დააწია მას. „ქართლის ცხოვრების" ცნობით: „მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა".

ქართლის ერისმთავარი მირი და მისი ძმა არჩილი აფხაზთა ერისთავ ლეონთან აფარებდნენ თავს. მურვანი გადავიდა ეგრისში, შეიპყრო არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე და სასტიკად აწამა ისინი. არაბმა სარდალმა შეუმუსრავი არ დატოვა თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი სიმაგრე, მათ შორის „ციხე იგი სამზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი". მურვან ყრუმ მიაღწია კლისურას (კელასურს) და შემუსრა ქალაქი ცხუმი. ანაკოფიის ციხე, სადაც გამაგრებული იყვნენ ქვეყნის მესვეურები, მან ვერ აიღო და სამხრეთ საქართველოს მოსაოხრებლად გაეშურა. გზად არაბთა ლაშქარში თავი იჩინა ეპიდემიამ, მათვე დიდი წყალდიდობა დაატყდათ მდ. აბაშასთან და ცხენისწყალთან. მიუხედავად განცდილი დიდი ზარალისა, მურვანი კიდევ კარგახანს აოხრებდა საქართველოს. ქართველი მემატიანის ცნობით, მურვან ყრუს სამხედრო ექსპედიციების შედეგად: „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა".

მურვან ყრუს გამანადგურებელმა შემოსევამ მტკიცედ

მოუკიდა ფეხი არაბებს ქართლში, ხოლო ეგრისში მათ ბატონობა მაინც დროებითი აღმოჩნდა. ქართლში გამაგრებულმა არაბებმა ქვეყნის გამგებლად თავიანთი ბინელეე-ამირა დააყენეს, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. ამირას ეპყრა სარდლობა, სამმართველო და სასამართლო ფუნქციები. მაშინვე არ გაუუქმებიათ ერისმთავრობაც, მხოლოდ იგი ამირას დაუქვემდებარეს და ხარკის მიღება და ადგილობრივი ლაშქრის ხელმძღვანელობა ჩააბარეს. ამირებმა შექმნეს საკუთარი ბიუროკრატული აპარატი, არაბული წყობილებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით. თბილისში მომრავლდა მუსლიმი მოსახლეობა თავისი ცხოვრების წესითა და მეჩეთებით.

განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა არაბთა ბატონობა სახალიფოში ახალი დინასტიის, აბასიდების გაბატონების შემდეგ, რომელთა დედაქალაქი ბაღდადი იყო (აქედან „ბაღდადის ხალიფა"). მათ საგადასახადო ტვირთი დაუმძიმეს არა მხოლოდ დაპყრობილ ხალხებს, არამედ თვით არაბებსაც. VIII ს. II ნახევრის მწერალი იოანე საბანისძე აღნიშნავდა: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გვემულნი".

ქვეყნისათვის ერთგვარი შეღავათი ის იყო, რომ არაბები ძირითადად ქართლის ცენტრალურ რეგიონში ისხდნენ და მიუხედავად არაერთი ცდისა, დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. ეს საშუალებას აძლევდა შეჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც არაბულ მონობას გაუსხლტა, თავი ეგრისისათვის ან მთისათვის შეეფარებინა. საქართველოს მოსახლეობის ზურგზე გადადიოდა ასევე არაბთა და ხაზართა ბრძოლის პერიპეტიებიც.

VIII ს. II ნახევრიდან ამიერკავკასიაში კვლავ ღვივდება ანტიარაბული ბრძოლა. 70-იან წლებში არაბებს სომხები აუჯანყდნენ. დამარცხებულ მეზობლებს ქართლმა თავშესაფარი მისცა. მათთან კავშირის გამო ქართლის ერისმთავარი ნერსე 772-773 წწ. ბაღდადის ხალიფამ დაიბარა და სამი წელი დილეგში ამყოფა. სამშობლოში დაბრუნებულ ნერსეს კვლავ უნდობლობა დაუთესია ხალიფას თვალში და იგი ისევ ბაღდადს გაიწვიეს. ნერსემ ახალ სასჯელს

თავი აარიდა და აღარ ეახლა ხალიფას. მან ოჯახი დასავლეთ საქართველოში, აფხაზთა მთავარ ლეონთან გააგზავნა, ხოლო თვითონ კი არაბთა უმთავრეს მტრებს, ხაზარებს მიმართა და დიდი ამალით ხაკანთან წავიდა მოსალაპარაკებლად. ხაკანმა ნერსეს რეალური დახმარება არ აღმოუჩინა და ისიც, იმედგაცრუებული დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამასობაში არაბებმა ერისმთავრობა ნერსეს დისწულს უბოძეს და თვით ნერსეს, როგორც უკვე კერძო პირს, ქართლში დაბრუნების ნება დართეს.

ერისმთავარ ნერსეს სახელთანაა დაკავშირებული მისი არაბი მსახურის, აბოს თავგადასავალი, ტრაგიკული ისტორია, რომელიც დიდებულად აღწერა იოანე საბანისძემ. ნერსეს მსახური აბო, წარმოშობით არაბი იყო, რომელმაც ქართლში ქრისტიანობა მიიღო. აბო ტფილელის გაქრისტიანებამ არაბების დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ამ მიზეზით იგი სასტიკად აწამეს. მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, აბო არ დაუბრუნდა ისლამს, არ დაგმო ქრისტიანობა, — რისთვისაც მას 786 წელს თავი მოჰკვეთეს, გვამი დაწვეს და მტკვარში გადაყარეს. არაბი აბოს მოწამებრივმა სიკვდილმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე. თუ ასე დაიცვა ქრისტიანობა „მამულად და დედულად“ არაბმა კაცმა, მაშ შეგვფეროდა თუ არა ჩვენ, ქართველებს „შეცდენა და გარდადრეკა გზისაგან სიმართლისა“? ასე სვამდა საკითხს დიდი მწერალი და პატრიოტი იოანე საბანისძე. საბანისძის თხზულების მიზანი იყო გაემხნევებინა და გამოეფხიზლებინა ის ქართველები, რომლებიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

VIII ს. ბოლოსა და IX ს. დასაწყისში დამპყობელთა წინააღმდეგ ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. არაბებმა ქართლში ერისმთავრობაც გააუქმეს და ქვეყნის არისტოკრატიის დიდი ნაწილი საერთოდ ამოჟლიტეს. უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი სასიკვდილო საფრთხეს გაერიდა, სამხრეთ საქართველოს შეეხიზნა, არტანუჯში დასახლდა და ბიზანტიის ვასალი გახდა. ამ მიზეზების გამო ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება არაბთაგან შედარებით დაცულ პერიფერიებზე დაიწყო.

13. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა VIII-IX სს

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII საუკუნის ბოლოდან ინტენსიურად იწყება ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება. პოლიტიკურმა ცენტრებმა არაბთა ბატონობის გამო გადაინაცვლეს და ქართული სახელმწიფოებრიობის ახალ აღმავლობას ჩაუყარეს საფუძველი.

VIII ს. 30-იან წლებში ჩამოყალიბებული თბილისის საამირო დიდ ტერიტორიებს მოიცავდა, რომელიც არაბთა სახელმწიფოს ნელნელა დასუსტებასთან ერთად მცირდებოდა. ამავე საუკუნის 80-იან წლებში მდ. არაგვისა და ივრის ხეობების ზემო წელში კახეთის სამთავრო ჩამოყალიბდა, რომლის ცენტრი თიანეთში იყო. კახეთის სათავეში მდგომი პირი „ქორეპისკოპოსის" ტიტულს ატარებდა. მის აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფო. თბილისის საამიროს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. არაგვი იქცა.

VIII საუკუნის დასასრულს დასავლეთ საქართველო გააერთიანა აფხაზთა ერისთავმა ლეონმა, ბიზანტიის ვასალობაზე ხელი აიღო და თავი მეფედ გამოაცხადა. აფხაზთა საერისთავო ეგრისის სამეფოს ნაწილი იყო, შემდეგ კი იქ ბიზანტიელები ბატონობდნენ. ხაზართა დახმარებით ლეონმა შეძლო ბიზანტიელთაგან თავის დახსნა. ქართველი ისტორიკოსის ცნობით: „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ... ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა". წყაროდან პირდაპირ ჩანს, რომ ფაქტობრივად ლეონს ეგრისის სამეფო აღუდგენია, მაგრამ რაკი დინასტია აფხაზთა საერისთავოდან მოვიდა, სამეფოსაც „აფხაზთა სამეფო" ეწოდა. ამ აქტს არ გამოუწვევია არავითარი ცვლილება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ სახესა და განლაგებაში. საკუთრივ „აფხაზთა საერისთავო" კვლავ განაგრძობდა არსებობას. ახალმა დინასტიამ დედაქალაქი არაბთაგან დანგრეული ციხე-გოჯიდან გადაიტანა ქუთათისში. მეზობელი ქვეყნების (მაგ. სომხეთი) წყაროები დასავლეთ საქართველოს

კვლავაც „ეგერს“ (ეგრისს), ხოლო „აფხაზთა მეფეებს“ „მეგრელთა მეფეებს“ ეძახდნენ. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ რეგიონში ჩამოყალიბდა ახალი დინასტია და არა რაიმე ახალი ეთნიკური შემადგენლობის სახელმწიფო.

IX საუკუნის დამდეგს ახალი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო (ოღონდ ბიზანტიის მფარველობის ქვეშ) წარმოიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მისი ფუძემდებელი იყო ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი. აშოტი, არაბებისაგან გაქცეული, კლარჯეთში დასახლდა, არტანუჯი დედაქალაქად აქცია და ნელნელა მიწა-წყლის გაფართოებას შეუდგა. მის ტერიტორიულ გაფართოებას ბიზანტიაც მფარველობდა. თანდათანობით ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ვრცელი სამეფო, რომელსაც ასევე „ქართველთა“ სამეფო ეწოდა. აშოტმა კურაპალატის მაღალი ბიზანტიური ტიტულიც მიიღო. მისმა შთამომავალმა ადარნასე ბაგრატიონმა კი „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო და მის სამფლობელოსაც „ქართველთა სამეფო“ ეწოდა. „ქართველთა სამეფომ“ თბილისის საამიროს დასავლეთით ტაშისკართან დაუდო საზღვარი.

საქართველოს სამეფო-სამთავროთა სისტემას IX საუკუნის დასაწყისიდან შეუერთდა თბილისის საამირო, რომელმაც არაბთა ცენტრალური ხელისუფლებიდან გამოსვლისათვის ბრძოლა დაიწყო. არაბი ამირები საკუთარ დინასტიებს ქმნიდნენ და მიუხედავად მუსლიმური სჯულისა, არ იყვნენ მოწყვეტილი ქართულ გარემოს. მათ თბილისს გარდა ეპყრათ შიდა ქართლის ნაწილი და ქვემო ქართლი. თბილისი ინარჩუნებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი ცენტრის მდგომარეობას, იგი ჩართული იყო საერთაშორისო და საკუთრივ ქართული კუთხეების ვაჭრობაში. დინასტიისა და მუსლიმური ორიენტაციის მიუხედავად საამირო აქტიურად მონაწილეობდა ქართული პოლიტიკური ერთეულების ცხოვრებაში.

14. საზოგადოებრივი განვითარება და კულტურა IV-VIII სს-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV-VIII სს. ქართული საზოგადოება სტრაბონის მიერ აღწერილი საზოგადოების განვითარების, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგს წარმოადგენდა. ამ ეპოქაში გაგრძელდა თავისუფალ მეთემეთა — „ერის" დიფერენციაციის პროცესი. მისგან უკვე კარგახნის გამოყოფილი იყვნენ აზნაურები და „წვრილი ერი". არაწარჩინებული თავისუფალი უკვე „წვრილი ერია"და თავის მხრივ მისი დიფერენციაციაც მიმდინარეობს. ამ ეპოქაში დაიწყო „წვრილი ერის" დიდი ნაწილის „გაგლეხების" პროცესი, რომელიც კარგა ხნის შემდეგ დამთავრდა (XII-XV სს-ში).

IV-VI სს. ჩამოყალიბებული სახე მიიღო ფეოდალურმა ურთიერთობებმა, რასაც საეკლესიო მიწათმფლობელობამაც შეუწყო ხელი. „ფეოდი" მიწა იყო, რომელიც სამსახურის პირობით ეძლეოდა „შეწყალებულს". მისი ქართული სახელი „წყალობა" იყო. ნაწყალობევი ფეოდების გარდა აზნაურებს ძველისძველი სამკვიდრო მამულებიც ჰქონდათ, რომლებიც შეადგენდნენ მათი სიძლიერის წყაროს. ფეოდის გამცემი მეფე იყო, ასევე დიდაზნაურებიც გასცემდნენ ფეოდებს თავიანთ ვასალებზე. ფეოდის გამცემი ცდილობდა შეენარჩუნებინა მიწის გაცემის საფუძველი — შეწყალებულების სამსახური და ერთგულება. ფეოდის მიმღებთა უმეტესობა კი ცდილობდა სამსახურის პირობით ნაწყალობევი მიწა სამემკვიდრეოდ ექცია და ფეოდის მბოძებლის უზენაესი უფლებები ან სულ მოესპო, ან მინიმუმამდე დაეყვანა. არსებითად სწორედ ეს იყო მეფესა და დიდაზნაურებს შორის გაუთავებელი კონფლიქტების საფუძველი. საგარეო ძალები (ბიზანტია, ირანი, არაბები) უფრო ხშირად სწორედ დიდაზნაურებს უწყობდნენ ხელს, მემკვიდრეობით უმტკიცებდნენ მიწას და თავიანთი მეფის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. გაბატონებული ფენის სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობას ამ ეპოქაში „უფალ-მონობა" ერქვა (აქ „მონა" ვასალს ნიშნავს). სუსტი აზნაურები ძლიერს ეკედლებოდნენ, მისი „მონები" ხდებოდნენ. „უფალი" თავის მხრივ მფარველობდა მათ, აძლევდა მიწას „წყალობის" (ფეოდის) სახით.

ეპოქის მინურულს ჩამოყალიბება დაიწყო სენიორალურ-ვასალური ურთიერთდამოკიდებულების ფორმა „პატრონყმობამ“, რაც უფრო გაღრმავებული ბიზანტიური ურთიერთობის საფუძველზე მოხდა. იხვეწებოდა და მრავალსაფეხურიანი ხდებოდა ფეოდალური იერარქიის კიბური. „პატრონყმობამ“ კლასიკური სახე XI-XIII სს-ში მიიღო.

ქართული სახელმწიფოების კულტურა IV-VIII სს-ში ქრისტიანული კულტურა იყო. ახალმა რელიგიამ ბევრი რამ მოსპო ძველი, წარმართული წეს-ჩვეულებებიდან. უეჭველია, ამ დროს განადგურდა წინაქრისტიანული ხანის დამწერლობის ძეგლებიც, როგორც ეს არაერთ სხვა ქვეყანაში მოხდა. ამასთან, ქრისტიანობამ, როგორც წიგნიერმა რელიგიამ ახალ დამწერლობას და დამწერლობის ფართო გამოყენებას შეუწყო ხელი, ოღონდ უკვე საკუთარ, ქრისტიანულ ნიადაგზე. დაიხვეწა და ახალ საჭიროებებს მიესადაგა ქართული ანბანი, რომლის ჯერჯერობით აღმოჩენილი უძველესი ძეგლები V საუკუნით თარიღდება. ამ საუკუნის 30-იან წლებში, პალესტინაში არსებული ქართული მონასტრის იატაკზე მოზაიკით გამოუყვანიათ წარწერა. თვით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ წარწერებს შორის უძველესია ბოლნისის სიონის წარწერა.

V-VIII სს. იყენებდნენ ასომთავრულ ანუ მრგვლოვან დამწერლობას. იგი იხმარებოდა როგორც ქვაზე წარწერების შესასრულებლად (ლაპიდარული წარწერები), ისე წიგნებშიც, რომლებიც მაშინ საგანგებოდ გამოყვანილ ტყავზე (ეტრატზე) იწერებოდა. ეტრატი ძვირი ღირდა. ამიტომაც ძველ ნაწერს შლიდნენ და მასზე ახალი ტექსტი იწერებოდა. ასეთ ეტრატს პალიმფსესტი ეწოდებოდა. მკვლევარებმა ამოიკითხეს პალიმფსესტებში გადაშლილი ადგილები (ახალი ტექსტის ქვეშ) და V-VI სს. ზოგიერთი ქართული ტექსტიც აღადგინეს.

საღვთისმსახურო (ლიტურგიული) საჭიროებისათვის პირველ რიგში ითარგმნებოდა „სახარება“, „ბიბლია“ ფსალმუნითურთ. მალე გაჩნდა საკუთარი ქრისტიანული მწერლობა, რომლის დღემდე შემორჩენილი უძველესი ძეგლია იაკობ ხუცესის „წამება შუშანიკისი“. იგი V ს-ს განეკუთვნება. VI ს-ში შეიქმნა „ევსტათი მცხეთელის წამება“, ხოლო VIII-ში

იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“. ეს ნაწარმოებები ჰაგიოგრაფიის ჟანრს მიეკუთვნებოდნენ, სადაც აღწერილი იყო ქრისტიანობისათვის თავდადებულ, წამებულ პირთა ცხოვრება. საქართველოში, ანუ იმდროინდელ ქართლსა და ეგრისში, ფართოდ იყო გავრცელებული ფილოსოფია, რიტორიკული ხელოვნება. უცხოური წყაროები იცნობენ ეგრისის მცხოვრებთ, მჭერმეტყველებით რომ არაერთგზის უსახელებიათ თავი. IV ს. II ნახევარში, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ფილოსოფიის სიყვარულით და განათლებით ცნობილი იყო ქართველი მეფისწული ბაკური. ბერძნული ფილოსოფია, პოეზია თუ რიტორიკა განსაკუთრებით ვითარდებოდა ეგრისში. არის ცნობა, რომ ცნობილ ბერძენ რიტორებს ევგენიოსს და მის შვილს თემისტიოსს, განათლება მიუღიათ IV ს. ეგრისში, ფაზისის ახლომდებარე ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში.

V ს. I ნახევარში კონსტანტინოპოლში მძევლად წაიყვანეს და იქ გაიზარდა ქართველი მეფისწული მურვანოსი, შემდეგში მთელს იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსი პეტრე იბერი. მან რამდენიმე ქართული მონასტერი დააარსა პალესტინაში. აღსანიშნავია, რომ პალესტინაში თავისი მონასტერი ჰქონდათ „ლაზებსაც“ (ე. ი. ეგრისს).

ქრისტიანული რელიგია ხელოვნებაში გარკვეული მოთხოვნების დაცვას მოითხოვდა და ამიტომაც ყველა ქრისტიანი ხალხის შემოქმედებაში ბევრია საერთო. ამასთან, ყოველ ერს და ცხადია, ქართველებსაც თავისებური იერი და სული შეჰქონდათ ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებში.

უკვე V ს-დან იწყება ორფერდა სახურავიანი ეკლესიების, ე. წ. ბაზილიკების მშენებლობა. ისინი სვეტებით ნავებად (ნაწილებად) იყო გაყოფილი. სამნავიანი ბაზილიკის ნიმუშია ბოლნისის სიონი. უძველეს ბაზილიკებს განეკუთვნება ასევე ურბნისის ტაძარი, ხაშმის სამება, ანჩისხატის ტაძარი თბილისში და სხვ. VI საუკუნისათვის შემუშავდა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ახალი, „ჯვარის“ ტიპი. მისი უძველესი და უბრწყინვალესი ნიმუშია მცხეთის ჯვარის ტაძარი. იგი არის ჯვარის ფორმის გუმბათიანი

ნაგებობა. ბარელიეფებზე გამოსახულნი არიან ტაძრის მშენებლობის ინიციატორები — ერისმთავარნი სტეფანოზი და მისი ძმები ადარნერსე და დემეტრე, ადარნერსეს მცირეწლოვანი ძე ქობული. ეს ძეგლი საოცრად ერწყმის გარემოს, ფრიალო კლდეზეა აგებული და მთის სილუეტს გვირგვინად ადგას. ჯვარის ტიპის ტაძრები ფართოდ გავრცელდა ამის შემდეგ მთელს საქართველოში (მარტვილის ტაძარი, ატენის სიონი, ძველი შუამთის ეკლესია) და აქედან მეზობელ ქრისტიანულ სომხეთშიც.

ჯვარის ტიპის შემდგომი განვითარება იყო წრომის ტაძარი (VII ს.), სადაც შეინიშნება არქიტექტურული სიახლეები, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების სტილს.

ამ ეპოქის საერო ძეგლებიდან აღსანიშნავია ნაქალაქარების სახით შემორჩენილი უჯარმა, ჭერემი აღმოსავლეთში, ნოქალაქევი (ციხეგოჯი) დასავლეთ საქართველოში.

15. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის IX-X სს

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX საუკუნიდან დაიწყო არაბთა მიერ იარაღით შექმნილი უზარმაზარი იმპერიის დაშლა. სახალიფო სრულიად განსხვავებული კულტურის, განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხების ძალაზე დამყარებულ კონგლომერატს წარმოადგენდა. შინაგანი ძალების განკერძოებისაკენ მიდრეკილებამ და დაპყრობილი ხალხების ბრძოლამ სახალიფო დაასუსტა. სხვებთან ერთად ამიერკავკასიის ხალხებიც იბრძოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 816-837 წწ. ალბანეთში დიდი ამბოხება მოხდა დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელსაც ბაბეკი მეთაურობდა. მას ქართველებიც და სომხებიც ხელს უწყობდნენ. სოფ. გავაზთან (ყვარელთან) ბრძოლაში ქართველთა და ალბანელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დიდი მარცხი აგემა არაბებს.

ბაღდადის ხალიფებს აღარ ემორჩილებოდნენ საკუთრივ არაბი მმართველები დაპყრობილ ქვეყნებში. ერთ-ერთი ასეთი ურჩი ადგილობრივი მოხელე იყო თბილისის ამირა, რომელიც უკვე IX ს. დასაწყისიდან ცდილობდა ხალიფასაგან დამოუკიდებელი გამხდარიყო, რაშიც მას ქართველი მეფე-მთავრებიც ხელს უწყობდნენ. ერთის მხრივ ურჩი ამიერკავკასიის და მეორე მხრივ კი თავგასული ამირების დასასჯელად ხალიფამ გამოგზავნა სარდალი ბუღა თურქი დიდი ლაშქრით. ბუღა სისასტიკით გამოირჩეოდა და კიდეც ჩაახშო სახალიფოს წინააღმდეგ აჯანყებები სომხეთსა და ალბანეთში. იგი ჩვენს ქვეყანას მოადგა და 853 წლის 5 აგვისტოს თბილისში შევიდა. მან შეიპყრო თბილისის ამირა ისჰაკ იბნ-ისმაილი (ქართული წყაროებით საჰაკი) და მისი მოკვეთილი თავი ხალიფას გაუგზავნა, ტანი კი ქალაქის კედელზე გადმოჰკიდა სხვათა შიშის ზარის დასაცემად. ამ ფაქტზე მოგვითხრობს ატენის სიონის წარწერაც: „...ქალაქი, ტფილისი დაწვა ბუღა და შეიპყრა ამირაი საჰაკ და მოკლა“. ბუღამ ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილიც ამოწყვიტა და ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, ბუღას ლაშქარს 50 000 მცხოვრები შეეწირა. არაბთა მიერ

აყვანილ ტყვეთა შორის იყო ქართლის ერთერთი წარჩინებული კოსტანტი-კახა, რომელსაც არაერთგზის მოთხოვეს ქრისტიანული სჯულის დათმობა, მაგრამ მან არ მიიღო ეს წინადადება, რისთვისაც სიკვდილით დასჯეს.

არაბთა სახალიფოს მიერ მოწყობილი დამსჯელი ექსპედიციები მიზანს ვერ აღწევდნენ. ისინი თანდათან სუსტდებოდნენ, ხოლო ქართული სამეფო-სამთავროები ძალას იკრებდნენ და ნელნელა იხსნიდნენ თავს მათი ბატონობისაგან. X საუკუნის დამდეგს, 914 წელს ხალიფამ დიდი ჯარით გამოგზავნა სარდალი აბულ-კასიმი. მან მოაოხრა სამცხე-ჯავახეთი, აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, მაგრამ რაიმე სტრატეგიულ მიზანს ვერ მიაღწია. არაბთა ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო. არაბები დარჩნენ მხოლოდ თბილისში, რომელიც ფაქტობრივად ქალაქსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა მუსლიმი ამირებით სათავეში.

მას შემდეგ რაც ქვეყანამ ამოისუნთქა არაბთა ბატონობისაგან, იგი სწრაფად დაადგა სამეურნეო აღორძინებამოღონიერების გზას. დაიწყო მიტოვებული და დაუსახლებელი ადგილების ათვისება, სოფლის მეურნეობის დარგების-მემინდვრეობის, მევენახეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, მესაქონლეობის განვითარება. ამ პერიოდში გავრცელდა ჩვენში გუთანი, რომელმაც სრულყოფილი სახე მიიღო. დაიწყო დანგრეული და მიტოვებული წყალსადენების, ხიდების, გზების მასობრივი მშენებლობა-შეკეთება.

მშვიდობიანობამ და ეკონომიკურმა მოღონიერებამ სწრაფად გამოაცოცხლა საქალაქო ცხოვრება. IX-X სს. „ახალქალაქობის" ხანადაა ცნობილი. დაარსდა არაერთი ქალაქი და ქალაქური ტიპის დასახლება, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ. ახალქალაქები იყო დმანისი, თმოგვი, ახალციხე, რამდენიმე ახალქალაქი, ოლთისი. კვლავ მოღონიერდნენ რუსთავი, სამშვილდე, არტანუჯი, ხუნანი. დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი გახდა ქუთათისი, რომელსაც ეკონომიკურადაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უცხოელი ავტორები დიდად აქებდნენ ქალაქ თბილისს. გეოგრაფისა და მოგზაურის იბნ-ჰაუქალის ცნობით, თბილისი „არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვაგით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით იაფი ქალაქი... თბილისის მცხოვრებლებს

შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს...“

ქვეყნის განთავისუფლება საგარეო დამპყრობლისაგან, ეკონომიკური მოღონიერება, სხვადასხვა კუთხეთა კულტურულ-სარწმუნოებრივი და ეთნიკური ერთიანობა საფუძვლად დაედო ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეას. ქართველ ერს უკვე შეგნებული ჰქონდა თავისი ერთიანობა, დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებები ერთ სულიერ და ეთნიკურ სამყაროს შეადგენდნენ. გაერთიანება ქვეყნისა მწვავე ბრძოლის საგნად იქცა არა იმიტომ, რომ რომელიმე ქართულ პოლიტიკურ ერთეულს ეს არ სურდა, არამედ ყოველი მათგანი ლამობდა თვით ჩადგომოდა სათავეში ამ გაერთიანებას და თავისი ეგიდით შეედულაბებინა ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობა.

ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძოდა კახეთი, „ქართველთა სამეფო“, „აფხაზთა სამეფო“. ბრძოლის ძირითად ობიექტად იქცა ქვეყნის ცენტრალური ნაწილი-ქართლი. ვინც ქართლს დაეუფლებოდა, მას ხელთ ჰქონდა დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური უპირატესობა, რადგან ეს რეგიონი ქართველური სამყაროს შუაგულში მდებარეობდა. სწორედ ამიტომ იყო ასე გამძაფრებული „ბრძოლა ქართლსა ზედა“. ამ ბრძოლაში არა მხოლოდ სამხედრო ძალებს ჰქონდა მნიშვნელობა. აფხაზთა მეფეებმა ქართლთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად დიდი კულტურულ-პოლიტიკური ღონისძიებები ჩააატარეს. მათ ნელნელა მოუღეს ბოლო ბერძნულ-ბიზანტიურ საეპისკოპოსოებს დასავლეთ საქართველოში და მათ ნაცვლად ქართულენოვანი ეპარქიები დააარსეს, რომლებიც მცხეთის კათალიკოსს დაუქვემდებარეს. მანამდე წირვა-ლოცვა დასავლეთ საქართველოში ბერძნულად მიმდინარეობდა. ამ უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებამ კიდევ უფრო დაახლოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მოსახლეობა. ამასთან, კარგად ჩანს, თუ ვინ არიან თავისი კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებებით „აფხაზთა მეფეები“, რომელი ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებიან ისინი. აფხაზთა მეფეებმა არაერთი უკვდავი ძეგლი, ქართული წარწერებით შემკობილი, დაუტოვეს სამშობლოს, ქართველ ერს.

აფხაზთა სამეფო თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც ბიზანტიის ხელისუფლებისაგან თავისუფალი სახელმწიფო, საკმაოდ ძლიერი სამეფო ხელისუფლებით. მართალია, ბრძოლა „ქართლსა ზედა" ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ აფხაზთა სამეფომ ადგილობრივ ერისთავებთან, კახეთის ხელისუფლებასთან და სხვებთან ცხარე ბრძოლებში შეძლო შიდა ქართლის დაკავება და იქ თავისი ერისთავის დასმა.

X საუკუნის II ნახევარში გაძლიერდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო, განსაკუთრებით დავით III კურაპალატის დროს.

დავით კურაპალატი გამჭრიახი პოლიტიკოსი და ნიჭიერი მხედართმთავარი იყო და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ჰქონდა სახელი განთქმული. 979 წელს ბიზანტიის იმპერატორს ბასილი II-ეს სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. იმპერატორს გაუჭირდა ამბოხებული სარდლის დამარცხება და დახმარებისათვის დავითს მიმართა. მან 12 000 კაციანი ლაშქარი გაუგზავნა იმპერატორს თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის სარდლობით. ქართველების დახმარებით იმპერატორმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და დახმარების სანაცვლოდ დავით კურაპალატს დიდი მიწა-წყალი დაუთმო მისი სიცოცხლის მანძილზე. დავით III კურაპალატს საკუთარი მემკვიდრე არ ჰყავდა და მის შვილობილად ითვლებოდა თავისივე ნათესავი, ქართველთა მეფის შვილიშვილი ბაგრატ გურგენის ძე, რომელიც ფაქტობრივად სამი ტახტის მემკვიდრე იყო. ერთი, იგი იყო „ქართველთა მეფის" მემკვიდრე, მეორეც, თვით ტაოს პატრონის, დავით კურაპალატის მემკვიდრე და რაც მთავარია აფხაზთა სამეფოს მემკვიდრე. აფხაზთა სამეფოს ამ დროს მართავდა უსინათლო და უშვილო თეოდოსი, რომლის ღვიძლი დისწული იყო ბაგრატი. შეიქმნა იშვიათი სიტუაცია შედარებით უმტკივნეულოდ, დინასტიური გზით გაერთიანებისა. საამისო ინიციატივა წამოვიდა აფხაზთა სამეფოდან. აფხაზთა მეფის ერისთავმა ქართლში, იოანე მარუშის ძემ დავით კურაპალატს შესთავაზა მხარი დაეჭირა ბაგრატისათვის ქუთათისის ტახტზე ასაყვანად. გადაწყდა, რომ არასრულწლოვანი ბაგრატ III საუკეთესო კანდიდატურა იყო ქვეყნის უდიდესი ნაწილის (კახეთ-ჰერეთის და

თბილისის საამიროს გარდა) დინასტიური გზით გაერთიანებისათვის.

975 წ. დავით კურაპალატმა ქართლის აზნაურებს ბაგრატის მორჩილება უბრძანა.

978 წელს აფხაზთა სამეფოს დიდებულებმა ბაგრატ III ქუთათისში დიდი გამოჩინებით აკურთხეს მეფედ. იგი უკვე სრულწლოვანი იყო და „იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა".

ბაგრატ III-ის აფხაზთა მეფის ტახტზე ასვლით დაიწყო ახალი, დიდი ხანა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში. ბუნებრივია, ქვეყნის გაერთიანებას, უკეთ მის დასაწყისს, არა მხოლოდ მხურვალე მომხრეები, არამედ ძლიერი შინაური და საგარეო მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ერთი მხრივ, ეს იყვნენ საქართველოს წარჩინებულთა ის წრეები, რომელთა პრივილეგიებსაც ძლიერი სამეფო ხელისუფლებისაგან საფრთხე ემუქრებოდა, მეორე მხრივ კი ბიზანტია და მუსლიმი მეზობლები, რომელთაც არ სურდათ ერთიანი და ღონიერი საქართველო ჰყოლოდათ მოსაზღვრედ.

ბაგრატ III-მ უპირველეს ყოვლისა, თვით დასავლეთ საქართველოში პოზიციების განმტკიცება დაიწყო და თავისი ბრმა ბიძა, აფხაზთა მეფე თეოდოსი ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან, რათა სამეფოში განხეთქილების საფუძველი მოესპო. ამის შემდეგ მას გულდაჯერებულად შეეძლო ქართლის შემომტკიცებაზე ეზრუნა და 980 წელს კიდეც გადმოვიდა ქართლში იქაური „დაშლილი საქმეების" მოსაგვარებლად. ქართლის დიდაზნაურები, მართალია ცნობდნენ ბაგრატის დედის, გურანდუხტის ხელისუფლებას, მაგრამ რეალურად თვით განაგებდნენ ქვეყანას. მათ არ სურდათ ბაგრატ III-ის ქართლში შეშვება. ქართლის დიდაზნაურებს მეთაურობდა ქავთარ ტბელი, რომელიც თავის ძალებთან ერთად მოღრისის თავს დახვდა მეფეს. ბაგრატმა სძლია მათ, მივიდა უფლისციხეს, რომელიც დედამისმა ჩააბარა და დასავლეთ საქართველოში გაბრუნდა.

ბაგრატ III-ის ხელისუფლებისათვის ქართლში საფრთხეს ქმნიდა ბაღვაშთა სახლიც, რომლის მეთაური რატი, კლდეკარის ერისთავი იყო. რატის ეკავა ატენის ციხე, თრიალეთი, მანგლისისხევი და სკვირეთი. ბაგრატ III-ემ რატის

დამორჩილება მოინდომა და მალულად ჯარი შეკრიბა, ქართლს გადმოვიდა. მას განზრახული ჰქონდა რატის შეპყრობა. მეფის გაძლიერების მოწინააღმდეგეებმა ბაგრატ III-ესა და დავით კურაპალატს შორის შუღლის ჩამოგდება მოინდომეს და ამ უკანასკნელს აუწყეს, თითქოს ბაგრატი და მამამისი გურგენი სინამდვილეში არა რატის წინააღმდეგ, არამედ დავით კურაპალატის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მისი მოკვლაც კი ჰქონდათ განზრახული. დავით კურაპალატი აჰყვა ამ ხმებს და ლაშქრით გაემართა ბაგრატის წინააღმდეგ. მას თან ახლდა ბაგრატის პაპა ბაგრატ ქართველთა მეფეც. დავით კურაპალატის ლაშქარმა გურგენი გააქცია. ბაგრატ III თრიალეთს, კარუშეთში იდგა. შეტაკება ბაგრატსა და მის მამობილს შორის გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ დავით კურაპალატის ლაშქრის სიძლიერის გამო, ბაგრატმა ბრძოლას თავი აარიდა და მარტო მივიდა დავითთან. მან თითქოს დაარწმუნა დავით კურაპალატი, რომ მართლაც რატი ბალვაშის დასამორჩილებლად შეჰყარა ლაშქარი. შერიგება მოხდა და დავით კურაპალატმა რატის დამორჩილების დასტური მისცა ბაგრატს.

ამ ამბებამდე მცირე ხნით ადრე, 987 წ. დავით კურაპალატმა პოზიცია შეიცვალა და დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის წინააღმდეგ ამბოხებულ ბარდა ფოკას. აჯანყება კარგახანს გაგრძელდა. ბარდა ფოკა 989 წ. დამარცხდა, ხოლო 990 წ. ბასილი II-ემ დავით III კურაპალატის წინააღმდეგ გამოილაშქრა. დავითი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა იმპერატორს და პირობა დადო, რომ მისი სამფლობელო სიკვდილის შემდგომ ბიზანტიის იმპერიას ანდერძით გადაეცემოდა. ამ ფაქტმა შემდგომში საფუძველი დაუდო საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტს დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის.

989 წ. ზამთარში ბაგრატ III-ემ მოულოდნელად ილაშქრა რატი ბალვაშის წინააღმდეგ და კლდეკარს მიადგა. რატი იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა. მან თავისი შვილი ბაგრატს შეავედრა, თვითონ კი არგვეთის მამულში დაჯდა.

994 წ. გარდაიცვალა ბაგრატ II ქართველთა მეფე. მისი ძე გურგენი, ბაგრატ III-ის მამა ქართველთა მეფეთ-მეფე გახდა.

16. საქართველო XI საუკუნეში

ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ეპოქა უმნიშვნელოვანესი პერიოდია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. ეს იყო გამორჩეული ეტაპი, „ოქროს ხანა" ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან განსხვავებული სიძლიერით შეადუღაბა ქართული მიწები და მოუშლელი სიმყარე შეუქმნა ქართული ერთიანობის შეგრძნებას.

XI საუკუნეს საქართველო ერთიანი სახელმწიფოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მესვეურობით შეეგება.

1001 წელს გარდაიცვალა დავით III კურაპალატი და ბიზანტიის იმპერატორი ტაოში მოვიდა მისგან „ნაანდერძევი" მიწა-წყლის მისაღებად. ტაოელმა აზნაურებმა ციხეები ბასილი II-ეს გადასცეს. ამდენად, დავითის მემკვიდრეობა ბიზანტიას დარჩა, ხოლო ბაგრატ III-ემ და გურგენმა შესაბამისად კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულები მიიღეს მხოლოდ.

გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ (1008 წ.) ბაგრატმა მემკვიდრეობით მიიღო ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი და „აფხაზთა და ქართველთა მეფედ" გამოცხადდა. ამის შემდგომ ბაგრატ III-ემ თავისი ყურადღება კახეთ-ჰერეთის შეერთებისაკენ მიმართა. მან კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს ქსნის ხეობის ციხეების დაცლა მოსთხოვა და უარის მიღების შემდეგ კახეთი დალაშქრა. კახეთის დამარცხების შემდეგ ბაგრატი ჰერეთს გადავიდა და იქ თავისი მმართველი დასვა, მაგრამ მისი წასვლისთანავე ჰერეთის დიდებულებმა ქვეყანა ისევ დავით ქორეპისკოსოსს გადასცეს. ბაგრატ III იძულებული შეიქნა ისევ ელაშქრა კახეთ-ჰერეთზე და 1008-1010 წლების განმავლობაში კახეთი მთლიანად დაიპყრო, დავით ქორეპისკოპოსის მემკვიდრე კვირიკეც თავის კარზე წამოიყვანა.

ქვეყნის გაერთიანება-ცენტრალიზაცია სხვა გადამჭრელ ღონისძიებებსაც ითხოვდა მეფისაგან. ბაგრატმა 1010 წელს ფანასკერტის ციხეში მოიწვია კლარჯი ხელმწიფეები სუმბატ და გურგენ, თავისი უახლოესი ნათესავები და შეიპყრო ისინი.

საქართველოს გაერთიანების წარმატებას დიდად აბრკოლებდა განძის ამირა ფადლონი, რომელიც სისტემატურად თავს ესხმოდა და აოხრებდა აღმოსავლეთ საქართველოს. ბაგრატ III-ემ სომეხ მოკავშირეებთან ერთად 1011-1012 წწ. დალაშქრა ფადლონის სამფლობელო რანი და აიძულა იგი ზავი ეთხოვა და ხარკი ეკისრა.

ბაგრატ III-ის მეფობის მიწურულს საქართველო (თბილისის საამიროს გარდა) არსებითად გაერთიანებული იყო, მაგრამ ეს პროცესი რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო გახანგრძლივდა. 1014 წ. ბაგრატ III, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გარდაიცვალა. „ქართლის ცხოვრების" შეფასებით: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არვინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა' კაცთათვის".

ტახტზე ახალგაზრდა გიორგი I (1014-1027 წწ.) ავიდა.

გიორგი I-მა თავისი პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად დავით III კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნება დაისახა, რამაც უაღრესად გაართულა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან. ამასთან, კახეთ-ჰერეთის დიდებულებმა ისარგებლეს ამ მომენტით და კვლავ გაეცალკევნენ „აფხაზთა და ქართველთა" მეფის ხელისუფლებას.

გიორგი I-მა მოხერხებულად ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით. ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II 1014-1016 წწ. ბულგარელებს ეომებოდა და აღმოსავლეთის საზღვრებისათვის არ ეცალა. გიორგიმ დაიკავა სადავო ტერიტორია.

მას შემდეგ, რაც დასავლეთში საქმე მოილია, ბიზანტიის ხელისუფლებამ აღმოსავლეთის საკითხს გადახედა და ლაშქრობა წამოიწყო დავით III კურაპალატის მიერ „ნებაყოფლობით" დათმობილი ტერიტორიების კვლავ შემოსაერთებლად. საქართველოს ინტერესებისათვის გიორგი I არ დაერიდა კავშირს მუსლიმ მფლობელებთან ბიზანტიის წინააღმდეგ, რაც არ გამოპარვია მხედველობიდან „ერთმორწმუნე" იმპერიას. 1021 წელს ბასილი II დიდძალი ჯარით გამოემართა საქართველოსაკენ. საბრძოლოდ მზად იყო საქართველოს მხედრობაც. ომი ბასიანში იყო მოს-

ალოდნელი, მაგრამ გიორგი I-მა უკან დაიხია და დასწვა ქალაქი ოლთისი, რათა იგი მტერს ბაზად არ გამოეყენებინა. ქართველთა ლაშქარი კოლას მოვიდა. მათ [illegible] სდევდა იმპერატორი ბასილ II. სოფელ შირიმნთან მოხდა ბრძოლა, სადაც ერთმანეთს შეება ბიზანტიელთა ავანგარდი და ქართველთა არიერგარდი. ორივე მხრივ დიდი იყო ზარალი. ბრძოლაში დაიღუპნენ ლიპარიტის ძე რატი და ხურსი. გიორგი მეფემ გვიან გაიგო არიერგარდის ბრძოლის შესახებ და უკან მიბრუნდა. დიდი ბრძოლის შემდეგ გასაქცევად გაემზადა ბასილი იმპერატორი. წყაროს („მატიანე ქართლისა") ცნობით, ქართველებმა სულმოკლეობა გამოიჩინეს და ბრძოლას გაერიდნენ. ამან ბიზანტიელებს სულისმოთქმის საშუალება მისცათ. ისინი უკან გამოუდგნენ ქართულ ლაშქარს და მოაოხრეს ქართული პროვინციები.

ბასილი II-ემ თრიალეთიდან უკან დაიხია, გაიარა ჯავახეთი და არტაანი და მოაოხრა ეს ოლქები. ბიზანტიელთა ლაშქარმა ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად დაიზამთრა. დაიწყო მოციქულთა გაცვლა-გამოცვლა საზავო ხელშეკრულების დასადებად. სწორედ ამ დროს მივიდა ცნობა, რომ ბასილი II-ეს აუჯანყდნენ ქსიფე და ფოკა.

გიორგი I-მა ისარგებლა ამ ჯანყით და კვლავ საომარი მოქმედებისათვის დაწყო მზადება. საქართველოს მეფეს არ გაუმართლა ამ იმედმა. ბასილი II-ემ შესძლო ამბოხების ჩახშობა და აჯანყებული ფოკას თავი გიორგი I-ს გაუგზავნა.

1023 წ. ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის ზავი დაიდო, რომელიც მძიმე იყო საქართველოსათვის. ბიზანტიელებმა დაიკავეს ყველა ციხე, რომელიც მანამდე სხვადასხვა პირობით ჰქონდათ დაჭერილი, დავით III კურაპალატის ნაქონები ქვეყანა და ასევე სამი წლით მძევლად წაიყვანეს საქართველოს ტახტის მემკვიდრე, გიორგი I-ის ვაჟი, მცირეწლოვანი ბაგრატი.

გიორგი I-მა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავგანწირული მებრძოლი იყო საქართველოს ერთიანობისათვის, ვერც დავით კურაპალატის სამკვიდრო დაიბრუნა და კახეთ-ჰერეთიც დაკარგა.

გიორგი I, სრულიად ახალგაზრდა 1027 წელს გარდა-

იცვალა. სამეფო ტახტზე მისი მცირეწლოვანი მემკვიდრე, ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) ავიდა.

ბაგრატ IV-ის ხანგრძლივი მეფობა საქართველოს ერთანობისათვის თავგანწირული ბრძოლის ხანაა. მისი მეფობის დასაწყისშივე იჩინა თავი ორიენტაციათა ბრძოლამ. ბევრი მისი ქვეშევრდომი ტაოდან ბიზანტიელებს მიუვიდა. 1028 წ. ქვეყანას ბიზანტიელთა ლაშქარი შემოესია. ბაგრატ IV-ს, საბედნიეროდ მოწინააღმდეგეებთან ერთად მომხრეებიც არაერთი ჰყავდა. ასეთი იყო კერძოდ, ეპისკოპოსი საბა მტბევარი, რომელმაც შავშეთში ციხე ააგო და მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამის შემდგომ მტბევარ ეპისკოპოსებს ერისთავის ხარისხიც ებოძათ.

ბაგრატ IV-ის დედა დედოფალი მარიამი მშვიდობას ეძიებდა ბიზანტიელთაგან. იგი კონსტანტინოპოლს ჩავიდა და თავის ვაჟს, ბაგრატ IV-ს კურაპალატის ხარისხი და ბიზანტიელი მეუღლე, ელენე მოუპოვა. მცირე ხნის შემდეგ ელენე დედოფალი გარდაიცვალა. ბაგრატ IV-ემ ცოლად შეირთო ოსთა მეფის ასული ბორენა. ეს ნაბიჯი ცხადია, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ჩრდილოეთ კავკასიის ძალების საქართველოს სასიკეთოდ გამოყენებისათვის იყო გამიზნული.

ბიზანტიის იმპერია ვერ ელეოდა მბრძანებლური პოზიციების დაკარგვას საქართველოში. მისი აგენტები შეუჩნდნენ ბაგრატის ნახევარძმას, დემეტრეს, რომელიც ანაკოფიის ციხეს ფლობდა აფხაზეთში. დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა და ციხეც მათ ჩააბარა. ანაკოფიის სტრატეგიული სიმაგრის დაბრუნება დიდი პრობლემა შეიქნა ქართველი მონარქებისათვის.

საქართველოსათვის გამართულ ბრძოლებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თბილისის საამიროს, რომელიც ცალკე ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ სახელმწიფოს ტერიტორია ნელნელა იკლებდა და XI საუკუნისათვის იგი ქალაქ თბილისითა და მის გარშემო ტერიტორიის საკმაოდ ვიწრო ზოლით შემოიისაზღვრებოდა.

საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი ბაგრატ IV, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თბილისსა და მის რეგიონს. ამასთან, თბილისისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ

ბალვაში. ლიპარიტი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ამ ეტაპზე მეფისადმი ერთგულებას უსვამდა ხაზს და თბილისათვის ბრძოლაც მეფისადმი კეთილგანწყობის საბუთად მოჰყავდა. 1032 წ. ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ~~ერისთავ~~ ერისთავმა ივანე აბაზას ძემ თბილისიდან ~~გამოიტყუეს~~ ამირა ჯაფარი და შეიპყრეს იგი. დატყვევებულ ამირა ჯაფარს იოლად ჩამოართვეს ბირთვისის ციხე. აქ თავი იჩინა შინაპოლიტიკურმა უთანხმოებამ და მეფემ შეიწყალა ამირა, იგი კვლავ აუფლეს თბილისზე. რამდენიმე წლის შემდეგ ლიპარიტ ბალვაშმა კვლავ შესთავაზა მეფეს თბილისზე გალაშქრება. ქალაქს ალყა შემოარტყეს, რაც ორი წელიწადი გაგრძელდა. თბილისელთა მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მისმა ზედაფენამ გადაწყვიტა ქალაქის მეფისათვის გადაცემა. ასეთ სიტუაციაში ბაგრატ IV-ემ ქალაქს ზავი შესთავაზა. ეს ზავი პირდაპირ იყო მიმართული ლიპარიტ ბალვაშის წინააღმდეგ, რომლის მხარდაჭერის გარეშეც ქალაქის აღება შეუძლებელი იყო. წყაროს („მატიანე ქართლისა") ცნობით, აფხაზთა სამეფოს დიდებულებმა, ლიპარიტ ბალვაშისაგან ფარულად ურჩიეს მეფეს თბილისის ამირასთან ზავის დადება და დაამკვიდრეს ამირა თბილისში. ამის შემდეგ ლიპარიტ ბალვაში „პატრონის", ე. ი. მეფის „ქუეგამხედვარად" იქცა.

1046 წ. თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა. ვინაიდან ამირათა დინასტიას გამგრძელებელი აღარ აღმოაჩნდა, ხელისუფლება „თბილელი ბერების", ქალაქის მმართველი არისტოკრატიის ხელში გადავიდა. „ქალაქის ბერები" ძლიერ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეძიებდნენ და ამიტომაც მიმართეს ბაგრატ IV-ს, დაეკავებინა ქალაქი. სწორედ ამ დროს, ბაგრატ IV ანაკოფიის ალყით იყო დაკავებული. ბაგრატმა თავი ანება ანაკოფიის ციხეს და თბილისისაკენ გაილაშქრა. „ქალაქის ბერები" საქართველოს მეფეს დაკაზმულნი მიეგებნენ დილმის ველზე და ქალაქის კლიტეები მიართვეს. ბაგრატ IV დიდი ზეიმით შევიდა თბილისში. მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა არ ისურვა მორჩილება და ისანში გამაგრდა. ბაგრატის სათაყვანოდ ისნის ველზე გამოცხადდნენ კახთა მეფე გაგიკი და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი. ბაგრატმა

ითაყვანა კახელები და მშვიდობით გაისტუმრა ისინი.

მეფის მიერ თბილისის აღება არაფრად ეპიტნავა ლიპარიტ ბაღვაშს. მან ანისის კარს შეიპყრო მეფის მომხრეები, და ბაგრატ IV იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ქალაქი. ლიპარიტს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდა ბიზანტიის მთავრობა. მათ ლაშქარიც გამოუგზავნეს მეფის მოწინააღმდეგე ერისთავს. ამ ლაშქრის უკან გაბრუნების შემდეგ ლიპარიტი დაეზავა ბაგრატს და მანაც ურჩ ვასალს ქართლის ერისთავობა უბოძა. მცირე ხნის შემდეგ ბაღვაში კვლავ აუმხედრდა მეფეს. ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის ბრძოლამ ფრიად ულირსი ხასიათიც კი მიიღო.

1048 წ. ლიპარიტ ბაღვაში თურქებს ჩაუვარდა ტყვედ და მეფემ მცირედ ამოისუნთქა. მან კვლავ დაიკავა თბილისი, მაგრამ ლიპარიტის ტყვეობიდან განთავისუფლებისთანავე იძულებული გახდა დაეტოვებინა იგი.

ბაგრატ IV-ემ, რაკი ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლით ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა ბიზანტიას გამგზავრებულიყო და იქ, ლიპარიტის მფარველებთან ეძია სამართალი. ბაგრატი სამ წელიწადს გააჩერა კონსტანტინოპოლში იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა და შემდეგ უკანვე გამოისტუმრა. მეფის საქართველოში არყოფნის ჟამს ლიპარიტმა რუისს მეფედ აკურთხა ტახტის მემკვიდრე, მცირეწლოვანი გიორგი II.

ამ ხანებში, კერძოდ 1054 წელს მოხდა საბოლოო განხეთქილება კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და რომის პაპს შორის, რამაც მართლმადიდებლური და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების დაშორება-განცალკევება გამოიწვია. საქართველოს თავიდან არ გამოუთქვამს თავისი მკვეთი პოზიცია ამ ფაქტის გამო. იგი ნელნელა დადგა ბიზანტიური მართლმადიდებლობის მხარეს.

ბიზანტიის იმპერატორის შუამავლობით, XI ს. 50-იან წლებში ლიპარიტ ბაღვაში მესხეთის ხელისუფლად შეიქნა, მაგრამ მცირე ხნით. მესხ დიდაზნაურებს მობეზრდათ ბაღვაშის მბრძანებლობა და სულა კალმახის ერისთავის მეთაურობით იგი დლივს შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. ლიპარიტმა თავისი ძე ივანე მეფეს შეავედრა, თვითონ

ბერად აღიკვეცა და ბიზანტიას წავიდა.

ამის შემდგომ ბაგრატ IV-ემ შესძლო აბაზასძეთა დიდებული გვარის დამარცხებაც 1060 წელს. თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია მან კახეთისა და ჰერეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიც: აიღო ყველა ციხე-სიმაგრე, გარდა კვეტარისა და ნახჭევანისა.

ამასობაში მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ასპარეზზე ახალი მოვლენები მომწიფდა. გამოჩნდა დიდი დამპყრობელი ოღუზური მოდგმის თურქების, სელჩუკიანთა სახით. მათ 1055 წელს ბაღდადი აიღეს. ხალიფა იძულებული გახდა სელჩუკიანთა მეთაური თოღრულ-ბეგი სულტნად დაელოცა. 1071 წელს მანაზკერტის ბრძოლაში თოღრულის მემკვიდრემ ალფ-არსლანმა გაანადგურა ბიზანტიის ჯარი და ტყვედ იგდო იმპერატორი რომანოზ დიოგენი. 1074 წ. ზავით ბიზანტიის იმპერიამ თავისი აღმოსავლეთის პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი სელჩუკიანებს „დაუთმო". 1064 წ. სულტანი ალფ-არსლანი საქართველოს შემოესია. მან ახალქალაქი აიღო, მაგრამ დიდი ზარალი ნახა და ბაგრატ IV-ს მშვიდობა და მოყვრობა შესთავაზა — დისწული თხოვა ცოლად. 1066 წ. ბაგრატმა მიათხოვა თავისი დისწული სულტანს, ხოლო მცირე ხნით ამაზე ადრე, თავისი ქალიშვილი მართა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრეს, მომავალ იმპერატორს მიხეილ VII დუკა პარაპინაკს გააყოლა მეუღლედ. მძიმე განსაცდელის ჟამს საქართველოს მეფე ცდილობდა მოყვრული კავშირებით განემტკიცებინა ქვეყნისა და თავისი მდგომარეობა.

სულტანმა ალფ-არსლანმა საქართველოს მეზობლად მრავალი მომხრე გაიჩინა. მათ შორის იყო ანისის გამგებელი აბულასვარი, რომელიც საქართველოს შემოესია. ამის პასუხად ბაგრატ IV-ემ ბარდავი დაარბია. სულტანი ალფ-არსლანი 1068 წ. საქართველოს დასასჯელად გამოემართა. მას მხარში ამოუდგა ბაგრატ IV-ის ყველა არაკეთილმოსურნე, მათ შორის აღსართან კახთა მეფე, სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა ჯაფარი. მარბიელმა ლაშქარმა სასტიკად მოაოხრა ქართლი და ზემო იმერეთი. მძიმე ზამთარმა დამპყრობლები შეაწუხა. ბაგრატ IV-ემ ზავი ითხოვა.

სულტანმა ზავის პირობად ხარკის დადება გადაწყვიტა, რაც საქართველოს მეფემ არ მიიღო. ალფ-არსლანის ლაშქარმა ვერ გაუძლო ფიცხელ ზამთარს და დასტოვა ქვეყანა. ამასთან მან თბილისი და რუსთავი განძის ამირა ფადლონს გადასცა. 1069 წ. გაზაფხულზე ბაგრატ IV-ემ სასტიკად დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო ამირა ფადლონი, ხოლო თბილისი ჩააბარა ქალაქის ამირათა ჩამომავალს, ვინმე სითლარაბს.

სელჩუკიანთა ორგზისი ლაშქრობის შედეგად, საქართველოს სამხრეთ რაიონებში ჩამოსახლება იწყეს თურქულმა ურდოებმა, რომელთაც მხარს უმაგრებდნენ ანატოლიაში დამკვიდრებული თანამოძმენი. სომხური მიწებისა და ბიზანტიის მძიმე მარცხის შემდგომ საქართველო ფაქტობრივად ეულად შერჩა მომხდურ ძლიერ ძალას.

ასეთ უმძიმეს ვითარებაში, 1072 წ. ბაგრატ IV გარდაიცვალა. ტახტზე მისი მემკვიდრე გიორგი II (1072-1089 წწ.) ავიდა. გიორგის მხოლოდ ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი დასცალდა მშვიდობიანად ყოფნა. 1073 წ. სამეფოს უპირველესმა წარჩინებულებმა, ნიანია ქუაბულის ძემ, ივანე ლიპარიტის ძემ და ვარდან სვანთა ერისთავმა ისარგებლეს მეფის ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით და ქვეყანა აუშალეს. ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიმხრო და ქსანს დადგა საომრად, ნიანია ქუაბულის ძემ აიღო სამეფო დედაქალაქი ქუთაისი და მისი საჭურჭელ, ხოლო ვარდან ერისთავმა სამხედრო ძალები გაუსია სამეგრელოს, რომელიც მეფეს ერთგულობდა.

გიორგი II-ეს სხვა არაფერი დარჩენოდა, წყალობით დაამშვიდა ამბოხებულნი. მათ დიდძალი საბოძვარი მიიღეს. როგორც ჩანს, გიორგი II-ეს იმხანად არ შესწევდა ძალა სხვაგვარად მოეყვანა გონს აჯანყებულნი. მცირე ხნის შემდეგ ივანე ბალვაშმა კლდეკარი და სამშვილდე გამოსძალა მეფეს.

საგარეო ვითარების უკიდურესი გამწვავების პირობებში გიორგი II ცდილობდა როგორმე შინაგანი სიმშვიდე შეენარჩუნებინა, რაც ხშირად დიდი დათმობების ფასად იყო მხოლოდ შესაძლებელი.

საქართველოს სამეფოს უპირველესი წარჩინებული ივანე

ლიპარიტის ძე ბალვაში კვლავ აგრძელებდა თავის საგვარეულოს „ტრადიციებს“ მეფესთან ბრძოლაში. ერთხანს იგი ალფ-არსლანის მემკვიდრის, მალიქ შაჰ-სულტანის (1072-1092 წწ.) მხარეს გადავიდა და თავისი ვაჟი ლიპარიტიც მიაგება მას, მაგრამ შემდეგ სულტანსა და ბალვაშებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ლიპარიტი მალიქ შაჰს გამოეპარა. სულტანმა აიღო სამშვილდის ციხე, სადაც ივანე ბალვაში იყო გამაგრებული და თვით ივანე, ცოლშვილით, შვილიშვილით და აზნაურებით ტყვედ იგდო.

1074 წ. გიორგი II-ემ შესძლო გარკვეული წარმატებისათვის მიეღწია და ფარცხისთან დაამარცხა სულტნის სარანგი (სარდალი). ამასთან, მეფემ ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის არასახარბიელო ვითარებით და დაიბრუნა მათგან წართმეული ანაკოფია, აფხაზეთის თავადი ციხე და ასევე არაერთი ციხე კლარჯეთში, შავშეთსა და არტაანში. ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი სარდლის გრიგოლ ბაკურიანის ძის დახმარებით მან აიღო ქალაქი კარი, ვანანდისა და კარნიფორის სიმაგრეები.

ისტორიოგრაფიაში გიორგი II-ეს ხშირად ხატავენ როგორც უნიათო მეფეს, სახელმწიფოს მართვის ნიჭს მოკლებულ პიროვნებას. ეს ასე არ არის. გიორგი II, როგორც კი კონკრეტული სიტუაცია ხელს უწყობდა, არაერთ წარმატებას აღწევდა. უთუოდ ანგარიშგასაწევია, რომ მას სელჩუკიანთა აგრესიის აღმავალ ტალღასთან ჰქონდა საქმე და ასეთ ვითარებაში შთამბეჭდავი შედეგების მიღწევა სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, არ იყო იოლი ამოცანა.

კარის აღებამ მალიქ შაჰის მწვავე რეაქცია გამოიწვია. მან ამირა აჰმადი დიდი ლაშქრით გამოგზავნა საქართველოში. სელჩუკებმა კარი აიღეს, თავს დაესხნენ ჯავახეთში მდგარ მეფეს და დაამარცხეს იგი. ქვეყანას მარბიელი ჯარი მოედო. მათ დიდძალი ალაფი აიღეს და დაუნდობლად მოაოხრეს ასისფორნი, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი, დაწვეს ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბნონი. ეს მოხდა 1080 წელს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, დაიწყო „დიდი თურქობა“, რამაც აურაცხელი უბედურება მოუტანა საქართველოს. „ესევითარი ჭირი“ ყოველწლიური გახდა. გაზაფხუ-

ლის დადგომისას თურქები შემოდიოდნენ, „მოჭამდნენ ქვეყანას“ და ზამთრის დადგომისას მიდიოდნენ. ვაცთა სამყოფელი ტყედ იქცა, ხვნა-თესვა მოიშალა. ტრადიციულ ქართულ მეურნეობას განადგურება-გადაშენების საფრთხე დაემუქრა. თურქ-სელჩუკები დედაწულითა და ჯოგებით მოდიოდნენ და მაღალგანვითარებული მეურნეობის ადგილზე მომთაბარულ-მეჯოგურ მეურნეობას ამკვიდრებდნენ.

საქართველოს, და არა მხოლოდ მას, სამხედრო ძალით უჭირდა ვითარების გამოსწორება. არსაიდან იყო „ხსნისა და შეწევნის ღონე“. ბიზანტიასაც რეალურად არაფერი შეეძლო, რადგან მათი ძალაც „შემცირებულ იყო“ და მისი აღმოსავლეთი პროვინციები თურქებს ეპყრათ. ასეთ ვითარებაში გიორგი II-ემ სამეფოს დიდებულებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა მალიქ შაჰს ხლებოდა და ქვეყნის დასახსნელად ღონე ეძებნა. ეს ნაბიჯი თავგანწირვის ტოლფასი იყო, რადგან არავინ იცოდა, რა ბედი ეწეოდა მეფეს. გიორგი II ისფაჰანს ჩავიდა და მალიქ შაჰს წარუდგა. სულტანი მალიქ შაჰი, მამამისის ალფარსლანისაგან განსხვავებით, ქრისტიანი მეზობლებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა და გიორგი II-ეს ყოველწლიურ ხარკზე დაეთანხმა. საქართველოს მეფემ იმის პირობაც ითხოვა, რომ მისი სამეფო მარბიელთაგან გაენთავისუფლებინათ. სულტანმა გიორგის კახეთ-ჰერეთიც „უბოძა“ და ჯარიც გამოატანა ამ „საბოძვრის“ დასაპყრობად. გიორგი II და სელჩუკიანთა ლაშქარი ვეჟინის ციხეს მოადგნენ. ვეჟინის ალყისას მეფემ აჯამეთის ნადირობა მოიმიზეზა, მიატოვა სელჩუკიანთა ლაშქარი და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

თურქ-სელჩუკების მიერ ქვეყნის მრავალგზის მოოხრებას ზედ დაერთო დიდი სტიქიური უბედურებაც. 1089 . დიდი მიწისძვრა დაიწყო, რომელიც საისტორიო წყაროს ცნობით, თითქმის მთელი წელიწადი გაგრძელდა და ისედაც გაოხრებული ქვეყანა კიდევ უფრო გააპარტახა.

გიორგი II-ემ, როგორც ჩანს, ველარ გაუძლო ყოველმხრივ თავსდატეხილ განსაცდელს და გადაწყვიტა თავისი ერთადერთი მემკვიდრე, 16 წლის დავით IV აეყვანა ტახტზე. 1089 წელს მან თვით აკურთხებინა დავითი მეფედ და

ხელისუფლება მას გადასცა. გიორგი II ამის შემდეგაც, სიკვდილამდე (დაახ. 1112 წ.) ატარებდა მეფეთ-მეფისა და „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალის კესაროსის" (ვეის-რის) ტიტულებს.

17. ქართული კულტურა IX-XI სს-ში

IX-XI სს. ქვეყნის ისტორიული განვითარება ძირითადად პოლიტიკურ სხეულად გაერთიანების ნიშნით მიმდინარეობდა. თავის მხრივ გაერთიანების პროცესი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საფუძვლებისა და ინტერესების გარდა, უპირველეს ყოვლისა ემყარებოდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ საერთო ქართულ თვითშეგნებას, ენობრივი, კულტურულ-ისტორიული და სარწმუნოებრივი ერთობის მყარ გააზრება-გაცნობიერებას. ამ ეპოქაში დასრულდა აღმოსავლურ-ქართული (იბერები, კახები, ჰერები) და დასავლურ-ქართული (მეგრელები, სვანები, აფხაზები) ეთნოსისტემების ერთიან ქართველ ერად (ხალხად) ჩამოყალიბების პროცესი. IX საუკუნისათვის ქართული ენა, ერთ-ერთი ქართველური ენებიდან (საკუთრივ ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური), გახდა ღვთისმსახურების, სახელმწიფოებრივი მართვისა და კულტურის ერთადერთი ენა ქართლში, კახეთში, ჰერეთში, ტაო-კლარჯეთში, დასავლეთ საქართველოში. ქვეყნის სარწმუნოებრივ-კულტურულმა ერთიანობამ შეამზადა ერთიანი სახელმწიფოს — „ყოველი საქართველოს" შექმნა. უკვე IX ს. შუახანების ვითარების ამსახველია პოლიტიკური „ქართლის", ანუ „ყოველი საქართველოს" ამსახველი ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (გიორგი მერჩულე).

ქართულ ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველური სამყაროს შეკვრა-შედუღაბების საქმეში. მას მიუძღვნა ცნობილი საგალობელი X ს. მწერალმა იოანე-ზოსიმემ — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომელშიც იგი მშობლიური ენის მსოფლიო მნიშვნელობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ იმ დროს „ენა" „ერსაც" აღნიშნავდა და იოანე-ზოსიმეს თავისი ერიც „ღვთის რჩეულ" ერად მიაჩნდა.

უკვე ამ საუკუნეებში ჩამოყალიბდა სრულიად მკაფიო დოქტრინა „ქართველთა ნათესავის" (ერის) დიდი მისიის შესახებ, რაც „ბიზანტინიზმს" და მის შეუვალ კულტურულ-პოლიტიკურ გავლენას უპირისპირდებოდა. ეს დოქტ-

რინა ემყარებოდა, ერთი მხრივ, წინარე ხანის ეროვნული იდეოლოგიის წარმომადგენლებს და მეორე მხრივ, ეროვნული ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებს, ქართველთა თვითმყოფადობის, მისი ახალი როლის აცნობიერებას ბიზანტიასთან „ჭიდილის“ ფონზე. ქართული ეროვნული ენერგიის მკაფიო გამოვლენა შეუძლებელი იყო, თუ საქართველო ბიზანტიის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ პირველ რიგში კულტურული მეურვეობისაგან არ განთავისუფლდებოდა. ამ იდეას ემსახურებოდა ქართველების „საზეპურო ერად“ (რჩეულ ერად) გამოცხადების კონცეფცია, ქართული ეკლესიის უპირატესობის წინ წამოწევა და საქართველოს „მესამე რომად“ აღიარებასთან მიახლოება.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იდეოლოგიურად მზადდებოდა საზღვარგარეთის ქართულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებში, სადაც ღრმა ქრისტიანული და ეროვნული მოღვაწეობა იყო გაჩაღებული. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ათონის სავანე, რომელიც X ს. მიწურულს დააარსა იოანე მთაწმინდელმა და სადაც მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი ათონელები. ათონის ქართული აკადემია საუკეთესო კულტურულ ძალებს აერთიანებდა. მათ მიზნად დაისახეს ქართულ ენაზე გადმოეღოთ მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა. სწორედ აქ შეიქმნა თუ ითარგმნა ჩვენი ძველი მწერლობის საგანძურის მომეტებული ნაწილი. აქვე შეიქმნა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა. სწორედ ქართულ სავანეებში, განსაკუთრებით ათონზე ჩაღდება ქართული ეროვნული იდეოლოგიის შემუშავება.

ათონელთა მოღვაწეობა, გაერთიანებული სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკური დოქტრინა და მისი ისტორიული დასაბუთება ერთ მთლიან კონტექსტად მოიაზრება. უფრო მეტიც, იზიდებოდა დიდი კავკასიური სახელმწიფოს საქართველოს მეთაურობით შექმნის კულტურულ-იდეოლოგიური დასაფუძვლების კონტურები, რის პრაქტიკულად განხორციელებასაც ერთიანი საქართველოს მეფეების მთელი მოღვაწეობა მიეძღვნა.

XI ს. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო იერუსალიმის ჯვარის მონას-

ტრის დაარსება (40-50 წწ.), რომელიც ასევე იქცა ქართული მწერლობის მძლავრ კერად. ამასთან, ქრისტიანული სამყაროს ცენტრში სავანის დაარსება ქართული სახელმწიფოს პრესტიჟის დამადასტურებელიც იყო.

საგანგებოდ ქართველთათვის დააფუძნა პეტრიწონის მონასტერი ბიზანტიაში მოღვაწე ქართველმა, დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ 1083 წელს, სადაც მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

IX-XI სს. შეიქმნა ქართული მწერლობის უძვირფასესი ძეგლები: ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", ასევე არაერთი ჰაგიოგრაფული ნაწარმოები, მაგ. უცნობი ავტორის „კოსტანტი-კახას მარტვილობა", სტეფანე მტბევარის „მიქელ-გობრონის მარტვილობა" და სხვ.

დიდად განვითარდა მწერლობის ცალკე დარგი, საასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და სხვ. მიქაელ მოდრეკილმა ჰიმნოგრაფიული კრებულიც შეადგინა სათანადო სამუსიკო ნიშნებით.

მეცნიერების დარგებიდან განსაკუთრებით დაწინაურდა ფილოსოფია და ისტორია. ამ პერიოდში შეიქმნა ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ნიმუში „სიბრძნე ბალავარისი", რომელიც ბუდას შესახებ თქმულების ქართველი მწერლის მიერ გადამუშავებას წარმოადგენდა. ეს ნაწარმოები ექვთიმე ათონელმა ბერძნულად თარგმნა, იმავე საუკუნეში ის ლათინურად ითარგმნა და მთელს იმდროინდელ ევროპას მოედო.

IX-XI სს. ქართული საისტორიო მწერლობის აყვავების ხანა იყო. IX ს. რედაქცია გაუკეთეს და შეავსეს „მოქცევაი ქართლისაი", რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას გადმოგვცემდა უძველესი დროიდან IX ს-მდე. XI ს-ში შეიქმნა და შემდეგ „ქართლის ცხოვრების" კრებულში მოხვდა „მატიანე ქართლისა", სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა", ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა", ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა".

აღნიშნულ ეპოქაში წიგნებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ წარმოშვა სწრაფი წერის პრაქტიკა, ამან კი გამოიწვია ქართული მრგვლოვანი დამწერლობის ნუსხურით შეცვლა, რომელიც საბოლოოდ IX ს-ში მეცადინეობა ნუსხურიდან განვითარდა შემდეგ მხედრული დამწერლობაც, რომელიც ჩვენი დღევანდელი ანბანის უშუალო წინამორბედია. მრგვლოვანს ამ ეპოქაში და შემდეგაც ხმარობდნენ უკვე საწყისი, საზედაო ასოებისათვის და მას ამის გამო „ასომთავრული" ეწოდა. ნუსხურს „ხუცურიც" უწოდეს, ვინაიდან ის ძირითადად საეკლესიო წიგნებში იხმარებოდა, ხოლო მხედრული სახელმწიფო კანცელარიის და საერთოდ სამოქალაქო დოკუმენტების დამწერლობა იყო.

IX-XI საუკუნეები ქართული ხელოვნების ისტორიის განსაკუთრებული პერიოდი იყო, აღსავსე შემოქმედებითი ძიებებით და ახალი გზებით. X ს. მიწურულს და XI ს. I მესამედში აიგო ახალი საქართველოს სამი ყველაზე დიდი კათედრალი — ბაგრატის ტაძარი (ქუთაისში), სვეტიცხოველი (მცხეთაში) და ალავერდი (კახეთში). ეს ზოგადეროვნული ძეგლები ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოებიც იყვნენ. XI ს. I ნახევარში აიგო ისეთი შედევრები, როგორებიცაა სამთავრო, სამთავისი, ნიკორწმინდა, ხცისი და სხვ.

ჩვენი ეკლესიების კედლებს შემორჩათ IX-XI სს. მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები. ვითარდებოდა ქანდაკება, ოქრომჭედლობა (ხატები და სხვა საეკლესიო განძეულობა).

ყოველივე ეს ამ ეპოქის ქართულ კულტურას თავისუფლად აყენებდა მსოფლიოს სხვა ხალხთა ხელოვნების უმაღლესი მიღწევების სიმაღლეზე.

18. მეფე დავით, აღმაშენებელი

დავით IV-ს (1089-1125 წწ.), შთამომავლობისა ისტორიის მიერ აღმაშენებლად წოდებულს, წილად ხვდა უდიდესი მისია შეესრულებინა სამშობლოს ისტორიაში. მან დაასრულა საქართველოს ერთიანი მონარქიის მშენებლობა, გააერთიანა ქვეყანა და უშიშარჰყო საგარეო და საშინაო მტრებისაგან. ამ ისტორიული მისიის რეალიზაციას წინ უძღოდა დიდი ბრძოლა და შრომა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები და რეფორმები სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

დავით IV-ს მემკვიდრეობად ერგო მოოხრებული ქვეყანა, შემცირებული და მრავალ დამარცხებათაგან დემორალიზებული ლაშქარი, ძლიერი საგარეო მტერი და თავაშვებული საშინაო მოწინააღმდეგენი.

დავითის მეფობის პირველი ათწლეული ქვეყნის შინაგანი მოლონიერების, სამეფო ხელისუფლების სიძლიერისა და პრესტიჟის ზრდის წლები იყო. 1092 წ. გარდაიცვალა სელჩუკიანთა ძლიერი სულტანი მალიქ შაჰი და ნელნელა მათ სიძლიერესაც წყალი შეუდგა. ამ ვითარებას, ცხადია, საქართველოს მეფე სათანადოდ იყენებდა.

1093 წელს მეფეს კვლავ წინააღმდეგობა დაუწყო ბაღვაშთა სახლმა, რომლებიც არ ეშვებოდნენ მამა-პაპათა კვალზე სვლას. დავითმა შეიპყრო ბაღვაში და საშუალება მისცა ერთგულების გზას დასდგომოდა, მაგრამ მან არ დათმო მეფის საწინააღმდეგო ინტრიგები. ამის შემდგომ დავითმა ბიზანტიას გააძევა იგი, სადაც ბაღვაში გარდაიცვალა. ეს მძიმე დარტყმა იყო მეფის მოწინააღმდეგე დიდებულთა დასისათვის.

დავით IV უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ლაშქრის წვრთნას, სელჩუკიანთა წინააღმდეგ ბრძოლის ხერხების დაუფლებას. ამასთან, ყოველ ღონეს ხმარობდა ქვეყნის მოშენება — მოლონიერებისათვის.

საქართველოსათვის სასიკეთო ძვრები ხდებოდა საერთაშორისო სარბიელზეც. ძლიერდებოდა ჯვაროსნული მოძრაობა, ხოლო სელჩუკები ნელნელა სუსტდებოდნენ.

შესაბამისად 1097 და 1099 წლებში ჯვაროსნებმა აიღეს

ანტიოქია და იერუსალიმი. 1099 წელს დავით IV აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს და უკვე აქტიურად დაიწყო მათ წინააღმდეგ მოქმედება. [illegible] ამოცანად, ახალ ვითარებაში, დავითმა ქართული [illegible] შემომტკიცება დაისახა და კახეთის შემოსაერთებლად დაიწყო ბრძოლა. ამ ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი იყო ზედაზნის აღება 1103 წელს, რაც დავითს დასახულ მიზანს უადვილებდა. ამავე წელს შეიპყრო მან ძაგან და მოდისტოს აბულეთის ძეები, რომლებიც მეფის გამაერთიანებელ პოლიტიკას აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ.

1104 წელს ერწუხის ბრძოლაში ძლევამოსილი გამარჯვებით დავით IV აღმაშენებელმა „კახეთ-ჰერეთი შემოიერთა. დღის წესრიგში სელჩუკებისაგან ქვეყნის სრული განთავისუფლება დადგა.

1104 წელსვე, რუისისა და ურბნისის სანახებში მეფემ დიდი საეკლესიო კრება მოიწვია. კრებამ მაღალი საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენა მეფის მოწინააღმდეგე, საგვარეულო წარჩინებით დაწინაურებული იერარქები და მათ ნაცვლად მეფის პოლიტიკის ერთგული პირები აირჩია. კრებამ გამართა ძნელბედობის ჟამს დამახინჯებული საეკლესიო წესები. კრების ფაქტობრივი ხელმძღვანელი, დავითთან ერთად იყო მისი უახლოესი თანაშემწე და აღმზრდელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

დავითის მიერ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სელჩუკიანებს ჯერ კიდევ ეპყრათ უმნიშვნელოვანესი ციხეები და ქალაქები — დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვ. საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგეთა ბურჯს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი, სადაც ქართველებს დროდადრო ხოცვა-ჟლეტასაც უწყობდნენ.

1110 წელს იმარჯვეს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა, აბულეთმა, ივანე ორბელმა და ჭყონდიდელის დისწულმა თევდორემ და სამშვილდე აიღეს. სამშვილდის დაკარგვისთანავე თურქებმა სომხითის უმეტესი ციხეები დაცალეს და გაიქცნენ. ამავე წელს აღებული იქნა ძერნა.

ქართული „რეკონკისტა“ მძლავრი და შეუქცევადი გახდა. რკალი ნელნელა ვიწროვდებოდა თბილისის გარშემო. 1115 წელს გიორგი ჭყონდიდელმა მნიშვნელოვანი ცენტრი

რუსთავი გაანთავისუფლა. ამან თურქებს საზამთრო ადგილები მოუსპო.

1117-1118 წლებში დავით IV აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო ციხე-ქალაქი გიში, ლორე, აგარანი. ორაერთი გამარჯვება მოიპოვა სხვა ბრძოლებშიც.

გამუდმებული ბროლა ქვეყნის გაერთიანებისათვის დიდ ლაშქარს მოითხოვდა, ხოლო ქართული ლაშქარი ველარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. დავითს წინ ედო გადამწყვეტი შტურმი თბილისზე, რაც შეიარაღებული ძალების გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული. ასეთ რთულ სიტუაციაში დავითმა ყივჩაღთა გადმოსახლება გადაწყვიტა. ყივჩაღები მრისხანე ძალა იყო, რომელსაც რუსეთიც შიშის ქვეშ ჰყავდა. კავშირის განსამტკიცებლად დავითმა ცოლად შეირთო ყივჩაღთა „უმთავრესის", ათრაქა შარაღანის ძის ქალიშვილი. ქვეყანამ მიიღო ორმოცი ათასი მოლაშქრე, რაც საკუთრივ ქართულ ლაშქართან ერთად მყარ საფუძველს უქმნიდა საქართველოს მეფის სიძლიერეს. 1120 წლიდან დავით IV-მ ბრძოლა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა და იქ შეუტია თურქთა ბატონობას.

შევიწროებულმა თურქმანებმა და თბილისელმა, დმანელმა და განძელმა მუსლიმმა ვაჭრებმა ერთმორწმუნე სახელმწიფოებს და პირველ რიგში სულტანს მიმართეს დახმარებისათვის. შედგა მძლავრი მუსლიმური კოალიცია საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც დაახლოებით 300 000 მეომარს ითვლიდა. კოალიციური ლაშქრის ხელმძღვანელობა ჩაბარდა ცნობილ სარდალს, ბაღდადისა და სხვათა გამგებელს ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზის. მას მხარში ედგნენ სხვა გამოჩენილი მუსლიმი სარდლები. მტერი თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთ მოვიდა. აქედან ადვილი იყო თბილისისაკენ წასვლა. საქართველოს ლაშქარი 55 600 მოლაშქრეს ითვლიდა, რომელთაგან 40 000 ქართველი იყო, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი დაქირავებული და 100 ჯვაროსანი. დავით IV აღმაშენებელმა ბრძოლის ადგილად დიდგორი შეარჩია, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა.

დავითმა დასაწყისშივე დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა კოალიციურ ჯარში. საქართველოს ლაშქარმა

შემდეგ ფლანგებიდანაც შეუტია მათ და პირველივე შებრძოლებაზე გააქცია მტრის ბანაკი. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა და კოალიციური ლაშქრის ნაშთები მარცხით დამთავრდა. საქართველო უდიდეს და რეალურ საფრთხეს გადაურჩა. ეს „ძლევაი საკვირველი“ 1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა.

მძლავრ მუსლიმურ კოალიციაზე ბრწყინვალე გამარჯვებამ საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

გზა ხსნილი იყო თბილისისაკენ.

1122 წელს დავით IV-ემ თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისში მყოფმა თურქ-სელჩუკთა ჯარმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართულ ლაშქარს, მაგრამ უშედეგოდ. დავითმა ქალაქი აიღო და ოთხას წელს უცხოელთა ხელში ნამყოფი თბილისი კვლავ საქართველოს დედაქალაქად აქცია.

თბილისის შემოერთებით დავით IV აღმაშენებელმა დაასრულა საკუთრივ ქართული მიწების გაერთიანების ისტორიული საქმე.

გაერთიანებულ ქვეყანას სელჩუკები მაინც არ ასვენებდნენ. 1123 წელს სულტანი შარვანში მოვიდა, მისი დედაქალაქი შამახია აიღო და დავით IV-ეს დამცინავი წერილი გამოუგზავნა, სამალავიდან გამოდი და შემებრძოლეო.

დავითმა ლაშქარი შამახისაკენ დაძრა, აიღო ქალაქი და შარვანიც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. იმავე წელს სომხეთის ციხეები და ქალაქები აიღო და კოლასა და ბასიანში რაც თურქები იპოვებოდა, ერთიანად გაანადგურა.

დავით IV აღმაშენებელმა გადაწყვიტა ქრისტიანული სომხეთის მიწებიც გაეწმინდა თურქებისაგან. სომხეთის დედაქალაქ ანისის მცხოვრებნიც მოუთმენლად ელოდნენ მას და ქალაქის თავკაცებიც გამოგზავნეს დახმარების სათხოვრად. დავითი 60 000-იანი ლაშქრით ანისისაკენ გაემართა და სამ დღეში აიღო ქალაქი. სომეხი ისტორიკოსი მათე ედესელი აღნიშნავდა: „გაათავისუფლა დავით ქართველთა მეფემ, სომეხი ერის მფარველმა და მეგობარმა, 60 წლის მონობისაგან სატახტო ქალაქი სომხეთისა

ანისი და მისი დიდებული, მეჩეთად ქცეული ტაძარი. დავითმა ზეიმით კვლავ აკურთხებინა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა მთელ სახლში".

სიცოცხლის მიწურულს, დავით IV-ემ თავისი ... დაადგა გვირგვინი თავის მემკვიდრეს, დემეტრე I-ს (1125-1156 წწ.). ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ დავით IV აღმაშენებელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა.

დავით IV აღმაშენებელი არა მხოლოდ თავისი დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობით იყო გამორჩეული პიროვნება, იგი თავისი დროის უგანათლებულესი კაცი, დიდი ბუნებისა და რკინისებრი ნებისყოფის მოღვაწე იყო. იგი ღრმად ფლობდა ქრისტიანულ განათლებას, არაბულ და სპარსულ ენებს, აინტერესებდა ვარსკვლავთმრიცხველობა და ყურანის წარმოშობის საკითხიც კი, რაზეც განძელ ყადისთანაც ჰქონია კამათი. მრავალრიცხოვანი ლაშქრობებისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობისაგან მუდამ მოუცლელ მეფეს მგზავრობასა და ლაშქრობაში თან დაჰქონდა წიგნთსაცავი და ყოველ თავისუფალ წუთს კითხვას ანდომებდა.

ქართული კულტურისა და ქრისტიანული სჯულის დამცველი და მოამაგე დიდ ყურადღებას იჩენდა სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ, რაზეც თვით მუსლიმი ისტორიკოსები გვაწვდიან ცნობებს.

ამრიგად, ბაგრატ III-ის მეფობით დაწყებული ისტორიული საქმე საქართველოს მყარი გაერთიანებისა დაგვირგვინდა დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობით, რომელმაც არა მხოლოდ შემოიმტკიცა ქართული მიწები, არამედ საფუძველი ჩაუყარა დიდ საერთოკავკასიურ სახელმწიფოს, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყვნენ მონათესავე თუ მეზობელი ხალხები. შემთხვევით როდი უწოდებდა დავითი თავის ანდერძში საქართველოს სახელმწიფოს: „მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქვენითა, ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთითგან სპერად და არეგაწადმდე". ეს პროცესი გრძელდებოდა მისი მემკვიდრეების დროსაც.

19. საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება დავით აღმაშენებლის შემდეგ თამარის გამეფებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის მემკვიდრეებს — დემეტრე I-ს (1125-1156 წწ.) და გიორგი III-ს (1156-1184 წწ.) არაერთი ბრძოლა გადახდათ აღმაშენებლისაგან მიღებული სახელმწიფოს სიძლიერის, მისი გავლენის შესანარჩუნებლად. მუსლიმი მეზობლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ანისი და შარვანი გამოეტაცნათ ქართული სახელმწიფოსათვის. ეს ხანგრძლივი ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

დემეტრე I-მა და გიორგი III-ემ ყოველთვის ვერ შეძლეს ისიც, რომ დავით აღმაშენებლის მსგავსად სამეფოდ დაეჭირათ, სახელმწიფოსათვის უშუალოდ შემოეერთებინათ დაპყრობილი ტერიტორიები. მეტიც, დემეტრე I-ს თითქმის გამეფებისთანავე კვლავ ხმლით ასაღები გაუხდა დმანისი და ხუნანი.

1126 წელს საქართველო იძულებული გახდა ფადლონ IV-ისათვის გადაეცა ქალაქი ანისი. ფადლონმა საქართველოს მეფის ყმადნაფიცობა იკისრა.

საქართველოს სამეფომ მთლიანად ვერ შეინარჩუნა შარვანიც, რომელიც 1129-1130 წლებში ორად გაჰყვეს. მისი ერთი ნაწილი უშუალოდ შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო მეორე ნაწილში აღდგა შარვანშაჰის ხელისუფლება, რომელიც საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო.

დემეტრე I-მა ილაშქრა განძაშიც 1139 წელს, აიღო იგი და ქალაქის კარები საქართველოში ჩამოიტანა. ეს კარები მან გელათის მონასტერს შესწირა, სადაც იგი დღემდეა დაცული.

თუ საგარეო საქმეებში დემეტრე I ასე თუ ისე ახერხებდა მამისეული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, უფრო მძიმე ვითარება საკუთარ ოჯახში შეექმნა. მას ტახტს შეეცილა მისი უფროსი ვაჟი დავითი, რომელსაც საფიქრებელია, სამეფოს წარჩინებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს. დავითმა რამდენჯერმე მოუწყო შეთქმულება დემეტრე I-ს და ბოლოს, დაახლოებით 1154 წელს, აიძულა კიდეც იგი ტახტიდან გადამდგარიყო და

ბერად აღკვეცილიყო.

დავით V-ს დიდხანს არ დასცალდა მეფობა. იგი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა, და როგორც ეცარიელები, თავისი მოწინააღმდეგეების ხელით იქნა მოწამლული.

დავით V-ის გარდაცვალებისთანავე დემეტრე I მონასტრიდან გამოვიდა, ტახტი დაიკავა და თანამოსაყდრედ აკურთხა არა დავით V-ის მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე (დემნა), არამედ თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი. 1156 წელს დემეტრე I გარდაიცვალა და საქართველოს მეფე გახდა გიორგი III (1156-1184 წწ.)

გიორგი III-მ მეტად, ვიდრე დემეტრე I-მა შესძლო დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკის გაგრძელება და აქტიური თავდაცვის პოლიტიკიდან კვლავ შეტევაზე გადავიდა.

მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქ ანისს და კვლავ მისი დაბრუნება მოინდომა. 1161 წლის ზაფხულში იგი მოულოდნელად გაემართა ანისისაკენ და ბრძოლით აიღო ქალაქი. მისმა დანიშნულმა ქალაქის მმართველმა თვით მოინდომა ქალაქის დასაკუთრება, მაგრამ იგი მეფემ სიკვდილით დასაჯა და ანისის მართვა საქართველოს ამირსპასალარს ივანე ორბელს მიანდო.

ანისის განთავისუფლებამ მუსლიმი მფლობელებისაგან და საქართველოსთან მისმა შეერთებამ, ფრიად შეაშფოთა მეზობელი პოლიტიკური ერთეულები. შაჰ-არმენმა და მისმა მოკავშირეებმა იმავე წელს სცადეს ანისის დაბრუნება, მაგრამ საქართველოს ლაშქარმა ეს ბრძოლაც მოიგო.

1162 წელს გიორგი III-ემ ბრძოლით აიღო სომხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მდიდარი ქალაქი დვინი.

მუსლიმი მფლობელები არაერთგზის შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, მაგრამ გიორგი III-ემ შეძლო მიღწეულის შენარჩუნება. ბრძოლა არ შეყვეტილა ანისის გამოც, მაგრამ უკვე 1174 წლიდან იგი მტკიცედ ეპყრა საქართველოს სამეფოს.

გიორგი III მტკიცე და ენერგიული მმართველი იყო და მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაც იცოდა. სამეფოს დიდებულთა ერთ ნაწილს არ აძლევდა ხელს ასეთი მეფე. გარდა ამისა, თავი იჩინა ტახტის მემკვიდრეობისა და მისი

კანონიერი მფლობელის საკითხმა, რაც 1177 წელს საქართველოში მძაფრი პოლიტიკური კრიზისისა და მეფის საწინააღმდეგო მასშტაბური ამბოხების საფუძველი შეიქნა.

გიორგი III-ის წინააღმდეგ ამბოხებას სათავეში ჩაუდგა ორბელთა სახლი სამეფოს ამირსპასალარის, ივანე ორბელის მეთაურობით. მასში მონაწილეობდნენ სამცხის, ჰერეთის, კახეთის წარჩინებულნი, ასევე ანანია დვინელი, ჰასან კაენელი, სარგის მხარგრძელი, მემნა ჯაყელი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და სხვ. ამბოხებულთა მიზანი იყო გიორგი III-ის ტახტიდან ჩამოგდება და მისი უფროსი ძმის, დავით V-ის ვაჟის დემეტრეს (დემნას) ტახტზე აყვანა. დემნა უფლისწული ივანე ორბელის სიძე იყო. აჯანყებულთა ლაშქარი დაახლოებით 30 000 მებრძოლს ითვლიდა.

მართალია, საეჭვოა აჯანყებულებს სამართლიანობის აღდგენა ეწადათ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ დემნას ნამდვილად ჰქონდა საფუძველი მეფობის პრეტენზია ჰქონოდა.

ამბოხებულები ლორეს ციხეში გამაგრდნენ. ბრძოლა გაჭიანურდა. დრო მეფის სასარგებლოდ მოქმედებდა. ბევრ აჯანყებულს გაუქრა წარმატების რწმენა და მეფესთან გამოცხადდა პატიების თხოვნით. უშედეგო აღმოჩნდა შაჰარმენისა და აზერბაიჯანის ათაბაგის იმედიც, რომლებიც სულაც არ ჩქარობდნენ გიორგი III-სთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას. მეფესთან პატიების თხოვნით მივიდა თვით დემნა უფლისწულიც. ამის შემდეგ ივანე ორბელიც იძულებული შეიქნა მეფეს დამორჩილებოდა. აჯანყება დამარცხდა.

აჯანყების მოთავეები გიორგი III-ემ სასტიკად დასაჯა; მათ შორის დემნა უფლისწული და ივანე ორბელი. ორბელთა სახლი მეფემ თითქმის მთლიანად გაანადგურა. დამნაშავეთა მამულები და თანამდებობები იმათ დაურიგდათ, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ამბოხების ჩახშობაში. ამირსპასალარის თანამდებობა მიიღო ნაყივჩაღარმა ყუბასარმა, ხოლო მსახურთუხუცესი გახდა აზნაურის ყმობიდან აღზევებული უგვარო აფრიდონი. გიორგი III-ეს მხარში ედგა დასავლეთ საქართველოს დიდებულთა უმე-

ტესი ნაწილიც, რომლებმაც ასევე მიიღეს სამეფისკარო თანამდებობები.

გიორგი III-ს მისი ხელისუფლებისათვის უმძიმეს ჟამს მხარში ედგა საქართველოს ეკლესიაც. მეფემ მადლობის ნიშნად საქართველოს ეკლესიის მამულებს სახელმწიფო გადასახადები გაუუქმა და შეუვალობა განუახლა. საკათალიკოსო კათედრა თავის ნებით გადამდგარი ნიკოლოზ გულაბერისძის ნაცვლად, მიქელ მირიანის ძემ მიიღო.

1177 წლის ამბოხებამ მტკივნეულად დააყენა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, რადგან გიორგი III-ეს ვაჟი არ ჰყავდა და მისი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ქალი, თამარი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ რაიმე მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად 1178 წელს გიორგი III-ემ თანამოსაყდრე მეფედ აკურთხა თამარი.

20. თამარ მეფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა. ახალგაზრდა თამარი ყოყმანობდა, კურთხეულიყო თუ არა მეფეთ-მეფედ. სამეფოში არასტაბილური ვითარება იყო. კათალიკოს-პატრიარქმა და სამეფოს უპირველესმა დიდებულებმა გიორგი III-ის უაღრესად გავლენიანი და, რუსუდან დედოფალი მოიშველიეს და თხოვეს თამარს წესისამებრ კურთხეულიყო და მიეღო მამის მიერ ჩაბარებული უმაღლესი ხელისუფლება.

თამარის მეფეთ-მეფედ კურთხევა ტრადიციული ცერემონიალითა და დიდი გამოჩინებით ჩატარდა, შემდეგ კი ყველა უკმაყოფილომ პრეტენზიები წამოაყენა. თამარის მეფობის თითქმის მთელი პირველი ათწლეული მძაფრი პოლიტიკური კრიზისებისა და შინაური უთანხმოების წლები იყო. ბევრი თვლიდა., რომ ახალგაზრდა ქალი ვერ გასწევდა მეფის მძიმე ჭაპანს და არაერთი სხვადასხვა მოსაზრება იქნა წამოყენებული, რომ მას ამ საქმეში „დახმარებოდნენ". მათ შორის არაერთი გიორგი III-ის ერთგული თანამებრძოლი იყო.

სამეფოს დიდებულთა ერთმა ჯგუფმა შეუტია ამირსპასალარ ყუბასარს და მსახურთუხუცესს აფრიდონს და მათი გადაყენება კატეგორიული ფორმით მოითხოვა. ყუბასარი დამბლადაცემული იწვა და ცხადია, ველარ ასრულებდა ამირსპასალარის მოვალეობას. აფრიდონი კი „უგვარო" იყო და თვალსაჩინო საგვარეულოთა წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ მის ხელქვეითობაზე.

თამარი იძულებული შეიქნა დაეთმო მათთვის. ყუბასარი თანამდებობიდან გადააყენეს, მაგრამ სიკვდილამდე დიდი პატივი შეუნარჩუნეს, ხოლო უგვარო აფრიდონი კი „მოიშალა და დაიმხო". ამის შემდგომ განთავისუფლებული ამ, და სხვა თანამდებობებისათვის ბრძოლა გაჩაღდა.

სრულიად მოულოდნელად ახალი მოთხოვნა წამოაყენა მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა. მან მოითხოვა სამეფო სასახლის გვერდით ცალკე დაწესებულების „კარავის" შექმნა, სადაც სამეფოს უპირველესი მოხელეები, მეფის დასწრების გარეშე აღასრულებდნენ მართვა-გამგეობისა და „წყალობა-

შერისხვის“ ფუნქციებს, ხოლო მეფეს „კარვის“ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად გაუგზავნიდნენ. გარდა ამისა, საკუთრივ თავისთვის ყუთლუ-არსლანმა ამირასპასალარის თანამდებობა და ლორე მოითხოვა. ყუთლუ-არსლანს აქტიურად უჭერდა მხარს დიდებულთა მძლავრი დასი და საფიქრებელია, თვით კათალიკოსი მიქაელ მირიანისძეც, რომელმაც ამავე ხანებში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობაც დაიკავა.

ამ მოთხოვნის მიღება პერსპექტივაში თამარის ხელისუფლების დასასრულს მოასწავებდა. თამარმა ყუთლუ-არსლანი დაატუსაღებინა, მაგრამ ამან საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო შედეგი გამოიღო — მეჭურჭლეთუხუცესის მომხრეები იარაღით დაემუქრნენ ისნის სამეფო რეზიდენციას. თამარმა და მისმა მრჩევლებმა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება ირჩიეს და ყუთლუს დასელებს ორი საპატრიო მანდილოსანი, კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი მიუგზავნეს მოსალაპარაკებლად. დიდებულებმა მოითხოვეს ყუთლუ-არსლანის გათავისუფლება და „სხვისი არავისი ბრალობა“. თამარმა მართლაც გაანთავისუფლა ყუთლუ-არსლანი, რომელიც ამის შემდგომ სამეფო კარს ჩამოაცილეს. პირობისამებრ, გამოსვლის სხვა მონაწილეთათვის პასუხი აღარ მოუთხოვიათ და ეს „უცხო მოსაგონებელი“ კონფლიქტი ამგვარად ჩაცხრა.

საქართველოს სამეფო კარის წინაშე მწვავედ დადგა ასევე თამარის მეუღლის საკითხი. ერთი მხრივ, სამეფო ტახტს მემკვიდრე ესაჭიროებოდა, ხოლო მეორე მხრივ „დრტვინავდა“ ლაშქარი და უმეთაურობას უჩიოდა. სამეფოს სასულიერო და საერო დიდებულთა კრებამ გადაწყვიტა თამარის საქმროდ მოეწვიათ ვლადიმირ-სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი, რომელიც ბიძას გაძევებული ჰყავდა.

წყაროები გადმოგვცემენ, რომ თამარი წინააღმდეგი ყოფილა ამ ნაჩქარევი ქორწინებისა, მაგრამ შემდეგ დამორჩილებია დიდებულთა თათბირს. იურის ჩამოყვანის უშუალო ინიციატორი იყო ქართლისა და თბილისის ამირა აბულასანი, რომელსაც მხარს უმაგრებდნენ კათალიკოსი მიქაელ მირიანისძე, ვარდან დადიანი, გუზან ტაოელი,

ბოცო სამცხის სპასალარი და დასავლეთ საქართველოს სამცხისა და ტაოს სხვა დიდებულები.

იური ანდრიას ძეს თავდაპირველად კარგი მოთავეობა-ილება დაუტოვებია საქართველოს სამეფო კარზე. იგი თამარზე დაქორწინების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იურის თანამოსაყდრის უფლებები და მეფის ტიტული მიეცა. ჩანს, მას ეს პატივი ეცოტავა და ბრძოლა დაიწყო რეალური ძალაუფლებისათვის, პოლიტიკური ხელისუფლების თავის ხელში კონცენტრაციისათვის. იგი აქტიურად ჩაება სხვადასხვა დაჯგუფებების ურთიერთბრძოლაში. ამასთან, იურის (გიორგი რუსს) თითქოს ლოთობისა და თვით სოდომური ცოდვისადმი მიდრეკილებაც აღმოჩენია, რაც მისი თამართან გაყრისა და საქართველოდან გაძევების საფუძველი გახდა. უფრო რეალური ჩანს, რომ იური თავის ხელისუფლებას თამარისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ იყენებდა და მისი კიდევ უფრო გაზრდისათვის იბრძოდა.

1188 წელს თამარმა შეირთო მეორე ქმარი, ოსი უფლისწული და ქართული დინასტიის ნათესავი, საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი დავით სოსლანი. ამავე წელს მოხდა დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ამბოხება, რომლის მიზანი იყო იური ანდრიას ძის დაბრუნება სამეფო კარზე. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დღის წესრიგში თვით დინასტიის შეცვლაც კი იდგა.

დიდებულთა ამბოხებას ხელმძღვანელობდა მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი. მას მხარს უჭერდა მთელი დასავლეთი საქართველო, სამცხე, ქართლის ნაწილი და „სომრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა". არსებითად, აჯანყების მესვეურები იყვნენ იმ კუთხეებიდან, რომლებმაც გიორგი III-ეს ტახტი შეუნარჩუნეს 1177 წელს. თამარს კი მხარს უჭერდნენ სწორედ ისინი, ვინც გიორგი III-ის ტახტიდან ჩამოგდებას ლამობდნენ. ამას როგორც ჩანს, სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეთა დიდებულების ინტერესთა დაპირისპირება ედო საფუძვლად.

თავდაპირველად აჯანყებულებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და იური გეგუთში მეფედაც კი გამოაცხადეს, მაგრამ თამარის ერთგულმა ლაშქარმა შესძლო აჯანყე-

ბულთა დამარცხება. მათ პატიება ითხოვეს და მეფეყოფილი გიორგი რუსიც თამარს ჩააბარეს. [illegible] გაძევებულ იქნა, ხოლო აჯანყების მესვეურებმა [illegible] ამდებობებს ჩამოაშორეს.

ოპოზიციის ბრძოლის უკანასკნელი აკორდი იყო გუზან ტაოელის ამბოხება, რომელიც შაჰ-არმენს მიუვიდა და მნიშვნელოვანი ციხეები გადასცა. თამარის მონაპირე ერისთავმა ზაქარია ფანასკერტელმა დაამარცხა გუზანი, რომელიც მალე ტყვედ ჩავარდა.

თამარმა მოახერხა მძაფრი პოლიტიკური კრიზისის დაძლევა და მეფობა „დაიწყნარა", მაგრამ ეს მოწინააღმდეგეთა ბრძოლაში დამარცხების გარდა, გარკვეული დათმობებითაც მოხდა. თუ დავით IV უშუალოდ სამეფოდ იჭერდა ახალ ტერიტორიებს, თამარი მათ სამეფოს წარჩინებულებს ურიგებდა სხვადასხვა პირობით. ეპოქის განვითარების ძირითადი გეზიც აქეთკენ, სამამულო სისტემის გაძლიერებისა და გაფართოებისაკენ მიდიოდა.

გუზანის დამარცხების შემდეგ, სახელმწიფოში შინაგანი სიმშვიდე და სტაბილურობა დამყარდა, ისე, რომ წყაროს ცნობით, მეკობრეთა გარდა სიკვდილითაც აღარავის სჯიდნენ.

თამარის მეფობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. კურსი აღებული იქნა არა მეზობელი ტერიტორიების უშუალო შემოერთებაზე, როგორც დავით IV აღმაშენებლის დროს, არამედ ყმადნაფიცობასა და მოხარკეობაზე.

საქართველოს ლაშქარმა 1192-1193 წლებში ტახტის მემკვიდრის, ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავად ბარდავი დალაშქრა. ამის შემდეგ მოეწყო ლაშქრობა არზრუმს, გელაქუნს, მოარბიეს არეზისპირა თურქ-სელჩუკები.

ცხადია, ეს ლაშქრობები გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ისინი საქართველოს განაპირა და მეზობელი ტერიტორიების თურქებისაგან საბოლოო გაწმენდას ისახავდნენ მიზნად. ბუნებრივია ისიც, რომ მტრები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ.

ამ პერიოდისათვის ძალზე გაძლიერდა აზერბაიჯანის ათაბაგი აბუბექრი, რომელმაც თავისი ძმებიც შეავიწროვა.

მისი ერთი ძმა შარვანშაჰს შეეხიზნა, ხოლო შარვანი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. აბუბექრმა ახლა შარვანშაჰის შევიწროვება დაიწყო და თავს დაესხა. მას შარვანმა საქართველოს თხოვა დახმარება. აბუბექრმა ბაღდადის ხალიფაც მოიშველია და დიდძალი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. ქართველთა მხედრობა აიყარა და აღსართან შარვანშაჰისა და სხვა მოკავშირეების თანხლებით ათაბაგის წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა შამქორთან მოხდა 1195 წელს. აბუბექრის ლაშქარმა საშინელი მარცხი განიცადა. თვით ათაბაგი ძლივს გადაურჩა ტყვეობას. დიდძალ ალაფთან ერთად საქართველოს ლაშქარს ხალიფას დროშაც ჩაუვარდა ხელთ.

შამქორის გამარჯვების შემდეგ ქართველთა ლაშქარმა განძაც აიღო და მის გამგებელს ხარკი დააკისრა.

გამუდმებული ლაშქრობების შედეგად საქართველოს სამეფომ შეძლო კონტროლი დაეწესებინა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებზე, რომლებიც დვინ-არზრუმსა და დარუბანდ-შამახიაზე გადიოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებზე საქართველოს სამეფოს ინტერესები ეჯახებოდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს, ანუ რუმის სასულტნოს. ეს სახელმწიფო თვალსაჩინოდ გაძლიერდა სულტან რუკნ ად-დინ სულეიმან შაჰის (1196-1204 წწ.) დროს.

რუკნ ად-დინმა საქართველოს დაპყრობა გაიხადა მიზნად. მან საგანგებო მზადება დაიწყო საომრად და 400 000 მეომარს მოუყარა თავი. საქართველოს დამარცხება-დაპყრობის შემდეგ სულტანს მთელს ამიერკავკასიასა და წინა აზიაში გაბატონების იმედი ჰქონდა.

რუკნ ად-დინ სულეიმან შაჰის უზარმაზარი ლაშქარი ბასიანის ველზე დაბანაკდა. 1202 წელი იდგა.

სულტანმა თავისი სამხედრო ბანაკიდან საქართველოს მეფეს მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა. იგი მთელ ქვეყანას ამოწყვეტით ემუქრებოდა და ქართველთაგან სჯულის დათმობას ითხოვდა. სულტნის ელჩმა ამპარტავნულად განუცხადა თამარს, რომ თუ იგი სჯულს შეიცვლიდა, რუკნ ად-დინი ცოლად შეირთავდა, თუ არა და ხასად

დაისვამდა. ელჩის სიტყვები ვერ მოითმინა მილობაზე მყოფმა ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და ისეთი სილა გააწნა მას, რომ ელჩი გონდაკარგული დაეცა.

საქართველოს ლაშქარი ბასიანისკენ გაემართა. თამარ მეფემ სამცხემდე მიაცილა იგი და თვით ვარძიის ღმრთისმშობელს შესთხოვდა შეწევნას.

რუკნ ად-დინი ისე იყო დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ ბანაკის გარშემო დარაჯებიც კი არ ეყენა. სამ ნაწილად გაყოფილი საქართველოს ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს მის ჯარებს. სასტიკ ომში ერთხანს გამარჯვების სასწორი თითქოს სელჩუკების მხარეს გადაიხარა, მაგრამ მეწინავეებს მოუსწრო ფლანგებზე განლაგებულმა ძალებმა, რომელთაც გადაწყვიტეს კიდეც ბრძოლის ბედი. რუკნ ად-დინის ლაშქარს გამანადგურებელი დამარცხება ხვდა წილად. საქართველოს ლაშქარმა ხელთ იგდო მთელი ბანაკი და დიდძალი ტყვეები.

ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების მნიშვნელობა უაღრესად დიდი იყო. საქართველომ საშინელი საფრთხე აიცილა თავიდან. ამასთან, ამ გამარჯვებას ფართო რეზონანსი ჰქონდა და ხელს უწყობდა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას. საქართველოს საზღვრებთან რამდენადმე საშიში მტერი აღარ იდგა.

ერთი მხრივ რუმის სასულტნოს სასტიკმა დამარცხებამ და მეორე მხრივ ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ საქართველოს საშუალება მისცა განემტკიცებინა თავისი გავლენა შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. 1204 წელს ქართულმა ლაშქარმა დაიკავა ეს სანაპირო და საქართველოს სამეფოს ინიციატივით შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, სადაც ტახტზე დასვეს თამარის ახლო ნათესავი, ბერძენი უფლისწული, ალექსი კომნინოსი. ეს ახალი სახელმწიფო, მნიშვნელოვანწილად ქართველური მოდგმის ლაზებით (ჭანებით) დასახლებული, საქართველოს დასაყრდენად იქცა რეგიონში.

1205-1206 წლებში საქართველოს ლაშქარმა დალაშქრა ხლათი, მანასკერტი და არჭეში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კარის ციხე-ქალაქის აღებას, რომელიც საქართველოზე თავდასხმისას თურქ-სელჩუკებისათვის

პლაცდარმის როლს ასრულებდა. კარი თამარმა უშუალოდ სამეფო მმართველობას დაუმორჩილა.

1205 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი და თამარ მეფემ თავისი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვაჟი ლაშა გიორგი მოსაყდრედ აკურთხა.

1207 წელს გარდაიცვალა შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, თამარ მეფე*. იგი დიდი გამოჩინებით დაკრძალეს გელათის სამეფო საძვალეში. სამეფო ტახტზე გიორგი IV ლაშა (1207-1222 წწ.) ავიდა.

---

* თითქმის ყველა სახელმძღვანელოში თამარის გარდაცვალების თარიღად 1213 წელია მითითებული. უკანასკნელი წლების მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ეს თარიღი გადასინჯულია. ცხადია, მოსწავლეებს თუ აბიტურიენტებს არცერთი ამ თარიღის დასახელება შეცდომად არ უნდა ჩაეთვალოთ.

21. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის გაერთიანებამ, ძლიერი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბებამ დიდად შეუწყო ხელი სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განვითარებას. დაწინაურებული იყო მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა. სამეფო ხელისუფლება დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის მოღონიერებას. თამარის მეფობაში ორი დიდი არხი იქნა გაყვანილი სარწყავი მეურნეობის განსავითარებლად. ალაზნის ველს რწყავდა 119 კილომეტრიანი არხი, რომელიც სპეციალისტთა გაანგარიშებით 53 000 ჰექტარს ჰყოფნიდა. ღირსშესანიშნავი იყო სხალტბა — შიომღვიმის და სამგორის სარწყავი არხები.

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით სელი, თაფლი, ცვილი, აბრეშუმი, ღვინო ქვეყნის გარეთაც გადიოდა.

საქართველოს გაერთიანება დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს შორის ეკონომიკური კავშირების გაცხოველებას, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, ქალაქებისა და ქალაქური ტიპის სავაჭრო-ხელოსნური დასახლებების მოღონიერებას. სამეფო ხელისუფლება დიდ ინტერესს იჩენდა გზების გაყვანის, სასტუმრო-ქარვასლებისა და ხიდების მშენებლობის მხრივ. ეკონომიკურ კავშირებს და ქვეყანაში დოვლათის მატებას დიდად უწყობდა ხელს ასევე ქართველ მეფეთა მეცადინეობა მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ მაგისტრალებზე გასასვლელად. ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-ხელოსნურ ცენტრად რჩებოდა ქალაქი თბილისი და სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მისი ამ მნიშვნელობის შენარჩუნებასა და კიდევ უფრო გაზრდას.

XII-XIII საუკუნეთა საქართველოში ვითარდებოდა ხელოსნობის მრავალი დარგი: მეთუნეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, დურგლობა, ოქრომჭედლობა, წიგნების გადაწერა-აკინძვა და მრავალი სხვ. დიდი ადგილი ეჭირა ქსოვასა და ძვირფასი ქსოვილების („ლარის") დამზადებას.

საისტორიო მასალიდან ცნობილია, რომ საქართველოს ქალაქებს, მის სავაჭრო-ხელოსნურ წრეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, არაბებთან, ირანთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან. ცხადია, კავშირები უფრო ცხოველი ბუნებისა ალო მეზობლებთან. შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი, ძირითადად ქსოვილები, ცხენის აკაზმულობა,ძვირფასეულობა, ოქროს ზოდები. ფართო საერთაშორისო ვაჭრობის უტყუარი მოწმობაა საქართველოში მრავლად აღმოჩენილი უცხოური მონეტები. არაერთი ქართული მონეტა აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს მიწების ერთ მძლავრ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესს თან სდევდა ღრმა ცვლილებები როგორც გაბატონებული წრის ორგანიზაციაში, ისე მწარმოებელი მოსახლეობის სტატუსში. საქართველოს გაერთიანების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ფეოდალური საკუთრების შემდგომი განვითარება, მისი როლის ზრდა, რამაც დასაწყისში დიდად შეუწყო ხელი სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას. ქვეყნის გაერთიანებას წინ უსწრებდა და გაერთიანების შემდეგ კლასიკური სახე მიიღო „პატრონყმობამ", სენიორალურ-ვასალური ურთიერთობის ფორმამ, რომელმაც შეცვალა კომენდაციის არქაული ფორმები. ვასალიტეტის ამ უფრო მაღალი ფორმის შემოსვლა უშუალოდ იყო დაკავშირებული პირობითი მიწათმფლობელობის, „შეწყალების" ფართო პრაქტიკასთან, რომელიც ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, მძლავრ იარაღად იქცა მეფის ხელში. ცნობილია სამეფო ხელისუფლების სიძლიერის მატერიალური საფუძვლებიც. დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა") მეფეებმა ხელი დაადეს კახეთის სამეფო სახლისა და თბილისის ამირას „ქვეყნებს" და საკუთარი სახლის (ბაგრატიონთა) სამფლობელოებს სამხრეთ საქართველოში. „პატრონყმობის" მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იყო „კომენდაცია" („შეწყალება"), „ბენეფიციუმი" („წყალობა", „ბოძება"), ინვესტიტურა შესაფერისი ცერემონიალით („დალოცვა") და სხვ. „პატრონყმური" სისტემის ზრდა-განვითარებასთან უმჭიდროეს კავშირში იყო ასევე „შეუვალობის" (იმუნიტეტის) ინსტიტუტის განვითარების პროცესიც.

საერისთავოს სახელმწიფოებრივი სისტემისგან განსხვავე-

ბით, რომელიც გენეტურად იყო დაკავშირებული წინაფეოდალურ საზოგადოებასთან, „პატრონყმობა“ ფეოდალურ სისტემას წარმოადგენდა. ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური გეზიც „პატრონყმობის“, სამამულო სისტემის ყოვლისმომცველობისაკენ მიდიოდა. განვითარების ეს გზა პერსპექტივაში საერისთავოს სისტემის და მისი სოციალური საფუძვლის ლიკვიდაციას მოასწავებდა. ეს, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, პრივატიზაციის ხანგრძლივი და შეუქცევადი პროცესი იყო.

ერთიანი მონარქიის ხანაში, „პატრონყმური“ სისტემის პირობებში ყალიბდება ახალი მსახურეული არისტოკრატია, რომელიც ამ მონარქიის პირმშოა. გაერთიანების შემდეგ სამეფო კარი სულ უფრო მიმზიდველი ხდებოდა, რადგან იგი „წყალობის“ წყაროს წარმოადგენდა. იგი იზიდავდა არა მხოლოდ ახლადდაწინაურებულ „სახლებს“, არამედ ძველ სენიორთა „სახლებსაც“, რომელთა ძლიერების საფუძველს მამაპაპისეული სამკვიდრო მიწები შეადგენდნენ. აქ უკვე საქმე გვაქვს ისეთ მსახურეულ არისტოკრატიასთან, რომლის ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი შეასრულა ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ლენურმა მიწათმფლობელობამ, განსხვავებით ძველი არისტოკრატიისაგან, რომელიც თავისი გენეზისით ნახევრადპატრიარქალურ ურთიერთობებთან იყო დაკავშირებული. ამავე ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ ცნება „მამული“, რომელიც ადრეშუასაუკუნეებში ძირითადად სამკვიდროს (არა „ნაწყალობევს“) აღნიშნავდა, იძენს „ნაწყალობევის“, ფეოდის შინაარსსაც.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის საბოლოოდ გაიმარჯვა მიწათმფლობელობის „სამამულო“ სისტემამ. ამის მიზეზად სამართლიანადაა მიჩნეული თანამდებობასთან დაკავშირებული მიწების „გამკვიდრება“. ეს „ახალი მამული“ თავისი შინაარსით განსხვავდება ძველი, ალოდიალური მამულისაგან, უპირველეს ყოვლისა თავისი გენეზისით. ამასთან, „ნაწყალობევის“ საფუძველზე შექმნილი, თუნდაც „გამკვიდრებული“ მამული მაინც რჩებოდა მეფის, როგორც მბოძებელი სიუზერენის უმაღლესი იურისდიქციის ქვეშ. ამდენად, ძირითადად გაბატონებული წრის საკუთრება წარმოდგენილი იყო ერთი მხრივ კორპორაციულ-საოჯახო

და მეორე მხრივ ლენური საკუთრებით, რომლებიც ერთ-მანეთს ერწყმოდნენ. ასეთი მამულები, ერთიანი მონარქიის ხანაში სამეფო დომენებთან ერთად მოქცეულნი — იყვნენ საერისთავოს ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული „სამამულო" სისტემა, რომლის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი გრძელდებოდა ერთიანი მონარქიის წიაღში და დასრულდა XIII-XV საუკუნეებში, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს მეზობელი გარემოსათვის, მათ შორის ქრისტიანული ბიზანტიისათვისაც. თავისი ბუნებითა და შინაარსით იგი უაღრესად ახლო იდგა დასავლეთევროპულ ფეოდალურ სისტემასთან. სამამულო სისტემაში გამოხატული მაღალგანვითარებული კერძო საკუთრების ინსტიტუტი, ინტენსიურ მეურნეობაზე დამყარებული, „ქართველობის", ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის არსებითი კომპონენტი იყო.

„პატრონყმობაში" ჩართული იყო მოსახლეობის საკმაოდ დიდი ფენა. „პატრონყმული" სისტემა თავისუფალთა ორგანიზაცია იყო, მაგრამ ეს თავისუფლება არ იყო ყველასათვის თანაბარმნიშვნელოვანი. „თავისუფლება" დიფერენცირებული იყო — თავისუფალთა ორგანიზაციის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც „დაუმონებელი თავისუფლება", „კეისრობა" ეპყრა. „პატრონყმობის" სხვა კონტრაგენტები „დამონებული თავისუფლების" მატარებელნი იყვნენ. ყოველი ზემდგომი სენიორი თავის ვასალთან შედარებით თავისუფალი იყო. განსაკუთრებით მისანდო ვასალთა კონტინგენტს „გაზრდილები" ჰქმნიდნენ, რომლებიც მეფესაც ჰყავდა და სხვა ფეოდალებსაც.

ქართულ „პატრონყმურ" საზოგადოებას „გაზრდილ-გამზრდელთა" ინსტიტუტი, მათი ურთიერთობები გამსჭვალავდა. პატრონსა და ყრმას ორმხრივი ვალდებულებები ჰქონდათ, რომელთა ერთი მხრივ დარღვევა, მეორე მხარესაც ანთავისუფლებდა მათგან. ამ ნიშნითაც ქართული „პატრონყმობა" უაღრესად ახლო დგას ევროპულ ვასალიტეტთან.

„პატრონყმურ" ურთიერთობებში, ცხადია, არ შედიოდნენ გლეხები, რომლებიც ბატონყმური ურთიერთობის კონტრაგენტებს წარმოადგენდნენ. ბატონყმური ურთიერთო-

ბების სრულად ჩამოყალიბებაც ხანგრძლივი პროცესი იყო. ბატონყმური ექსპლუატაციის საყოველთაო გაბატონებას, „თავისუფალი“ და დამოკიდებული მოსახლეობის გადასვლას მიწათმფლობელის გლეხთა რიგებში დიდად უწყობს ხელს მიწათმფლობელის პოლიტიკური უფლება-„შეუვალობა“ (იმუნიტეტი). ბატონყმობის გავრცელების დონეზე მსჯელობისას, ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, თუ რამდენად აქვს შენარჩუნებული სახელმწიფოს იურიდიული უფლებები მოსახლეობაზე. სახელმწიფო აქ გამოდის, ცხადია, მისი ძირითადი ადგილობრივი აგენტების, ერისთავების და საერისთავო სისტემის სახით.

უკვე ერისთავის ინსტიტუტისა და საერისთავო სისტემის არსებობა და ფუნქციონირება ერთიანი მონარქიის ხანაში, მკაფიოდ მიგვითითებს, რომ არსებობას განაგრძობს მისი სოციალური საფუძველი — თავისუფალი მოლაშქრე-მწარმოებელი. ესაა „წურილი ერი“ (ნ. ბერძენიშვილის ტერმინოლოგიით — „მდაბიორ-მოლაშქრე“). ნ. ბერძენიშვილი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებანი, მისი „სისტემა გულისხმობდა თავისუფალ მიწის მუშაკთა ძლიერ ფენას“. საჭიროა განისაზღვროს ისიც, თუ რას ვგულისხმობთ „თავისუფალი მწარმოებლის“ ცნებაში. ეს ცნება დინამიურია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იგი სხვადასხვა შინაარსს შეიცავდა. ერთიანი საქართველოს „წურილი ერი“, ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად თავისუფლად, რადგან აქ „თავისუფლის“ ცნება ნეგატიურია. იგი ისეთ მწარმოებელს ნიშნავს, რომელიც არ არის მოქცეული კერძო ბატონყმურ ექსპლუატაციაში. ასეთი მწარმოებელი ექსპლუატაციას განიცდის სახელმწიფოსა და მათი აგენტების, და არა კერძო ფეოდალის მიერ. სამამულო სისტემისა და იმუნიტეტის შემდგომმა განვითარებამ არსებითად მოსპო ეს ფენა (ისინი „გაგლეხდნენ“) და მასზე დამყარებული სახელმწიფოებრივი სისტემაც.

ერთიანი მონარქიის პერიოდი დიდმნიშვნელოვანი იყო იმუნიტეტის ინსტიტუტის გაღრმავების თვალსაზრისითაც. სამეფო ხელისუფლება ცდილობდა დაეცვა ეკლესია და მისი მამული მეფის სხვადასხვა რანგის მოხელეთა და კერძო მიწათმფლობელთა თვითნებობისაგან, რაც სხვა

ქრისტიანული ქვეყნებისათვისაც იყო დამახასიათებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით შეუვალობის ბეჭდებსაც სამეფო ხელისუფლება არ იძლეოდა სრულ შეუვალობას. იგი ძირითადად საგადასახადო სფეროს შეეხებოდა და საკმაოდ შეზღუდულ სასამართლო იურისდიქციას იძლეოდა. დავით IV აღმაშენებლის ინიციატივით, სამეფო და საერისთავო სასამართლოების გვერდით შეიქმნა „საშჯულო სამრეკლოები", რომლებიც საიმუნიტეტო ტერიტორიებზე მოქმედებდა. ეს საიმუნიტეტო სასამართლოს საერთო სახელმწიფოებრივ სისტემაში შეყვანას მოასწავებდა. ქართულ საერო იმუნიტეტზე ცნობები ძალზე მწირია, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავიანთ მამულებზე მიწათმფლობელებს ჰქონდათ იგივე სახის პრივილეგიები, რაც ეკლესიას.

ქართული ფეოდალური სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა ქალაქი და მისი მოსახლეობა. ეს გარემოება მას მკაფიოდ განასხვავებდა დასავლეთევროპული ქალაქებისაგან, რომლებიც ფეოდალურ გარემოსთან ბრძოლისა და დაპირისპირების ვითარებაში ფუნქციონირებდნენ. დასავლეთევროპული ქალაქი თავისი სოციალური სტრუქტურითა და ეკონომიკური მისწრაფებებით მკვეთრად ანტიფეოდალური ძალა იყო. „მოქალაქე" განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენდა, რომელიც განსხვავებული კანონებით ცხოვრობდა, ვიდრე მისი გარემომცველი ფეოდალური სამყარო. ქალაქის მცხოვრები თვისობრივად განსხვავდებოდა ყველა იმათგან, ვინც მუნიციპალური კედლის მიღმა რჩებოდა. საქართველოში ასეთი ტიპის ქალაქი არ ჩამოყალიბებულა. სავაჭროხელოსნური წრეები სავსებით „ეწერებოდნენ" გარემომცველ სტრუქტურებში და „პატრონყმურ" სისტემაში. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართული ქალაქების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უცხო წარმოშობისა იყო. ეს გარემოება უაღრესად უარყოფით როლს ასრულებდა არა მხოლოდ საზოგადოების საერთო სოციალური პროგრესისათვის, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციებშიც. არსებითად ეს იყო შენელებული მოქმედების ნალმი, „მეხუთე კოლონა", რომლის როლი საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ ღრმადაა შესასწავლი, ცხადია, არა დეკლარაციული „ინტერნაციონალიზმის" პოზიციებიდან.

22. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ერთიანი მონარქიის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას თან სდევდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები სამეფო ხელისუფლების უფლებამოსილების სფეროსა და სახელმწიფო წყობილებაში. იქმნებოდა გაერთიანებული ქვეყნისათვის შესაფერისი ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემა.

ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლება უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა სამეფოს") მეფის ხელისუფლებასთან, რომელთა ეგიდითაც განხორციელდა ქვეყნის გაერთიანება. ეს აისახა ტიტულატურაში და ერთიანი სახელმწიფოს მონარქის კურთხევის ცერემონიალში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთათელი არქიეპისკოპოსი და ოდიშის, რაჭისა და სვანთა საერისთავო სახლების მეთაურები. დასავლეთ საქართველო განიხილებოდა, როგორც ერთიანი ქვეყნის მეფეთა „ძუელი სამეფო", ხოლო აქედან გამოსული ლაშქარი მეფის ყველაზე უფრო ახლობელ, მისანდო კონტიგენტად.

ერთიანი საქართველოს მეფეების საშინაო და საერთაშორისო სტატუსი ერთგვარი არ ყოფილა. იგი იცვლებოდა ქვეყნის გაერთიანების პროცესის განვითარების კვალობაზე და სათანადო ცვლილებები სამეფო ტიტულატურაში აისახებოდა. ნიშანდობლივია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფეები — ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულებს ატარებდნენ (კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი, კესაროსი).

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, რომელიც ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდა, დავით IV აღმაშენებელი იყო. იგი ჯერ სევასტოსი, შემდეგ კი პანიუპერსევასტოსი იყო. ქვეყნის გაერთიანების დასრულებისა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ დავით IV აღმაშენებელმა ხელი აიღო ბიზანტიურ ტიტულებზე. ეს აქტი მოასწავებდა უცხო სახელმწიფოს თუნდაც ფორმალური დამოკიდებულებიდან გამოსვლას და ისეთი სამეფო ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც მხოლოდ

„ღმრთის ნებას“ ემორჩილებოდა. დავით IV აღმაშენებელმა იურიდიულად გაუთანასწორა თავი ბიზანტიის იმპერატორს. საქართველოს მეფე ფორმალურად დამოკიდებული მონარქიდან გადაიქცა „თვითმფლობელ“, „თვითმპყრობელ“ მონარქად, „კეისარობა“ და „დაუმონებელი თავისუფლება“ მოიპოვა, რაც ფაქტობრივად საქართველოს მეფის „ღმრთისსწორ იმპერატორად“ გამოცხადებას ნიშნავდა. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის ლეგენდა (წარმომავლობა ბიბლიური დავით მეფის სახლიდან, რომელსაც თვით იესო ქრისტე ეკუთვნოდა) შედარებით ადრეც იყო ცნობილი (მაგ. იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომი, ასევე სუმბატ დავითის ძის თხზულება), მაგრამ ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში ეს ვერსია თავს იჩენს დავით IV აღმაშენებლის შემდეგ, განსაკუთრებით თამარის დროს, როდესაც მეფეს მიემართება ეპითეტები — „ღვთისსწორი“, „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“ და სხვ. ოფიციალური დოქტრინით, საქართველოს მეფეს თვით ღვთისაგან ჰქონდა ჩაბარებული ხელისუფლება. მეფის „ღვთისსწორობა“ და ამ დოქტრინის ოფიციალური პროპაგანდა, ცხადია, მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს „დაუმონებელი თავისუფლების“ მოპოვებას. ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II ცხადია ვერ შერაცხავდნენ .თავს „ღვთისსწორად“ ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად, რომლის საკარისკაცო ტიტულებსაც (თუნდაც ფორმალურად) ისინი ატარებდნენ.

საქართველოს სინამდვილეში, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული იზოთეოსი* ახლო დგას ბიზანტიურ იზოთეოსთან და სწორედ იქიდანაა შემოსული. ეს არ ყოფილა ბრმა და მექანიკური სესხება. იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა დიდი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ქართველი მეფეების უფლებების ტრანსფორმაციას ასე თუ ისე დამოკიდებული მმართველიდან „თვით მპყრობელი“, იმპერატორის უფლებებით აღჭურვილი, „ღვთისსწორი“ მონარქისაკენ.

ერთიანი მონარქის ზრდისა და მონარქის ხელისუფლე-

---

* „ღვთისსწორობა“ ბიზანტიის იმპერატორისა

ბაზე გარკვეული დოქტრინის ჩამოყალიბებასთან ერთად ყალიბდებოდა საქართველოს მეფის ტიტულიც. დავით IV აღმაშენებელი იწოდებოდა როგორც: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა". შემდგომში მას ემატება „შარვანშაჰისა" და „შაჰანშაჰის" ტიტულები.

მეფე განასახიერებდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და მის ხელში იყო თავმოყრილი მთელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო პრეროგატივები, რომლებიც დანაწევრებული არ იყო. ფორმალურად მეფე შეზღუდული არ იყო და აბსოლუტური ხელისუფლება ეპყრა, რაც რეალურად ცხადია ყოველთვის ვერ სრულდებოდა ცხოვრებაში.

მეფე განაგებდა მთელ ადმინისტრაციულ სისტემას, ნორმალურ ვითარებაში ნიშნავდა და გადააყენებდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის მოხელეებს. იგი როგორც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განმახორციელებელი, ხელმძღვანელობდა მმართველობის ორგანოებს — სასახლეს (ცენტრალურ მმართველობას) და ადგილობრივ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, საერისთავოებს. მეფე იდგა ფეოდალური იერარქიის სათავეში და უმაღლეს სიუზერენს წარმოადგენდა. ამდენად, მას, როგორც უმაღლესი სიუზერენიტეტისა და სახელმწიფო უზენაესობის უფლებათა მატარებელს, ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა იურიდიული რეჟიმის მიწა-მამულზე.

მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, შეეძლო მოეთხოვა და დაევალებინა მოსახლეობისათვის გზების, ხიდების, საციხო სამუშაოები შრომის აუნაზღაურებლად. მასვე ეკუთვნოდა ძღვენების, გადასახადებისა და სამსახურების სამეფო პრივილეგიები. სამეფო მამულებზე ვრცელდებოდა სამეფო შეუვალობა (იმუნიტეტი) და იგი ამოღებული იყო სახელმწიფო მოხელეთა (ერისთავთა) იურისდიქციიდან.

მეფე იყო უმაღლესი მთავარსარდალი. მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პრივილეგიები და რეგალიები გამოხატული იყო საგანგებო ტანისამოსით, სამკაულებითა და სამეფო ხელისუფლების სიმბოლური ატრიბუტებით. მეფესვე ეკუთვნოდა სამონეტო და საბაჟო რეგალიები, სამხედრო ნადავლის მეხუთედი („ფანჯიაქი").

სამეფოს მთავარი მმართველობითი ორგანო იყო სასახლე, ანუ დარბაზი, პალატი, „სახლი სახელმწიფო". აქ იყო კონცენტრირებული ცენტრალური მმართველობის აპარატი. სასახლიდან ხორციელდებოდა მთელი სახელმწიფოს და სამეფო მამულების მართვა. თვით სასახლე („დარბაზი") წარმოადგენდა უწყებათა რთულ კომპლექსს, რომელიც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, სამხედრო და სამეურნეო სფეროებს მოიცავდა. ცალკეულ უწყებებს განაგებდნენ „კარის უხუცესები", რომლებიც ქმნიდნენ „დარბაზის ერის", სასახლის დიდ და მცირე მოხელეთა ერთობლიობის უმაღლეს ეშელონს და სამეფო საბჭოს.

საქართველოს გაერთიანებამ ერთ ძლიერ სამეფოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამეფო კარის ორგანიზაციაში, რაც განსაკუთრებით დავით IV აღმაშენებლის ეპოქასა და ღონისძიებებს უკავშირდება.

დავით აღმაშენებლამდე სამეფო კარის სამოხელეო აპარატის მნიშვნელობა მთელი სამეფოს მასშტაბით დიდი არ იყო. სამეფო კარი შედგებოდა მეფის მომსახურე პერსონალისა და მისი პირადი აპარატისაგან, რომელიც თავისი რეალური ძალაუფლებით ახლოსაც ვერ მივიდოდა ერისთავის ხელისუფლებასთან. რეალური მნიშვნელობის მქონე ერთადერთ სახელმწიფო ხელისუფალს ფაქტობრივად მხოლოდ სპასალარი წარმოადგენდა, რომელიც ამავე დროს დიდი ერისთავი იყო.

დავით აღმაშენებლის მეფობამ უაღრესად გააძლიერა ცენტრის, სამეფო სასახლის („დარბაზის") როლი და მნიშვნელობა. ამან ბუნებრივად გამოიწვია დარბაზის მოხელეთა რეალური ხელისუფლების ზრდაც. შესაბამისად ამაღლდა მათი სტატუსიც. მოხდა კარის სამოხელეო აპარატის არისტოკრატიზაცია, რაც იმაში გამოიხატა, რომ სასახლის თანამდებობები, უმეტეს შემთხვევაში საერისთავო ხელისუფლებას დაუკავშირდა. გზა ხსნილი იყო ასევე წარმოშობით არცთუ ძალიან წარჩინებული, მაგრამ პირადი ნიჭითა და მეფისადმი ერთგულებით დაწინაურებული პირებისთვისაც.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავით IV აღმაშენებლის მიერ მწიგნობართუხუცესის წამოწევასაც. მწი-

გნობართუხუცესები ადრეც ჰყავდათ ქართველ მეფეებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა მთელი სამეფოს მასშტაბით თვალსაჩინო არ იყო. დავითმა გიორგი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსის პატივში აიყვანა, რაც შემდეგ ტრადიციად იქცა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის უახლოეს მრჩეველ-ვაზირად, სამოხელეო იერარქიის უპირველეს პიროვნებად ჩამოყალიბდა.

მეფეს ცხადია, უშუალოდ არ შეეძლო ყველა საქმის მართვა. მას ჰყავდა მრჩეველთა ანუ „განმზრახთა" წრე, რომელსაც შემდეგში, გიორგი III-ის დროიდან, ვაზირები ეწოდათ. ისინი განაგებდნენ მმართველობის ცალკეულ სფეროებს, მათი თანაშემწეობითა და მეშვეობით მართავდა სახელმწიფოს მონარქი. ვაზირებისა და სხვა უმაღლეს დიდმოხელეთა გარკვეული წრე მეფის „სავაზიროს" ანუ საბჭოს შეადგენდა.

სამეფო „სავაზიროს" ანუ საბჭოს, თათბირის შემადგენლობა განსაზღვრული იყო. დავით IV აღმაშენებლის დროიდან მასში მონაწილეობდნენ: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი. თამარის მეფობაში მათ დაემატათ ათაბაგი და მსახურთუხუცესი. თათბირს ესწრებოდნენ ასევე საწოლის მწიგნობარი, ამირახორი და ამირეჯიბი.

სამეფო „სავაზიროზე" წყდებოდა ქვეყნის ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხები: ომის გამოცხადება და ლაშქრობა, სამამულო შეწყალება, დიდი თანამდებობების ბოძება და ჩამორთმევა, დიდმნიშვნელოვანი სასამართლო საქმეები, უმთავრესი პოლიტიკური საკითხები.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი „მეფის მამად" იწოდებოდა და ასევე ატარებდა „პროტოიპერტიმოსის" საპატიო წოდებას. მეფის „ღმრთისსწორობის" დოქტრინის გვერდით ჩნდება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის „ქრისტესსწორობის" დოქტრინაც, რაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ თანამდებობის მნიშვნელობას საქართველოს მონარქიაში. წყაროთა ცნობით, მწიგნობართუხუცესის კომპეტენციაში შედიოდა „ყოველი საურავი". იგი როგორც მეფისა და კარის უპირველესი მოხელე, ახორციელებდა მმართველობის ცენ-

ტრალური აპარატის ყველა უწყების კონტროლსა და სათანადო სანქციის მიღების შემთხვევაში მეფის სახელით ახორციელებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის [illegible] იებებს. სამეფო საქონებლის რეგისტრაცია და [illegible] კონტროლი საშუალებას აძლევდა ამ თანამდებობის მფლობელს შეელწია ყველა უწყებასა და სამსახურში, როგორც სამეფო კონტროლიორს. მწიგნობართუხუცესს ემორჩილებოდნენ ასევე სამეფო მონასტრები. სამეფოს უპირველეს ვაზირს ჰქონდა სასამართლო ფუნქციებიც — იგი განიხილავდა „ქვრივ-ობოლთა და ულონოთა" საქმეებს. მწიგნობარუხუცეს-ჭყონდიდელის მსგავს სახელოს არ იცნობდა ქრისტიანული ბიზანტია, სადაც არ წარმოშობილა არქიეპისკოპოს-კანცლერის სახელმწიფოებრივი სახელო. მასთან ახლომდგომი ინსტიტუტი დამოწმებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.

სამეფო კარის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოხელე იყო მანდატურთუხუცესი. ამ თანამდებობის წინ წამოწევაც დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებებთანაა დაკავშირებული. მანდატურთუხუცესი განაგებდა სამეფო სასახლეს და სამეფო დომენს. მას უშუალოდ ექვემდებარებოდა სასახლის რამდენიმე უწყება. იგი სათავეში ედგა სათანადო წესრიგისა და დისციპლინარული რეჟიმის დაცვას, თვალყურს ადევნებდა ეტიკეტისა და ცერემონიალის შესრულებას.

ამირსპასალარის თანამდებობის ჩამოყალიბება და თვით ამ ტერმინის შემოღება დავით IV აღმაშენებლის ხანას, მის ღონისძიებებს უკავშირდება. ამირსპასალარის სახელო გენეტურადაა დაკავშირებული „სპასპეტის" უძველეს ინსტიტუტთან, ეს უკანასკნელი კი ძველ ქართლში სათავეში ედგა სამეფო ადმინისტრაციას, ყველა ერისთავთა „უხუცესი" და სახელმწიფოს ცენტრალური ოლქის, შიდა ქართლის მმართველი იყო. იგივე თანამდებობა შემდეგში ტერმინ „სპასალარით" აღინიშნებოდა. ქვეყნის გაერთიანების დასრულებამ და ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სპასალარის (სასპასალაროს) თავმოყრამ ერთიან სამხედრო ორგანიზაციაში, უეჭველია სპასალართა „უხუცესის", ამირსპასალარის სახელოს გამოკვეთა გამოიწვია. ამასთან, დავით IV აღმაშენებელმა გაითვალისწინა სპასალართა „ტრადიციები"

სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში (გავიხსენოთ იგივე ბალვაშები) და ამიტომაც, დავით აღმაშენებელის მიერ ჩამოყალიბებული ცენტრალური აპარატის ორგანიზაციაში პირველი ადგილი არა ამირსპასალარს, არამედ [illegible] თუხუცესს ეჭირა. ამ უკანასკნელს მიეკუთვნა „მეფის მამობაც", რომელიც ტრადიციით სპასპეტ-სპასალარებს, მეფეთა აღმზრდელ-მამამძუძეებს ჰქონდათ.

ამირსპასალარი სამეფო სასახლეში განაგებდა საჯინიბოსა და ზარადხანას სათანადო მოხელეების მეშვეობით. მთელი მონარქიის მასშტაბით მას ექვემდებარებოდნენ ერისთავები, როგორც სამხედრო მოხელეები. სამხედრო ძალის ბირთვს, „სამეფო სპას" სწორედ საერისთავოებიდან გამოსული ლაშქარი შეადგენდა და ამ ლაშქარს ამირსპასალარი სარდლობდა, როგორც ერისთავთა „უხუცესი", მთავარი ერისთავი. სამეფო თათბირზე ლაშქრობის საკითხზე მეფისათვის რჩევის მიცემა ამირსპასალარის პრეროგატივა იყო და პირველ რიგში მას უნდა დაჰკითხვოდნენ, როდესაც სამამულო შეწყალების საკითხი იხილებოდა.

ამირსპასალარის სახელოს დიდმა მნიშვნელობამ, ერთხანს წარმოშვა მცდარი თვალსაზრისი ამ თანამდებობის მფლობელთა განსაკუთრებული პრეროგატივების შესახებ. თამარის მეფობაში. აღსანიშნავია, რომ ამირსპასალარი მეფის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მიერ იყოს შეზღუდული, ხოლო თამარის მეფობაში იგი ექვემდებარებოდა არა მხოლოდ მეფეთ-მეფეს, არამედ მეფე-ქმარსაც. ამირსპასალარს დამოუკიდებლივ (ცხადია, თუ იგი აჯანყებული არ იყო) არ შეეძლო ლაშქრის შეყრა, ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება.

XIII საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა ათაბაგის სახელო, რომელიც შემდეგ მჭიდროდ დაუკავშირდა ამირსპასალარის თანამდებობას. ათაბაგი უფლისწულის აღმზრდელი იყო და ეს თანამდებობა თამარს გამოსთხოვა ივანე მხარგრძელმა, მსახურთუხუცესმა. ათაბაგ-ამირსპასალარმა დიდი გავლენა მოიპოვა და ნელნელა მწიგნობართუხუცესის ხელისუფლებასაც წყალი შეუყენა. როგორც ჩანს, სამხედრო ხელისუფლის „მამამძუძეობის" პრაქტიკა ძალზე ხანგრძლივი იყო საქართველოში. ათაბაგობის შემოღებას

საკმაოდ ჩქარა უნდა გამოეცოცხლებინა სათანადო ტრადიციები. მიუხედავად ამისა, ათაბაგ-ამირსპასალარის უპირატესობა მხოლოდ XIII საუკუნის 60-ანი წლებიდანაა [illegible]ული, როდესაც ამ თანამდებობას ილხანის [illegible] ტურები ღებულობენ და დასაყრდენი ჰყავთ უცხო ძალის სახით. ამ დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე აღარ ჩანს მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი.

საქართველოს ერთიანი მონარქიის სამეფო კარის ერთერთ უმთავრეს მოხელეს მეჭურჭლეთუხუცესი წარმოადგენდა. „საჭურჭლე" ანუ ხაზინა, ცხადია, ქვეყნის გაერთიანებამდეც ჰქონდათ ქართველ მეფეებს და მათ სათანადო მოხელეებიც ემსახურებოდნენ, მაგრამ თვით მეჭურჭლეთუხუცესის სახელო, როგორც სახელმწიფოს ერთერთი უმთავრესი დიდმოხელისა, ერთიანი მონარქიის პირმშო უნდა იყოს. ამ თანამდებობის უაღრეს მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ იგი, როგორც წესი, თვალსაჩინო საერისთავო სახლების წარმომადგენლებს ეპყრათ. მეჭურჭლეთუხუცესი სათანადო სამეფისკარო მოხელეების მეშვეობით განაგებდა „სახლის საჭურჭლეს", ე. ი. სამეფო ხაზინას. მასვე ექვემდებარებოდნენ სამეფო ქალაქები და მათი ამირები, ასევე სამეფო ვაჭრები.

დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები ეპყრა საქართველოს სამეფო კარზე მსახურთუხუცესს. იგი მეფის მსახურების (მინისტერიალების) „უხუცესი" იყო და ჩაბარებული ჰქონდა მეფის პიროვნებისა და სახელმწიფო ბეჭდვის დაცვა. მსახურთუხუცესი სარდლობდა სამეფო დომენიდან გამოყვანილ ლაშქარს, „ტაძრეულ სპას" და მასვე ევალებოდა სამეფო ციხე-ქალაქების გარნიზონთა ხელმძღვანელობაც.

საქართველოს ერთიანი მონარქია ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო საერისთავოებად. საერისთავო და ერისთავი უძველესი ინსტიტუტები იყო. თავიდანვე ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა ეფუძნებოდა ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპს. სახელმწიფოს მთელი ტერიტორია, სულ სხვადასხვა იურიდიული რეჟიმის მქონე სამფლობელოების ჩათვლით, საერისთავოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში იყო მოქცეული. საერისთავოს ტერიტორიაზე განლაგებული სამეფო მამულები ამოღებული იყო ერისთავთა იურის-

დიქციიდან. მათი მართვა უშუალოდ ექვემდებარებოდა სასახლის ადმინისტრაციას. ცხადია, განსხვავებული იყო ერისთავის ხელისუფლების დამოკიდებულება ბუნებრივ დიდებულთა და აზნაურთა მამულებისადმი. ასეთი მამულების შეუვალობა შეზღუდული იყო ერისთავის პრეროგატივებით.

ერისთავი მეფის პიროვნებას განასახიერებდა საერისთავოში და მის „ნაცვლად" ითვლებოდა. იგი აღჭურვილი იყო სასამართლო-ადმინისტრაციული და სამხედრო-ფისკალური ფუნქციებით. ერისთავი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საერისთავოში, განაგებდა საერისთავოდან გამომავალ ლაშქარს.

მსხვილი საერისთავოები დაყოფილი იყო მცირე საერისთავოებად, რომელთა სათავეში „ცოტაი ერისთავები" იდგნენ. გარკვეულ ადმინისტრაციულ დანაყოფებს წარმოადგენდნენ საციხისთავოები. საერისთავოების ძირითად ბირთვს, მის უმთავრეს შემადგენელ ადმინისტრაციულ ერთეულს „ხევი" შეადგენდა. ხევები თავის მხრივ „ასეულებად" იყოფოდნენ.

სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ „მონაპირე", ანუ საზღვრისპირა ერისთავები. „მონაპირე" ანუ „მაზრპანი" უკვე XI საუკუნის დასაწყისშია დადასტურებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ინსტიტუტმა დავით IV აღმაშენებლისა და თამარის დროს მიიღო, როდესაც ქვეყნის საზღვრები გაფართოვდა და ახალი „სანაპიროები" შეიქმნა.

ცალკე ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, როგორც აღინიშნა, სამეფო დომენი. მას თავისი ორგანიზაციული სტრუქტურაც გააჩნდა. სამეფო დომენში გამოყოფილი იყო საკუთრივ მეფის მამული, საუფლისწულო და „სადედოფლოც". დომენის ადგილობრივი მოხელეები ექვემდებარებოდნენ სასახლის „საგანმგეოს" უწყებას, რომელსაც მანდატურთუხუცესისადმი დამორჩილებული განმგეთუხუცესი ხელმძღვანელობდა.

საკუთარი ადმინისტრაცია გააჩნდათ საქართველოს წარჩინებულთა-დიდებულთა და აზნაურთა მამულებს.

ბუნებრივია, ცალკე მმართველობა ჰყავდა საქართველოს

ეკლესიის კუთვნილ მამულს, რომელიც კათალიკოსის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალაქები ძირითადად მეფეს ეკუთვნოდა, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი სამეფოს დიდებულებსაც ჰქონდათ. მეფე ქალაქებს ხშირად გადასცემდა დიდებულებს სხვადასხვა პირობით — სამართავად, „სახარაჯოდ", „სანახევროდ" და სხვ. სამეფო ქალაქებს ამირები მართავდნენ, რომლებიც მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდნენ. შემოერთებამდე ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა თბილისი, ხოლო შემოერთების შემდეგ მას მართავდა „ქართლისა და თბილისის ამირა" ანუ „ამირთამირა" — საქართველოს მეფის მოხელე. საქართველოს ქალაქების მმართველობა მთლიანად იყო დამოკიდებული სახელმწიფო ადმინისტრაციასა და სახელმწიფო რეგლამენტაციაზე. ჩვენში არ წარმოშობილა „თავისუფალი ქალაქი" და ამასთან დაკავშირებით, არჩევითი მაგისტრატები, როგორც დასავლეთ ევროპაში. ამ ნიშნით ქართული ქალაქი უახლოვდებოდა აღმოსავლურ და ბიზანტიურ ქალაქებს, რომლებიც ასევე მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებაზე. აღნიშნული გარემოება, სხვა მიზეზებთან ერთად, არ უწყობდა ხელს „მესამე წოდების" ჩამოყალიბებას, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალური განვითარების მძლავრ იმპულსს წარმოადგენდა.

23. ქართული კულტურა XII ს-სა და XIII ს. დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეების ქართულ კულტურას არც მანამდე და არც შემდეგ არ მიუღწევია ისეთი მწვერვალისათვის, როგორსაც XII-XIII სს. მიაღწია. ეს იყო ქართული სულის სრულად გამოხატვის, ქართული თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების კულტურა. იგი საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალ სხვადასხვა სახეში გამოვლინდა და შორეულ იდეალად დარჩა მომავალი, მრავალი სიდუხჭირით შეჭირვებული ქართველებისათვის.

ყოველი კულტურა განათლებით იწყება, ხოლო განათლების კერას საქართველოში უკვე კარგახანია მონასტერი წარმოადგენდა. მონასტერში იყო თავმოყრილი ძირითადად სასულიერო და საერო განათლება და იგი ოფიციალურ სკოლას წარმოადგენდა თავისი „მოძღვართა" ინსტიტუტით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა „უმაღლეს სკოლებს", კერძოდ კი გელათისა და იყალთოს აკადემიებს, რომლებიც აღმოსავლურ-ქრისტიანული განათლების ნამდვილ კერებს წარმოადგენდნენ. საისტორიო ცნობების მიხედვით, გელათის კომპლექსის მშენებლობას დავით IV აღმაშენებელი 1106 წელს შეუდგა და იგი თავიდანვე უაღრესად დიდი მნიშვნელობის დაწესებულებად იყო ჩაფიქრებული. სამეფო საძვალესთან ერთად, გელათი უნდა ყოფილიყო და გახდა კიდეც უმაღლესი განათლების უთვალსაჩინოეს გამავრცელებლად საქართველოში. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ გელათი იყო „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად... სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა", ხოლო იოანე შავთელი გელათს, „ახალ რომს" ადარებდა. გელათში დავით IV აღმაშენებელმა თავი მოუყარა ქართული ქრისტიანული კულტურის დიდ მოღვაწეებს ათონის, კონსტანტინოპოლის, პეტრიწონის და სხვა აკადემიებიდან, რომელთაც ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა გააჩაღეს სამშობლოში. ესენი იყვნენ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე ტარიჭის ძე, თეოფილე ხუც-

ესმონაზონი და სხვა. უფრო მოგვიანო ცნობებიდან ვიცით, რომ უმაღლესი სკოლა არსებობდა იყალთოშიც, სადაც ერთხანს არსენ იყალთოელი მოღვაწეობდა.

ქართული აკადემიები ქრისტიანული აღმოსავლეთის უმაღლესი სკოლის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით იყო გამართული. აქ ისწავლებოდა „ქვეყნის სამზომლოი" (გეომეტრია), „რიცხუნი" (მათემატიკა), „სამუსოი" (მუსიკა), „ღრამატიკოსობა", „რიტორობა", „ფილოსოფოსობა", „ვარსკვლავთმრიცხველობა" და საფიქრებელია, რომ მედიცინაც. ეს იყო ცნობილი ტრივიუმ-კვადრივიუმის სასწავლო ციკლი.

ქართული ორიგინალური ძეგლების შექმნასთან ერთად თვით საქართველოში და საზღვარგარეთულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებში მიდიოდა დიდი მთარგმნელობითი მუშაობა. ითარგმნებოდა იმდროინდელი საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ვითარდებოდა ქართული საერო მწერლობა, რომლის მნიშვენლოვანი ძეგლები იყო მოსე ხონელის სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი", ჩახრუხაძის „თამარიანი" და იოანე შავთელის „აბდულმესია". ეს უკანასკნელნი თამარსა და დავით სოსლანს ეძღვნებოდა და ქართული სახოტბო პოეზიის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

„ოქროს ხანის" ეპოქის, ისევე როგორც საერთოდ შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული შუბლის გამოხატულება იყო შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი", რომელიც სახარებასთან და „ქართლის ცხოვრებასთან" ერთად ქართული სულისა და იდეოლოგიის ბურჯს წარმოადგენდა.

ამავე ეპოქის პირმშოა „ქართლის ცხოვრებაც". ესაა ერთადერთი ძეგლი, რომელიც საქართველოს ისტორიას მთლიანობაში ასახავდა. იგი „უამითი უამად" იწერებოდა. „ქართლის ცხოვრებაზე", ამ „პატიოსან" და „წმინდა" წიგნზე თაობები იზრდებოდა. ამ ეპოქაში შეიქმნა დავითის ისტორია, თამარის ორი ისტორია, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება. სამეფო ხელისუფლება თვით უკვეთავდა გამორჩეულ ავტორებს ამ თხზულებებს და

ისინი გარკვეული სახელმწიფოებრივი დოქტრინის გამომხატველნი იყვნენ. კერძოდ, ყველა ავტორი მეფის ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლების მხურვალე მომხრე იყო.

XII საუკუნეში აიგო გელათი, იკორთა, ბეთანია, ყინწვისი, ვარძიის სამონასტრო კომპლექსი. მათ სამშენებლო ხელოვნებასთან ერთად ფრესკებისა და მოზაიკის სწორუპოვარი ნიმუშები შემოგვინახეს. დიდად იყო განვითარებული ოქრომჭედლობა, წიგნების მოხატვა, მინანქრის ხელოვნება. ბექა და ბეშქენ ოპიზარების, დიდი ქართველი ოქრომჭედლების ხელოვნება დღემდე აღტაცებას იწვევს. მინანქრის ხელოვნების უნიკალურ ქმნილებად ითვლება ხახულის ღმრთისმშობლის კარედი ხატი.

24. საქართველო XIII ს-ის I მესამედში

ტახტზე ასვლისას ლაშა გიორგი ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა იყო და მის კარზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ თამარის ვაზირები — მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, მისი ძმა ივანე ათაბაგი და სხვ. თამარის გარდაცვალებამ დიდი პოლიტიკური ცვლილებების იმედი ჩაუსახა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნების ერთ ნაწილსაც. პირველად განძა გადგა და ხარკის გადახდა შეწყვიტა. საქართველოს ლაშქარმა განძას ალყა შემოარტყა და აიძულა იგი ძველებურად ეხადა ხარკი და ყმადნაფიცობა ისევ ეკისრა.

ლაშა გიორგის მეფობის დასაწყისშივე უნდა იყოს მოწყობილი ქართველთა ცნობილი ლაშქრობა სპარსეთში. ეს ლაშქრობა 1210-1211 წწ. თარიღდება, ზოგი მკვლევარი კი ამ ლაშქრობის თარიღად 1209 წელს მიიჩნევს.

ქართველთა ლაშქარი, რათა „ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი", მარანდს მიადგა, დაამარცხა ისინი და თავრიზისაკენ გაემართა. თავრიზი უბრძოლველად ჩაბარდა ქართველებს და დიდძალი ძღვენი და სურსათი გაიღო. ქართველთა ლაშქარმა ბრძოლით გაიარა მიანა, ზენჯანი, ყაზვინი და ხორასანს შევიდა. ლაშქარს იმდენი ალაფი დაუგროვდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. ლაშა გიორგის მემატიანის ცნობით, ქართული ლაშქარი „ესდენ სიშორესა შინა მივიდნენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა".

მომდევნო წლებში არაერთი ლაშქრობა მოეწყო საქართველოს სამხრეთით გამდგარი ყმადნაფიცების წინააღმდეგ. დაიმორჩილეს ხლათი, კარნუ-ქალაქი, კეჩროლი.

საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს დიდი იმედი ჰქონდათ ჯვაროსნებს, რომლებიც მას დახმარებისათვის მიმართავდნენ.

თვითონ ლაშა გიორგი, როგორც სხვადასხვა წყაროები გვამცნობენ, მეტად ნიჭიერი, გულადი და თავისებური პიროვნება ყოფილა. ზოგი წყარო მიუთითებს, რომ მან „ლაღობა-ამპარტავნობას" მიჰყო ხელი და სამეფო კარი

თავის თანამოასაკე „მოსმურებით“ გაავსო, განიშორა დედამისის ვაზირები და იმდენად გადაყვა „სიბილწეს“, რომ ერინდებთან ქეიფის დროს მარჯვენა თვალი დაუბრმავებია. მან კანონიერი მეუღლე არ შეირთო და ცხოვრობდა ველისციხელ გათხოვილ ქალთან, რომელთანაც ვაჟი შეეძინა.

ბევრ მკვლევარს ლაშა გიორგის პიროვნების მეტისმეტად მუქი საღებავებით წარმოჩენა იმ შინაპოლიტიკური ბრძოლის ანარეკლად მიაჩნია, რომელიც მეფესა და გავლენიან წარჩინებულთა ერთ წრეს შორის იყო გაჩაღებული. მართლაც, საფიქრებელია, რომ არისტოკრატიის ის ნაწილი, რომელმაც თამარის მეფობაში მნიშვნელოვანი პოზიციები მოიპოვა, ვერ ურიგდებოდა ცენტრალისტურად განწყობილ მეფეს და იმ ხალხს, ვინც მას მმართველობაში მოჰყავდა. სწორედ ეს ფენები ქმნიდნენ უარყოფით აზრს ლაშა გიორგის პიროვნებაზე.

ლაშა გიორგის მეფობის მიწურულს საქართველოში პირველად გამოჩნდნენ მონღოლები. ხორეზმშაჰ მუჰამედის დევნისას მონღოლთა 20 000 კაციანი ლაშქარი ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით საქართველოს საზღვრებთან აღმოჩნდა. ლაშა გიორგი თავს დაესხა მათ, მაგრამ მონღოლებმა ხერხი იხმარეს, უკან დაიხიეს იმ ადგილისაკენ, სადაც ერთი რაზმი ჩასაფრებული ჰყავდათ. ქართველები დამარცხდნენ. ერთი წლის შემდეგ, 1221 წელს მონღოლები ისევ მოვიდნენ, მაგრამ საქართველოს ძლიერ ლაშქარს აღარ შეებნენ და გაეცალნენ. ამ ორი უმნიშვნელო გამოჩენისათვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება საქართველოში არ მიუქცევიათ.

1222 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლაშა გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ვინაიდან მას კანონიერი შვილი არ ჰყავდა, სამეფო ტახტზე ავიდა მისი და რუსუდანი.

რუსუდანი (1222-1245 წწ.) არსებითად შემთხვევით აღმოჩნდა საქართველოს დიდი სახელმწიფოს სათავეში. იგი ცხადია, სამეფოდ არ იზრდებოდა და ტახტი იმან მოუპოვა, რომ ლაშა გიორგის კანონიერი შვილი არ აღმოაჩნდა. სამეფოს მესაჭეობისათვის მოუმზადებელ რუსუდანს საქართველოსთვის უაღრესი განსაცდელის ჟამს მოუწია

მეფობამ და ბუნებრივია, იგი ხშირ შემთხვევაში თავს ვერ ართმევდა რთულსა და საპასუხისმგებლო სიტუაციებს.

რუსუდანმა ქმრად შეირთო კარნუ-ქალაქის (არზრუმის) მფლობელის შვილი, რომლისგანაც ეყოლა ქალიშვილი თამარი და ვაჟი დავითი, მომავალი მეფე დავით ნარინი.

1222-1225 წლებში საქართველო მცირე მასშტაბის ბრძოლებში იყო გართული, უმეტესად მეზობელ მხარეებთან, რომლებიც ყოველი ახალი მეფობის დასაწყისში აიშლებოდნენ ხოლმე. წვრილმან ამბებს გადაყოლილმა მმართველმა წრემ თავი ვერ გაართვა შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ სიტუაციას და კარზე მომდგარ დიდ საფრთხეს ფაქტობრივად მოუმზადებელი შეხვდა. ეს საფრთხე იყო ერთ მხრივ ხორეზმელები, ხოლო მეორე მხრივ მონღოლები.

ამ დროისათვის ხორეზმის დიდი სახელმწიფო მონღოლებს განადგურებული ჰყავდათ. მონღოლებს მძლავრად წინაღუდგა უკანასკნელი ხორეზმშაჰის, მუჰამედის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინი, რომელმაც ბრძოლა ხორეზმის გარეთ განაგრძო და მახლობელი აღმოსავლეთის ძალების დარაზმვა დაიწყო მათ წინააღმდეგ. 1125 წელს ჯალალ ედ-დინმა შარვანის გამოკლებით მთელი აზერბაიჯანი დაიკავა და საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა, რუსუდან მეფეს მუქარის წერილი გამოუგზავნა. იგი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა და დვინისა და მისი შემოგარენის აოხრება დაიწყო. საქართველოს ლაშქარი დამარცხდა ამ ბრძოლაში და 20 000 მეომარი დაკარგა. დაიღუპა ივანე ახალციხელი, ხოლო მისი ძმა შალვა, ცნობილი სარდალი, ჯალალ ედ-დინს ტყვედ ჩაუვარდა. 1226 წლის დამდეგს ჯალალ ედ-დინმა ბრძოლა დაიწყო თბილისის ასაღებად. ქალაქის აღება თბილისელ „სპარსთა" ღალატით გახდა შესაძლებელი. ვინმე თბილისელმა მუსლიმმა მოღალატურად მოკლა ქალაქის თავდაცვის ერთ-ერთი მესვეური მემნა ბოცოს ძე. 1226 წლის 9 მარტს ქალაქი დაეცა. ჯალალ ედ-დინმა უაღრესი სისასტიკე გამოიჩინა. თბილისი საშინლად ააოხრეს და მოსახლეობა გაჟლიტეს. ზოგი ცნობით, დაღუპულთა რაოდენობამ 100 000 მიაღწია. ხორეზმელთა თარეში ქვეყანაში რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა.

მონღოლთა წინააღმდეგ ძალთა კონსოლიდაციის ნაცვ-

ლად, ჯალალ ედ-დინი ძარცვა-გლეჯაზე იყო გადასული, რამაც მას საკმაოდ სწრაფად შემოაცალა მოკავშირეები. ბევრი მათგანი საქართველოს დაუდგა გვერდში. საქართველოს მთავრობამ ჩრდილოკავკასიელი ტომებიც მოიშველია, მაგრამ ბოლნისთან ბრძოლაში 1227-1228 წლების მიჯნაზე, კოალიციური ლაშქარი დამარცხდა, უმთავრესად ყივჩაღთა ღალატის გამო. მონღოლთა წარმატებები ფეხდაფეხ სდევდა ხორეზმშაჰს. მათ კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს ჯალალ ედ-დინი დიარბექირის მიდამოებში. დამარცხებული ხორეზმშაჰი უსახელოდ დაიღუპა 1231 წელს.

ჯალალ ედ-დინმა ვერ შესძლო ირანისა და ამიერკავკასიის ძალთა გაერთიანება მონღოლთა წინააღმდეგ. მან არა მხოლოდ ქრისტიანული მოსახლეობა ააოხრა, არამედ მუსლიმებსაც მალე მოაბეზრა თავი. მისმა ამაოხრებელმა შემოსევებმა საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. ასეთ ვითარებაში გამოჩნდა ახალი დიდი დამპყრობელი მონღოლ-თათართა სახით.

25. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლები XIII ს. დასაწყისში აზიის ველებიდან ოვიდნენ რიცხვმრავალი ურდოების სახით და სტიქიური უბედურებასავით მოევლინენ იმდროინდელ მსოფლიოს. მძაფრი შინაგანი ბრძოლების შედეგად წარმოიქმნა მათი სახელმწიფო, რომელსაც თემუჩინი ანუ ჩინგიზ-ხანი (ყაენი) ჩაუდგა სათავეში. მოკლე ხანში მონღოლებმა დაიპყრეს ჩინეთი, დაამხეს იქაური დინასტია და შეიერთეს იგი. მას მოჰყვა ხორეზმი და სხვა სახელმწიფოები. 1220 წლისათვის მონღოლებს მთელი შუა აზია დაპყრობილი ჰქონდათ. 1223 წელს მდ. კალკასთან მათ სასტიკად დაამარცხეს რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი. 1235 წელს ისინი საქართველოს მოადგნენ დასაპყრობად. ეს აღარ იყო უწინდელი დაზვერვითი ლაშქრობა.

იმდენად დიდი იყო თვით ჩინეთისა, ხორეზმისა და რუსეთის დამპყრობი მონღოლების წინაშე პანიკა, რომ საქართველოს სამეფო კარმა და უპირველესმა მხედართუფროსებმა წინააღმდეგობის ორგანიზებაც კი ვერ შეძლეს. მეფე რუსუდანმა დატოვა დედაქალაქი და ქუთათისს გადავიდა. ქალაქის დაცვის ხელმძღვანელს, მუხასძეს ებრძანა მონღოლთა შემოსევის შემთხვევაში დაეწვა თბილისი და სამეფო რეზიდენცია. ამის შემდეგ სამეფოს წარჩინებულებმაც „თავს უშველეს“ და ყველა თავთავის ციხესიმაგრეში გამაგრდა. დამპრობლებმა თავიანთი ლაშქარი რაზმებად დაჰყვეს და ცალ-ცალკე მხარეებს შეუსიეს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით: „შემოვიდნენ ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს... მოეფინენ მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად“. უხელმძღვანელოდ დარჩენილი მოსახლეობა, ვისაც როგორც შეეძლო შველოდა თავსა და ოჯახს: „ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა“.

მეფე რუსუდანი ლიხთიმერეთში დამკვიდრდა და აღმოსავლეთში აღარ გადმოდიოდა. უღონოქმნილი ამირსპასალარი ავაგი და ქვეყნის სხვა მესვეურნი დამორჩილდნენ მონღოლებს. ბრძოლას უკანასკნელ შესაძლებლობამდე გა-

ნაგრძობდა ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელი მესხეთში, მაგრამ როდესაც ყოველგვარი იმედი მასაც მოესპო, მეფე რუსუდანს ნებართვით მონღოლთა სარდალს ჩაღატას ... და მორჩილება გამოუცხადა. XIII ს. 30-იანი წლების მინურულისათვის მონღოლებს მთელი აღმოსავლეთ საქართველო ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე ხელთ ჰქონდათ. დასავლეთ საქართველოში შეჭრა კი მათ ვერ შეძლეს.

მეფე რუსუდანი, რომელსაც არც საშინაო ძალების იმედი ჰქონდა, და რომის პაპმაც 1240 წელს დახმარებაზე უარი უთხრა, მონღოლებს ზავით შეეკრა. ეს მოხდა 1242 წელს. ზავის თანახმად საქართველოს მეფე ცნობდა მონღოლთა უზენაესობას. განსხვავებული სტატუსი შეექმნათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. აღმოსავლეთში ქართულ ადმინისტრაციასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და ნოინები (სარდლები). ამ მხრივ დასავლეთ საქართველო თავისუფალი იყო, რადგან მონღოლებმა ის იარაღით ვერ აიღეს. ქვეყანას შეეწერა ყოველწლიურად 50 000 პერპერა (ოქროს ფული) ხარკი და დაევალა მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. მთელი საქართველოს მემკვიდრედ აღიარეს დავით VI რუსუდანის ძე. დაზავების შემდეგ სამეფო ხელისუფლება თბილისში გადმოვიდა და დავით რუსუდანის ძე სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად გაიგზავნა უზენაეს ყაენთან ყარაყორუმში.

1245 წელს მეფე რუსუდანი გარდაიცვალა. საქართველოში უმეფობის ხანა დადგა, ვინაიდან დავით რუსუდანის ძისა, ყარაყორუმში გამგზავრების შემდეგ, არაფერი ისმოდა.

მონღოლებმა საქართველო 9 დუმნად დაჰყვეს და თითოეულს სათავეში ქართველი ერისთავთ-ერისთავი ჩაუყენეს. დუმანი სამხედრო ერთეული იყო, რომელსაც 10 000 მეომარი უნდა გამოეყვანა. დუმნებად დაყოფა ქვეყანაში მეფობის აღდგენამდე გაგრძელდა.

ერთიანი საქართველოს მესვეურობა უმეფობის ხანაში ქართველ დუმნისთავებს, ერისთავთ-ერისთავებს დააწვათ. მათ გადაწყვიტეს როგორმე მოეშორებინათ მონღოლური უღელი და მოსალაპარაკებლად ასპინძასთან, კოხტასთავს

შეიკრიბნენ. მათ დათქვეს აჯანყების დრო და ადგილი (შიდა ქართლი) და თავთავის საერისთავოებში აპირებდნენ დაბრუნებას ლაშქრის შესაკრებად. მონღოლებმა შეიტყვეს ეს განზრახვა და ადგილზევე მოასწრეს შეთქმულთა შეპყრობა. მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ორი დუმნისთავი — ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი იყვნენ წასულები. დაპატიმრებულნი მონღოლებმა ქ. ანისში წაასხეს და დაკითხვა დაუწყეს. ყველა ქართველი ერისთავი ერთ პირზე დადგა და შეკრების ნამდვილი მიზანი არ გააცხადა. ისინი ამბობდნენ, რომ თითქოს მონღოლთა ხარკისა და სამსახურის მოსაწესრიგებლად შეიკრიბნენ. ნოინმა გააშიშვლებინა პატიმრები და შეკრულნი დაყარა თაკარა მზის ქვეშ გამოტეხვის მიზნით. ასაჯანყებლად გამზადებული ცოტნე დადიანი, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ორი მსახურის თანხლებით ანისს გაეშურა. როდესაც მან საქართველოს უწარჩინებულესი პირები „ესრეთ უპატიოდ და სიკუდილად განწირულნი“ ნახა, თვითონაც გაშიშვლდა და გვერდით მიუჯდა მათ. მონღოლები ამან ძალზე გააკვირვა და ცოტნეც დაჰკითხეს თავისი საქციელის გამო. მან განაცხადა, ჩვენ თქვენი ხარკის მოსაწესრიგებლად ვიყავით შეკრებილნი და თუ ამის გამო სიკვდილი გვეკუთვნის, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. ცოტნეს თავგანწირვამ მონღოლები დაარწმუნა ქართველი წარჩინებულების სიმართლეში და ისინი გაანთავისუფლა. ცოტნეს პირადმა თავგანწირვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ცოტნემ ჩაიდინა „სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი“. იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას ცოტნეს ზნეობრივმა მაგალითმა უჩვენა, რომ: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყვასისა თვისისათვის“.

26. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში უმეფობას ვერც წარჩინებულნი და ვერც ხალხი ვერ შეეგუენ. დავით რუსუდანის ძისა არაფერი ისმოდა. ქვეყნის მესვეურთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა რუსუდანის მიერ გადაკარგული ლაშა გიორგის უკანონო შვილი, დავითი მოეძებნათ და მისი მეფედ დამტკიცება ეთხოვათ. დავით ლაშას ძეც მონღოლებმა ყარაყორუმის გზას გაუყენეს. იქ მას დახვდა დავით რუსუდანის ძე თავის მხლებლებთან ერთად. საქართველოს ტახტის გარშემო რთული ვითარება შეიქმნა. ქართული წესით, მეფობა ეკუთვნოდა დავით რუსუდანის ძეს, ვინაიდან დავით ლაშას ძე უკანონო შვილი იყო. მონღოლური ადათი კი კანონიერ და უკანონო შვილს არ არჩევდა. ამიტომაც ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა მეფედ. დავით VII გიორგის ძეს ეწოდა ულუ (უფროსი), ხოლო დავით VI რუსუდანის ძეს — ნარინი (უმცროსი).

საქართველოს მეფეებად ორივე დავითის დამტკიცებას ყაენის კარზე შეესწრო რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი, რომელმაც ეს ამბავი საინტერესოდ გადმოგვცა.

ორმეფობას იმთავითვე არ გამოუწვევია ქვეყნის პოლიტიკური გაყოფა, იგი ერთიანი რჩებოდა ორი მეფის ხელქვეით. სამეფო დოკუმენტები გამოდიოდა ორივე მეფის სახელით. მას ორივე დავითი აწერდა ხელს.

მალე ვითარება შეიცვალა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მონღოლთა ბატონობის დამძიმებასთან. XIII ს. 50-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო მონღოლური ბატონობის ახალი ეტაპი, რაც პირდაპირ დაუკავშირდა მონღოლთა გადასახადების გადიდებას და მათ ღონისძიებებს სამხედრო ორგანიზაციის საქმეში, მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა დაპყრობილ ხალხებს. 1254 წელს არღუნაღას ხელმძღვანელობით საქართველო აღწერეს. საგადასახადო დავთარში შეტანილი იქნა 15-დან 60 წლამდე მამაკაცები, პირუტყვი, ნაყოფიერი ხეები, მიწა, ბაღ-ბოსტანი, სათევზაო ადგილები და სხვ. გადასახადი დაედო ვაჭრებს,

ხელოსნებს, სოფლის მეურნეებს, ფაქტობრივად ყველას, გარდა მოხუცებისა, ქალებისა, ბავშვებისა და რელიგიური კულტის მსახურებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლური გადასახადები იყო მალი (მოსავალზე), ყაფჩერი (საბალახე), საიამე (ცხენებით მომარაგება, საგზაო სადგურები), ასევე ულუფა, ულაყი, საელჩო და სხვ. ცალკე ედო ქვეყანას კიდევ სამხედრო ბეგარა — ყალანი, რომელიც განსაკუთრებით მძიმე იყო. სამხედრო ბეგრით გამოყვანილ მოსახლეობას წლობით უხდებოდა თავისი ქვეყნისაგან მოშორებით ბრძოლა მონღოლთა დაპყრობით ექსპედიციებში. მამრობითი სქესის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთიშული იყო საქართველოს სამეურნეო ცხოვრებიდან.

XIII ს. 50-იანი წლებიდან მონღოლებური გადასახადებისა და ვალდებულებების დამძიმებამ გამოიწვია მოსახლეობის ამხედრება დამპყრობელთა წინააღმდეგ, ანტიმონღოლური აჯანყებები. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ საქართველოს სამხრეთით, ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ილხანთა მონღოლური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი ჰულაგუ ჩაუდგა.

ასეთი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც 1259 წლის ზაფხულში დაიწყო დიდი აჯანყება დავით ნარინის მეთაურობით. აჯანყების ჩასახშობად ჰულაგუ ყაენმა გამოგზავნა არღუნ-აღა, რომელიც უკან დამარცხებული დაბრუნდა. ამის შემდგომ ჰულაგუმ ახალი, უფრო დიდი ლაშქარი გამოატანა არღუნს. ასეთ პირობებში დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ლიხთიმერეთის დიდებულების მიერ მეფედ იქნა დადგენილი. ასე იწყება იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია.

ამავე ხანებში აჯანყდა დავით ულუც. მის ბანაკში მხოლოდ სარგის ჯაყელი დარჩა. 1260 წლის დეკემბერში გორის სიახლოვეს მონღოლებმა დაამარცხეს დავით ულუ, რომელიც სამცხეში გადავიდა. მონღოლებმა სამცხესაც გაუსივეს ჯარი და დავით ულუ იძულებული გახდა იმერეთს შეხიზნოდა.

მონღოლებმა მალე შემოირიგეს დავით ულუ და ალმო-

სავლეთ საქართველოს ტახტზე დააბრუნეს. საქართველო და მისი მეფე დასჭირდათ მონღოლებს, რადგან დაიწყო ომი ილხანთა საყაენოს და ოქროს ურდოს მონღოლურ სახელმწიფოს შორის. ოქროს ურდო დარუბანდის გზით უტევდა ილხანთა საყაენოს, ხოლო საქართველო ახლო იყო დარუბანდის გზასთან. 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენის ბერქას ჯარებმა მოაოხრეს იორსა და მტკვარს შორის ტერიტორია, რომელიც უდაბნოდ იქცა.

დავით ულუმ და დავით ნარინმა გარკვეული ხნით ქვეყნის ერთიანობა შეინარჩუნეს. 1259 წელს მოხდა ერთიანი სამეფოს ორ სამთავროდ გაყოფა. ცოტა მოგვიანებით კი ერთიანი სამეფო ორ სამეფოდ შეიქნა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეფით სათავეში.

დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) ცალკე გამოყოფას თავისი სერიოზული მიზეზებიც ჰქონდა, გარდა მეფეებს შორის უთანხმოებისა. იგი ნაკარნახევი იყო დასავლეთ საქართველოს დიდებულთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით. დასავლეთ საქართველო მონღოლებს იარაღით არ დაუპყრიათ, რაშიც უეჭველია, ამ მხარის ბუნებრივმა პირობებმა თავისი როლი შეასრულეს. ამასთან, დასავლეთს, როგორც ერთიანი მონარქიის ნაწილს, თბილისში მჯდომი მეფეებისადმი დამოკიდებულ მხარეს უნდა ეკისრა ყველა ის გადასახადი და გამოსაღები, რაც აღმოსავლეთ საქართველოს. ასეთი სიტუაცია, ცხადია, დასავლეთ საქართველოს მესვეურებს ხელს არ აძლევდათ. ამასთანაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ცალკე გამოყოფის გეგმაც, რომელსაც სათავეში ლეგიტიმური მონარქი დავით VI რუსუდანის ძე ჩაუდგა. ამ აქტის განმახორციელებელნი მას მიიჩნევდნენ დროებით ნაბიჯად და არ თვლიდნენ, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ დაშლას უწყობდნენ ხელს. ეს ჩანს დავით ნარინის შემდგომი მოღვაწეობიდანაც.

1266 წელს მონღოლებმა ცალკე გამოჰყვეს სამცხის სამთავრო, რომელიც უშუალოდ ყაენს დაუმორჩილეს, ე. წ. „ხასინჯუდ“ აქციეს.

ამ პერიოდში კიდევ უფრო დამძიმდა აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა. ქართველები იძულებულნი

იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მონღოლებს შორის ატეხილ ომებში. მათ ევალებოდათ დაეცვათ საგანგებოდ გამაგრებული სანგრები („სიბა"). ასეთი სიბის დაცვისას ეფიმიამ იმსხვერპლა დავით VII ულუ 1270 წელს. მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მისი მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე II (1270-1289 წწ.) დაამტკიცეს და მეურვედ ქართველ მეფეთა ქვეშევრდომი სომეხი დიდებული სადუნ მანკაბერდელი (მაჰკანაბერდელი) დაუნიშნეს. სადუნი თავის დროზე დიდი სომხური გვარის, არწრუნთა შვილი იყო. ეს გვარი შემდეგ დემეტრეს დაემცრო და მხარგრძელთა ხელქვეევით მოექცა. თვით სადუნი მხოლოდ პირად გამდიდრებაზე ზრუნავდა და საქართველოს ათაბაგობასაც მიაღწია, რაც ძალზე აღიზიანებდა სამეფოს წარჩინებულებს. მისი გარდაცვალების შემდეგ თანდათან მეფემ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუბუღას აღარ მისცა და საბედისწეროდ გადაიმტერა იგი. ათაბაგობა ხუტლუბუღას მოწინააღმდეგემ ტარსაიჭ ორბელმა მიიღო.

დემეტრე II ყოველმხრივ ცდილობდა საერთო მძიმე ვითარების შემსუბუქებას. საამისოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ყაენის კართან და თავისი ლაშქრით მონაწილეობდა მონღოლთა აურაცხელ ლაშქრობებში.

დემეტრემ მძიმე დროების მიუხედავად შესძლო აეშენებინა მეტეხის დიდებული ტაძარი, რომელიც დღემდე ამშვენებს თბილისს.

XIII ს. 80-იანი წლებიდან ილხანთა მონღოლური სახელმწიფო გაუთავებელმა შინაომებმა მოიცვა, რაშიც ძალაუნებურად აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოც იქნა ჩათრეული. დემეტრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა არღუნ ყაენის ვაზირ ბუღასთან, რომელიც ღალატის ბრალდებით 1288 წელს ყაენმა სიკვდილით დასაჯა. ილხანთა კარზე დაიბარეს ბუღას მეგობარი დემეტრე II-ეც. აქ მის წინააღმდეგ ინტრიგებს შეუდგა სადუნის ძე ხუტლუბუღა. საქართველოს წარჩინებულებმა მეფეს ურჩიეს მთიულეთისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ მან არ ისურვა მისი მიზეზით ქვეყანა მოოხრებულიყო და ყაენის კარზე გამოცხადდა. ყაენი ყოყმანობდა. მას არ სურდა ბუღას მომხრის უვნებელი გაშვება, მაგრამ ისიც აფიქრებდა, რომ აღმოსავლეთ

საქართველოს ტახტზე შესაფერისი კანდიდატურა არ ჩანდა. სწორედ აქ გამოჩნდა ხუტლუბუღა, რომელმაც ყაენს შესთავაზა მეფედ დავით ნარინის შვილი ვახტანგი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრეც იყო. ყაენს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა. იგი ბუღას მომხრეზეც შურს იძიებდა და პერსპექტივაში დასავლეთ საქართველოსაც დაადებდა ხელს. ამან გადაწყვიტა კიდეც დემეტრე II-ის ბედი. იგი 1289 წლის 12 მარტს სიკვდილით დასაჯეს. შთამომავლობამ დემეტრე II-ეს თავდადებულის სახელი მიაკუთვნა და მისი სახელი გამორჩეული პატივითა და სიყვარულით შეინახა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ყაენმა დაამტკიცა დავით ნარინის ვაჟი და მემკვიდრე — ვახტანგი. დაისახა ორივე სამეფოს გაერთიანების რეალური პერსპექტივა. სწორედ ამ წლებში დავით VI ნარინის ბრძანებით შედგა ქართული სახელმწიფო სამართლის უნიკალური ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება"*

ამ ძეგლში აღწერილია საქართველოს ერთიანი სამეფო კარის ეტიკეტი, ცერემონიალი, მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. აშკარაა, რომ მონღოლთა თანდათანობით დაქვეითების ფონზე იგეგმებოდა ერთიანი ძლიერი საქართველოს აღდგენა. ყველა ეს გეგმა მეფე ვახტანგის უეცარმა სიკვდილმა ჩაშალა. XIII ს. მიწურულს და XIV ს. დამდეგს დასავლეთი საქართველო დავით ნარინის დანარჩენ შვილებს შორის შფოთმა და ურთიერთჟიშპობამ მოიცვა.

აღმოსავლეთ საქართველოში მეფობდა დემეტრე II-ის შვილი დავით VIII. იგი მრავალ წელს ეომებოდა მონღოლებს, რომელთაც ვერაფრით შეძლეს მეფის მორჩილებაში მოყვანა. დრო ასევე მუშაობდა მონღოლთა საწინააღმდეგოდ. მათი ძალები იფიტებოდა, ბატონობა ირყეოდა, თუმცა მონღოლთაგან სრულ განთავისუფლებას კიდევ დასჭირდა დრო. დავით VIII-ის დასაშოშმინებლად მონღოლებმა მას ძმები დაუპირისპირეს. მეფეებად 1299 წ. დასვეს მცირეწლოვანი გიორგი, ხოლო 1302 წ. ვახტანგი.

---

* ადრე ეს ძეგლი მიჩნეული იყო გიორგი V ბრწყინვალის ინიციატივით შედგენილად.

ალმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ერთდროულად სამი მეფე ალმოჩნდა. ვახტანგ III დემეტრეს ძე თავისი ჯარით მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობდა ეგვიპტეში, სირიაში და სხვ. ვახტანგ III 1308 წ. გარდაიცვალა. დავით VIII კი 1311 წელს. ყაენმა ალმოსავლეთ საქართველოს მეფედ მცირეწლოვანი გიორგი დავითის ძე დაამკიცა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 1314 წელს მეფე გახდა დემეტრე II თავდადებულის უმცროსი ვაჟი გიორგი V.

27. საქართველო XIV ს. I ნახევარში. გიორგი V ბრწყინვალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346 შშ.) ტახტზე ავიდა, როდესაც ქვეყანას უაღრესად უჭირდა და მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის ყველა შედეგი სახეზე იყო. ათწლეულობით ქვეყნის ძარცვისაგან მოშლილი იყო მეურნეობა, ქვეყანა პოლიტიკურად სამ ნაწილად იყო გაყოფილი, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად შეეწირა მონღოლურ უღელს. ცხადია, ყოველივე ამას მოჰყვა ტრადიციული ქართული კულტურის დაქვეითება. „ქართველობას", ანუ ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და სასულიერო-კულტურულ სისტემას „ულუსობა" შემოერია. „ულუსობას" ქართველი პატრიოტები ჩვენთვის უცხო, მონღოლთაგან შემოსულ ადათ-წესებს ეძახდნენ.

გიორგი V უაღრესად ნიჭიერი პოლიტიკოსი გამოდგა. იგი მცირეწლოვანი დარჩა დემეტრე II-ის დაღუპვისას და თავისი პაპის, სამცხის მთავარ ბექას კარზე იზრდებოდა. გიორგიმ კარგად გაითვალისწინა მამის ბედ-ილბალი, სამცხის ხელისუფალთა თავს გადამხდარი პერიპეტიები და მონღოლთა მიმართ იმ პერიოდისათვის ერთადერთი სწორი პოლიტიკა შეიმუშავა. იგი თვალნათლივ ხედავდა, რომ ილხანთა სახელმწიფო დიდი სიძნელეების წინ იდგა, მაგრამ საქართველოსთვის ის ჯერ კიდევ უაღრესად სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ამიტომაც მან თავიდანვე უკუაგდო ფუჭი და სისხლისმღვრელი აჯანყების გზა. მან არჩია პირადი ურთიერთობებით, თვით მონღოლთა წარჩინებულების დახმარებით გაეკეთებინა ქართული საქმე. იგი მეგობრობდა ყაენების ოლჯაითუსა და აბუსაიდის პირველ ემირს ჩობანს. ჩობანს დიდი პირადი ნდობა ჰქონდა გიორგი მეფისა და მას თვით საყაენოს საქმეებზეც კი ეთათბირებოდა. 1317 წელს, აბუსაიდის საყაენო ტახტზე ასვლისას გიორგი ურდოში გამოცხადდა. ჩობანმა მას „მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასნი". ეს იყო მონღოლთა ყაენის თანხმობა, გიორგის თავის ხელქვეით გაეერთიანებინა ორივე ტახტი

და სამცხის სამთავრო.

მეფის უპირველეს ამოცანად "გახელმწიფებული" ჩინებულების და ე. წ. „პროვინციის მეფეების" აღმოფხვრა გახდა. „პროვინციის მეფეები" ჩვეულებრივი მთავრებისაგან არ განსხვავდებოდნენ, ოღონდ სამეფო წარმოშობის გამო „მეფის" სახელს ატარებდნენ. ურჩების ასალაგმავად გიორგი ბრწყინვალემ უკიდურესი ზომა მიიღო. ცივის მთაზე აუდიენციაზე მოიწვია ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავები და გაწყვიტა ისინი.

XIV ს. 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც გარდაიცვალა დავით ნარინის ძე მიქელი, გიორგი V ლიხთიმერეთში გადავიდა და ქუთათისი დაიკავა. მიქელის მცირეწლოვან ვაჟს, ბაგრატს შორაპნის ერისთავობა ებოძა. 1334 წელს მეფე სამცხეში შევიდა და თვითვე დაადგინა მთავრად ყვარყვარე. ეს იყო სამცხეზე მეფის უზენაესი ხელისუფლების აღდგენის ნიშანი.

ამერეთ-იმერეთის პოლიტიკური გამთლიანებით მოისპო ორმეფობა და გიორგი V კვლავ ერთიანი საქართველოს მეფე გახდა.

გიორგი V-ემ სერიოზული ყურადღება მიაპყრო ალანოსების საკითხსაც. ქვეყნის დასუსტებამ გაათამამა იმიერკავკასიელი მეზობლები, რომლებიც სისტემატურად თავს ესხმოდნენ შიდა ქართლს და ერთხანს გორიც დაიკავეს. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, გიორგიმ „განასხნა და აღფხურა" ისინი. მანვე მტკიცედ ჩაკეტა და კონტროლი დაუწესა იმიერკავკასიიდან გადმომავალ გზებს.

XIV ს. 30-იანი წლებიდან მონღოლური ბატონობა საქართველოში ფაქტობრივად გადავარდა. ამ ხანებში ყაენმა მოაკვლევინა ჩობან ნოინი და საილხანო შინაომებმა მოიცვა. გიორგიმ ისარგებლა ამით და საქართველოში დარჩენილი მონღოლური ლაშქარი გააძევა.

დიდმა წარმატებებმა გიორგი V-ს ფართო საერთაშორისო აღიარებაც მოუპოვა იმდროინდელ პოლიტიკურ ასპარეზზე. მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ილხანების მტრებთან-ოქროს ურდოსა და ეგვიპტესთან. ეგვიპტის სულთანმა დიდი შეღავათები მიანიჭა ქართველ მლოცველ-მოგზაურებსა და ვაჭრებს. საქართველოს დაუბრუნეს წმინდა

მიწაზე მუსლიმთა მიერ ჩამორთმეული ეკლესია-მონასტრები. მუსლიმი ხელმწიფები მიმართავდნენ გიორგის, რომელიც „საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულს", „ქრისტიანობის განმამტკიცებელს", „რომის პაპის შემწეს", „მუსლიმთა ერთგულ მეგობარს". გიორგი V-ემ მოახერხა კვლავ გაევრცელებინა თავისი სახელმწიფოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროზე. მისი ზეობის დროს რომის ტახტმა სმირნის კათოლიკური ეპისკოპოსის კათედრა თბილისში გადმოიტანა. საქართველომ ამ დროისათვის მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა იტალიის გავლენიან ქალაქ-სახელმწიფოებთან ვენეციასთან და გენუასთან.

ქვეყნის მოლონიერებამ გამოაცოცხლა მეურნეობის ყველა დარგი. ისევ მხრებში გაიშალა ქალაქი თბილისი. მეფის ზარაფხანაში ქართული ფულის „გიორგაული თეთრის" მოჭრა დაიწყეს.

გიორგი V-ემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აღრეული წესის გამართვაში. საამისოდ, მისი ინიციატივით შეიქმნა საგანგებოდ მთისათვის სამართლის წიგნი — „ძეგლისდება". ამავე ხანებში მოქმედებდა მისი უახლოესი ნათესავების, ბექას (გიორგის პაპის) და მისი შვილიშვილის აღბუღას, სამცხის მთავრების მიერ შედგენილი სამართლის წიგნი, ე. წ. ბექა-აღბუღას სამართალი.

გიორგი V-ის მოღვაწეობამ კეთილსასურველი ფონი შექმნა მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების გამოცოცხლებისათვის. მის ზეობაში მოღვაწეობდა ანონიმი ისტორიკოსი, უამთააღმწერლად წოდებული, რომლის ნაწარმოები (ე. წ. „ასწლოვანი მატიანე") ერთერთი გამორჩეულია „ქართლის ცხოვრების" კრებულში. არ შემწყდარა სწავლა-განათლება. ქართული განათლება და დამწერლობა გზას იკაფავდა დაღესტანშიც. იქ ქართულწარწერიანი ეკლესიები უშენებიათ.

საზღვარგარეთული ქართული კულტურული ძეგლებიდან კვლავ მოქმედებდა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი, ასევე პეტრიწონის ქართული მონასტერი. სამცხეში აიგო საფარის, ზარზმის, ჭულეს სახელგანთქმული ფრესკებით შემკული ეკლესიები. განსაკუთრებულ აყვავებას ქართულმა მხატვრობამ

სწორედ XIV საუკუნეში მიაღწია.

გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობის დიდი შედეგი ის იყო, რომ საქართველო, თუმცა დიდად დაზიანებული, მაინც გადაურჩა გადაგვარების საფრთხეს. ოდინდელი დიდების აღდგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ ეს ეპოქა ერთგვარი შესვენება იყო ქვეყნისათვის, რომელსაც წინ კიდევ აურაცხელი განსაცდელი ელოდა.

28. თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში და მისი შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლთა ბატონობის გადაგდების შემდეგ საქართველოს არ მიეცა დიდი ხნით შესვენების საშუალება. ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ-სახელმწიფოებრივ წინსვლას XIV ს. მიწურულს და XV ს. დასაწყისში უდიდესი ზიანი მიაყენა თემურ-ლენგის შემოსევებმა.

თემურ-ლენგი (1336-1405 წწ.) გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი იყო. მომავალი დამპყრობელი თავიდანვე გამოირჩეოდა წინამძღოლისა და სარდლისათვის დამახასიათებელი თვისებებით. მან ახალგაზრდობაშივე მიჰყო ხელი მეზობელთა რბევას და ძარცვას. ხანგრძლივ ბრძოლებში ხელისუფლებისათვის 1370 წელს თემურმა საბოლოოდ გაიმარჯვა და სუვერენული ხელისუფალი გახდა. მისი სახელმწიფოს ბირთვი იყო მავერანნაჰრი (მდ. სირ-დარიასა და ამუ-დარიას შუამდინარეთი). დაუნდობელ, მძიმე ბრძოლებში თემური ან აოხრებდა, ან იერთებდა ხორეზმს, ხორასანს და სხვა ქვეყნებს. დაპყრობითი ომების დროს დადგა ამიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საქართველოს ჯერიც. საქართველოში თემური საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებმა მოიყვანა. იგი ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრედ თვლიდა თავს და მისი იმპერიის აღდგენას ლამობდა. მას წინ აღუდგა ოქროს ურდოს ყაენი თოღთამიში, რომელმაც კულიკოვოს ბრძოლის (1380 წ.) შემდეგ კვლავ შესძლო ოქროს ურდოს გაერთიანება. სწორედ თოღთამიშთან წარმატებული ბრძოლის ამოცანამ დასვა დღის წესრიგში საქართველოს საკითხი და თემურ-ლენგიც 1386 წ. პირველად მოადგა ჩვენს ქვეყანას. მას უნდოდა ოქროს ურდოსათვის საიმედოდ ჩაეკეტა კავკასიის გადმოსასვლელები, რაც საქართველოს გარეშე მიუღწეველი იყო. ამ დროს საქართველოში ბაგრატ V (1360-1393 წწ.) მეფობდა. საფიქრებელია, რომ მას და თოღთამიშს შორის პოლიტიკური კავშირი იყო საერთო მტრის წინააღმდეგ.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თემურმა 1386 წ. 21 ნოემბერს აიღო ქ. თბილისი. ქალაქში გაუგონარი ხოცვა-ულეტა გაიმართა. თემურმა ქალაქში დიდი დავლა აიღო,

მათ შორის უმდიდრესი სამეფო ბიბლიოთეკა. ტყვედ ჩავარდა საქართველოს მეფე ბაგრატ V თავისი ოჯახის წევრებით.

ბაგრატის დატყვევებისა და თემურის ქვეყნიდან გასვლის შემდეგ საქართველოს მეფის ძე გიორგი მართავდა. ყარაბაღში დაბანაკებულმა თემურმა ბაგრატი აიძულა მუსლიმობა მიეღო, რაზეც იგი გარეგნულად დათანხმდა. თემურმა მეფე უკან გამოისტუმრა საქართველოში და თავისი 12 000 ლაშქარიც გამოაყოლა.

ბაგრატ V-ემ იმდენი მოახერხა, რომ თავის ძეს გიორგის შეუთანხმდა და საქართველოში შემოსული თემურის ლაშქარი მთლიანად ამოაჟლეტინა. თემური უკვე სხვა მხრივ აპირებდა გალაშქრებას, როდესაც ეს ცნობა მიიღო. იგი საქართველოში შემოვიდა 1387 წელს და სასტიკად მოაოხრა იგი. საქართველოს ლაშქარმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია თემურს. ამავე დროს ამიერკავკასიაში თოღთამიში შემოიჭრა. თემური იძულებული შეიქნა საქართველო მიეტოვებინა და თოღთამიშის წინააღმდეგ გამართულიყო. იგი ჩვენში 1394 წლამდე აღარ გამოჩენილა. ამ პერიოდში იგი ცხარე ბრძოლებს აწარმოებდა ირანსა და აზერბაიჯანში, შუა აზიაში. მან მიწასთან გაასწორა ხორეზმის დედაქალაქი ურგენჩი, დაანგრია იგი და მოსახლეობა სამარყანდში გადაასახლა. ამის შემდეგ იგი კვლავ გამოეშურა ირანისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების დაპყრობა-ასაოხრებლად. საქართველოში იგი ამჯერად სამცხის მხრიდან შემოვიდა, შემდეგ არაგვის ხეობაში გადმოვიდა და დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობის დარიალის ხეობის ხელში ჩასაგდებად.

თემურის წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ბაგრატ V-ის ძე გიორგი VII (1393-1407 წ.) უკიდურესი შეჭირვებისა და ძალების უთანაბრობის მიუხედავად, თემურ-ლენგმა ვერ შეძლო დარიალის კარის ხელში ჩაგდება და მასზე ეფექტური კონტროლის დაწესება.

ამ მოვლენების დროს დარუბანდის კარით კვლავ გადმოვიდა ამიერკავკასიაში ოქროს ურდოს ყაენი თოღთამიში. თემურმა ისევ მიანება თავი საქართველოს და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. 1395 წელს თემურმა თერგის

პირას დაამარცხა თოლთამიში, შუა აზიაში გაბრუნდა და ინდოეთში სალაშქროდ გაემზადა. ამით ისარგებლა გიორგი VII-ემ და საქართველო და აზერბაიჯანი თემურის ძალებისაგან გაწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ-ლენგი, ინდოეთიდან მობრუნებული, მთელი თავისი ძალებით საქართველოს წინააღმდეგ გამოეშურა და 1399-1404 წლებში ხუთჯერ დალაშქრა საქართველო. მისმა ძალებმა მოაოხრეს კახეთ-ჰერეთი, თრიალეთი, ქვემო და შიდა ქართლი. თემურმა თვით იმერეთში შეაღწია და სასტიკად მოაოხრა იგი. დამპყრობელთა ჯარი მანამდე არნახულ მეთოდებს მიმართავდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვა-თარეშის გარდა, ისინი ეკონომიკურ ომს აწარმოებდნენ — სპობდნენ ბაღ-ვენახებს, ნათესებს, სარწყავ არხებს. ქვათახევის მონასტერში მათ შეამწყვდიეს „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი" და ცეცხლს მისცეს ისინი. მიუხედავად „გადაბუგული მიწის" პოლიტიკისა, თემურმა საქართველოში თავის სტრატეგიულ მიზნებს ვერ მიაღწია. 1403 წელს, ქვეყნის რვაგზისი მოოხრების შემდეგ მან ზავი დადო გიორგი VII-ესთან. ზავის ინიციატორი თვით თემური იყო, რომელმაც დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოში. გიორგის ხარკი დაედო და მეშველი ლაშქრის გამოყვანა დაევალა, მაგრამ ამავე დროს თემური აღიარებდა საქართველოს, როგორც ცალკე ქრისტიანულ სახელმწიფოს.

1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა და მის მემკვიდრეებს შორის ატეხილმა შინაომებმა სისხლითა და მახვილით შეკონწიწებული იმპერია დაშალა.

1497 წელს ე. წ. „შავბატკნიან" თურქმანებთან (ყარაყოინლუ) ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს მეფე გიორგი VII. იმავე წელს გამეფდა მისი ძმა კონსტანტინე I (1407-1412 წწ.)

თემურის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად მკვეთრად შემცირდა ქვეყნის მოსახლეობა. სამეურნეო პოტენციალის აღდგენა ადრინდელზე ძნელი შეიქნა. მოსახლეობის გამეჩხერება, მეურნეობის გაპარტახება და ქვეყნის საერთო დასუსტება, სხვა მიზეზებთან ერთად, სამეფო ხელისუ-

ფლების დასუსტებასაც იწვევდა. თურქმანებთან ბრძოლას შეეწირა მეფე კონსტანტინეც.

1412-1442 წწ. საქართველოში მეფობდა კონსტანტინე I-ის ვაჟი ალექსანდრე I, შთამომავლობის მიერ „დიდად" წოდებული. მას ქვეყანა დაუხვდა „უსჯულოსა თემურისაგან დარბეული და უნუგეშისცემო... ესრეთ რომელ... ჩუენისა მეფობისა დაჭირვამდე მუდამი ტყუევნა და რბევა იყო საქართველოსა და მოოხრდა და იავარ იქნა".

ალექსანდრე I-ის უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის შერყეული შინაგანი სიმტკიცისა და ერთიანობის აღდგენა იყო. იგი შეეცადა დაემორჩილებინა ერისთავთ-ერისთავები და გარკვეულწილად ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ძველი საერისთავოებისა და სახელმწიფო წყობილების აღდგენა შეუძლებელი გახდა. როგორც საგარეო შემოსევების, ისე შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შედეგად ქვეყანა სხვაგვარი იყო და იგი ახლებურად, ახალი ვითარების შესაბამისად ეწყობოდა.

საერისთავოს, როგორც სახელმწიფო მიწის არსებობაზე დაფუძნებულ სისტემას ყავლი გასვლოდა. ხანგრძლივი ომიანობის პირობებში მოხდა სახელმწიფო მიწების „გამკვიდრება" ანუ კერძო ფეოდალთა საკუთრებაში გადასვლა. აღარავინ იყო დაინტერესებული დროებით მფლობელობაში მიწის თუ ტერიტორიის მიღებით. ყველას, მოსახლეობის ნებისმიერ ფენას „შერჩომილი მამული" (სამემკვიდრეო საკუთრება) სურდა. ქვეყნის სამეურნეო მოღონიერებაც „შერჩომილ მამულზე" იყო დამოკიდებული. ეს იყო დასავლეთევროპული ტიპის ქართული ფეოდალური წყობილების მაგისტრალური გზა, რაც სამწუხაროდ, ქვეყნის დაცემა-დაქვეითებას დაემთხვა.

ასეთმა ვითარებამ, ფაქტობრივად ანაქრონიზმად აქცია ერისთავის უძველესი ინსტიტუტი. ერისთავი სახელმწიფო მოხელეც იყო და კერძო ფეოდალიც. ამჟამად წინა პლანზე კერძო ფეოდალი და მისი ინტერესები მოდიოდა. მოხელეობა ფეოდალის ხელისუფლების დანამატად იქცა.

საერისთავოს სისტემას ცვლიდა სათავადო სისტემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამამულო სისტემის, „ქართველობის" ორგანიზაციული ფორმაც იყო. მოოხრებული ქვეყნის მოშენების

მიზნით, ამოწყვეტილი საგვარეულოების მამულს მეფე ახალ საგვარეულოს აძლევდა. ეს ნაბოძვარი ხშირად, ძალიან ნასოფლარი, ნაციხარი და ნაქალაქარი იყო. ქვეყნის მეფეებისათვის აუცილებელი იყო სტიმული, კერძო ინტერესი და ინიციატივა, „შერჩომილი მამული". ასეთი ვითარება, ქვეყნის ფეოდალური წყობის პირობებში დეცენტრალიზაციასაც უწობდა ხელს.

ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა — ქართული ქრისტიანობა, კულტურა, სამამულო წყობა პროგრესული იყო „ულუსობასთან", „ოსმალობასთან", „ყიზილბაშობასთან", „ლეკიანობასთან" მიმართებაში. ეს უდავო ფაქტია. საქართველოსათვის სისხლს პირველ რიგში არისტოკრატია ღვრიდა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სამხედრო საქმე, ქვეყნისა და ძირითადი მწარმოებლის — გლეხის მეურნეობის დაცვა იყო. ამასთან, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ერთიანად რეაქციულ მოვლენად გამოცხადდა სათავადოები, ფეოდალური ელიტა, რომელიც საერთო-ქართული კულტურის მატარებელი და განმავითარებელი იყო. სწორედ თავადაზნაურობის ძვლებსა და სისხლზე დგას მნიშვნელოვანწილად დღევანდელი საქართველო. ბუნებრივია, რომ ფეოდალურ ელიტას სხვა შეფასებას არავინ მისცემდა მაშინ, როდესაც ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მათი შთამომავლები უმოწყალოდ იჟლიტებოდნენ. ქართული სოციალურ-პოლიტიკური და კონფესიური სისტემა წარმოუდგენელია მათ გარეშე. აღნიშნულ მიზეზთა გამო, ქართველი ერის შინაგანი პოტენცია ხმარდებოდა არა შემდგომ პროგრესს, არამედ არსებულის, მიღწეულის შენარჩუნებას. ეს თავისთავად უკვე იყო უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგი მტრული გარემოცვის პირობებში.

ასეთი იყო ძირითადი ვითარება, როდესაც მოღვაწეობა მოუწია ალექსანდრე I-ს. მან გამეჩხერებული მოსახლეობის მომრავლება მეზობელი ქვეყნებიდან მათი გადმოყვანით სცადა. ალექსანდრემ აღკვეთა თურქმანთა შემოსევები და არაერთი დანგრეული თუ დაზიანებული ეკლესია-მონასტერი, საერო ნაგებობა შეაკეთა. იგი შეეცადა საქართველოსათვის დაებრუნებინა დაკარგული სამფლობელოები და

ნაწილობრივ მოახერხა კიდეც (ლორე, სვინიეთი),

მიუხედავად გაწეული ენერგიული ზომებისა, ქვეყნის სამეურნეო ერთიანობა მოშლილი იყო. ფეოდალებმა „ბეგ-ბეგ-ბი „გაიმკვიდრეს“ და ეს ობიექტურად იწვევდა სამეფო ხელისუფლების დასუსტებას. გაქრა ძლიერი ხელისუფლების დასაყრდენი სახელმწიფო ტერიტორია. ყოველივე ამან გააღრმავა ასევე გეოგრაფიული ფაქტორებით შეპირობებული კუთხური განკერძოება.

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო ალექსანდრე დიდის ვაჟი — გიორგი VIII (1446-1466 წწ.). მას ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობამ. ქვეყნის შიგნით განკერძოებულობა შუა საუკუნეების ისტორიის ამ ეტაპზე, „მესამე წოდებას“ შეეძლო გადაელახა. ეს ძალა საქართველოში არ იყო. ერისთავები „გათავადნენ“, ხოლო დიდი მხარეების (სამცხე, ოდიში, გურია) ერისთავთ-ერისთავები ფაქტობრივად მთავრებად იქცნენ. მთავრის იურისდიქცია არაფრით არ განსხვავდება მეფის იურისდიქციისაგან, იგი მხოლოდ „მეფის“ ტიტულს არ ატარებს. მთავარი იწყებდა ომს და დებდა ზავს, ურთიერთობას აწარმოებდა უცხოეთის სახელმწიფოებთან, იყო უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. მას ჰყავდა თავისი სამმართველო აპარატი და ეკუთვნოდა ბაჟები და სხვა პრივილეგიები.

აი, ასეთი ხელისუფლებისათვის იბრძვიან ერისთავთ-ერისთავები მეფეებთან.

გიორგი VIII-ს აუჯანყდა სამცხის მთავარი ყვარყვარე, შემდეგ კი იმერეთის ერისთავი ბაგრატი, რომელმაც იგი დაამარცხა ჩიხორთან ბრძოლაში 1463 წელს. ფარავნის ტბასთან, 1465 წელს მეფე ტყვედ იგდო ყვარყვარემ. სამცხე მთლიანად დამოუკიდებელი გახდა საქართველოს მეფისაგან. მეფის დატყვევებით ისარგებლა ბაგრატ იმერეთის ერისთავმა და როგორც ალექსანდრე I-ის ძმისწულმა, ქართლი დაიკავა, თავი მეფედ გამოაცხადა. ყვარყვარემ გაანთავისუფლა გიორგი VIII, მაგრამ მას ქართლის თავადებმა მხარი აღარ დაუჭირეს. ის იძულებული შეიქნა კახეთში გადასულიყო. გიორგი VIII ერთიანი საქართველოს უკანასკნელი და დაშლის შემდეგდროინდელი კახეთის პირველი მეფე იყო. ქარლთსა და იმერეთში მეფობდა

ბაგრატი. 1478 წელს იგი გარდაიცვალა. ქართლში გამეფდა ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე, რომელმაც სათავე დაუდო ქართლის სამეფო დინასტიას. იმერეთის ტახტი დაიკავა ალექსანდრე ბაგრატიონმა და იმერეთის ბაგრატიონთა შტო შექმნა. სამცხის სათავეში ჯაყელთა საგვარეულო იდგა.

იმერეთის მეფის ხელქვეით ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ოდიშის ერთისთავთ-ერისთავი დადიანები და გურიის ერისთავთ-ერისთავი გურიელები. ისინი ცხადია, ამით არ კმაყოფილდებოდნენ და საბოლოო გამთავრებისათვის იბრძოდნენ, რასაც კიდევ თითქმის საუკუნე დასჭირდა.

1490 წელს ქართლის მეფე კონსტანტინემ დიდი საბჭო მოიწვია და ქვეყნის კვლავ გაერთიანების საკითხი დასვა. საბჭომ მას მხარი არ დაუჭირა, რადგან ეს ღონისძიება მაშინ უკვე უნაყოფო და სისხლისმღვრელი ჩანდა. ამის შემდეგ მეფეებმა და სამცხის მთავარმა ერთმანეთი ცნეს და საზღვრები შეაჯერეს.

უაღრესად მძიმე შეიქნა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება. 1453 წ. 29 მაისს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II ფათიჰმა კონსტანტინოპოლი აიღო და ბიზანტიის იმპერია მოსპო. ტრაპიზონის აღების შემდეგ შავი ზღვა, არსებითად „ოსმალეთის ტბად“ გადაიქცა. ჩვენი ქვეყნის ბედილბალზე დიდად უარყოფითად იმოქმედა ისეთმა მსოფლიო — ისტორიულმა ფაქტორებმა, როგორებიც იყო ოსმალთა გაბატონება მცირე აზიაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, სავაჭრო გზების გადანაცვლება ოკეანეებზე, რამაც საქართველო მოწყვიტა მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობებს.

XV ს- 70-იან წლებში უკვე დაფიქსირებულია დიდად სამწუხარო სიმპტომი, რომელმაც მომავალში უაღრესი მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქართული ქრისტიანული სამყაროსგან აფხაზთა გაუცხოების პირველი ნიშნები, რაც „მცნება სასჯულოში“ აისახა. ძირძველი, კულტურულ-ისტორიულად ქართული მხარე, რომელსაც თავისი წვლილი მიუძღოდა „ყოველი საქართველოს“ მშენებლობის საქმეში, ნელნელა ჰკარგავდა იმ კულტურულ ტრადიციებს, რომელიც ჰკრავდა და ადუღაბებდა

ერთიან ქართულ შეგნებას. „მცნება სასჯულოს“ ცნობით აფხაზები ქრისტიანობისაგან „სრულიად მიდრეკილ იყვნეს“. ამის მიზეზი ოსმალური აგიტაციისა და აფხაზთა ნაწილის გამაჰმადიანებასთან ერთად, ჩრდ. კავკასიური მთური ელემენტის მოძალებასა და მის ბარში ჩამოწოლაში უნდა ვეძებოთ. მთურმა ელემენტმა თან მოიტანა პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ააღორძინა წარმართობაც კი. მთური ელემენტის მაღალ კულტურულ დონეზე აყვანა ველარ მოხერხდა ქვეყნის ერთიანობის მოშლისა და დასუსტების ფონზე. მისთვის უცხო იყო და კულტურულად ძნელად ასათვისებელი „ვეფხისტყაოსნისა“ და „სახარების“ კულტურა. ქვეყნის ამ რეგიონში „ქართველობის“, ქართული კონფესიურ-კულტურული და სოციალური სისტემის დაცვა ოდიშს დააწვა.

29. ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ XV ს. ბოლოს და XVI ს. I ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV საუკუნის მიწურულისათვის ქართული სამეფო-სამთავროების გარემოცვა მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი. დასუსტებული ბიზანტია შეცვალა ოსმალთა ძლიერმა მუსლიმურმა სახელმწიფომ, რომელსაც თავისი შეუნიღბავად აგრესიული განწყობილება ჰქონდა გარემომცველი ქვეყნებისადმი. საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობას კეთილი თვალით არც ბიზანტია უცქერდა, მაგრამ ოსმალეთმა ეს ურთიერთობები თითქმის შეუძლებელი გახადა. ოსმალეთი საქართველოს როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთიდან გაუმეზობლდა. ოსმალებისა და ქართული პოლიტიკური ერთეულების პირდაპირი კონფლიქტი უკვე დროის საკითხი იყო.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, თემურ-ლენგის უკიდეგანო იმპერიის დაშლის შემდეგ, ირანის ტერიტორიაზე წარმოიქმნა შავბატკნიანთა (ყარაყოინლუ) და თეთრბატკნიანთა (აღყოინლუ) თურქმანული სახელმწიფოები. განსაკუთრებულ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისათვის თეთრბატკნიანები წარმოადგენდნენ, რომელთაც შეძლეს თითქმის მთელი ირანის შემომტკიცება. ამ სახელმწიფოს მბრძანებლები, უზუნ-ჰასანი და იაყუბ-ყაენი არაერთხელ შეეცადნენ საქართველოს დამორჩილებას, რაც ქვეყნის დარბევა-მოოხრებით მთავრდებოდა.

კახეთის სამეფოს პირველი მეფე, როგორც აღინიშნა, იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (კახეთში — 1466-1476 წწ.). გიორგის დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა ადგილობრივ ძალებთან, კახეთში გაბატონებისათვის. კახეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ გიორგიმ სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებები გაატარა, რამაც ხელი შეუწყო კახეთში სამეფო ხელისუფლების შედარებით რეალურ ძალად ქცევას. მან კახეთის საერისთავოების მოშლის შემდეგ, მათი ტერიტორიის ნაწილი სამეფოდ (სახასოდ) ჩარიცხა და წვრილ ერთეულებად — სამოურავოებად

დაჰყო. მეფის მოურავები ვერასდროს შეიძენდნენ მსხვილი ერისთავების ძალასა და გავლენას. ამასთან, კახეთი დაიყო ოთხ სადროშოდ, როგორც ეს საქართველოში ტრადიციულად იყო მიღებული. სადროშოთა სათავეში მეფემ ჩააყენა არა საერო სარდლები არისტოკრატიისაგან, არამედ კახეთის ეპისკოპოსები. ეს უკანასკნელნი ბევრად უფრო იყვნენ მეფეზე დამოკიდებულნი, ვიდრე თავადები და ამასთან შეუძლებელია სადროშოს მეთაურობის მემკვიდრეობით გადაცემის პრეტენზია ჰქონოდათ.

გიორგი VIII და მისი მემკვიდრეები კახეთის ტახტზე ცდილობდნენ თავისებური გზა აერჩიათ საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობებშიც. გარემომცველ აგრესორთა წინააღმდეგ ისინი უფრო დიპლომატიას იყენებდნენ, ვიდრე ხმალს; ცდილობდნენ ფორმალური ვასალობის („ყმობის") აღიარებით, ძვირფასი საჩუქრებით და როდესაც აუცილებელი იყო, ხარკით დაეშოშმინებინათ ისინი, განსხვავებით ქართლისაგან, რომელიც ამ პერიოდიდან მოყოლებული დიდ და უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა მომხდურებთან. კახეთი იყო პირველი ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელმაც რუსეთის სახელმწიფოსთან დიპლომატიური კავშირი დაამყარა. მოსკოვის რუსეთმა 1480 წელს საბოლოოდ გადააგდო მონღოლთა უღელი. მისი პოლიტიკა გააქტიურდა ყოველმხრივ და მათ შორის ამიერკავკასიაშიც. რუსი დიპლომატები და ვაჭრები მეზობელ შარვანშიც გამოჩნდნენ. კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ (1476-1511 წწ.) რუსეთს პირველი ქართული ელჩობა მიავლინა ივანე III-სთან. ელჩებს საგანგებო წერილი მიჰქონდათ, სადაც კახეთის მეფე „ყმად" აცხადებდა თავს. ეს იყო 1483 წელს. დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო 1491 წლის მეორე ელჩობაც. რუსული ორიენტაცია კახეთის დინასტიის პოლიტიკური ხაზის არსებითი ელემენტი გახდა. ეს პოლიტიკა იმედების მხრივ მეტწილად ილუზიური, ხოლო რეალური შედეგების მხრივ კი ძალზე ხშირ შემთხვევაში ტრაგიკული იყო. რუსეთის ფაქტობრივი მოპატიჟება ამიერკავკასიაში, მკვეთრად უარყოფითად აღიქმებოდა დიდი მეზობლების მიერ და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, საკმაოდ საფუძვლიანადაც. ჯოხი კი პატარა

ქართულ ქვეყნებზე ტყდებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს თვით ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა უბიძგებდა აქეთ, რუსეთის ერთმორწმუნეობასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI ს. დამდეგიდან ქართლში მეფობდა დავით X (1505-1525 წწ.), რომლის ზეობის პირველ წლებში ქართლის სამეფო ხელისუფლება ძლიერ იყო დასუსტებული. ამით ისარგებლა კახეთის მეფე გიორგიმ (1511-1513 წწ.), რომელსაც მამის, ალექსანდრე I-ის მკვლელობისა და ძმის დაბრმავებისათვის „ავგიორგის" ეძახდნენ.

ავგიორგის საქმიანობის ძირითად შინაარსად ქართლის სისტემური დარბევა იქცა. თითქმის ყველა თარეში უპასუხოდ რჩებოდა დავით X-ის ხელისუფლების სისუსტის გამო. 1512 წელს დავით X-ის ძმამ ბაგრატმა მოითხოვა მისთვის მუხრანი და შიდა ქართლის სპასპეტობა მიეცათ, რათა ბოლო მოელო ავგიორგის რბევა-თარეშისათვის. ასე შეიქმნა ბაგრატიონ-მუხრანბატონთა შტო. ბაგრატ მუხრანბატონი 1513 წელს ძალისის ხევში (მცხეთასთან) ჩაუსაფრდა ავგიორგის და შეიპყრო იგი. იმავე წელს კახეთის მეფე ციხეში მოკლეს. ასეთმა ვითარებამ ხელსაყრელი პირობა შექმნა ქართლ-კახეთის გაერთიანებისათვის. საჭირო იყო ქართლის ხელისუფლებას ხელთ ეგდო ავგიორგის მემკვიდრე, მცირეწლოვანი ლევანი. ამ მიზნით კახეთს მიავლინეს ბაგრატ მუხრანბატონი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალით. კახეთის მეფის სახლთუხუცესმა გარსევან ჩოლოყაშვილმა ვერ გასწირა მემკვიდრე და გადაცმული თავის სახლში გადამალა.

1513-1518 წწ. ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იყო შეერთებული.

XVI ს. დამდეგს, ირანის ტერიტორიაზე, თეთრბატკნიანთა (აღყოინლუს) თურქმანთა სახელმწიფოს ადგილას ჩამოყალიბდა ყიზილბაშთა ძლიერი სახელმწიფო სეფიანთა დინასტიის მეთაურობით. 1518 წლისათვის ყიზილბაშთა ყმობა აღიარეს ქართლ-კახეთმა და სამცხემ. ამ ვითარებით ისარგებლეს კახელებმა და ტახტზე მემკვიდრე ბატონი ლევანი აიყვანეს (1520-1574 წწ.).

ახალი, ხანგრძლივი და რთული წინააღმდეგობები მო-

მწიფდა ოსმალეთის სახელმწიფოსა და ყიზილბაშთა შორის, რისი ერთ-ერთი მთავარი და მეტად მტკივნეულ-ტრაგიკული მა „გურჯისტანის საკითხი“ იყო. XVI ს. დამდეგიდან დაწყებული მათი გაუთავებელი შუღლისა და ომიანობის მიზეზი სწორედ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო პლაცდარმებზე გამაგრება იყო. ოსმალეთს, რომელიც დასავლეთ საქართველოს ემიჯნებოდა როგორც ზღვით, ისე ხმელეთით, პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილზე ეჭირა თვალი. ოსმალეთი სწორედ აქედან და საქართველოს სამხრეთი მხარეებიდან ფიქრობდა თავისი გეგმების რეალიზაციას მთელი ამიერკავკასიის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში აქ მოსახლე ხალხების დაპყრობა-დამონებას, მეტოქე ირანის წინააღმდეგ სამხედრო ბაზების შექმნას და ევროპა-აზიის ახალი სავაჭრო გზის, ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალის ხელში ჩაგდებას გულისხმობდა. ცხადია, საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა ირანსაც, რომელიც ქართლ-კახეთიდან ფიქრობდა თავისი ბატონობის დამყარებას ამიერკავკასიაში.

„გურჯისტანის“ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ირან-ოსმალეთის ორმოცდაათწლიან ომში. „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ ბრძოლას ქართლში მედგრად აღუდგა ლუარსაბ I (1527-1556 წწ.), ხოლო „ოსმალობასთან“ ბრძოლის მეთაურობა წილად ხვდა იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ეს (1510-1565 წწ.).

ლუარსაბ I, თავისი დროის თვალსაჩინო პოლიტიკოსი და სარდალი, თითქმის 30 წელი მეთაურობდა საქართველოს წინააღმდეგობას აგრესორთა უძლიერესი წარმომადგენლების წინააღმდეგ. მისი მეფობის ჟამს, 1541-1553 წწ. ირანის შაჰი თამაზ II ოთხჯერ შემოესია საქართველოს, მაგრამ ვერ გატეხა ქართლის გმირი მეფე.

ლუარსაბ I მოხერხებულად სარგებლობდა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგობებით და ერთი მხრივ შეიარაღებული წინააღმდეგობითა და მეორე მხრივ დამპყრობელთა შორის ლავირებით ცდილობდა ქვეყნის გადარჩენას.

ქართული პოლიტიკური ერთეულების ბედიღბალს მომდევნო ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისათვის მნიშ-

ვნელოვანწილად განსაზღვრავდა 1555 წლის ზავი ირან-ოსმალეთს შორის. ამ ზავით დასრულდა 50 წლიანი ომი მათ შორის. ისინი დროებით მორიგდნენ საქართველოს საკითხში. ჩვენი ქვეყანა დაყოფილი აღმოჩნდა. აღმოსავლეთ საქართველო და სამცხის აღმოსავლეთი მიწები ირანს ერგო, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხის სამხრეთი-ოსმალეთს.

ამ ზავით შემუშავდა ცნობილი დიპლომატიური ფორმულა, რომ ირანი ცნობდა ოსმალეთის მფლობელობას დასავლეთში, ოსმალეთი — ირანისას აღმოსავლეთში, ხოლო სამცხე გავლენის სფეროებად იყო განაწილებული.

ამასიის ზავი აღრმავებდა საქართველოს პოლიტიკურ გათიშულობას უკვე საერთაშორისო დონეზე.

ლუარსაბ I არ ცნობდა ამ ხელშეკრულებას. ირანმა 1556 წელს მის წინააღმდეგ ყარაბაღის ბეგლარბეგი გამოაგზავნა დიდი ლაშქრით. ბრძოლა გარისთან მოხდა ქვემო ქართლში. მოხუცი მეფის მაგიერ მისი მემკვიდრე სიმონი სარდლობდა, თვით კი ამალით გორაკიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მიმდინარეობას. ყიზილბაშთა ერთი რაზმი შემთხვევით გადააწყდა მეფეს. ხელჩართულ ბრძოლაში ლუარსაბის ცხენს ფეხი ორმოში ჩაუვარდა. წაქცეული მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. გმირი მამის ტახტზე სიმონ I (1556-1600) ავიდა.

ოსმალები დასავლეთ საქართველოში პირველად 1510 წელს გამოჩნდნენ. ამასიის ზავის თანახმად დასავლეთ საქართველო მათ „ეკუთვნოდათ", მაგრამ ქვეყანა ფაქტობრივად დაუპყრობელი იყო. შინაური უპირობის ხელშეწყობით ოსმალებმა ჭანეთი და აჭარა დაიკავეს. ამ ტერიტორიების მისაკუთრებამ ოსმალებს დასავლეთ საქართველოში თარეში გაუადვილა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები იქონია ოსმალთა მიერ შავი ზღვის ნაპირების შეკვრამ, რამაც ვაჭრობა თითქმის შეუძლებელი გახადა და იგი მთლიანად დამპყრობთა ინტერესებს დაუქვემდებარა. ყველაზე უფრო აუტანელი მარილის ნაკლებობა შეიქნა. ამგვარმა ბლოკადამ მალე მოახრევინა ქედი დასავლეთ საქართველოს მესვეურებს.

XVI ს. შუახანები მტკივნეული ეტაპი იყო დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესი მის ერთ ნაწილს, იმერეთის სამეფოსაც მოდებული ჰქონდა. დადიანი და გურიელი, რომლებიც ადრე ნომინალურად ცნობდნენ მეფის ხელისუფლებას, უკვე სრულ დამოუკიდებლობას აღწევენ მისგან და მთავრებად იქცევიან. უაღრესად გართულდა საქმე აფხაზეთშიც. იქ ბიჭვინტამდე დადიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა, მაგრამ ჩრდილოკავკასიური ტომების ჩამოწოლისა და ოსმალური პროპაგანდის გამო ისეთი ვითარება შეიქნა, რომ ბაგრატ III-ემ დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის") კათალიკოსის კათედრა ბიჭვინტიდან ქუთაისში გადმოიტანა.

სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად ბაგრატ III-ემ 50-იან წლებში საერთოქართული მასშტაბის საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც ქართლისა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები ხელმძღვანელობდნენ. კრებამ დაგმო „მრავალი უწესობა და უჯერო საქმე". კერძოდ, ეს იყო: „კაცის კლვა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა". ადამიანებით ვაჭრობა, ე. წ. ტყვის სყიდვა საზოგადოების ყველა ფენას ჰქონდა მოდებული. კრების მოწვევა მოწმობდა, რომ ქვეყანაში იყო ჯანსაღი ძალები, ვისაც საზოგადო კეთილდღეობაზე შესტკიოდათ გული. ამასთან, მიღებული ღონისძიებები ვერ სცვლიდნენ საგარეო თუ შინაპოლიტიკურ ვითარებას, ეკონომიკურ სიდუხჭირეს. ამ პირობებში, მხოლოდ მორალური კატეგორიებით მსჯელობა ან მკაცრი სასჯელები ვერ სცვლიდნენ სურათს. ნორმალური ყოფა-ცხოვრების მოშლის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ კრების ერთ-ერთი მეთაური, კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, იმერეთიდან ოდიშს გზად მიმავალი, ყაჩაღთა მსხვერპლი შეიქნა.

ბაგრატ III ყოველმხრივ ცდილობდა კვლავ დაემორჩილებინა მთავრები. მან ერთხანს სამცხის შემოერთება შეძლო (1535 წ.). სამცხის თავადებმა ოსმალეთს მიმართეს დახმარებისათვის. 1545 წ. ოსმალეთის მთავრობამ არზრუმისა და დიარბექირის ფაშები გამოაგზავნა დიდი ლაშქრით. მეფეს ზურგი აქციეს მესხმა თავადებმა და ოდიშის

მთავარმა. 1545 წ. სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატი დამარცხდა და სამცხის დიდი ნაწილი ოსმალეთმა დაიპყრო.

ბაგრატ III იძულებული იყო შერიგებოდა — მეტ-ნაკლებ ვითარებას და საკუთრივ იმერეთის სამეფოთი დაკმაყოფილებულიყო. მან არსებული რეალიების მიხედვით მოაწყო იმერეთის ადმინისტრაცია, ახალ საეპისკოპოსოებად დაჰყო თავისი სამეფო. ბაგრატმა ქართული კულტურის არაერთი უბრწყინვალესი ძეგლი (მაგ. ნიკორწმინდა) შეაკეთა და დაღუპვას გადაარჩინა. მეტის გაკეთების საშუალება იმ დროს არ იყო.

30. საქართველო XVI ს-ის ნახევარსა და XVII ს-ის დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1556 წლიდან როგორც აღინიშნა, ტახტზე ქართლში ავიდა სიმონ I, რომელიც სახელოვნად ხელმძღვანელობდა ქართლის ბრძოლას ყიზილბაშთა წინააღმდეგ. იგი ცდილობდა გაეერთიანებინა ქართველ მეფე-მთავართა ძალისხმევა საგარეო მტრების წინააღმდეგ. მისი ბრძოლის მთავარ მიზნად იქცა ყიზილბაშთა მიერ დაკავებული თბილისის განთავისუფლება, რაც თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად მან ვერ შეძლო. გაუთავებელი ლაშქრობებით და გაპარტახებით გაბეზრებულმა ბევრმა ქართველმა გადაწყვიტა შაჰისადმი მორჩილება გამოეცხადებინა. ამ წრეებს მეთაურობდა სიმონის ძმა დავითი, რომელიც შაჰს ეახლა, ისლამი მიიღო და დაუდ-ხანი დაირქვა. სიმონ I ენერგიულ ბრძოლას არ ეშვებოდა. 1569 წელს ფარცხისთან (ალგეთის ხეობა) ბრძოლაში მეფეს უღალატა კახაბერ ყორღანაშვილმა. მისი დახმარებით მეფე დაატყვევეს და ირანში გააგზავნეს. შაჰი ეცადა სიმონი გამუსლიმებაზე დაეყოლიებინა, მაგრამ როდესაც ეს ვერ შეძლო, ალამუთის მიუვალ ციხეში გამოჰკეტა იგი. მეწინავე სადროშოს სარდალმა საჩინო ბარათაშვილმა შეიპყრო მოღალატე ყორღანაშვილი და გელიყარის ციცაბო კლდიდან გადააგდო. ხალხმა ამის შესახებ ლექსიც შექმნა: „ყორღანას ძეს ქარაფიდან, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“.

ირანი, მიუხედავად იმისა, რომ სიმონ I ტყვედ იგდო, შინააშლილობის გამო დასუსტებული იყო. ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა ოსმალეთმა, დაარღვია ამასიის ზავი და 1578 წელს ახალი ომი წამოიწყო ირანის „კუთვნილი“ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის დასაპყრობად. ოსმალთა ჯარების სერასქერად (სარდლად) დაინიშნა ნიჭიერი სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა. მან 1578 წ. 9 აგვისტოს სასტიკი მარცხი აგემა ირანის ჯარს ჩრდილის (ჩილდირის) ტბასთან, აიღო სამცხე და შემდეგ თბილისიც. ოსმალეთმა საზღვაო ძალებიც აამოქმედა. კილიჩ ალი ფაშამ იმავე წელს დესანტი გადასხა და ფოთში სიმაგრე ააგო. სამცხე-საათაბაგოს ნაცვლად შეიქმნა ჩილდირის

საბეგლარბეგო. ეს იყო ლალა ფაშას ლაშქრობის უმთავრესი შედეგი. სამცხე ოსმალეთის იმპერიის ნაწილად გადაიქცა.

ოსმალთა დიდმა წარმატებებმა შეაშფოთა ირანის ცენტრი. მათ გაანთავისუფლეს სიმონ I, რათა ოსმალთა წინააღმდეგ გამოეყენებინათ იგი. ოსმალო ისტორიკოსის ცნობით, როდესაც სიმონი „თბილისს მიდამოებს მიადგა, იქაური უსჯულოები და აზნაურები მისი დროშის ქვეშ შეიკრიბნენ, ისლამის ლაშქარს გზა გადაუღობეს და დიდი ნავნები მიაყენეს სარდალ მუსტაფა ფაშას“.

ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად სიმონ I-მა იმას მიაღწია, რომ მოხარკეობის პირობით ოსმალეთმა ცნო იგი ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარა მისი მემკვიდრეების უფლებები და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

ამ ხანებში ირანის ტახტზე ავიდა შუა საუკუნეების ირანის უდიდესი მოღვაწე და საქართველოს ასეთივე მტერი-შაჰ აბას I (1587-1629 წწ.). მან დასუსტებულ ირანზე დაყრდნობით შეუძლებლად ჩათვალა ომის გაგრძელება და 1590 წლის ზავით ოსმალეთს დაუთმო სადავო ქვეყნები ამიერკავკასიაში. მშვიდობიანობის ჩამოგდება მან ირანის ჯარის განახლებას და ქვეყნის მოსაღონიერებელ სხვა ღონისძიებებს მოანდომა. მალე მისი ყველა ღონისძიება ირანის ფეხზე დასაყენებლად, დიდ უბედურებად მოევლინა საქართველოს.

XVI ს. 60-90-იანი წლების დასავლეთ საქართველოს ისტორია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დასუსტებისა და მორალური დეგრადაციის ისტორია იყო. „ეამებთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ, იქნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტყვის სყიდვა და უჯერონი სჯულისა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“ — წერდა მოგვიანებით ვახუშტი ბაგრატიონი.

იმერეთის მეფეები, დადიანები და გურიელები განუწყვეტლივ ეომებოდნენ ერთმანეთს დასავლეთ საქართველოში ჰეგემონიისათვის. ასეთ არეულ ვითარებაში გაჩნდა აზრი, სიმონ I მოეწვიათ და ქვეყნის გაერთიანება ეცადათ. სიმონმა ჯარი შეკრიბა და იმერეთის მეფე როსტომის წინააღმდეგ გაილაშქრა. როსტომმა შეტევას ვერ გაუძლო

და ოდიშს გადავიდა დადიანთან. ქართლის მეფემ გადაწყვიტა ოდიში დაელაშქრა და თვით როსტომი ეგდო ხელთ. მიუხედავად გარეგნული ძლიერებისა, სიმონს, თავისავე ჯარში საკმაო მტერი ჰყავდა. ისინი მეფეს ატყუებდნენ, დადიანი გეახლებაო, ხოლო დადიანს უთვლიდნენ, თავს დაგვესხით, არ შეგებმევითო. ოფშქვითთან ბრძოლაში სიმონმა მძიმე მარცხი განიცადა და იძულებული გახდა სამუდამოდ ხელი აეღო იმერეთის შეერთების გეგმაზე.

სიმონ I-მა 1598 წელს, შაჰ აბას I-ის დასტურით, ახალი ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალებს ძლიერი გარნიზონები ჰყავდათ თბილისში, გორში, ლორეში. სიმონმა ბრძოლა გორის განთავისუფლებით დაიწყო და 9 თვის ალყის შემდეგ 1599 წელს აიღო იგი. შეიქმნა თბილისის განთავისუფლების შესაძლებლობა. აჯანყება დაიწყო სამცხეშიც მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით. შეშფოთებულმა ოსმალეთის სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა. ალგეთის ხეობაში მოსული მტერი სოფ. ნახიდურთან დაბანაკდა. სიმონმა მომზადება ვერ მოასწრო და იძულებული გახდა მცირე ძალებით შებმოდა ოსმალებს. ბრძოლის წინ ქართველები ერთმანეთს გამოეთხოვნენ, ზიარება მიიღეს და თავი ღმერთსა და ხმალს მიანდეს. უთანასწორო ბრძოლაში ქართველები იძულებული გახდნენ უკანდახევა დაეწყოთ. სოფ. ფარცხისთან მეფის ცხენი ტალახის საფლობში ჩავარდა და ველარ გამოვიდა. იგი ოსმალთა სარდლის ჯაფარ ფაშას ბრძანებით დაატყვევეს და სტამბოლს გაგზავნეს. სულთანმა დიდი ზეიმით აღნიშნა სიმონ მეფის დატყვევება. 1600 წელს იგი იედიყულეს ციხეში გამოკეტეს, სადაც ის 1611 წელს საპატიო პატიმრობაში გარდაიცვალა. მისი ცხედარი გამოიხსნეს და მცხეთაში, ლუარსაბ I-ის გვერდით დაკრძალეს.

1590 წლის ზავის შედეგად უფრო განმტკიცდა ოსმალური ბატონობა სამცხე-საათაბაგოში. ისინი ენერგიულად შეუდგნენ ახალშემოერთებული ქვეყნის აღწერას და ოსმალეთის იმპერიაში გავრცელებული მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებას. უცხო საგადასახადო სისტემის შემოღება აისახა 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. აღწერეს 1160

ქართული სოფელი, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთში“ (იგივე „ახალციხის საფაშო“, „ჩილდირის ეიალეთი“) ყოფილ-ყო გაერთიანებული. მძიმე ვითარებაში იყვნენ ქართველები. ... აჭარა. დაიწყო ქართველი წარჩინებულებისა და ეკლესიებისათვის მამულების ჩამორთმევა. მიწას ოსმალური წესის თანახმად, დროებით მფლობელობაში უტოვებდნენ იმათ, ვინც ისლამს აღიარებდა. საქართველოს ხანგრძლივი დროით მოწყდა ძირძველი ქართული მხარეები, რომლებიც ეროვნულ, რელიგიურ და ეკონომიკურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ძალა ალმართსა ხნავს და ამ კუთხეებში ნელნელა ფეხი მოიკიდა ისლამმა.

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებით, მთელი XVI საუკუნის მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდა და ვითარდებოდა კახეთის სამეფო. მისი ხელისუფლება, როგორც აღინიშნა, ფორმალური ვასალიტეტის აღიარებით, სიმბოლური ხარკითა და საჩუქრებით ახერხებდა, რომ ქვეყნის უშუალო მოოხრება არ დაეშვა. ასეთი მდგომარეობა შეიძლება არ გაგრძელებულიყო დიდხანს. ამიტომ, კახეთის მეფე ლევანმა მზერა რუსეთს მიაპყრო, სადაც ივანე IV მრისხანე (1533-1584 წწ.) გაძლიერებულიყო და თერგზე და სუნჯაზე ციხეები ჩაედგა. 1564 წ. მან წერილიც გამოუგზავნა ლევანს. რუსეთის გააქტიურებამ კავკასიაში შეაშფოთა ირანი და ოსმალეთი, რომელთა მოთხოვნით ეს ციხეები მოშალეს და რუსული ჯარი უკან გაიწვიეს.

ლევანის მემკვიდრემ ალექსანდრე II-ემ (1574-1605 წწ.) ისარგებლა ირანის მოსუსტებით და 1587 წელს რუსეთთან „ფიცის წიგნი“ გააფორმა, რომლის ძალითაც კახეთი რუსეთის „ყმობასა“ და მფარველობაში შევიდა. ალექსანდრე II-ემ ფიცი დადო, რომ რუსეთის მტრები მისი მტრებიც იქნებოდნენ. რუსეთმა კი პირობა დადო, რომ დაიცავდა კახეთს ყველა მტრისაგან. რუსეთს ციხეები უნდა აეგო მდ. თერგზე და გზა გაეხსნა კახეთისაკენ. ეს „ფიცის წიგნი“ დაამტკიცა 1589 წ. რუსეთის მეფის მიერ გამოგზავნილმა „წყალობის სიგელმა“. აღნიშნული ხელშეკრულება საბედისწერო შეცდომას წარმოადგენდა. არსებული რეალიების პირობებში კახეთმა ძალზე შორს შესტოპა.

რუსეთის მტრები ნამდვილად იქცნენ მის დაუძინებელ მტრებად, ხოლო რუსეთმა ვერ, და არ დაიცვა იგი ამ მტრებისაგან. რუსეთის მოწვევა ამიერკავკასიაში ირანისთვის გამოწვევა იყო ირანის ახალი შაჰისათვის. დასუსტებული ირანის მბრძანებელში იმ დროს ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ძლევამოსილი აბას I, რომელმაც სისხლითა და მახვილით ჩაშალა ეს კავშირი XVII საუკუნის დამდეგს.

ალექსანდრე II-ემ ბევრი გააკეთა კახეთის ყოფა-ცხოვრების მრავალი მხარისათვის, მტკიცე ლაგამი ამოსდო მოხელეთა თავაშვებულობას, წესრიგში მოჰყავდა ეკლესია-მონასტრები, ციხეები და სხვა. მისი ერთი ვაჟი სტამბოლს გარდაიცვალა, როგორც მძევალი. მეორე, შაჰ აბას I-თან იზრდებოდა, ასევე მძევლად. აბას I-მა კარგად იცოდა, როგორი „ერთგული" იყო მისი ალექსანდრე, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა და რუსეთ-კახეთის გახშირებულ ელჩობებზეც თვალს ხუჭავდა.

1605 წელს შაჰის მითითებით ალექსანდრე II-ს ვაჟმა კონსტანტინემ თათბირის დროს მოკლა თავის მამა და ძმა. მოკლულთა თავები მან შაჰს გაუგზავნა, ხოლო თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. კახეთმა არ იგუა მეფედ მამისმკვლელი და აჯანყდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრეს ვაჟის, დავითის ქვრივი ქეთევან დედოფალი, მომავალი მეფის თეიმურაზ I-ის დედა. ქართველებმა დაამარცხეს და მოკლეს კონსტანტინე. ოსმალეთთან გართულებული მდგომარეობის გამო შაჰმა ვერ მოიცალა კახეთისათვის, ვითარება არ გაართულა და ტახტზე თეიმურაზ I (1606-1660 წწ.) დაამტკიცა.

1612 წ. სტამბოლის ზავით ირანმა დიდ წარმატებას მიაღწია — აღადგინა ამასიის ზავის პირობები და კვლავ „კანონიერი უფლება" მიიღო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე.

1613 წელს, როდესაც ოსმალეთთან ზავი დადო, შაჰ აბას I კახეთს შემოესია. 1614-1617 წლებში მან პირადად ოთხჯერ დალაშქრა კახეთი და მიწასთან გაასწორა იგი. 200 000-მდე კახელი დაატყვევეს და შიდა ირანში გადაასახლეს, სადაც მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ ფერეიდნის ოლქში. თვით ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით: „მათი (კახელების) საცხოვრებლები დააქ-

ციეს და ... კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში. რაც ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე". შაჰმა მეფობა ჩამოართვა იმერეთში გახიზნულ თეიმურაზს და კახეთში მუსლიმი მმართველები დანიშნა. მიუხედავად იმ სისასტიკისა, რაც ქვეყანას დაატყდა თავს, წინააღმდეგობა არ წყდებოდა.

31. ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1606 წელს ქართლის მეფედ შაჰ აბას დამტკიცდა მცირეწლოვანი ლუარსაბ II (1606-1614 წწ.). მას მძიმე დროს მოუწია ტახტზე ასვლა. მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი და მისი ერთ-ერთი ასპარეზი ქართლიც იყო. 1609 წელს ოსმალებმა ჯარი გამოგზავნეს ლუარსაბ II-ის შესაპყრობად. მათ იცოდნენ, რომ მეფე ცხრეთის ციხეში იმყოფებოდა მცირე ამალით. სოფ. კველთასთან მათ ადგილობრივი მღვდელი თევდორე შეიპყრეს და უბრძანეს ცხრეთის გზა ეჩვენებინა. თევდორემ სხვა გზით ატარა ოსმალები და ციხეს ძალზე დააშორა. ამასობაში მოსახლეობამ შეიტყო მტრის შემოსვლა და მომზადებაც მოასწრეს. გმირმა თევდორე მღვდელმა თავი შესწირა მეფესა და სამშობლოს. იგი ხმლებით აკუწეს. შემოსული ჯარი ტაშისკართან გაანადგურეს გიორგი სააკაძის მეთაურობით.

გიორგი სააკაძე ქართლის გავლენიან თავადთა წრეს ეკუთვნოდა. მისი მამა და ბიძა მაღალ თანამდებობას ფლობდნენ სამეფო კარზე. თვით გიორგი ქართლის არისტოკრატიის უმაღლეს წრეებს ენათესავებოდა. ლუარსაბ II-ემ იგი თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავად დანიშნა, ხოლო 1611 წელს მისი და შეირთო ცოლად. მეფის ცოლისძმას დიდი გავლენა შეექნა, მითუმეტეს ლუარსაბი ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. ასეთმა აღზევებამ გიორგის დიდი მტრები შესძინა. მათ ლუარსაბი სააკაძის ღალატში დაარწმუნეს და მისი დასჯის გადაწყვეტილება მიაღებინეს. სააკაძე ირანში გაიქცა და შაჰის სამსახურში ჩადგა. აქვე მან, დიდი ავტორიტეტის მქონემ შაჰის თვალში, ნელნელა წინ წამოსწია ირანში მცხოვრები ხოსრო-მირზა (როსტომი), რომელიც სიმონ I-ის ძმის, დაუდ-ხანის უკანონო შვილი იყო წავკისელი გლეხის ქალისაგან.

1612 წელს შაჰმა ლუარსაბ II და თეიმურაზ I თავისთან დაიბარა. ისინი არ გამოცხადდნენ შაჰთან, რაც ამბოხებას უდრიდა.

ამას მოჰყვა კახეთის ტრაგედია. 1614 წელს იმერეთში გახიზნული ლუარსაბი შაჰმა თავისთან მიიტყუა და დაატუსაღა. თეიმურაზ I არ ენდო უვნებლობის ფიცს — და ისევ არ ეახლა შაჰს. ლუარსაბ II ჯერ „სავატრო" ტყვეობაში იყო, შემდეგ კი, როდესაც ისლამი არ მიიღო, გულაბის ციხეში გამოკეტეს, სადაც დაახრჩვეს კიდეც 1622 წელს. ამ ამბავში, ზოგი ვერსიით, სააკაძის ხელიც ერია.

შაჰ აბას I ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაეყიზილბაშებინა ქართველი მოსახლეობა, მოესპო მისი ეროვნული თვითშეგნება, რადგან ესმოდა, რომ 1612 წლის ზავი ოსმალეთის მხრივ მხოლოდ დროებითი დათმობა იყო. იგი ყოველმხრივ ეცდებოდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები. ასევე იყო რუსეთიც, რომელმაც 1605 წელს დიდი მარცხი განიცადა ამიერკავკასიაში ალექსანდრე II-ის დაღუპვით, მაგრამ ცხადია, თავის მომავალ გეგმებზე ხელს არ აიღებდა. ამიტომ იყო, რომ შაჰ აბას I ასეთი შეუპოვრობით აოხრებდა აღმოსავლეთ საქართველოს. მან ქართლი სამმართველოდ ჩააბარა ლუარსაბის გამაჰმადიანებულ ნათესავს ბაგრატ-ხანს და მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა.

ქართული სულისკვეთების ამოსაძირკვად შაჰ აბას I გვირგვინოსანი მანდილოსნის ხელყოფასაც არ დაერიდა. მან ტყვედ მყოფ დედოფალ ქეთევანს, თეიმურაზ I-ის დედას ისლამის მიღება მოთხოვა. ქეთევანმა, კახეთის დედოფალმა და მუხრანბატონის ასულმა კარგად იცოდა, თუ რა ზნეობრივი მაგალითი უნდა მიეცა თავისი ერისათვის. მან არ დაგმო მამა-პაპათა სარწმუნოება, რისთვისაც სასტიკად აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს. ამ მხეცურმა დასჯამ იმდროინდელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი მიიღო და ყველა მიმართულების ქრისტიანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

მას შემდეგ, რაც XVII ს. 20-იან წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია ოსმალეთთან, დიდ მოგოლებთან (ინდოეთი) და სხვ. ბრძოლაში, შაჰ აბას I-მა „გურჯისტანის საკითხის" ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა მოინდომა. 1625 წელს მან დიდი ლაშქარი გამოგზავნა თავისი ცნობილი სარდლის, ყარჩიხა-ხანის მეთაურობით, რომელსაც მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა. შაჰი ბოლომდე მაინც არ

ენდობოდა მოურავს და მისი ვაჟი პაატა მძევლად დაიტოვა. ისქანდერ მუნშის ცნობით: „ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა (შაჰმა) გადაწყვიტა, რომ ერთი გამჭრიახი გონების მქონე... კაცი გაეგზავნა იმ მხარეს... — მოეხსნა შფოთის ამტეხნი და ისე მოეწესრიგებინა და მოეწყო საქმეები, როგორც ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის იქნებოდა სასარგებლო."

„ქვეყნის დამამშვენებელ აზრს" კი „შფოთის ამტეხთა" საქმეების მოწესრიგება ასე ესმოდა: კახელები, როგორც თეიმურაზ I-ის მომხრეები უნდა ამოეწყვიტათ და კახეთი ყიზილბაშებითა და თურქმანებით დაესახლებინათ, ირანის მოწინააღმდეგე თავადები ირანს გადაესახლებინათ. საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი ისევ რეალურად დადგა. შაჰმა თვით სააკაძის მოკვლის საიდუმლო ბრძანებაც გასცა, რაც შეიტყო გიორგიმ. როგორც სამშობლო ქვეყნის, ისე მისი სასიცოცხლო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ქართლის თავადები მზად იყვენ ასაჯანყებლად. სააკაძე მათ დაუკავშირდა, შაჰის ნამდვილი მიზნები შეატყობინა და ყიზილბაშებზე უეცარი თავდასხმის გეგმაც შესთავაზა. სააკაძე ყარჩიხა-ხანის ბანაკში იმყოფებოდა მარტყოფის ველზე, თავის ვაჟთან ავთანდილთან და მხლებლებთან ერთად. ისინი 25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილს) თავს დაესხნენ ირანის სარდლობას. სააკაძემ შუბით განგმირა ყარჩიხა-ხანი, ხოლო მისმა მხლებლებმა ყველა სხვა მხედართუფროსი გაჟლიტეს. უსარდლოდ დარჩენილი ყიზილბაშთა ჯარი აირია. ამასობაში ქართულმა ლაშქარმა მოაწია და ოსმალთა ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობით, 30 000 ყიზილბაშიდან 3000-მა ძლივს უშველა თავს. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სააკაძე თბილისს დაეცა და ყიზილბაშური გარნიზონი ალყაში მოაქცია. ასევე სწრაფად დალაშქრა მან განჯა-ყარაბაღი და კახეთში შემოსახლებული თურქმანებიც გაჟლიტა. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ ქართველებმა თეიმურაზ I აღიარეს.

შაჰ აბას I ამ მარცხს, რომლის მსგავსი ორმოცი წლის განმავლობაში არ ჰქონია, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა. მან თავი გააგდებინა პაატა სააკაძეს და იმავე წელს

ახალი ჯარი გამოგზავნა თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. ირანის ლაშქარს დიდძალი არტილერია და ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა და იგი რეალურად ივადაც სჭარბობდა ქართველებისას. პირველ ბრძოლისას, მარაბდასთან სისხლიანი და უთანასწორო ბრძოლა მოხდა. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერმაც დიდი ზარალი ნახა. მარაბდის ველზე 14 000 ყიზილბაში და 9 000 ქართველი დაიღუპა, მათ შორის ცხრა ძმა ხერხეულიძე. მარცხის შემდეგ ქართველები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. დიდი ზარალისა და ოსმალეთთან ომის გამო შაჰი იძულებული გახდა თეიმურაზ I ქრისტიანობით ეცნო ქართლ-კახეთის მეფედ. მანვე მოახერხა კონფლიქტი ჩამოეგდო თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. სააკაძეს რეალური ხელისუფლება ჰქონდა და სულ არ აპირებდა იგი თეიმურაზისათვის დაეთმო. არც თეიმურაზს აძლევდა ხელს მოურავის კარნახით მეფობა. 1626 წლის გვიან შემოდგომაზე, ბაზალეთთან, თეიმურაზთან ბრძოლაში სააკაძე დამარცხდა და ოსმალეთს გადავიდა, სადაც ყაჰრამან-კონიის ბეგლარბეგობა (ფაშობა) მიიღო.

1629 წელს გარდაიცვალა შაჰ აბას I. ირანში მოსალოდნელი იყო დინასტიური ომი, მაგრამ აქ იმარჯვა გამაჰმადიანებულმა ხოსრო-მირზამ (როსტომმა), რომელიც სააკაძის წამოწეული კაცი იყო. მან ტახტზე აიყვანა აბას I-ის შვილიშვილი, რომელსაც შაჰ-სეფი ეწოდა (1629-1642 წწ.) ერთგულმა როსტომმა შაჰის გვარდიის უფროსობა მიიღო. ერთხანს „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე). სააკაძეს როსტომის დახმარების იმედი ჰქონდა. აბას I აღარ იყო და მან კვლავ ირანისაკენ გაიხედა, რაც გაუგო ოსმალეთის დიდვეზირმა და სიკვდილით დასაჯა 1629 წ. 3 ოქტომბერს.

შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზ I ნაკლებად ემორჩილებოდა ახალგაზრდა შაჰ სეფი I-ს. მან 1632 წელს მოარბია განჯა-ყარაბაღი და ირანის ვასალობისაგან სრული განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ ვერ მოზომა საკუთარი და ირანის ძალები. იმავე წელს ირანმა დიდი ლაშქრობა მოაწყო თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომის (ხოსრო-მირზას) და როსტომ-ხან სააკაძის მეთაურობით.

ქართლის თავადების უმეტესობა ქართლის დინასტიის წარმომადგენელს, როსტომს მიუვიდა. თეიმურაზს კახეთიც ჩამოერთვა.

ეს იყო ირანის ახალი პოლიტიკის დასაწყისი: ქართლში ქვეყნის უმაღლეს მმართველად ჯდებოდა ირანის მოხელე „ვალი" (დაახლ. გუბერნატორი), ხოლო ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, „ქართველობა" ხელუხლებელი რჩებოდა. იურიდიულად ის ირანის მოხელე იყო. ასეთი ვალი ირანს ოთხი ჰყავდა: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის და ქურთისტანის. ამის შემდეგ, ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართლში ქრისტიანულად მირონცხებული მეფე აღარ მჯდარა. როსტომის მემკვიდრეები ქართლის ტახტზე „ვალიდ" ითვლებოდნენ და აუცილებლად ისლამი უნდა მიეღოთ.

როსტომმა ირანული ბატონობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები შეინარჩუნა, ხოლო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება ხელუხლებელი დატოვა. ის და მისი მეუღლე, ლევან II დადიანის და მარიამი დიდად ზრუნავდნენ ქართული ქრისტიანობის ძეგლებზე. დაიწყო ქალაქების, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინება. მშვიდობიანობის პირობებში როსტომი აშენებდა ახალ ხიდებს, გზებს, ქარვასლა-ფუნდუკებს. როსტომის, მუსლიმი ვალის პოლიტიკის დასახასიათებლად თვალსაჩინოა მისი წარწერა მდ. თეძამზე ქალაქის აშენების შესახებ: „... მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და ... დედოფალ-დედოფალმან პატრონმა მარიამ ხელვჰყავით აღშენებად თეძამის პირსა... ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი"...

მართალია, როსტომის მეფობაში ქრისტიანობა არ იდევნებოდა, მაგრამ მაჰმადიანობა ნელნელა მაინც იდგამდა ფეხს, რაც სამომავლოდ დიდ საფრთხეს შეიცავდა. როსტომმა შაჰის ბრძანებით, 1648 წელს კახეთიდან გააძევა კვლავ გამეფებული თეიმურაზ I. ირანული პოლიტიკის ძირითადი გეზი — ქართლ-კახეთის გაყიზილბაშება დღის წესრიგიდან არ იყო მოხსნილი.

თეიმურაზ I-მა თავისი წინაპრების მსგავსად კვლავ რუსეთს მიაპყრო მზერა და 1639 წ. განაახლა „ფიცის

წიგნი". 1653 წელს მან მოსკოვს გააგზავნა თავისი მეოცე-
დრე შვილიშვილი ერეკლე, მომავალი მეფე ერეკლე I. იგი
თვითონაც ეწვია მოსკოვს 1658 წელს, მაგრამ ხოლოდ
უშედეგოდ, რის შემდეგაც ირანს გაემგზავრა, სადაც ასტ-
რაბადის ციხეში გარდაიცვალა პატიმრობაში.

1656 წ. როსტომს კახეთი ჩამოერთვა და იქ ისევ
თურქმანების ჩასახლება დაიწყეს. ყიზილბაშებმა საგანგე-
ბოდ გაამაგრეს ბახტრიონის ციხე და ასევე ალავერდის
ტაძარი, რომელიც ციხედ აქციეს. ივრისა და ალაზნის
ველებზე უცხო ტომები მკვიდრდებოდნენ. კახეთში დიდი
აჯანყება მომწიფდა, რომელმაც 1660 წელს იფეთქა. აჯან-
ყებაში მონაწილეობდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, ზაალ
არაგვის ერისთავი და მისი ძე ზურაბი, შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავები. ეს იყო ქართლისა და
კახეთის ძალები. მათ დასახმარებლად ნაქერალის მთაზე
შეგროვდნენ თუშ-ფშავ-ხევსურები ზეზვა გაფრინდაულის,
ნადირა ხოშარაულისა და გოგოლაურის მეთაურობით.
მათ ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონსა და ალავერდს.
თურქმანები ან გაულიტეს, ან გადახვეწეს კახეთიდან. ეს
იყო უდიდესი გამარჯვება, რამაც ირანი აიძულა კიდევ
ერთხელ აეღო ხელი საქართველოს გაყიზილბაშების გეგ-
მაზე. ამასთან, შაჰის რისხვა რომ დაეცხროთ, აჯანყების
მეთაურები — ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავები თვით გამოცხადდნენ მის
კარზე. ისინი სასტიკად აწამეს, მაგრამ მათი მსხვერპლი
უშედეგო არ ყოფილა.

ბახტრიონის გმირულ აჯანყებას უძღვნა თავისი პოემა
ვაჟა ფშაველამ, ხოლო აკაკი წერეთელმა კი აღწერა
თავის „ბაში-აჩუკში".

1658 წ. გარდაიცვალა როსტომი. მის ნაცვლად ტახტზე
დაამტკიცეს ვახტანგ მუხრანბატონი, რომელიც ქართულად
ვახტანგ V, ხოლო მუსლიმური სახელით შაჰნავაზი იყო
(1658-1675 წწ.).

XVII ს. I ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორია
ფაქტობრივად ოდიშის სამთავროს და მისი მთავრის ლევან
II დადიანის (1611-1657 წწ.) გაძლიერების ისტორიაა. ის
მეტად თავისებური, კოლორიტული ფიგურა იყო გვიანი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. მის პროვინციაში შერწყმული იყო ეპოქისათვის დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციები. იგი ზრუნავდა ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისათვის, იბრძოდა ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ. გაუმართლებელი იყო მისი გაუთავებელი ომები იმერეთის სამეფოსთან. მას დასავლეთ საქართველოს გაერთიანება სურდა, რაც განუხორციელებელი აღმოჩნდა, ქვეყანა კი ამდენი ომებისაგან დასუსტდა.

ლევან II დადიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი და აქამდე სათანადოდ შეუფასებელი მხარეა ბრძოლა ჩრდილოკავკასიური მთური ელემენტის წინააღმდეგ. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იგი ოდიშის ძალებით იგერიებდა ამ ტომებს, რომლებიც ჯერ აფხაზეთში მკვიდრდებოდნენ და შემდეგ ოდიშისაკენ მოდიოდნენ. ეს იყო, როგორც დღეს უკვე აშკარა ხდება, საერთოქართული მნიშვნელობის ბრძოლა ჩამოყალიბებულ, ქრისტიანულ კულტურასა და ჩამორჩენილ მთის კულტურას შორის. მთურ ელემენტებზე დაყრდნობით, აფხაზი წარჩინებულები ექსპანსიას მიმართავდნენ კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის მიტაცებისაკენ. თავისი არსით, ეს ექსპანსია „ქართველობის" საწინააღმდეგო იყო და ახლო იდგა „ლეკიანობასთან". ლევანის ლაშქრობები კოდორს გადაღმა, ლიხნსა და ბზიფის ხეობაზე მხოლოდ დროებით შედეგებს აღწევენ. იგი იძულებული ხდება თანდათან თავდაცვაზე გადავიდეს. ლევანმა ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების გამაგრება დაიწყო, რადგან სწორად ფიქრობდა, რომ კელასურის საზღვრის მოშლის შემთხვევაში, ენგურამდე მომხდურების შეჩერება შეუძლებელი იყო. კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით: „ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ეწოდება, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები". ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, აწ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდან მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმა, აფხ-

აზთა გამოუსვლელობისათვის". აშკარად ჩანს, რომ ლევანმა ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გაამაგრა არა მარტო აფხაზთა, არამედ ჩრდილოკავკასიის სხვა ტომების - მეზობელი ვის წინააღმდეგაც. ლევანის გარდაცვალების შემდეგ ეს საზღვარი მალე მოირღვა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ლევანის მიერ თავდასაცავად აგებულ ზღუდეებს ანტიქართულად განწყობილი ისტორიკოსები „დიდ აფხაზურ კედელს" უწოდებენ.

32. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVI-XVII სს-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI ს-ში საქართველოს პოლიტიკური ერთეულებიდან ყველაზე უფრო მოღონიერებული ეკონომიკურად კახეთის სამეფო იყო. აქ მშვიდობა სუფევდა და ამან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებას. შეიქმნა ახალი ქალაქები — გრემი და ძეგამი. გაცხოველდა საგარეო ვაჭრობა. უცხოეთის ქვეყნებში კახეთიდან გაჰქონდათ აბრეშუმი, კაკალი, ღვინო, ენდრო. მოსახლეობა იმდენად გამრავლდა და ქვეყანა განაშენიანდა, რომ კახეთის ერთ-ერთი მეფე ხუმრობდა — სანადირო ადგილები აღარ დამრჩაო. ყოველივე ამას ბოლო მოელო XVII ს. დასაწყისიდან, როდესაც ქვეყანა შაჰ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების ასპარეზად იქცა.

XVI ს. მთელ მანძილზე და XVII ს. დამდეგს კახეთის მდგომარეობის საპირისპიროდ, ქართლი იყო საშინლად მოოხრებული. შინაომებს, საგარეო შემოსევებს, განუწყვეტლივ ბრძოლას ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ ვერანაირი მეურნეობა ვერ გაუძლებდა. XVII ს. 30-40-იანი წლებიდან, როსტომის ღონისძიებების შედეგად მშვიდობიანობა ჩამოვარდა, რაც სწრაფად დაეტყო ქვეყანას. ქართლი მოშენდა, წინ წავიდა სოფლის მეურნეობა, გაცხოველდა საგარეო ვაჭრობა ირანთან. როსტომი ყოველ ღონეს ხმარობდა ქვეყნის ეკონომიკის მოსაღონიერებლად.

მიუხედავად არაერთგზისი აოხრებისა, ქართლისა და კახეთის საქალაქო ცხოვრებას და ვაჭრობას ისე არ უჭირდა, როგორც დასავლეთ საქართველოში. ქართლ-კახეთის ქალაქები ახლოს იყვნენ დიდ სატრანზიტო გზებთან, დასავლეთ საქართველო კი მყარად ჰყავდა შებოჭილი ოსმალეთს. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო ვაჭრობა მთლიანად ოსმალეთზე იყო დამოკიდებული. მათ ჰქონდათ მონოპოლია პირველი მოთხოვნილების საგნების შემოტანაზე, აქედან კი გაჰქონდათ თაფლი, ცვილი, ტილო, ბზის ხე, ტყავეული, თანაც არაექვივალენ-

ტურ ფასად;. უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ფული თითქმის არ გამოიყენებოდა და ბაზრობებზე საქონელს ერთმანეთში ცვლიდნენ. ეს სიდუხჭირე ასაზრდოებდა ბოროტებით ვაჭრობასაც.

გარკვეული ცდები არსებული ვითარების გამოსასწორებლად ჰქონდა ლევან II დადიანს. მან ევროპელებთან ერთად შეიმუშავა პროექტი ირანული და ქართული აბრეშუმის ოდიშის გზით ევროპაში გატანისა. ამ მოლაპარაკებებში ჩართული იყვნენ რომის კურია, ირანი, პოლონეთი, ვენეციის რესპუბლიკა. ოსმალეთის მთავრობამ ეს პროექტი თავის საწინააღმდეგოდ მიიჩნია და მის განხორციელებას ხელი შეუშალა. საგულისხმოა, რომ ასეთივე პროექტი შესთავაზა სულხან-საბა ორბელიანმა ვერსალის კარს. ქვეყანას არ ჰყავდა ძლიერი ეროვნული ფენა ვაჭრებისა, რაც მის სისუსტეს უწყობდა ხელს. ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ცნობით, ქართველები „ვაჭრობასაც კი არ მისდევენ და ამათთან მიღებულიც კი არ არის... საერთოდ თვით ქართველთა შორის არ არიან ვაჭრები და ქვეყნის მთელი ვაჭრობა მათი ქვეშევრდომების (უცხოტომელთა) ხელშია."

XVI-XVII სს. საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული იყო სათავადოთა სისტემა. სათავადოს სათავეში თავადი იდგა, რომელსაც მისი სახლიკაცები — თავადიშვილები ემორჩილებოდნენ. სათავადო საგვარეულოს კუთვნილი ტერიტორია იყო ციხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების, საგვარეულო საძვალის კომპლექსით. თავადების ყმები (ვასალები) იყვნენ აზნაურები, ხოლო მეფის ყმებს თვით თავადები წარმოადგენდნენ.

ფეოდალური ურთიერთობის უმდაბლეს ფენას მსახურები შეადგენდნენ, რომელთაც ბატონის სამსახურისა და თანამოლაშქრეობის საპატიო მოვალეობა ედოთ. მებეგრე ანუ მოყალნე გლეხები იყვნენ ძირითადი მწარმოებლები. სწორედ მათ მეურნეობას ემყარებოდა სათავადო სისტემა და მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობა.

33. ქართული კულტურა XVI-XVII სს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ ქართული კულტურა გამოცოცხლდა. XV საუკუნიდან კი, ქვეყნის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებასთან ერთად, მისი მაჯისცემაც შენელდა, თუმცა აშკარად გადაჭარბებულია აზრი, თითქოს ძნელბედობის საუკუნეებში არაფერი კეთდებოდა ამ მხრივ. სწორედ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში გადაარჩინეს საქართველოს მესვეურებმა და მოწინავე საზოგადოებამ ქართული ქრისტიანული კულტურა. რომ არა ამ საუკუნეებში გამოჩენილი მზრუნველობა ეკლესია-მონასტრებზე, მათი რესტავრირება, ხელნაწერების მოვლა-პატრონობა და გადაწერა, ჩვენ დღეს ეროვნული საგანძურის მეათედიც აღარ გვექნებოდა, მათ შორის ჯვარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა და მრავალი სხვა. არაფერია გასაკვირი, რომ XI-XIII საუკუნეების ღონიერ საქართველოს კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები შეექმნა. საკვირველი და დასაფასებელია ის ღვაწლი, რაც XV საუკუნის მიწურულიდან გასწიეს ხშირად უსაფუძვლოდ განჭიქებულმა მოღვაწეებმა ქართული ქრისტიანული კულტურის გადასარჩენად.

XVI-XVII საუკუნეებში აღარ არსებობდა უმაღლესი სასწავლო ცენტრები. წერა-კითხვას და იმ დროს მიღებულ განათლებას აძლევდნენ ოჯახებში და ეკლესია-მონასტრებში. განათლებისა და კულტურის ნამდვილ კერას წარმოადგენდნენ საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა კარები, წარჩინებულთა სასახლეები.

XVI საუკუნიდან იწყება ქართული კულტურის „აღორძინების“ ხანა, რომლის მთავარი მოტივი ეროვნულ-პატრიოტული იყო. პოლიტიკური განკერძოების მიუხედავად სამეფო-სამთავროების კულტურულ-შემოქმედებითი პროცესი ერთიანი, საერთოქართული გახლდათ.

აღორძინების ხანის ლიტერატურა კლასიკურ ტრადიციებს ემყარებოდა. საფუძველი ჩაეყარა ეროვნული თემატიკის ლიტერატურას, ქართულ სიუჟეტზე გაშლილ ისტორიულ პოემას. საისტორიო პოეზიის უდიდესი და პირველი წარმომადგენელი იყო თეიმურაზ I, რომელსაც მრავალი

ორიგინალური და ირანულიდან გადმოკეთებული ნაწარმოები ეკუთვნის, მათ შორის ტრაგიზმით აღსავსე „ნაღვლიანი ქეთევან დედოფლისა“, რომელიც მეფე-პოეტმა [illegible]-დას უძღვნა.

საისტორიო პოეზიის წარმომადგენელი იყო ფეშანგი ხითარიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“. იგი დაწერილია 1664-1665 წწ. ფეშანგი, როგორც კარის მგოსანს შეჰფეროდა, ქება-დიდებას ასხამდა ვახტანგ V-ს და მის ვაჟს არჩილს.

მეფე-პოეტმა არჩილმა მყარ საფუძველზე დააყენა ეროვნული მიმართულება ქართულ ლიტერატურაში. მისი იდეალი თამარის საქართველო იყო და სწამდა, რომ საქართველოს ოდინდელი დიდება კვლავ აღდგებოდა. არჩილმა პირველმა აღიმაღლა ხმა ენის სიწმინდის დასაცავად და თვით თეიმურაზ I-ს ირანიზმები დაუწუნა. იგი პირველი იყო დიდაქტიკურ-მორალისტური ჟანრის დამკვიდრებაშიც („საქართველოს ზნეობანი“, „კაცისა და სოფლის გაბაასება“ და სხვ.).

XVII ს. 80-იან წლებში შეიქმნა პოემა „დიდმოურავიანი“, რომლის ავტორი იყო იოსებ თბილელი (სააკაძე). ავტორი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მისი ბიძა გიორგი სააკაძე არ იყო მეფე ლუარსაბის მოღალატე. გიორგი დახასიათებულია, როგორც მხურვალე მამულიშვილი, მეფისა და სამშობლოს ერთგული მოღვაწე. ამასთან, ავტორს არ დაუმალავს სააკაძის მოღვაწეობის უარყოფითი მხარეები.

XVII ს. ფარსადან გორგიჯანიძემ დაწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1659 წლამდე. როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

ქართული ხუროთმოძღვრება ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ჩამორჩებოდა კლასიკური ხანისას, მაგრამ მაინც იქმნებოდა ეპოქის შესაფერისი ძეგლები. ეს იყო გრემის ანსამბლი ეკლესიებითა და სასახლეებით, შუამთის ახალი მონასტერი და ნინოწმინდის სამრეკლო, როსტომის სასახლე და ანჩისხატის სამრეკლო.

შეძლებისდაგვარად ინახავდნენ და ანვითარებდნენ ქართულ კულტურას დასავლეთ საქართველოში. XVI ს-ში შეკვეთდა

და მოიხატა გელათი, ნიკორწმინდა. დიდი მუშაობა წარ-
მოებდა ლევან II დადიანის კარზე. მან დააარსა საეკლესიო-
ჭედლო სახელოსნო, საიდანაც ქართული ჭედურობის ძვირფასი
საინტერესო ნიმუში გამოვიდა. მისიონერ არქანჯელო
ლამბერტის ცნობით: „არ არის ოდიშში ახლა არც ერთი
ეკლესია, სადაც მისი ღვთისმოყვარეობის ნიშანი არ იყოს:
რომელიც დანგრეული... იყო, ხელახლა ააშენა, რომელსაც
სახურავი არ ჰქონდა... გაუკეთა, რომელსაც ორნამენტი
შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა". დადიანმა ვალებიდან
გამოიხსნა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი და მისი
რესტავრაცია-მოხატვის ხარჯიც გაიღო. შოთა რუსთაველ-
ის „ვეფხისტყაოსნის" დღემდე შემორჩენილი უძველესი
თარიღიანი ხელნაწერი მისი ბრძანებითაა გადაწერილი და
დასურათებული.

საერთოდ, XVI-XVII სს. უდიდესი პოპულარობით სარგებ-
ლობდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი".
შეიქმნა მთელი ციკლი მისი გაგრძელებებისა. პოეტები
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ მიბაძავდა შოთა
რუსთაველს. საქართველოში მოსწონდათ სარაინდო რო-
მანებიც, ძირითადად ირანულიდან გადმოღებული. მოსახ-
ლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული ფირდოუსის „შაჰ-
ნამეს", „როსტომიანის", „უთრუთიან-საამიანის" გმირთა სახ-
ელები.

34. ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის I ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII საუკუნის II ნახევარში ქართლისა და კახეთის სათავეში მუსლიმი ბაგრატიონები იდგნენ, რომელთა ხელისუფლებას ირანის შაჰი ამტკიცებდა.

ვახტანგ V შაჰნავაზი როსტომის პოლიტიკის მიმდევარი იყო. მან შემოიკრიბა ქართველ პატრიოტთა განათლებული წრეები და ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენაზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგებაზე ზრუნავდა. მის ოჯახში აღიზარდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის მეფე არჩილი, ვახტანგის ვაჟი. შაჰნავაზმა რამდენჯერმე სცადა იმერეთის შემოერთება და არჩილი იქ ტახტზე დასვა, მაგრამ ოსმალეთმა კატეგორიულად მოითხოვა ირანის ვასალი მეფეების „მისი სამფლობელოდან" გაწვევა, რასაც ირანი დაეთანხმა კიდეც. არჩილს კახეთი მისცეს სამეფოდ. ქართლ-კახეთს ფაქტობრივად ვახტანგ V მართავდა.

1662 წელს საქართველოში ჩამოვიდა დიდხანს რუსეთში მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი. იგი თავის საბატონო კახეთში ლამობდა გამეფებას. არჩილმა ერეკლეს გამო მიატოვა კახეთის ტახტი და ოთხჯერ გამეფდა იმერეთში, თუმცა ოთხჯერვე გამოაძევეს. 1699 წელს იგი საბოლოოდ დამკვიდრდა მოსკოვში, სოფ. ვსესვიატსკოეში და ლიტერატურულ-სამეცნიერო მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა გიორგი XI — შაჰნავაზ II (1677-1688 წწ.). გიორგი მამაზე მეტად იჩენდა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას, რის გამოც შაჰმა იგი გადააყენა და ქართლის მეფედ გამაჰმადიანებული ერეკლე I ნაზარალიხანი დასვა (1688-1703 წწ.). გიორგი XI წლების განმავლობაში ებრძოდა ერეკლე I-ს ქართლის ტახტისათვის. ქვეყანაც ჩვეულებრივზე მეტად აირია. ერეკლეს ხელში ყიზილბაშები ძალზე გათავხედდნენ ქართლში. გლეხობა მასიურად იყრებოდა და კახეთს აფარებდა თავს, თუმცა იდეალური მშვიდობა არც იქ იყო.

1703 წელს ირანმა გიორგი XI აღადგინა ქართლის ტახტზე. იგი ირანის სპასალარადაც დაინიშნა და ავღანთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა. ირანში გაგზავნეს ერეკლე I ნაზარალიხანიც. მას სამკვიდრო ვახეთი და ირანის ყულარაღასობა (შაჰის გვარდიის უფროსობა) ებოძა. ქართლში გიორგი XI-ის მოადგილედ (ჯანიშინად) დაინიშნა მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე, ხოლო კახეთში ერეკლე I-ის მოადგილედ მისი ძე დავითი (იმამ ყული-ხანი) გამოგზავნეს.

იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) და ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში სრული ანარქია გამეფდა. კალეიდოსკოპივით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე იმერეთის მეფეები, დადიანები და გურიელები. ტახტის პრეტენდენტების ურთიერთბრძოლას გაჩანაგებამდე მიჰყავდა ეს მხარეები. კატასტროფული სახე მიიღო ტყვეთა სყიდვამ, რაც ერის გენოფონდის განადგურებით შეიძლებოდა დასრულებულიყო. 1669 წელს ოსმალებმა ქუთაისის ციხე დაიკავეს და მთელი საუკუნით დარჩნენ იქ.

უმძიმეს ვითარებაში ჩავარდა ოდიშის სამთავრო. მისიონერ ძამპის ცნობით: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის... დაქცეული და აოხრებულია... ახლა კაცს, აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია". ამასთან, ოდიშში გაძლიერება დაიწყო ჩიქვანთა საგვარეულომ ლეჩხუმიდან. მათ ოდიშის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყეს და უმოწყალოდ ჟლეტდნენ და ყიდდნენ ოდიშის მკვიდრთ. ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის დასაცავად ჩიქვანებს არ ეცალათ. ისინი ცდილობდნენ როგორმე ლეჩხუმი შემოემტკიცებინათ. ასეთ ვითარებაში თანდათანობით მოიშალა ოდიშის საზღვარი. XVII ს. 80-იანი წლებისათვის აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა ჩრდილოეთიდან ნელნელა გაიფართოვეს მიწა-წყალი. საზღვარი კელასურ-კოდორიდან ჯერ ღალიძგამდე, შემდეგ კი ენგურამდე გადმოვიდა. ამას თან ახლდა მოსახლეობის აყრა-დაწიოკება, ოსმალეთში დაყიდვა. გავერანდნენ ღალიძგის, ნაჟანეულის, კვიტაურის სასახლეები. კოდორიდან ენგურამდე ნასოფლარები მომრავლდა. იერუსალიმის პა-

ტრიარქ დოსითეოსის ცნობით, აფხაზებმა მოაოხრეს ბოქვი, ზუგდიდი და მთელი ტერიტორია „დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე“ (სოხუმიდან ცხენისწყლამდე). შემდეგ დაიწყო მათი ჩამოსახლება. გაჩნდა ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებები — „აბჟუა“, „სამურზაყანო“. ოდიშის ტახტზე ჩიქვანთა დინასტია ავიდა, რომელმაც ძველი მთავრების დადიანების გვარი მიიღეს.

ქართლის მმართველი ვახტანგ ლევანის ძე ჯერ გიორგი XI-ის, შემდეგ კი თავისი უფროსი ძმის, მეფე ქაიხოსროს ჯანიშინი იყო. ვახტანგის (მომავალი მეფე ვახტანგ VI) ჯანიშინობის წლები უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქვეყნისათვის, მისი მეურნეობისა და სულიერი ცხოვრებისათვის.

ვახტანგი უპირველესად ელემენტარული საყოფაცხოვრებო წესრიგის ჩამოყალიბებას შეუდგა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ალაგმა წარჩინებულთა და დიდმოხელეთა თვითნებობა და ეკლესიასაც დაუბრუნა განუკითხაობის წლებში თავადთა მიერ მათთვის წართმეული მამულები. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეადგინეს „სამართლის წიგნი“, რომელიც მალე მთელ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობად გადაიქცა. ეკონომიკის დარგში გატარებული ღონისძიებებით მან გაიყვანა და განაახლა მოშლილი არხები, გზები, ხიდები, გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება. ვახტანგმა შექმნა სახელმწიფოს მართვის განაწესი „დასტურლამალი“.

ვახტანგის ღონისძიებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ 1709 წელს თბილისში პირველი ქართული სტამბის შექმნა. ამ მამულიშვილურ საქმეში ვახტანგს მხარში ამოუდგა ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწე ქართველი, ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმოზ ივერიელი. ანთიმოზი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ტყვედ წაიყვანეს და შემდეგ იერუსალიმის პატრიარქის კარზე იზრდებოდა. ანთიმოზი რუმინეთის დიდი საეკლესიო და კულტურული მოღვაწე გახდა. მან იქ რამდენიმე სტამბა დააარსა და ახალი სამშობლოს მხურვალე პატიორტი გახდა. ვახტანგის თხოვნით, მან თბილისში მოავლინა თავისი მოწაფე მიხაი იშტვანოვიჩი, რომელმაც გამართა სტამბა. 1709 წელს

გამოიცა პირველი ქართული ნაბეჭდი სახარება, ხოლო 1712 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგის რედაქციითა და კომენტარებით.

ვახტანგ ჯანიშინის გარშემო შემოიკრიბა წარჩინებული ერი, იმდროინდელი ქართული ინტელიგენცია. ეს იყო კულტურისა და პოლიტიკის მოღვაწეთა ლონერი დასი. მასში შედიოდნენ ლიტერატორები, მეცნიერები, სახელმწიფო მოღვაწეები. მათი მიზანი ქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და საქართველოს ევროპეიზაცია იყო. ამ დიდ საქმეში ვახტანგს გვერდში ედგა მისი ალმზრდელი ბიძა სულხან-საბა ორბელიანი, გამოჩენილი მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერ-ლექსიკოგრაფი და დიპლომატი. სულხან-საბას კალამს ეკუთვნის განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“, „სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლანი“, არაერთი მაღალხარისხოვანი თარგმანი.

ვახტანგის თაოსნობით, ბერი ეგნატაშვილის მიერ შეიქმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელმაც გადაამუშავა საქართველოს ისტორია („ქართლის ცხოვრება“), დაწერა XIV-XVII სს. მონაკვეთი. ასე შეიქმნა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“.

ისტორიული და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი იყო ვახუშტი ვახტანგის ძე, რომელმაც ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა საქართველოს ისტორიაში. იგი იმ დროის ევროპის მეცნიერულ დონეს არ ჩამოუვარდებოდა. მანვე შეადგინა საქართველოს ყველა კუთხის რუკა და დანერგა კვლევის დარგობრივი და კომპლექსური მეთოდები.

ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა არაერთი სახელმძღვანელო პედაგოგიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ასტრონომიის და სხვა დარგებში. სახელმძღვანელოთა ერთი ნაწილის ავტორი თვით ჯანიშინი იყო.

1712 წელს დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო და ვახტანგი ირანში გაიწვიეს ტახტზე დასამტკიცებლად. ვახტანგი და მისი დასი ცდილობდა იგი როგორმე ქრისტიანობით დაბრუნებულიყო მეფედ. საამისოდ სულხან-საბა ორბელიანმა ევროპა მოიარა და ლუი XIV-საც ეწვია ვერსალში, მაგრამ არავის სურდა ქართლის გამო ირანის

მომდურება. ამასობაში ქართლს ვახტანგის ძმა, გამაჰმადიანებული იესე განაგებდა და ვახტანგის მომხრეებს დევნიდა. ქვეყნის ინტერესებისათვის ვახტანგმა [illegible] მიიღო მაჰმადიანობა და 1719 წელს მეფედ [illegible] ქართლში.

XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან კავკასიისაკენ კვლავ მოიხედა რუსეთმა, რომელმაც მოკლე ხანში განვითარების დიდი გზა გაიარა პეტრე I-ის (1682-1725 წწ.) მეთაურობით. პეტრე კარგად იცნობდა ქართველებს. მისი ოფიციალური მამის, ხანდაზმული ალექსი მიხეილის ძის და სრულიად ნორჩი ნატალია ნარიშკინას, პეტრეს დედის ქორწილში ხელისმომკიდედ („ტისიაცკად") ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილი, მომავალი მეფე ერეკლე I ნაზარალიხანი გახლდათ. მყარი საფუძველია ვიფიქროთ, რომ სწორედ ის იყო პეტრეს ნამდვილი მამა და ეს იცოდა რომანოვების ოჯახმა. პეტრე განსაკუთრებით მეგობრობდა მეფე არჩილის ოჯახთანაც.

პეტრეს მეთაურობით რუსეთმა შეუძლებელი შეძლო და უმოკლეს ხანში მძლავრ იმპერიად ჩამოყალიბდა. ამავე ხანებში დაცემის გზას დაადგა სეფიანთა დინასტია ირანში, რომელიც ავღანთა და სხვა ხალხების აჯანყებების შედეგად სულს ღაფავდა. რუსეთი აკვირდებოდა ირანის ვითარებას და ენერგიული მოქმედებისათვის ემზადებოდა. ვახტანგ VI კმაყოფილი შეხვდა პეტრეს ელჩს და კავკასიაში ახალი, მძლავრი ფაქტორის გამოჩენას. რუსეთის ელჩი არტემ ვოლინსკიც მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველთა სამხედრო თვისებებს და მიაჩნდა, რომ შეკავშირების შემთხვევაში ქართველები თვით ირანის დაკავებასაც კი შეძლებდნენ. 1720 წელს პეტრე I-მა და ვახტანგ V-ემ კავშირი დაამყარეს და გადაწყვიტეს ერთად დაელაშქრათ ირანი. რუსეთი უნდა შესულიყო აზერბაიჯანში, სადაც მას შეუერთდებოდა ქართველ-სომეხთა ჯარი ვახტანგის მეთაურობით.

1722 წელს ივლისში პეტრემ დაღესტნის სანაპირო და დარუბანდი აიღო, მაგრამ ჯარში ავადმყოფობა გაჩნდა, მოიშალა მისი მომარაგება. პეტრემ ლაშქრობა შეწყვიტა. ამ დროს ვახტანგ VI განჯასთან იდგა და 40 000-იანი

ლაშქრით რუსთა არმიას ელოდა. ვახტანგი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. შაჰმა იგი გადააყენა და ტახტი გამაჰმადიანებულ კონსტანტინე მეფეს გადასცა, რომელმაც ლეკთა მეშვეობით 1723 წ. თბილისი აიღო. დასავლეთიდან ოსმალებმა დაიწყეს შეტევა და მთელი ქართლი დაიკავეს. რუსული ჩექმის ჩადგმამ კავკასიაში სწრაფად გამოაფხიზლა ირან-ოსმალეთი. ვახტანგ VI-ეს ქვეყანაში აღარ ედგომებოდა. იგი 1200 კაციანი ამალით რაჭის გზით რუსეთს გადავიდა. მის ამალას შეადგენდა ქართლის წარჩინებული ინტელიგენცია, რომელთა უდიდეს უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა, ისევე როგორც მეფეს. ქვეყანა ერთბაშად დაიცალა ინტელექტუალური პოტენციალისაგან. მათ შორის იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ვახტანგის მემკვიდრე ბაქარი და სხვ. მათ თავიანთი მოღვაწეობა მოსკოვში, არჩილის სავანე ვსესვიატსკოეში გააგრძელეს. ქართული კოლონია შეიქმნა პრესნიაზე და დონის მონასტერთან. ქართლის ნაღები არისტოკრატია რუსეთის კულტურის და სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. ვახტანგის ამალის წევრთა შთამომავლები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ლეგიტიმური ხელმძღვანელის და არისტოკრატიის დიდი ნაწილის გარეშე დარჩენილ ქვეყანას უჭირდა ძალების მოკრება. 1723 წ. დაიწყო და 12 წელს გაგრძელდა ოსმალთა ბატონობა — „ოსმალობა". ქართველი ხალხი შეუპოვრად იბრძოდა „ოსმალობის" წინააღმდეგ. ამ ბრძოლას შეეწირა კახეთის მეფე კონსტანტინე. ქართველთა წინაალმდეგობით ოსმალებისადმი ისარგებლა ირანის სარდალმა ნადირ-ხანმა და 1735 წელს ისინი ქართლიდან გააძევა. ამ დროიდან აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა" „ყიზილბაშობამ" შეცვალა. ქართველები ახლა ყიზილბაშებს აუმხედრდნენ. მათ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მეფე კონსტანტინეს უმცროსი ძმა თეიმურაზ II. 1736 წელს სარდალმა ნადირმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. თეიმურაზმა ომს შაჰთან საერთო ენის გამონახვა არჩია. 1737 წელს მან თავისი მემკვიდრე ერეკლე მძევლად გააგზავნა ირანში. ნადირ შაჰმა 17 წლის ერეკლე ინდო-

ეთში წაიყვანა სალაშქროდ. ერეკლემ, ანუ როგორც მას სიყვარულით ეძახდენ, „პატარა კახმა“ პირველად 15 წლისამ უხელმძღვანელა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ დროიდან მას ხმალი ქარქაშში აღარ ჩაუგია.

ნადირ შაჰი ირანის ერთ-ერთი უდიდესი სარდალი იყო და ერეკლემ მასთან შესანიშნავი სამხედრო წრთობა მიიღო. შაჰიც კარგი თვალით უცქერდა ახალგაზრდა ბატონიშვილს. 1739 წელს, როდესაც ერეკლე სამშობლოში დაბრუნდა, ქვეყანა ავჯანყების ალში იყო გახვეული. ნადირ შაჰი ბევრ დათმობაზე წავიდა და ქართლ-კახეთი მძიმე გადასახადებისაგან გაანთავისუფლა. მანვე უფლება მისცა თეიმურაზს ქრისტიანული წესით კურთხეულიყო ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლეს კახეთის მეფობა დაულოცა. ეს 1744 წელს მოხდა.

განხორციელდა ის, რასაც ქვეყანა საუკუნეზე მეტხანს ელოდა. თეიმურაზ II სვეტიცხოვლის ტაძარში ძველი ქართული ქრისტიანული რიტუალით, მირონცხებულ მეფედ აკურთხეს.

ქართლ-კახეთის გაყიზილბაშების პოლიტიკა დამარცხდა. ამ სამეფოების სათავეში ქრისტიანი მეფეები იდგნენ, რაც საუკუნოვანი ბრძოლის ღირსეული დაგვირგვინება იყო.

35. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII ს. 50-70 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ II-ის ქართლში და ერეკლე II-ის კახეთში გამეფებით (ერთობლივი მეფობა ქართლ-კახეთში 1744-1760 წწ.) ეს ორი სამეფო ფაქტობრივად გაერთიანდა. ქართველი მეფეები კარგად იყენებდნენ ნადირ შაჰის კეთილგანწყობილებას და ცდილობდნენ მთელს ამიერკავკასიაში უპირატესობა მოეპოვებინათ. 1747 წელს ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და შაჰად გამოცხადდა ნადირის ძმისწული ალი ყული ხანი, რომელიც თეიმურაზის ქალიშვილის და ერეკლეს დის ქმარი იყო. რამდენიმე თვეში ისიც ჩამოაგდეს ტახტიდან და ირანი შინაომებმა მოიცვა. თეიმურაზ II ირანში იმყოფებოდა. ირანის ამიერკავკასიური სამფლობელოები წვრილ-წვრილ სახანოებად დაიშალა. ამასთან, ირანის ტახტის პრეტენდენტები ცდილობდნენ როგორმე თეიმურაზი და ერეკლე თავის მხარეს ჰყოლოდათ. ამ ვითარებას ისინი საუცხოოდ იყენებდნენ თავიანთი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

თეიმურაზ II-ის ირანში ყოფნის დროს აჯანყდა ვახტანგ VI-ის ძმისწული, გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი, რომელმაც როგორც ქართლის დინასტიის წარმომადგენელმა, ამ სამეფოს დაკავება სცადა. მის მხარეს დადგა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი, ბორჩალოსა და ყაზახ-ბაიდარის ელები, ლეკები. აბდულა-ბეგის დასაყრდენად იქცა სომხთ-საბარათიანო, კერძოდ სამშვილდის ციხე-სიმაგრე. ერეკლემ, რომელიც მამის არყოფნის გამო ქართლსაც განაგებდა, თბილისთან დაამარცხა აბდულა-ბეგის ლაშქარი, დაატყვევა ბატონიშვილის მომხრე ელების მეთაურები („ქედხუდები") და ბრძოლა გაშალა ყიზილბაშური გარნიზონის წინააღმდეგ. მან, მოქალაქეთა ფართო წრის დახმარებით აიღო მეტეხისა და თაბორის ციხეები თბილისში და საკუთარი გარნიზონები ჩააყენა იქ. ამ მოვლენებმა დიდი სახელი მოუხვეჭა ერეკლეს, როგორც მეზობელი სახანოების, ისე ირანის თვალშიც, რადგან იგი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. 1748 წელს ერეკლემ უკანასკნელად გაიღო ხარკი ირანის შაჰის წინაშე. ამის შემდეგ ქართლ-კახეთის

სამეფოებს საირანო ხარკი აღარ გაუღიათ. თეიმურაზის დაბრუნებისთანავე ყიზილბაშებს ნარიყალას ციხეც დააცლევინეს. ქართლ-კახეთის ირანზე დამოკიდებულება ნომინალური გახდა.

ქართლ-კახეთის მეფეებმა მალე მეზობელი სახანოები თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს. 1749 წ. ერევნის სახანოს, სადაც ირანის ხანი იჯდა მმართველად, შემოესივნენ მუღანის ველზე მომთაბარე თურქმანული თარაქამას ტომები. ერევნის ხანმა ქართლ-კახეთს თხოვა დახმარება და მათთან ერთად დაამარცხა მომხდურები. ამის შემდეგ ერევნის სახანომ ქართლ-კახეთის მფარველობა აღიარა, ისევე როგორც მალე ნახჭევანის სახანომაც.

ქართლ-კახეთმა ხელი დაადო განჯის სახანოსაც, რომელსაც ავიწროვებდა ყარაბაღის ხანი ფანაჰი. ეს უკანასკნელი ქართლ-კახეთისათვისაც გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა. 1750 წ. თებერვალში ქართლ-კახეთის ჯარი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ დაიძრა. მას შეუერთდნენ განჯის სახანოს და სომეხთა კათალიკოსის ძალები. ფანაჰ-ხანი დამარცხდა, ხოლო განჯის სახანომ ქართლ-კახეთის უზენაესობა აღიარა. ქვეყანას დაუბრუნდა შამშადილუს მხარეც. ყარაბაღის სახანომაც არჩია ეცნო ქართლ-კახეთის პირველობა. ქართველებმა მდ. არაქსის (არეზის) სანაპიროებიც დალაშქრეს და აიძულეს აზერბაიჯანის ხანები, მათ შორის თავრიზის ბეგლარბეგიც, ელიარებინა ქართველთა უპირატესობა.

მიუხედავად თვალსაჩინო წარმატებებისა, „ლეკიანობის" წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხიც იყო. ლეკების თარეში არ წყდებოდა. ერეკლემ არაერთგზის დაამარცხა მარბიელი რაზმები, მაგრამ ეს ლეკიანობის პრობლემას ვერ ჭრიდა. ლეკებმა აღმოსავლეთ კახეთის ყოფილ ტერიტორიაზე შექმნეს ჭარ-ბელაქნის ე. წ. უბატონო თემები და კაკისა და ელისუს სასულთნოები. ეს იყო მათი ბაზა ამიერკავკასიაში სათარეშოდ.

ჭარელები მოიწვევდნენ ხოლმე დაღესტნიდან რაზმებს და ქვეყანას გაესეოდნენ. ერთი ასეთი შემოჭრა 1750 წელს მოხდა. ერეკლემ მათი მთავარი ძალა დაამარცხა და ალაფიც დააყრევინა, მაგრამ საჭირო იყო თვით მოთარეშეთა ბუდის მოშლა — ჭარ-ბელაქნის აღება. ქართლ-

კახეთის ძალებს ამ საქმის განსახორციელებლად მხარში ამოუდგნენ განჯა-ყარაბაღის ხანები. თეიმურაზსა და ერეკლეს იმედი ჰქონდათ, რომ მათ მხარეს დადგებოდა შაქის ხანი აჯი ჩელებიც. 1751 წ. თებერვალში ქართველთა ლაშქარი ჭარისაკენ გაემართა. სრულიად მოულოდნელად ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ელისუს მხარეს გამოვიდა შაქის ხანი აჯი ჩელები. მასთან ბრძოლაში მდ. აგრი-ჩაისთან ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ერეკლე ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ამ დამარცხებამ აღაფრთოვანა ქართლ-კახეთის მტრები, მაგრამ ერეკლემ მოთარეშე რაზმებს დამარცხება აწვნევინა მანავთან, მარტყოფთან, საგურამოსთან და სხვ. ლეკთა საკითხი მუდმივ და გადაუჭრელ პრობლემად იდგა.

იმავე 1751 წელს ქართლ-კახეთს ომი ჰქონდა აზატ-ხანთან, რომელიც ირანის ტახტისათვის იბრძოდა. ნადირის სიკვდილის შემდეგ აზატ-ხანმა აიღო თავრიზი და სამხრეთ აზერბაიჯანის (ადარბადაგანის) მფლობელი გახდა. ტახტისათვის ბრძოლაში მას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება ესაჭიროებოდა და ერევანს შეუტია. ერევნის ხანმა დახმარებისათვის სიუზერენს — ქართლ-კახეთს მიმართა, ახალი მარცხი საფუძველს შეურყევდა ქართლ-კახეთის გამორჩეულ როლს რეგიონში. ერეკლე სასწაფოდ მიეშველა ერევანს, რომლის მახლობლად, ყირბულახთან, 1751 წ. ივლისში საარაკოდ დაამარცხა აზატ-ხანის 18-ათასიანი ჯარი. აზატ-ხანმა საზავო ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის ბატონობა მდ. არაქსამდე აღიარა.

ამიერკავკასიაში პირველობისათვის იბრძოდა არა მარტო ქართლ-კახეთი, არამედ შაქის ხანი აჯი ჩელებიც, რომელიც საკმაოდ გაძლიერდა. ასეთ ვითარებაში ერევნისა და განჯის ხანებიც მერყეობდნენ. 1752 წ. მარტში აჯი ჩელებიმ სასტიკად დაამარცხა მის წინაალმდეგ გამოსული თეიმურაზისა და ერეკლეს ლაშქარი. ამ მარცხის შედეგად ქართლ-კახეთის მორჩილებაზე ხელი აიღეს მაჰმადიანურმა სახანოებმა, ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილუს ელებმა, გააქტიურდა აზატ-ხანიც და ერევნის სახანო დაიმორჩილა.

1752 წ. სექტემბერში თულქითაფასთან ბრძოლაში (ყაზახ-შამშადილუს საზღვართან) ერეკლემ სასტიკად დაამარცხა

შაქის ხანი და მისი მოკავშირეები. ქართლ-კახეთის ავტორიტეტი ამიერკავკასიაში კვლავ აღდგა. ზავთან [illegible] დადგა აზატ-ხანიც.

ბიბლიოთეკა

50-იანი წლებიდან დიდად გაიზარდა ერეკლე II-ის ავტორიტეტი მთელს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. უკვე ამ დროისათვის იგი დასავლეთ ევროპელებისათვის ქრისტიანობის დამცველ ლეგენდარულ გმირად იქცა.

მიუხედავად წარმატებებისა, კვლავ ძლიერი იყო ლეკიანობა, რომელიც განსაკუთრებით გახშირდა 1754-1760 წწ. მუდმივი თარეში და ძარცვა ყოველდღიური მოვლენა იყო. 1754 წ. შემოიჭრა ხუნძახის (ავარიის) მფლობელი ნურსალ-ბეგი, რომელმაც ავარიელთა დიდი ნაწილი გააერთიანა. მათთვის ძარცვა-თარეში შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. ნურსალ-ბეგი ჯერ კახეთს მიადგა, იქიდან არაგვის ხეობაში გადავიდა და მჭადიჯვრის ციხეს შემოადგა. მჭადიჯვრის ბრძოლაში, 1754 წ. 16 აგვისტოს ქართლ-კახეთის მეფეებმა გაანადგურეს ნურსალ-ბეგის ლაშქარი.

1755 წელს ნურსალ-ბეგი მთელი დაღესტნითა და ჭარ-ბელაქნით დარაზმული შემოესია ქართლ-კახეთს. მეფეებმა ქუდზე კაცი გამოიყვანეს. ავარიის ხანი 20 000 ჯარით ყვარლის ციხეს შემოადგა, სადაც მოსახლეობასაც შეეფარებინა თავი. ერეკლემ ციხის დამცველებს თოფისწამლის დიდი მარაგი შეუგზავნა. ეს სავაჟკაცო საქმე სულ 206 კაცმა ითავა. მათ შორის იყო 9 თავადიშვილი, 2 აზნაური, ერთი მღვდელი და დანარჩენი ქიზიყელი გლეხები. ამასთან ერეკლემ თვით ჭარის დასარბევად გაგზავნა ქიზიყელთა ცხენოსანი ლაშქარი. ჭარელებმა სახლში წასვლა მოინდომეს თავისი სახლ-კარის დასაცავად, რამაც მათსა და ნურსალ-ბეგს შორის მტრობა ჩამოაგდო. ჭარელებმა მოხსნეს ალყა და წავიდნენ. ასევე თავ-თავის სამფლობელოებს მიაშურეს კაკის სულთანმა, ნუხის ხანმა და სხვ. ნურსალ-ბეგიც იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

1761 წ. აპრილში მრავალრიცხოვანი ამალით პეტერბურგს გაემგზავრა თეიმურაზ II. ეს ვიზიტი მიზნად ისახავდა ძალზე ფართო ღონისძიებებს. კერძოდ, რუსეთს სესხი უნდა გაეღო ქართლ-კახეთის ლაშქრის რეორგანიზაციისათვის, ან ჯარის დასაქირავებლად, რითაც ლეკე-

ბის პრობლემას გადაწყვეტდნენ, ამასთან, განზრახული იყო ირანში შესვლა და რუსეთისათვის სასურველი შაჰის ტახტზე აყვანა. რუსეთში ამ გეგმებს დიდი ენერგიულობა გამოუწვევიათ, ვინაიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის მიმდინარე 7-წლიან ომში. ამიერკავკასიის საკითხი მისთვის შემდგომი ეტაპის ამოცანას წარმოადგენდა. 1762 წ. იანვარში პეტერბურგში გარდაიცვალა თეიმურაზ II. იგი წამოასვენეს და ასტრახანის მიძინების ტაძარში ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს.

ქართლ-კახეთში ამ დროს ერეკლე II მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. მისი უზენაესობა აღიარა შაქმა, შამახიამ, ყარაბაღმა და ნახჭევანმა. ერეკლემ ტყვედ იგდო ირანის შაჰობის პრეტენდენტი აზატ-ხანი.

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე, ერეკლემ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ გამოაცხადა თავი. ირანის ახალი მმართველი („ვექილი") ქერიმ-ხან ზენდი ამ ფაქტს კეთილგანწყობით შეხვდა, მითუმეტეს, რომ ერეკლემ მას ძველი მტერი და მოქიშპე აზატ-ხანი შეკრული გაუგზავნა. ირანმა ცნო ერეკლეს უფლებები სახანოებზეც.

ქართლის ტახტზე ერეკლე II-ის ასვლას ყველა როდი შეხვდა სიხარულით. ქართლზე პრეტენზია ჰქონდათ ქართლის დინასტიის წარმომადგენლებს და მათ მომხრეებიც საკმაოდ ჰყავდათ. მოეწყო შეთქმულება, რათა ერეკლეს ნაცვლად ტახტზე აეყვანათ ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი, პაატა ბატონიშვილი. შეთქმულებაში ჩართული იყო ქართლის თავადთა დიდი ჯგუფი, საქალაქო წრეების გარკვეული ნაწილი. 1765 წ. ბოლოს შეთქმულება გასცა სამშვილდელმა დათუნა ფეიქარმა.

შეთქმულთა გასამართლება იმავე წლის დეკემბერში მოეწყო. კანონიერი დინასტიის წარმომადგენლის სიკვდილით დასჯა ერეკლემ თავისთავზე არ აიღო და საგანგებო სასამართლო მოიწვია. სასამართლო შედგებოდა სამეფოს დიდებულებისაგან და მასში ასევე მონაწილეობდნენ „პირველი სახლის შვილნი გლეხნი". ფაქტობრივად ეს იყო ერთგვარი „საერობო კრება", ერთჯერადი წარმომადგენლობითი ორ-

განო, რომელმაც ტახტის პრეტენდენტს და მის მომხრეებს — დავით აბდულა-ბეგის ძეს და ელიზბარ თავთაველშვილს სიკვდილი მიუსაჯა. სამუდამოდ დაამახინჯეს (ცხვირი მოჭრეს და დააკოჭლეს) სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ამილახვარი, შემდგომში ავტორი ყურადსაღები ნაშრომებისა. ერეკლე II ქართლის ტახტზე გამაგრდა.

უმძიმეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება დასავლეთ საქართველოს. ქვეყანა მოფენილი იყო ოსმალური გარნიზონებით. ფოთსა და სოხუმში ფაშები ისხდნენ. ტყვეთა სყიდვა ჩვეულებრივ ამბად იქცა.

1752 წ, გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V და ტახტზე ავიდა 17 წლის სოლომონ I (1752-1784 წწ), რომელმაც თავიდანვე დაიწყო ბრძოლა დიდებულთა თვითნებობისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ასეთმა პოლიტიკამ ჭაბუკ მეფეს უძლიერესი აბაშიძეები და რაჭის საერისთავო სახლი აუმხედრა. მას საკუთარი დედაც კი გადაუდგა, რომელიც აბაშიძეთა სახლის შვილი იყო. მიუხედავად ამისა, მან მოხერხებულად გამოიყენა სხვადასხვა დაჯგუფებათა წინააღმდეგობები, ჩამოაცილა ისინი ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს. სოლომონმა სამეგრელოსა და გურიის მთავრების შემორიგებაც შეძლო. ამან იმერეთის მეფის ხელისუფლება ანგარიშგასაწევი გახადა.

ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა არ მოეწონა ოსმალეთის ხელისუფლებას. ახალციხის ფაშას ებრძანა, მოეგვარებინა ეს საკითხი, სოლომონმა არ შეასრულა ოსმალეთის მოთხოვნები და ბრძოლისთვის გაემზადა. მას მხარში ედგნენ კაცია დადიანი, მამია გურიელი და სამურზაყანოელი მფლობელი ხუტუნია შერვაშიძე.

ოსმალთა ლაშქარი ოკრიბაში, ხრესილის ველზე დაბანაკდა. მათთან იყვნენ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე, თვით სოლომონ I-ის პაპა. 1757 წ. 14 დეკემბერს, გარიჟრაჟზე სოლომონი თავს დაესხა ოსმალთა ბანაკს. მან ორთაბრძოლაში მოკლა ოსმალთა სარდალი და მედგრად შეუტია დაბნეულ მტერს. მოლალატე ლევან აბაშიძე ბრძოლაში დაიღუპა. ოსმალებმა გაქცევით უშველეს თავს. მათვე მიყვნენ მეფის ორგული თავადები. ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ხუტუნია შერვაშიძე, რომელმაც პი-

რადად აკაფა თექვსმეტი მოწინააღმდეგე.

ხრესილის ბრძოლაში სახელოვანმა გამარჯვებამ [illegible] სახელი მოუტანა სოლომონს. აბაშიძეების სათავადო [illegible] ჩილეს. ციხე-მამული ჩამოართვეს სხვა ორგულ თავადებსაც. რაჭის ერისთავის დასჯა კი სოლომონმა მხოლოდ ათი წლის შემდეგ შესძლო.

1758 წ. იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა სამხედრო კავშირი დადეს მტერთან ერთობლივი ბრძოლისათვის.

1759 წ. სოლომონმა საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც მიიღეს დადგენილება ტყვეთა სყიდვის აკრძალვისა და ამ საქმის ჩამდენთა შეჩვენების შესახებ. მთავრებმა და თავადებმა „პირობის წიგნი" დადეს ტყვის სყიდვაზე ხელის აღების შესახებ.

XVIII ს. 60-იან წლებში სოლომონმა რამდენიმე სერიოზული მარცხი აგემა ოსმალებს. თავგანწირულმა ბრძოლამ აიძულა ოსმალეთი დათმობაზე წასულიყო. 1767 წლის ხელშეკრულებით იმერეთი მხოლოდ მფარველობაში მყოფ ქვეყნად გამოცხადდა და საშინაო საქმეებში ხელ-ფეხი გაეხსნა. სოლომონმა 1768 წ. შეიპყრო ტახტის მოცილე თავისი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე, რომელიც ციხიდან ცოცხალი აღარ გამოსულა. შეიპყრეს როსტომ რაჭის ერისთავი თავისი შვილებით და თვალები დასთხარეს. რაჭის საერისთავო გაუქმდა და მისი დიდი ნაწილი სახასოდ გამოცხადდა.

1768 წელსვე სოლომონმა რუსეთში ელჩად მიავლინა მაქსიმე ქუთათელი და იმპერატორს დახმარება სთხოვა. ამასთან რუსეთს ოსმალეთთან ომში თანადგომას სთავაზობდა.

ასეთ ვითარებაში იმავე 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთისათვის უაღრესად საჭირო შეიქნა ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა მხარდაჭერა. ქართლში შემოიყვანეს რუსული კორპუსი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. კორპუსს ევალებოდა ქართველთა დახმარებით შეეტია ოსმალო-თურქებისათვის და ამით კავკასიაში მიეზიდნა ოსმალთა გარკვეული ძალები.

ერეკლე II გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს ვითარება და რუსთა კორპუსთან ერთად ახალციხე აეღო, დაებრუნებინა

მიტაცებული ისტორიული ოლქი. 1770 წ. გაზაფხულზე ტოტლებენი 1200 კაცით და ერეკლე II — 7000 კაცით ბორჯომის ხეობით ახალციხისაკენ გაემართნენ. გენერალს არ სჯეროდა (ან არ სურდა დაეჯერებინა) ერეკლეს გეგმის წარმატებისა, ამიტომაც აწყურის ციხის უშედეგო შტურმის შემდეგ ერეკლე მიატოვა. ერეკლემ მაინც განაგრძო წინსვლა. მას გზაზე დაუხვდნენ ახალქალაქის და ხერთვისის ოსმალო მეციხოვნეები, რომლებიც მეფემ დაამარცხა და ასპინძას მიადგა. აქ იყო ოსმალთა და ლეკთა ძირითადი ძალები, რომლებიც მდ. მტკვარზე გადმოდიოდნენ. მეფემ აცალა მათ მტკვარზე გადმოსვლა. ღამით ქართველებმა მტკვარზე ხიდი აყარეს და მტერს უკანდასახევი გზა მოუჭრეს. 1770 წ. 20 აპრილს ასპინძის ბრძოლაში ერეკლე II-ემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ოსმალთა დიდი ნაწილი დაიღუპა. მიუხედავად შთამბეჭდავი გამარჯვებისა, ერეკლე იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, რადგან გენერალმა ტოტლებენმა თავისი ფარული გეგმები გამოამჟღავნა. მან ერეკლეს დამხობა და ქართლის ხელში ჩაგდება მოინდომა. იგი ძალით აფიცებდა მოსახლეობას იმპერატორის ერთგულებაზე. ამის შემდეგ იგი იმერეთში გადავიდა. ასპინძის ბრძოლის შედეგით სოლომონ I-მაც ისარგებლა და ოსმალებს ცუცხვათისა და შორაპნის ციხები წაართვა. ამის შემდეგ მან ქუთაისიც დაიკავა და ტოტლებენთან ერთად ქუთაისის ციხეს ალყა შემოარტყა. ოსმალებმა დატოვეს ციხე. მალე სოლომონსა და ტოტლებენს შორის გამწვავდა ურთიერთობა. გენერალმა თავისი ნებით მოინდომა ფოთის აღება და ალყა შემოარტყა მას. სოლომონის დაუხმარებლად მან ციხე ვერ აიღო. ამ დროს პეტერბურგში განიხილეს საქართველოში შექმნილი ვითარება. ერეკლეს და სოლომონის წინააღმდეგ მოწყობილი ტოტლებენის აქციები გენერლის თვითნებობას დაბრალდა. იმპერიის ხელისუფლებამ ხელები დაიბანა და გენერალი, რომელიც „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს", გაიწვია.

1772 წ. როდესაც რუსთა ჯარი გავიდა, თურქ-ოსმალებმა გურიის მთავარს ქობულეთის მხარე წაართვეს და ტრაპიზონის ვილაიეთს მიუერთეს. მათ გაამაჰმადიანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადი მაქსიმე თავდგირიძე და იგი სულეიმანის სახელით ქობულეთის ბეგად დანიშნეს.

1774 წ. დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამ ხელშეკრულებაში დასავლეთ საქართველოს საკითხი აისახა. რუსეთმა ცნო ოსმალეთის უფლება დასავლეთ საქართველოზე, თუ იგი უარს იტყოდა ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნაზე. ოსმალეთი ასევე იღებდა ვალდებულებას, რომ „ქართველებისა და მეგრელების (ოდიშის სამთავრო) მფლობელობაში მყოფ ყველა ციხე და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას“.

რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას ქართველები უშუალოდ გაეცნენ რუსეთის ჯარს და ცხადად დაინახეს რეგულარული სამხედრო ძალის დიდი უპირატესობა შუასაუკუნეობრივ ლაშქართან შედარებით. ერეკლემ გადაწყვიტა შემოელო ახალი ტიპის ჯარი, რომელიც მიახლოებული იქნებოდა რეგულარულთან. 1773 წ. მიღებული იქნა „მორიგე ჯარის განჩინება“, რომელიც მომდევნო წლიდან ცხოვრებაში გატარდა. ვინაიდან ქვეყნის ხაზინას ნამდვილი რეგულარული არმიის შენახვის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი ვალდებული იყო წელიწადში ერთ თვეს, თავისი ხარჯითა და შეიარაღებით „მორიგე ჯარში“ ემსახურა. მორიგე ჯარიდან მოსახლეობის არცერთი ფენა არ იყო თავისუფალი, მათ შორის სამეფო სახლის წევრებიც. „მორიგე ჯარის“ ორგანიზაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერეკლეს ვაჟი ლევანი, რომლის ხელშიც ამ ჯარმა არაერთ წარმატებას მიაღწია.

36. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს. II ნახევარში

XVIII ს. II ნახევარში შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მეურნეობის ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობისა და გლეხისათვის შესაძლებლად ნორმალური პირობები შეექმნა. ერეკლე II ცდილობდა არ დაეშვა გლეხთა წრესგადასული ექსპლუატაცია, ე. წ. „ბატონყმური რიგის" დარღვევა და თვითონ და თავისი მდივანბეგების მეშვეობით ხშირად ერეოდა გლეხებისა და მათი ბატონების დავაში.

საქალაქო ცხოვრების აღორძინება პირველ რიგში თბილისს დაეტყო. კაპიტან იაზიკოვის ცნობით: „ქალაქი მთლიანად გარშემორტყმულია ქვის... კედლით. აქ ... ცხოვრობს ხუთი ათასი კომლი... ბევრია მდიდარი ვაჭარი... ჰყიდიან აზიურ საქონელს: ფარჩას, თავთას, ჩითს, და სხვ. აგრეთვე რუსეთიდან შემოზიდულ საქონელს... ბევრია ყოველგვარი ხელოსანი და ყოველი სახის ხელოსნობას აქ აქვს თავისი რიგი".

თბილისელი ხელოსნები ამ დროს ხელოსნობის 60-მდე დარგს მისდევდნენ. უკვე საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდნენ ცალცალკე მკერავები კავკასიური, ქართული და ევროპული ტანისამოსისათვის.

თბილისის ხელოსანთა პროდუქციის უდიდესი ნაწილი ბაზარზე გასატანად მზადდებოდა. გარკვეული რაოდენობა საქართველოს სხვა ქალაქებში და მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ. ასეთი იყო სპილენძის ჭურჭელი, ტილო, ცხენის აკაზმულობა, სამეურნეო იარაღები, ტანსაცმელი და სხვ. ყოველთვიურად სხვადასხვა საქონლით დატვირთული 150-200 ურემი მიდიოდა ერევანს, თავრიზსა და არზრუმს.

გაიზარდა თბილისის მოსახლეობაც. 1770 წლის ცნობით თბილისში 4000 კომლი ქართველი, სომეხი, ფრანგი (კათოლიკე) და მუსლიმი ცხოვრობდა.

დიდად გაიზარდა ქ. გორის მნიშვნელობა. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში არამცირედ როლს ასრულებდნენ

სურამი, ცხინვალი, ალი და ახალდაბა. რუსეთ-საქართველოს ახალი სავაჭრო მაგისტრალის ჩამოყალიბებასთან ერთად დარიალის ხეობაში გაიზარდა ანანურისა და დუშეთის მნიშვნელობა, რომლებიც თანდათან ქალაქებად ჩამოყალიბდნენ.

ეკონომიკური ცხოვრება გაცხოველდა კახეთში, კერძოდ თელავსა და სიღნაღში.

გაცხოველდა ქართლ-კახეთის ქვეშევრდომი ვაჭრების ურთიერთობანი როგორც უშუალო მეზობლებთან, ისე ერაყთან თუ სირიასთან. საქართველო რუსეთის გზით იღებდა ევროპულ, კერძოდ ფრანგულ საქონელსაც. ეს იყო ძვირფასი თუ საყოველდღიურო ქსოვილები, „შფანცკის" (ესპანეთის) მაუდი, ქაღალდი, ჭურჭელი.

XVIII ს. II ნახევარში ჩნდებიან ან აღორძინდებიან საწარმოები, რომელთაც იმდროინდელი წყაროები „ქარხნებს" უწოდებენ. უმთავრესი იყო სამთამადნო წარმოება. ამუშავებდნენ სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის საბადოებს. ალავერდისა და შამბლულის „ქარხნებში" სპილენძს ამუშავებდნენ, ხოლო ვერცხლისა და ოქროს საბადოები ახტალაში იყო. ამ „ქარხნებში" ძირითადად ანატოლიიდან მოწვეული ბერძენი ოსტატები იყვნენ დასაქმებული. ერეკლეს განკარგულებით მადნების დამუშავების შესასწავლად ქართველებს აგროვებდნენ და ბერძენ ოსტატებთან შეგირდებად გზავნიდნენ.

ამავე პერიოდში გაჩნდა ისეთი საწარმოებიც, სადაც ოსტატთა და მუშათა უდიდესი ნაწილი დაქირავებული იყო. ეს იყო მანუფაქტურული წარმოების პირველი ყლორტები.

თბილისში არსებობდა თოფ-იარაღის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც ზარბაზნებსაც ამზადებდა. იყო ზეთსახდელი, თიხის ჭურჭლის, აგურის, თოფისწამლის „ქარხნები".

ამდენად, XVIII ს. II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში გამოცოცხლდა ეკონომიკური ცხოვრება. მიმდინარეობდა შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება, ისახებოდა კაპიტალისტური წარმოების თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საიმედო ნიშნები.

ეკონომიკის განვითარება ნაკლებად შესამჩნევი იყო

დასავლეთ საქართველოში. აქ მისდევდნენ შინამრეწველობისა და ხელოსნობის მრავალ სახეს: ადნობდნენ რკინას, იყო სპილენძის მოპოვებისა და გამოდნობის საერეწები (გურიაში). დასავლეთის ყველა რეგიონში ფართოდ იყო გავრცელებული საფეიქრო საქმე და მასთან დაკავშირებული ღებვა. საგანგებო სამღებროები მეფე-მთავრებს და მსხვილ თავადებს ეკუთვნოდათ. სასაქონლო წარმოება დასავლეთში აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით ბევრად უფრო სუსტი იყო.

XVIII ს-მდე სამეგრელო-აფხაზეთში, გურიასა და ქვემო იმერეთში ძირითადი მარცვლეული კულტურა ღომი იყო. XVIII ს-დან მისი ადგილი სიმინდმა დაიკავა, რომელიც ნაკლებ მოსავლიანი, მაგრამ უფრო ადვილი მოსავლელი იყო. სიმინდი უკვე მაშინ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ოსმალეთსა და ევროპაში. ტექნიკური კულტურებიდან დასავლეთში დიდი ოდენობით მოჰყავდათ სელი, ბამბა, კანაფი და იშვიათად თამბაქო. კათალიკოს მაქსიმეს ცნობით: „აბრეშუმი, ბამბა და დიახ წმინდა სელი არის იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიც მიაქვთ“.

ვაჭრობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა ძირითადად ბაზრობებზე (იარმარკებზე) ხდებოდა, სადაც პირდაპირ ღია ცისქვეშ ან სახელდახელო კარვებში ვაჭრობდნენ.

ბაზრობები ჩვეულებრივ პარასკევობით იმართებოდა, რადგან ამ დღეს გლეხი თავისუფალი იყო. ქრისტიანის მიერ ამ დღეს მიწის მუშაობა დიდ ცოდვად იყო მიჩნეული. ვაჭრობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან ჩამოტანილი საქონლით. მაქსიმე კათალიკოსი 1769 წ. ჩამოთვლის „ოსმალოს სავაჭროს“: ფარჩას, მაუდს, შაქარს, ყავას, სამხედრო საჭურველს. დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ოსმალეთთან, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასთან, რუსეთთან, ირანთან და სხვ.

37. აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ

ჯერ კიდევ 1772 წელს ერეკლე II-ემ კათალიკოსი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი მიავლინა რუსეთში და მისგან ოფიციალური მფარველობა ითხოვა. იმხანად რუსეთი არ იყო მზად აქტიური როლი ეთამაშა კავკასიაში. 80-იანი წლებიდან, რაც რუსეთმა ოსმალეთს ყირიმი წაართვა და ექსპანსიის ბუნებრივ საზღვარს, კავკასიონს თითქმის ზედ მიადგა, საქართველოს საკითხმა დიდი აქტუალობა შეიძინა. უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობის ქართლ-კახეთის სამეფო თვით, უომრად ეპატიჟებოდა რუსეთს ამ-იერკავკასიაში და თავის ტერიტორიას ფაქტობრივად პლაცდარმად სთავაზობდა. რუსეთს უკვე დიდი გეგმები გაუჩნდა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ და ასეთ ვითარებაში საქართველო შეუცვლელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დღითიდღე მატულობდა რუსი დიპლომატების, სამხედროების, სხვადასხვა რანგის ჯაშუშების რიცხვი. ისინი ერეკლეს ურჩევდნენ ოფიციალურად გაეფორმებინა თავისი დამოკიდებულება იმპერიისადმი. განსაკუთრებით აქტიურობდა კავკასიის ხაზის უფროსი გენერალი პავლე პოტიომკინი.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე II-ემ ოფიციალურად თხოვა რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ეს იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის მიღება. რუსეთი, ცხადია კმაყოფილებით შეხვდა ამ ინიციატივას და თავისი კეთილგანწყობილებაც დაუმტკიცა ერეკლე II-ეს. რუსეთის აქტიური ჩარევით ფათალი ხანმა მოშალა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობა.

ქართლ-კახეთის მეფეს თვითონ ათხოვნინეს მფარველობა და შეადგენინეს „სათხოვარი პუნქტები". მასში ჩამოყალიბებული იყო მფარველობაში შესვლის პირობები, ორივე მხარის უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულების ტექსტი სწრაფად მომზადდა და 1783 წლის დამდეგს გენერალ პავლე პოტიომკინს რწმუნება მიეცა იმპერატორის სახელით ხელშეკრულება გაეფორმებინა. ტრაქტატის პროექტი ერეკლემ და მისმა მრჩევლებმა განიხილეს და გადაწყდა

მისი მიღება. 1783 წ. 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში ერეკლე II-ის რწმუნებით აღჭურვილმა იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რუსეთის მხრივ ხელს აწერდა კავკასიის ხაზის უფროსი გენერალი პავლე პოტიომკინი. 1784 წ. იმპერატორის დამტკიცებისა და ერეკლე II-ის ხელმოწერის შემდეგ ტრაქტატი ძალაში შევიდა.

ტრაქტატის თანახმად, ერეკლე II თავისი და მემკვიდრეების სახელით უარს ამბობდა ნებისმიერი სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე და მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას აღიარებდა.

ქართლ-კახეთის ყოველი ახალი მეფე იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა და მისთვის სამეფო რეგალიები გამოეგზავნა.

საგარეო პოლიტიკა ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთთან შეთანხმებით უნდა ეწარმოებინა და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდა იმპერიას.

რუსეთის მხარე ვალდებულობდა დაეცვა ქართლ-კახეთი საგარეო მტრებისაგან. მეფე იმედს იძლეოდა, რომ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, რუსული იარაღით აღებულს, საქართველოს გადასცემდნენ. იმპერია არ ჩაერეოდა სამეფოს საშინაო საქმეებში და ერეკლეს და მის შთამომავლობას გარანტირებულად შეუნარჩუნებდა ტახტს. ქართლ-კახეთში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის არმიის ორი ბატალიონი.

ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთი შეზღუდული სუვერენიტეტის ვასალურ სახელმწიფოდ გადაიქცა. დაახლოებით ასეთი სტატუსი ჰქონდა ქვეყანას მაშინ, როდესაც მას ირანის შაჰის ვალი მართავდა. უმჯობესი თითქოს ის იყო, რომ აქ საქმე ერთმორწმუნე იმპერიასთან გვქონდა. ერეკლე იმედოვნებდა, რომ სუვერენიტეტის თვითშეზღუდვით სამეფოს შეინარჩუნებდა და ირან-ოსმალეთის პრეტენზიებისაგან, ასევე გაუსაძლისი ლეკიანობისაგან თავს დააღწევდა. სამწუხაროდ, ამ იმედთა უმრავლესობა ფუჭი აღმოჩნდა. რეალობა ის იყო, რომ რუსეთმა თოფის გაუსროლელად გადმოლახა კავკასიონი და მთელი მახლო-

ბელი აღმოსავლეთის გასაკონტროლებლად მნიშვნელოვანი პლაცდარმი მიიღო.

ხელშეკრულების დადების შემდეგ ავარდა ახალი, მძლავრი ანტიქართული ტალღა მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებსა და ხალხებში. ოსმალეთმა ყველა მუსლიმს მოუწოდა წინ აღდგომოდნენ რუსეთის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. ახალციხის საფაშოდან დაიწყო მარბიელი ლაშქრობები ქართლ-კახეთზე. რუსეთის სიმბოლური ორი ბატალიონი ამ პრობლემებს ვერ და არ წყვეტდა. 1785 წელს ხუნძახის მფლობელი ომარ-ხანი 20 000-იანი ლაშქრით შემოესია ქვეყანას და გაანადგურა ახტალის სამთამადნო წარმოება. ერეკლე II იძულებული გახდა ხანისათვის ერთდროულად 10 000 მანეთი მიეცა და ყოველწლიურად 5000 მანეთის გადახდა ეკისრა.

ქართლ-კახეთის კარზე ბევრი ხედავდა, რომ ტრაქტატი მხოლოდ რუსეთისათვის სასარგებლო მხრით მუშაობდა. იმპერია თითქოს განგებ აქელვინებდა მტრებს თავის მფარველობაში მყოფ ქვეყანას, რათა უკიდურესად დაესუსტებინა იგი. ანტირუსული ორიენტაციის ძალებს სათავეში ჩაუდგა ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი. იგი ხედავდა, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი არსებობის დღეები იწურებოდა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და ოსმალეთთან შეთანხმებას უჭერდა მხარს.

დარეჯან დედოფალი და მისი დასი რომ ბევს რამეს სწორად ხედავდნენ, ამას თვით რუსეთის მოქმედებაც ადასტურებდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი და ამ საბაბით რუსეთმა თავისი ძალები საერთოდ გაიყვანა ქართლ-კახეთიდან. ამდენად, მან დაარღვია ტრაქტატი და მას მინდობილი ქვეყანა გაღიზიანებული მტრების პირისპირ დატოვა.

1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია. ტახტისათვის იბრძოდნენ მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და ძმისწული დავით არჩილის ძე. ეს უკანასკნელი დედის მხრივ ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. გაუთავებელი ბრძოლები ტახტისათვის იმერეთის მესვეურებს მობეზრდათ და ერეკლეს შესთავაზეს შეეერთებინა იმერეთის სამეფო. ერეკლემ

უარი თქვა ამ გეგმაზე, რასაც დარეჯან დედოფლის უარყოფით გავლენას მიაწერენ. სინამდვილეში, ასეთი დიდი საკითხის გადაჭრას, ცხადია დარეჯან დედოფალს, არავინ ჰკითხავდა. ერეკლემ სწორად განჭვრიტა, რომ ამ კონკრეტულ ეტაპზე მისი იმერეთის ტახტზე ასვლა და ქვეყნის გაერთიანება ოსმალეთის პროვოცირება იქნებოდა. ქართლ-კახეთი რუსეთის ვასალური ქვეყანა იყო, ხოლო იმერეთი ოსმალეთისა, რასაც ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, თვით რუსეთიც აღიარებდა. იმერეთის შეერთება ერეკლეს მიერ, უეჭველად გახდებოდა საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთის დიდი ომის საფუძველი. საამისო ძალები ქვეყანას იმხანად არ ჰქონდა. ამიტომ, და არა ვინმეს ინტრიგების გამო, ერეკლემ უარი თქვა იმერეთის ტახტზე და მხარი დაუჭირა თავისი შვილიშვილის დავით არჩილის ძის კანდიდატურას. იგი აიყვანეს კიდეც ტახტზე სოლომონ II-ის სახელით.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა 1790 წელს დადეს „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლის, კახეთის, იმერთა, ოდიშისა და გურიისა".

ტრაქტატის დამდები მხარეები აღირებდნენ, რომ იყვნენ ერთი ენის, სისხლისმიერი ნათესავნი, ერთი ეკლესიის შვილნი. ისინი პირობას დებდნენ, ყოველი მათგანის მტერი საერთო მტრად მიეჩნიათ და ერთმანეთისათვის შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ. ეს იყო პერსპექტიული გზა ქვეყნის ნელნელა გაერთიანებისაკენ.

ამ მოვლენების პარალელურად ირანში დიდი დინასტიური ომები მიმდინარეობდა. გაიმარჯვა ყაჯართა ტომის მეთაურმა აღა-მაჰმად ხანმა და ირანის შაჰი გახდა. მის უმთავრეს მიზანს ამიერკავკასიიდან რუსეთის გაძევება წარმოადგენდა. აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს ტრაქტატის დარღვევა და ირან-საქართველოს ძველი ურთიერთობის აღდგენა მოთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ძლიერი არგუმენტი გააჩნდა დიდი ლაშქრისა და მისი მომხრე ხანების სახით.

ერეკლე II-ემ დროულად აცნობა კარსმომდგარი საფრთხე კავკასიის ჯარს და პეტერბურგს. რუსეთის ხელისუფლება გულგრილად მოეკიდა ამ ცნობებს. აღა-მაჰმად-ხანმა საიდანლაც მტკიცედ იცოდა, რომ რუსეთი

არავითარ სერიოზულ ძალას ერეკლეს არ მიაშველებდა და ამაში დარწმუნებული, დიდი ძალით საქართველოსკენ დაიძრა. 35 000-იანი ჯარით იგი თბილისზე ეწამოვიდა. ერეკლეს მხოლოდ 5000 კაცი ჰყავდა. 8 სექტემბერს შაჰმა სოღანლული დაიკავა და ბანაკი დასცა. ქართველთა ლაშქრის ნაწილებს მეთაურობდნენ ერეკლეს შვილიშვილი დავით გიორგის ძე, იოანე მუხრანბატონი, ბატონიშვილი ვახტანგ ერეკლეს ძე და სხვ. თბილისს იცავდა მოქალაქეთა რაზმი მეფის კარის მსახიობის მაჩაბლის მეთაურობით.

ირანის ლაშქრის შეტევა 10 სექტემბერს დაიწყო. თავიდან მტერმა დიდი ზარალი ნახა. ქართველებმა მოკლეს ირანული ავანგარდის სარდალი მელიქ-მეჯლუმი. პირველი დღის მარცხმა დააფიქრა შაჰი, მაგრამ მოღალატეებმა აცნობეს, რომ ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავდა. ამ დროს მტკვარი ადიდებული იყო და ქართველები ამ მხრივ საფრთხეს არ ელოდნენ და არც ნაპირები გაუმაგრებიათ. შაჰმა გადაწყვიტა მტკვარი გადაელახა და ზურგიდან დასცემოდა ქართველებს. მტკვრის გადალახვისას სამასამდე ყიზილბაში მდინარეში დაიხრჩო. ორთაჭალის ბაღებთან გადმოსულმა ირანელებმა უთანასწორო ბრძოლაში შეუტიეს მოქანცულ ქართველებს. 75 წლის ერეკლე ხმლით ხელში შუაგულ ომში იმყოფებოდა. შეიქმნა მისი ტყვედ ჩავარდნის რეალური საშიშროება. მეფის შვილიშვილმა იოანე გიორგის ძემ მცირერიცხოვანი რაზმით ალყიდან გამოიყვანა მეფე და ბრძოლის ველს გაარიდა. იგი მთიულეთს წაიყვანეს. აღა-მაჰმად ხანი თბილისში შევიდა.

კრწანისის ველზე, ირანელებთან ბრძოლაში მრავალი თავდადებული დაილუპა. მათ შორის 300 არაგველი, ქართველ მეზარბაზნეთა მეთაური გიორგი გურამიშვილი, გაბრიელ მაიორი და ათასობით უცნობად დარჩენილი გმირი.

ერეკლე II-ემ მიუხედავად მარცხისა, ქედი არ მოიხარა. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი მოაოხრა და მიწასთან გაასწორა. ათასობით თბილისელი შეეწირა ულმობელ თარეშს. ასეთი ტრაგედია დაატყდა თავს პატარა ქვეყანას, რომელიც უდიდესი იმპერიის მფარველობის ქვეშ იყო და ამიტომაც ისჯებოდა. ქართლ-კახეთისათვის ტრაქტატი ისევ არ მუშაობდა.

აღა-მაჰმად-ხანმა ცნობა მიიღო, რომ რუსეთის ჯარი თითქოს ირანისაკენ მიდიოდა და სასწრაფოდ აიყარა, ირანს გაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ 1796 წ. გაზაფხულხე შემოვიდა ამიერკავკასიაში რუსეთის 30000-იანი არმია გენერალ ზუბოვის მეთაურობით. ამ შემოსვლის საბაბი აღა-მაჰმად-ხანის დასჯა იყო. სინამდვილეში რუსული სტრატეგია თავის სასარგებლოდ ამოქმედდა. მათ დარუბანდი, ყუბა, ბაქო და შამახია აიღეს. ასეთ ვითარებაში 1796 წ. ეკატერინე II გარდაიცვალა. იმპერატორმა პავლე I-მა მოშალა ლაშქრობა და არმია გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა კვლავ დააპირა ქართლ-კახეთის დალაშქვრა, მაგრამ 1797 წ. 6 ივნისს შეთქმულებმა მოკლეს ყარაბაღში.

1798 წ. 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა უკვე 80 წელს მიტანებული ერეკლე II. იგი დიდი პატივისცემით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში. თუ გმირ მეფეს კრწანისის ბრძოლაში 5000 კაცი ახლდა, მის დაკრძალვას 20 000 დაესწრო.

ქართლ-კახეთის ტახტი დაიკავა ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-ემ (1798-1800 წწ.). ეს იყო განათლებული, უაღრესად მორწმუნე, მაგრამ სახელმწიფოს მესაჭეობისათვის სრულიად გამოუსადეგარი პიროვნება. მის მთავარ და საყვარელ საქმეს ყოველდღიურად რძეში მოხარშული ზაქის ხორცის მირთმევა შეადგენდა, რისთვისაც მას „ზაქიჭამია“ შეარქვეს.

1791 წლის ტახტის მემკვიდრეობითი კანონით ერეკლემ დაადგინა, რომ მის შემდეგ რიგრიგობით ემეფათ მის შვილებს. გიორგი XII-ის შემდეგ ტახტი მის მომდევნო ძმას უნდა მიეღო. ეს კანონი დარეჯან დედოფლის „ინტრიგანობის“ შედეგად ითვლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილ ვითარებაში ის სწორი გადაწყვეტილება იყო. ერეკლეს ბევრი შვილი ჰყავდა, რომლებიც გიორგი XII-ეს აჭარბებდნენ ნიჭითა და ენერგიით. ისინი რომ გიორგის არ განდგომოდნენ და შინაომები არ წამოეწყოთ, სწორედ ამისთვის მიიღო ერეკლემ ეს კანონი. რაკი ძმები კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, ისინი აღარ აეშლებოდნენ გიორგის.

1799 წელს, როდესაც ტრაქტატი განაახლეს, გიორგი XII-ე რუსეთს თავის მემკვიდრედ თავისი ძე, დავითი დაამტკიცებინა. ეს იყო ამ მეფის პირველი დიდი ლონისძიება, რამაც ის გამოიწვია, რომ ძმები აშკარად აუჯანყდნენ. ბატონიშვილები თავიანთ მამულებში ჩაიკეტნენ, ხოლო ალექსანდრე ერეკლეს ძე ირანის შაჰთან წავიდა.

გიორგი XII-ემ 1200 ლეკი დაიქირავა მცველად და მეტი რომ ვერაფერი გააწყო, დედინაცვალ დარეჯან დედოფალს სარჩო-მამული ჩამოართვა. მძიმედ ავადმყოფმა გიორგი XII-ემ რუსეთს თხოვნით მიმართა, ტრაქტატის პირობები შეეცვალათ და მისი სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ. იგი ითხოვდა ასევე, რუსეთში სოფლები მიეცათ მისთვის და იგი და მისი პირდაპირი შთამომავლები ტახტზე შეენარჩუნებინათ.

რუსეთის მმართველი წრეები უკეთეს ვითარებას ვერც ინატრებდნენ. კავკასიის ხაზის სარდალს კნორინგს პავლე I-მა დაავალა გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ არ დაეშვა მემკვიდრის ტახტზე ასვლა. 1800 წ. 18 დეკემბერს პავლემ ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. რუსეთმა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაარღვია თავისივე ხელმოწერილი ტრაქტატი. მანიფესტს დრომდე საიდუმლოდ ინახავდნენ.

1800 წ. 28. დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. მემკვიდრე დავითი მეფედ არ დაამტკიცეს და მხოლოდ დროებით მმართველად ცნეს პეტერბურგიდან ახალი ინსტრუქციების მიღებამდე. ამასობაში, 1801 წ. 11 მარტს შეთქმულებმა დაახრჩვეს პავლე I. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა შეაჩერა მანიფესტი, გამოიკვლია ქართლ-კახეთის მიერთების მიზანშეწონილობა და იმავე წლის 12 სექტემბერს თვით გამოსცა ახალი მანიფესტი სამეფოს გაუქმების შესახებ. 1802 წ. 12 აპრილს რუსეთის ჯარით გარშემორტყმულ სონის ტაძარში მანიფესტი გამოაქვეყნეს და დამსწრე საზოგადოება ფაქტობრივად ძალით დააფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ქართლ-კახეთი გუბერნიად გამოცხადდა. დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროების ხვედრი წინასწარ განსაზღვრული იყო და

მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა. თითქმის 3000 წლოვანი სახელმწიფოებრიობა, რომელმაც მრავალ დამპყრობს გაუძლო, ერთი ბრძანებულებით ადმინისტრაციულად გაუქმდა.

ქართველი ერის ცხოვრებაში იწყებოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ხანგრძლივი და რთული გზა.

38. ქართული კულტურა XVIII ს-ის II ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII ს. დასაწყისში ქართლში წარმოებული დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა, თითქმის მთლიანად შეწყდა მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI-ემ რჩეულ დასთან ერთად დატოვა ქვეყანა. ნაყოფიერი მოღვაწეობა, გაგრძელდა სამშობლოს გარეთ, ძირითადად მოსკოვის ქართულ კოლონიაში. ცხადია, ეს მოღვაწეობა, რაც არ უნდა წარმატებული ყოფილიყო იგი, ვერ შეცვლიდა თვით ჩვენს ქვეყანაში კულტურული მუშაობის აუცილებლობას.

ქართული კულტურის განვითარება-აღორძინებას დიდი ადგილი დაუთმო თავის მოღვაწეობაში ერეკლე II-ემ, რომელსაც ამ მამულიშვილურ საქმეში გვერდს უმშვენებდა კათალიკოსი ანტონ I.

ანტონ I ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს ვაჟი იყო და ერეკლე II-ეს მამიდაშვილად ერგებოდა. ეს იყო თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნება და პროდასავლური ორიენტაციის მოღვაწე. ანტონი ღრმად იცნობდა პლატონსა და არისტოტელეს, ასევე „ოქროს ხანის" ქართველ ფილოსოფოსებს. მისთვის უცხო არ იყო თავისი თანამედროვე ფრანგი და გერმანელი ფილოსოფოსების ნააზრევი. ანტონმა თარგმნა კრისტიან ვოლფის „ფიზიკა", ბაუმაისტერის „ლოგიკა" და სხვ. მან შექმნა ორიგინალური ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი".

ანტონ I უდიდეს ყურადღებას უთმობდა სწავლა-აღზრდის საქმეს. მან მოამზადა „ქართული ღრამატიკა" — პირველი სასკოლო სახელმძღვანელო ქართული ენისა. ანტონის კალამს ეკუთვნის „წყობილსიტყვაობა" — სახელმძღვანელო, რომელშიც პოეტური ფორმით იყო განხილული მდიდარი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა.

ანტონ I-ის ენას ახასიათებდა მძიმე და ხელოვნური სტილი. შემდეგში საჭირო გახდა თაობათა ბრძოლა, რათა მწერლობისა და მეცნიერების ენა ბუნებრივი განვითარების გზას დაბრუნებოდა. კათალიკოს ანტონის უახლოესი თან-

ამშრომლები იყვნენ გაიოზ რექტორი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოსებ ნეკრესელი, ანტონ ცაგარელი და სხვ., რომლებიც დიდ საგანმანათლებლო-სამეცნიერო და მთარგმნელობით მუშაობას აწარმოებდნენ.

ერეკლეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის დაწინაურება-მოღონიერება განათლებისა და წიგნის გარეშე შეუძლებელი იყო. ერთ თავის წერილში იგი წერდა: „წადიერ ვართ სამეფოსა ჩვენისა წარმატებისათვის და უმეტესი მზრუნველობა ამისათვის გვაქვს, რათა კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი შეეძინენ ქვეყანასა ჩვენსა საზოგადოებისა სასარგებლოდ და კეთილობისა აღმატებად... მე ვარ ყოვლის გულისმოდგინებით ვიდრე სულისა დადებად მოსწრაფე სამეფოსა ჩვენისა ყოვლის გზით წარმატებისათვის და უმეტესად მეცნიერებისა და ხელოვნებითა აღმატებისათვის“.

ასეთი მიზანსწრაფვის განსახორციელებლად 1755 წ. თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია. იგი ანჩისხატის ეზოში მდებარეობდა და ფილიპე ყაითმაზაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ქართული ენა, გრამატიკა, ფილოსოფია, მათემატიკა, ლოგიკა, ფიზიკა და გალობა. სასულიერო სემინარია შეიქმნა თელავშიც (1758 წ.), რომელიც 1782 წ. ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. ამ სასწავლებლის რექტორი იყო გაიოზ არქიმანდრიტი, უაღრესად განათლებული პიროვნება.

1799 წელს იოანე ბატონიშვილმა შეადგინა პროექტი სასწავლებლების რეფორმისა და უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

სასწავლებლების და განათლების ფართო გავრცელებამ კვლავ გამოიწვია სტამბის საჭიროება. 1749 წელს თბილისში აღადგინეს ქართული სტამბა, რომელიც წარმატებით მუშაობდა, 1782-1794 წწ. იგი განაახლეს და მოძველებული შრიფტები შეცვალეს. საუკუნის ბოლოს სოლომონ II-ემ სტამბა მოაწყო ქუთაისშიც.

XVIII ს. II ნახევრის განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპის განმანათლებლურ იდეებს, პოლიტიკურ დოქტრინებს და ცდილობდნენ ყოველივე ეს

თავისი სამშობლო ქვეყნის სინამდვილისათვის მიეხადაგებინათ. დასავლეთევროპული აზროვნების საფუძველზეა შექმნილი ალექსანდრე ამილახვრის (1750-1802 წწ.) „ბრძენი აღმოსავლეთისა". იგი მონტესკიეს გავლენითაა დაწერილი. ეს თხზულება სოლომონ I-ს მიეძღვნა. იგივე ავტორს ეკუთვნის რუსულ ენაზე პეტერბურგში დასტამბული „გეორგიანული ისტორია", რომელშიც მოკლედაა განხილული საქართველოს ისტორია და ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება, რომლის მონაწილეც იგი იყო.

ვოლტერიანელი იყო ბატონიშვილი დავითი, ტახტის მემკვიდრე. მანვე თარგმნა მონტესკიეს „კანონთა სული".

იოანე ბატონიშვილი მომხრე იყო სახელმწიფოებრივი რეფორმისა, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა გაერთიანებულიყო, მოსპობილიყო სათავადო სისტემა, სახელმწიფო აგებულიყო ახალ პრინციპებზე და სახელმწიფო მოხელეები, მათ შორის მეფე და დედოფალი ჯამაგირზე უნდა გადაეყვანათ.

XVIII ს. II ნახევარში შეიქმნა პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულება „ამბავნი ქართლისანი", სადაც გადმოცემულია 40-50 წწ. მოვლენები. XVIII ს. მოვლენებს აღწერდა ასევე ომან ხერხეულიძე ნაშრომში „მეფობა ირაკლი მეორისა". ესაა ქართლ-კახეთის ისტორია 1722-1795 წწ.

XVIII ს. უდიდესი პოეტი იყო დავით გურამიშვილი (1705-1792 წწ.). მან თავისი ცხოვრება რუსეთის იმპერიაში გაატარა, მაგრამ თავისი სამშობლოს მხურვალე პატრიოტი თვალს ადევნებდა ყოველივეს, რაც აქ ხდებოდა. მან შექმნა ისტორიული პოემა „ქართლის ჭირი". დავით გურამიშვილმა თავისი ნაწარმოებების კრებულს „დავითიანი" უწოდა და იგი რუსეთში ვიზიტად მყოფ მეფე ერეკლეს ვაჟს მირიან ბატონიშვილს გადასცა.

XVIII ს. ქართული პოეზიის დიდი წარმომადგენელი იყო ბესიკი-ბესარიონ გაბაშვილი (1750-1791 წწ.). იგი ქართული სატრფიალო-ლირიკული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების ავტორი იყო. მანვე შექმნა პატრიოტული პოემები, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს უძღვნა. ბესიკი აქტიურად მოღვაწეობდა დიპლომატიურ სარბიელზეც,

ჯერ მეფე ერეკლე II-ის, შემდეგ კი იმერეთის კარზე. იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1791 წ. რუსეთში ქალაქ იასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს ეპოქაში მოღვაწეობდა აშუღი საიათნოვა, რომელიც ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად წერდა.

XVIII ს. ბოლოს თბილისში თეატრიც დაარსდა. პიესებს თვით წერდა და თარგმნიდა ცნობილი დიპლომატი გიორგი ავალიშვილი. მდივანბეგმა დავით ჩოლოყაშვილმა 1795 წ. გადმოაქართულა რასინის ტრაგედია „იფიგენია“.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და თბილისის მოოხრებამ ქართულ თეატრსაც ბოლო მოუღო.

39. აღმოსავლეთ საქართველო XIX ს. I მესამედში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული მმართველობის დამყარება. რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობა" უწოდა. მის სათავეში ჩადგა „საქართველოს მმართველი", რომელიც ძირითადად სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. შეიქმნა მმართველობის 4 „ექსპედიცია": აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეების, სისხლის სამართლის საქმეების და სახაზინო ქონებათა.

ქართლ-კახეთი დაიყო 5 მაზრად — გორის, ლორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის. იყო ასევე ბორჩალოს, შამშადილუს, ბამბაკის და შორაგალის „დისტანციები", სადაც ძირითადად თათრები დ აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ. მაზრების უმაღლეს მოხელეებად დაინიშნენ რუსი სამხედროები, ე. წ. „კაპიტან-ისპრავნიკები". თავისი ხასიათით ეს იყო სამხედრო-საოკუპაციო მმართველობა. ერთი ხელის დაკვრით ისპობოდა ძველი, საუკუნეებით ნაშენები წესწყობილება, იდევნებოდა ქართული ენა. პირველ რიგში აქ გამომჟღავნდა რუსული მმართველობის კოლონიური ხასიათი. რუსულ არმიაზე დაყრდნობილი მმართველობა ვერ ითმენდა ადგილობრივი წარჩინებულების სამოხელეო პრივილეგიებს. მან მაშინვე მოსპო ეს პრივილეგიები და დასაწყისშივე ძირი გამოუთხარა ქართულ-სენიორალურ (სათავადო) სისტემას. ყოველივე ეს მიზნად ისახავდა ქვეყნის სრულ ჩართვას რუსეთის იმპერიაში გუბერნიის დონეზე.

თავისი კოლონიური მიზნების შესასრულებლად რუსეთს ქვეყნიდან უნდა გაეყვანა ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის წარმომადგენლები, რომელთაც უაღრესი ავტორიტეტი ჰქონდათ მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენაში. გარდაცვლილი მეფის, გიორგი XII-ის ქვრივმა მარიამ დედოფალმა (თუ მისმა მცველმა თავადმა ნიკო ხიმშიაშვილმა) სიცოცხლეს გამოასალმა მოძალადე რუსი გენერალი ლაზარევი, რომელმაც დედოფალს კაზაკთა ძალით მოუნდომა გასახლება. ეს საბაბად გამოიყენა რუსეთის მთავრობამ და ბაგრატიონთა მთელი სამეფო ოჯახი იმ-

პერიის სხვადასხვა გუბერნიაში გადაასახლა.

რუსეთის ბატონობის დამყარებამ ყველა ფენა ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში, განსაკუთრებით კი [illegible] იმ-თავითვე დაიწყო აჯანყებები უცხო მმართველობის წინააღმდეგ. ეს აჯანყებები უპირატესად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო მაშინაც კი, როცა მისი მონაწილენი სოციალურ მოთხოვნებს აყენებდნენ, რამდენადაც ისინი მიმართული იყო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ და შეგნებულად თუ შეუგნებლად გულისხმობდნენ 1783 წ. ტრაქტატის შესრულებას, ე. ი. ქართლ-კახეთის სრულ ავტონომიას, მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ქართველი ხალხის დაცვას გარეშე ხელყოფისაგან.

თითქმის რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი (1802-1861 წწ.).

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი. 1802 წელს თავადაზნაურთა პროტესტით კახეთში დაიწყო აჯანყება. მათ მიმართვა გაუგზავნეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს და გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დაცვა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა მოითხოვეს. მეფობის კანდიდატურად ისინი იულონ ერეკლეს ძეს ასახელებდნენ. ამბოხებულთა უმრავლესობა დააპატიმრეს, ნაწილი კი ირანში გაიქცა ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა.

1804 წ. აჯანყდა აღმოსავლეთ ქართლის მთიანეთი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გლეხებს აიძულებდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე შრომითი ბეგარა მოეხადათ, ასევე არაიშვიათად ფულსაც თხოულობდნენ. ამას თან ერთვოდა დამპყრობელთა უტიფრობა და შეურაცხყოფა. ისინი ქალებს ულელშიც აბამდნენ და მათრახით სცემდნენ. მალე აჯანყებამ ფართო მასშტაბი მიიღო. მათ აიღეს კაიშაურის საგუშაგო, ალყა შემოარტყეს დუშეთსა და ანანურს. აჯანყებულნი ბაგრატიონთა ტახტზე დაბრუნებას მოითხოვდნენ. მათ მოიწვიეს იმერეთის სამეფოში გახიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. რუსებმა დააატყვევეს იულონი, ხოლო ფარნაოზმა

გაქცევა მოასწრო. აჯანყებულ დაბალ ფენებს მალე თავადაზნაურობაც შეუერთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების ჩახშობას სათავეში ჩაუდგა გარუსებული ქართველი გენერალი, მთავარსარდალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი), რომელიც უმკაცრესად გაუსწორდა აჯანყებულებს. 300-ზე მეტი აჯანყებული, მათ შორის შეპყრობილი ფარნაოზ ბატონიშვილი რუსეთს გადაასახლეს.

ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მომდევნო წლებში. კერძოდ, 1806-1812 წწ. და 1804-1813 წწ. რუსეთი ომს აწარმოებდა თურქეთთან და ირანთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობისაგან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. მოსახლეობის ნაწილი თვით მონაწილეობდა ამ ომებში, მეორე ნაწილი კი ვალდებული იყო ჯარი სურსათით, კერძოდ პურით მოემარაგებინა. ამას დაერთო შავი ჭირი და მოუსავლიანობა. 1811 წელს მარტო იმერეთში დაიღუპა 32 ათასი, ხოლო ქართლ-კახეთში 4 ათასი კაცი. 1812 წ. კახეთის აჯანყება თითქმის იგივე მიზეზებმა გამოიწვიეს, რაც მთიანეთში იყო. საოკუპაციო ნაწილებს სურსათი ძალით, რეკვიზიციის წესით მიჰქონდათ, ურჩ სოფლებში ეგზეკუციებს აყენებდნენ. აჯანყება 1812 წ. 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო. თებერვალში აჯანყება მთელ კახეთს მოედო და ქართლის მთიანეთშიც გავრცელდა. აჯანყებულებმა აიღეს თელავი და სიღნაღი, აიღეს და გაანადგურეს რუსთა საპოლკო შტაბები. აჯანყებულები დაუკავშირდნენ ირანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც მაშველი რაზმით კახეთში შემოსვლას აპირებდა. აჯანყების ჩახშობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მთავარსარდლად დანიშნული მარკიზი პაულუჩი. მისი ბრძანებით სოფლებში სახრჩობელები აღმართეს. ამ „ცივილიზებული" ღონისძიებით და დიდი მსხვერპლით 1812 წ. მარტისათვის კახეთი „დაამშვიდეს".

1832 წლის შეთქმულება. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის კულმინაციური მომენტი იყო 1832 წელს შეთქმულება საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. შეთქმულთ ასაზრდოებდათ არა მარტო თავიანთ შორეულ თუ ახლობელ წინაპართა ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი,

თავისი დროის ეროვნულ აჯანყებათა სულისკვეთებაც, რუს დეკაბრისტთა გამოსვლაც, მაშინდელი ევროპის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაც.

1832 წლის შეთქმულთა პირველი წრეები პეტერბურგში, მოსკოვსა და თბილისში წარმოიშვა 1825-1827 წლებში დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებისა და ალექსანდრე ორბელიანის ოჯახებში. 1832 წლისათვის ფარულ ორგანიზაციას 150-მდე წევრი ჰყავდა, ჰქონდა საიდუმლო ანბანი, წესდება „აქტი გონიერი", შედგენილი ფილადელფოს კიკნაძის მიერ, და შტაბი სამი კაცის — ელიზბარ ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანისა და სოლომონ დოდაშვილის შემადგენლობით. შეთქმულებაში მონაწილეობდა ქართველი თავადაზნაურებისა და ინტელიგენციის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხოელებთანაც.

შეთქმულთა ნაწილის პოლიტიკური იდეალი იყო კონსტიტუციურ-მონარქისტული საქართველო, ორპალატიანი პარლამენტით, არჩეული მეფით, დაცული რუსეთის მფარველობით 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე და მოწყობილი ევროპული და ქართული განმანათლებლური პრინციპების მიხედვით. შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური სოლომონ დოდაშვილი კი კონსტიტუციური რესპუბლიკის მომხრე იყო.

შეთქმულთა შეიარაღებული გამოსვლა რუსეთის მმართველობის დასამხობად უნდა დაწყებულიყო 1832 წ. 20 ნოემბერს, თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნების დღეს, „პირველი ღამის განკარგულებით", რაც გულისხმობდა რუსეთის ადმინისტრაციის უმაღლეს მოხელეთა იზოლირებას ან მოსპობას. შემდეგ აჯანყება ერთი თვით გადაიდო, მაგრამ მანამდე იგი გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა. შეთქმულები დააპატიმრეს, გაასამართლეს, 10 მთავარ ბრალდებულს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ნიკოლოზ I-მა და სენატმა ისინი შეიწყალეს და რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში გადაასახლეს სხვადასხვა ვადით.

1832 წ. ქართველ ადრინდელ განმანათლებელ რომანტიკოს-პოლიტიკოსთა შეთქმულება ისტორიას შერჩა უპი-

რატესად იდეურ მოვლენად, რომელმაც განაზოგადა XIX ს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამორბედი და მომდევნო პერიოდის გამოცდილება და უწინამძღვრა მეორე ეტაპის (1860-1890-იანი წწ.) თარებულ განმანათლებლურ-დემოკრატიულ ეროვნულ აზროვნებას და მოძრაობას.

დასავლეთ საქართველოს შეერთება. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და შემომტკიცების შემდეგ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს შემოერთება განიზრახა. დასავლეთში მდებარეობდა იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. რუსეთმა ისარგებლა სამეფო-სამთავროებს შორის უთანხმოებით და იმერეთის მეფის წინააღმდეგ სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს დაუკავშირდა. 1803 წელს სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა და შეზღუდული თვითმმართველობა შეინარჩუნა. რუსეთმა სამთავრო იმერეთის წინააღმდეგ პლაცდარმად აქცია. იმერეთის მეფე სოლომონ II-ემ თვით წარუდგინა რუსეთს მისი მფარველობის ქვეშ ერთიანი დასავლეთ საქართველოს შექმნის გეგმა. ეს გეგმა რუსეთს უკვე აღარ აძლევდა ხელს. 1804 წ. 20 აპრილს რუსთა ჯარი იმერეთში შევიდა. 25 აპრილს სოლომონ II-ემ ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. ეს ხელშეკრულება დროებითი იყო. 1806-1812 წწ. მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. სოლომონ II-ეს გარკვეული იმედები ჩაესახა, მაგრამ ამაოდ. 1809 წელს ქუთაისში რუსეთის ჯარი შევიდა. სოლომონ II-ემ დატოვა ქალაქი. რუსეთის წარმომადგენლებმა მოსალაპარაკებლად მიიწვიეს სოლომონ II და მუხანათურად დაატყვევეს იგი. მას რუსეთში უპირებდნენ გადასახლებას, მაგრამ 1810 წ. 11 მაისს იგი გაიქცა და ახალციხეში ჩავიდა. იგი აქედან ხელმძღვანელობდა იმერეთის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსებმა დადიანისა და გურიელის დახმარებით საბოლოოდ სძლიეს სოლომონის ძალებს. იმერეთის უკანასკნელი მეფე 1815 წელს ოსმალეთში გარდაიცვალა.*

*** 1990 წ. სოლომონ II-ის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათში დაკრძალეს.**

1810 წ. რუსეთის ჯარებმა სოხუმი დაიკავეს და გააძევეს პროთურქულად განწყობილი ასლან-ბეგ შარვაშიძე. მთავრად გამოცხადდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე გიორგი (სა-ფარ-ბეგ) შარვაშიძე. მანაც რუსეთის მფარველობაში მყოფი თვითმმართველი მთავრის სტატუსი მიიღო.

XIX ს. I მესამედში ქართველ მოხალისეთა აქტიური მონაწილეობით თურქეთთან ომში (1828-1829 წწ). რუსეთის ჯარმა აიღო ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, არტაანი. თურქეთთან დადებული ადრიანოპოლის ზავით (1829 წ.) რუსეთმა შეიერთა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნისა და ჭაჭარა-ქის სანჯაყები. რუსეთმა ამასთან, ხელი შეუწყო აღნიშნუ-ლი ტერიტორიებიდან გამუსლიმებული ქართველების აყრას და ოსმალეთში გადასახლებას. მთავარსარდალმა გრაფმა პასკევიჩმა მათ ადგილზე იგივე ოსმალეთიდან გადმოსული სომხები მოიწვია, რამაც დიდად იმოქმედა ამ უძველესი ქართული მხარეების ეთნიკურ სახეზე. ამ ომის შედეგად გაუქმდა გურიის სამთავროც (1829).

ავტოკეფალიის გაუქმება. საქართველოს რუსეთთან შეერთე-ბის შემდეგ, მდგომარეობის განმტკიცების კვალობაზე რუსეთის მმართველობამ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუ-ტია. 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუ-ქმეს და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. კათალი-კოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. ეკლესიის სათავეში ჩააყენეს რუსეთის ეკლესიის ეგზარქოსი. პირველ ეგზარქოსად ვარლამ ერისთავი დაინიშნა. რუსეთის სინო-დის განკარგულებით დაიწყო ეპარქიების გაუქმება და ქართული ეკლესიის ქონების სეკულარიზაცია, რასაც მტრულად შეხვდა იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეპარქიები. ეგზარქოს ვარლამის განკარგულებით დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა. მალე ვარლამი რუსეთს გაიწვიეს და ეგზარქოსად მოავლინეს თეოფილაქტე რუსანოვი. ამ უკანასკნელის გეგ-მით, წირვა-ლოცვაც რუსულ ენაზე უნდა შემოელოთ.

1819 წ. ეგზარქატის წარმომადგენლებმა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ეკლესიების დახურვა, მღვდლების დათხ-ოვნა და ფულადი გადასახადების გაწერა დაიწყეს. ამან გამოიწვია დიდი მღელვარება, რაც აჯანყებაში გადაიზარ-

და. თეოფილაქტე რუსანოვი იძულებული გახდა დაეტოვებინა იმერეთი. კავკასიის მთავარსარდლობამ რეპრესიები დაიწყო. 1820 წ. მარტში დააპატიმრეს მიტროპოლიტები ქუთათელი და გენათელი. ქუთათელი უხეში მოპყრობის გამო გზაში გარდაიცვალა. იმერეთის აჯანყება თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. მის ჩასახშობად გენერალი ველიამინოვი გაიგზავნა, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა. რუსულმა ჩექმამ დასავლეთ საქართველოც დაიმორჩილა.

40. საქართველო XIX ს. 30-50-იან წლებში. გლეხთა აჯანყებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური ვითარება. საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება ქვეყნის და მთელი ამიერკავკასიის „ეკონომიკურ ათვისებას" შეუდგა. 30-იან წლებამდე ამ მხრივ ცოტა რამ იყო გაკეთებული. მთავრობის წარმომადგენელთა პროგრამით ამიერკავკასიას უნდა ეწარმოებინა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ნედლეული რუსეთის მრეწველობისათვის. ადგილობრივი მრეწველობის განვითარება არათუ სასურველ, არამედ რუსეთისათვის საზიანო საქმედ იყო მიჩნეული. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მთავრობა ასე თუ ისე ზრუნავდა. 1834 წ. მათ მიიღეს კანონი „მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ ამიერკავკასიაში", შექმნეს „საქართველოს ღვინის კომპანია" (1836 წ.), „ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება" (1850 წ.) და სხვ.

მშვიდობიანობის დამყარებამ კოლონიური ჩაგვრის პირობებშიც გამოაცოცხლა სამეურნეო ცხოვრება. დაიწყო სასაქონლო პურის მოყვანა, რომლის მთავარი მომხმარებელი რუსეთის ჯარი იყო. ცალკეულ მაზრებში პურის მოსავლის მეოთხედი ბაზარზე გადიოდა. იმატა ღვინის სასაქონლო წარმოებამაც. 40-50-იან წლებში მისი მოსავლის მეოთხედი გადიოდა ბაზარზე. განვითარება დაიწყო მეაბრეშუმეობამ, მებამბეობამ და მეთამბაქოებამ, რომლის მომხმარებელი რუსეთის მრეწველობა იყო.

40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას ფულადი რენტის ზრდამაც შეუწყო ხელი. 1843-1845 წწ. საფინანსო რეფორმის შედეგად ფულადი ბეგარა გახდა წამყვანი. ეს კი ხელს უწყობდა ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევას და ახალი, საბაზრო ურთიერობის აღმოცენებას. ვითარდებოდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, რომელიც ძირითადად არაქართული მოსახლეობის ხელში იყო. არაქართული ელემენტისაგან ექსპლუატაციას განიცდიდა გლეხობა, რომელსაც რამდენიმე წლის მოსავალი წინასწარ ვალში ჰქონდა გაყიდული.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება არეკავდა თავადაზნაურთა საკუთრებასაც. სავახშო კაპიტალი საკვარო ვაჭრობით უყიდდა მას ყმა-მამულს ვალებში დასაფარავად. ეს იყო საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების ბუნებრივი პროცესი, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ სავაჭრო და სავახშო კაპიტალი არ იყო ეროვნული. ქართველი გლეხისა და მებატონის ქონება უცხოტომელ მევახშეს მიჰქონდა.

40-იანი წლებიდან აშკარა ხდებოდა ძველი ამქრული ხელოსნობის რღვევა და საბაზრო-კაპიტალისტური საწყისების განვითარება. ხელოსნურ წარმოებას აღარ შეეძლო ახალი დროის მოთხოვნების დაკმაყოფილება. წვრილი მწარმოებლები ბაზართან უშუალო კავშირს კარგავდნენ და მას შემსყიდველთა მეშვეობით უკავშირდებოდნენ. 40-50-იან წლებში გაჩნდა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი მოსახლეების მიერ დაარსებული ფაბრიკა-ქარხნები. ეს შედარებით მსხვილი მანუფაქტურები, ძირითადად მუშაობდა არაეროვნული კაპიტალით. კვალიფიციურ მუშებსაც კი უცხოეთიდან იწვევდნენ.

მმართველობის რეფორმა. 30-40-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა ამიერკავკასიის მმართველობის რეფორმაც, რომელიც 1840 წ. დამტკიცდა. შემოღებული იქნა ახალი ადმინისტრაციული დანაწილება. ამიერკავკასია დაიყო „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ და „კასპიის ოლქად“, 1846 წელს კი საქართველო-იმერეთის გუბერნია ორად გაიყო — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, 1844 წელს მთავარმმართველის თანამდებობა მეფისნაცვლის პოსტით შეიცვალა, რომელსაც იმპერატორის რესკრიპტით „შეუზღუდველი უფლებამოსილება“ ეძლეოდა. 1844-1854 წწ. მეფისნაცვალი იყო გრაფი მ. ვორონცოვი, რომელიც წინამორბედი მმართველებისაგან განსხვავებით, კოლონიურ პოლიტიკას არა უხეშად, არამედ „კულტურული ღონისძიებებით“, თანდათან და მოხერხებულად აწარმოებდა. კავკასიის მეფისნაცვლის უფლებამოსილება კიდევ უფრო გაიზარდა თავად ბარიატინსკის მმართველობის პერიოდში (1856-1862 წწ.), რომლის სახელთან დაკავშირებულია ამ რეგიონში რუსული ბატონობის გამტკიცება.

გლეხთა აჯანყებები. სამთავროთა გაუქმება. 40-50-იან წლებში საქართველოში ორი მნიშვნელოვანი გლეხთა აჯანყება მოხდა — გურიისა (1841 წ.) და სამეგრელოსი (1857 წ.).

გურიის აჯანყება 1841 წ. მაისში დაიწყო სოფ. ლანჩხუთში. ადგილობრივ რუსული ფულის მიმოქცევა მცირე იყო, ძირითადად ოსმალური ფული ტრიალებდა, მთავრობა კი გადასახადს რუსული ფულით ითხოვდა. გადასახადების აკრების დროს შეჭირვებულმა გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. მითუმეტეს, ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის ხელისუფლება საყოველთაო-სამხედრო სამსახურს აწესებდა. ერთხანს მათ თავადაზნაურთა ნაწილიც შეუერთდა. ივლის-აგვისტოში აჯანყება გაფართოვდა. სოფ. გოგორეთთან ბრძოლაში გლეხებმა პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმიც კი დაამარცხეს. აჯანყებულებმა ოზურგეთსაც კი შემოარტყეს ალყა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში, ცხადია დამარცხდნენ.

50-იან წლებში რუსეთმა მიიჩნია, რომ მზად იყო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დასაკავებლად. მას ბრძოლა მოუწია არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ იმ დროისათვის უაღრესად განვითარებულ ინგლისთან და საფრანგეთთან. დაიწყო ყირიმის ომი, რომლის ერთერთ არენად საქართველო იქცა. თურქები შეიჭრნენ ქობულეთში, ყულევში, სოხუმში, ანაკლიაში, დაიკავეს გურია, ხოლო 1856 წ. სექტემბერში აფხაზეთის მხრიდან სამეგრელოში შევიდნენ. სამთავროს რეგენტმა ეკატერინემ თურქეთის სერასქერს ომერ-ფაშას პარტიზანული ომი გაუმართა. დაზავების შემდეგ თურქეთის ჯარმა დატოვა მოოხრებული სამეგრელო-აფხაზეთი და გურია.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამეგრელოს მოსახლეობა, რომელსაც „ბატონყმური რიგის" მიხედვით, მოოხრებული სამთავროს მოშენება დაევალა.

1856-1857 წწ. დიდი აჯანყება მოხდა სამეგრელოში. მას მეთაურობდა მჭედელი უტუ მიქავა. აჯანყებულები მოითხოვდნენ სამთავროში გაბატონებული ბატონყმური წესების მოშლას და რუსი მოხელეებისა და გენერლების დახმარებას სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადარიცხვისათვის. ისინი არბევდნენ მებატონეთა სახლ-კარს, წვავდნენ მათ,

ურარს ამბობდნენ საბატონო დამოკიდებულებაზე. სამეგრელოს სამთავროს რეგენტი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი მდგომარეობის შემსუბუქებას დაჰპირდა მათ, მაგრამ ამაოდ.

ეს იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ ინსპირირებული აჯანყება, რომელიც ორ კურდღელს ერთად იჭერდა. მათ მოამზადეს სამეგრელოს სამთავროს გაუქმება და ამავე დროს, აჯანყებულთა დასჯა-გადასახლებით საქართველოს არისტოკრატიას აჩვენეს, როგორ „ზრუნავდნენ" მათ ინტერესებზე.

50-იან წლებში რუსეთმა დაასრულა ბრძოლა გმირ შამილთან, რომელიც წლების განმავლობაში უმკლავდებოდა უკიდეგანო იმპერიას. შამილის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს ქართველი გენერალი, ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი სარდლობდა. აქ იყვნენ სხვა ქართველი გენერლებიც. მათ არ ესმოდათ შამილის ბრძოლის სამართლიანი ხასიათი, ამ ბრძოლის დამპყრობლური და კოლონიური ხასიათი რუსეთის მხრიდან. ქართველი სამხედროები ძველი „ლეკიანობის" „სამაგიეროს უხდიდნენ" თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს და ამას გულწრფელად ქართულ-პატრიოტულ საქმედაც კი თვლიდნენ. 1859 წ. 25 აგვისტოს აიღეს შამილის უკანასკნელი სიმაგრე-ღუნიბი.

ყირიმის ომი შემდეგ ცხადად დადგა სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ავტონომიური სამთავროების გაუქმების საკითხი.

სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებას ადგილობრივ წყალი ჰქონდა შემდგარი დიდი აჯანყების შედეგად. დედოფალი ეკატერინე მაინც არ თანხმდებოდა სამთავროს ნებაყოფლობით გაუქმებას, რის შემდეგაც რუსულმა ხელისუფლებამ 1857 წ. 26 სექტემბერს სამეგრელოში „დროებითი მმართველობა" გამოაცხადა და მმართველად ქუთაისის გუბერნატორი გენერალი კოლუბიაკინი დანიშნა. სამეგრელოს სამთავრო ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

უფრო ტრაგიკული გამოდგა სვანეთის სამთავროს გაუქმება. მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა არ მოინდომა მისი ხელისუფლების გამო რუსეთის ჯარს სვანეთი დაელაშქრა და თვით ჩაბარდა ხელისუფლებას. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სვანეთის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე

მთავარი ერევანში „გაამწესა“. ეს დადგენილება დადეშქელიანს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა გამოუცხადა. მან უარი უთხრა მთავარს ცოლ-შვილის სახლავად სვანეთში წასვლაზე და მისი განიარაღება ბრძანა. დადეშქელიანმა გაგარინი და მისი ამალა ხანჯლით განგმირა და გაიქცა. მთავარი მალე შეიპყრეს და დახვრიტეს. 1859 წ. სვანეთის სამთავროც გაუქმდა.

1864 წლისათვის რუსეთმა დაამთავრა კავკასიის ომი და ფაქტობრივად გადაწყდა აფხაზეთის საკითხიც. მთავარი მიხეილ შარვაშიძე დაითანხმეს გადადგომაზე იმ პირობით, რომ მას აფხაზეთში ცხოვრების უფლებას დართავდნენ. მთავარმა თვით წაუკითხა ქვეშევრდომებს ბრძანებულება სამთავროს გაუქმების შესახებ. რუსეთმა თავისი პირობა არ შეასრულა და რამდენიმე თვის შემდეგ ავადმყოფი მთავარი სტავროპოლში გადაასახლა.

ამით დასრულდა რუსეთის იმპერიის თითქმის ასწლოვანი ომი კავკასიის დასაპყრობად.

41. ქართული კულტურა XIX ს. I ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მთავრობის რუსიფიკატორი მოხელეებ-ლებმაც არც იცოდნენ და არც სურდათ სცოდნოდათ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურა და განათლება, ქართველ ხალხს უკულტურობას აბრალებდნენ და თავს განათლების შემომტანებად მიიჩნევდნენ.

განათლება. პრესა. რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე მეფის მთავრობამ გააჯუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები და რუსული სკოლების დაარსებას შეუდგა. პირველი ასეთი სკოლა იყო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც თბილისში დაარსდა 1802 წელს და მალე დაიხურა, რადგან მოსწავლეებმა რუსულ ენაზე სწავლა ვერ შეძლეს. 1804 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. (ამჟამად თბილისის I საშუალო სკოლა). ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად მთავრობა სასულიერო სასწავლებლებს აარსებდა. 1817 წელს გაიხსნა რუსული სასულიერო სემინარია თბილისში. 1818 წლიდან დაიწყეს სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლების გახსნაც. სემინარიებში ყველა წოდების ახალგაზრდებს ღებულობდნენ. ამიტომ ხალხი მას უფრო ეტანებოდა.

რუსული ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავდა სკოლებზე. 30-იან წლებამდე ზემოხსენებული სასწავლებლების შესანახად მთავრობას არც ერთი კაპიკი არ გაულია. ისინი ადგილობრივი სახსრებით არსებობდნენ. სწავლისაკენ ხალხის სწრაფვა კი იზრდებოდა. ქალაქებსა და მსხვილ დაბებში აღმოცენება იწყეს კერძო სკოლებმა და პანსიონებმა, რომელშიც შეძლებულნი სწავლობდნენ. 40-იანი წლებისათვის ძლიერ ცოტა იყო სასოფლო სკოლები გლეხობისათვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ყოველი ათასი მცხოვრებიდან 9-10 კაცი სწავლობდა. არადამაკმაყოფილებელი იყო თვით აღზრდის პროცესიც. იყვნენ კარგი მასწავლებლებიც, მაგრამ განათლების საქმე უმთავრესად მინდობილი ჰქონდათ კანცელარიის მოხელეებს, დიაკვნებს, ნასალდათარ ადამიანებს. გიმნაზიებსა და სემინარიებში

გამეფებული იყო პოლიციური რეჟიმი და უაზრო ბეურობა, როზგი და „ლინეიკა“.

XIX ს-მდე ქართული ბეჭდვითი სიტყვა წიგნების გამოცემით შემოიფარგლებოდა. პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა 1819 წლის 8 მარტს. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“ ეწოდებოდა, მერე — „ქართული გაზეთი“. იგი ყოველკვირეულად გამოდიოდა 1821 წლის დამლევამდე. „ქართული გაზეთი“ ჯერ რუსულად იწერებოდა, შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა. უმთავრესად „ტიფლისკიე ვედომოსტის“ თარგმანს წარმოადგენდა ასევე „ტფილისის უწყებანიც“, რომელიც 1828-1832 წწ. გამოდიოდა. მისი რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, რომელიც მისი ქართული ვარიანტის გამოცემას სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებდა. 1832 წელს სოლომონ დოდაშვილმა „ტფილისის უწყებანის“ დამატების სახით გამოსცა ხუთი ნომერი ჟურნალისა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ — პირველი ქართული პერიოდული ორგანო, რომელიც თავის პირდაპირ მიზნად ისახავდა სამსახურს ქართული კულტურისადმი. 1832 წ. შეთქმულების მერე იგი მთავრობამ დახურა.

50-იან წლებში ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანო იყო ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც გიორგი ერისთავმა დააარსა. მისი პირველი ნომერი 1852 წ. იანვარში, ხოლო უკანასკნელი 1853 წ. დეკემბერში გამოვიდა. მის ფურცლებზე ქართველ მკითხველთა ფართო წრე პირველად გაეცნო როგორც იმდროინდელ, ისე ადრინდელ ქართველ, რუს და ევროპელ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს.

1857 წ. „ცისკარი“ აღადგინა ივანე კერესელიძემ, რომლის რედაქტორობით იგი გამოცემის საბოლოო შეწყვეტამდე, 1875 წლამდე გამოდიოდა. კონსერვატორული და ლიბერალური მიმართულების „ცისკარმა“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ენის რეფორმის, დამწერლობის გამარტივების საქმეში. მან აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც „ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“ (ი. ჭავჭავაძე). აქ დაიბეჭდა პირველად დ. გურამიშვილის, ი, ბაგრატიონის, ა. ჭავჭავაძის, ნ.

ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებები. თვით ჟურნალი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის გაჩაღების მერე ფაქტობრივად დაიშალა.

მწერლობა. ქართული კულტურის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს XIX ს-ში და მის პირველ ნახევარშიც მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა.

ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად დავით გურამიშვილი (1705-1792 წწ) უნდა ჩაითვალოს. მის შემოქმედებაში მძლავრად იჩინა თავი განათლების, სწავლისა და შრომის საჭიროების ქადაგებამ, სინამდვილისადმი რეალისტურმა დამოკიდებულებამ, ენის ხალხურობამ.

ქართული განმანათლებლური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო იოანე ბაგრატიონი (1772-1830 წწ.), დიდი ქართველი პატრიოტი და მწერალ-განმანათლებელი. მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან უმთავრესია „კალმასობა“, რომელიც 1813-1828 წწ. დაიწერა. „კალმასობა“ ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაა, რომელშიც რეალისტურადაა გადმოცემული საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დამდეგს.

ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო რომანტიზმი, რომელიც ასევე შეიცავდა განმანათლებლური რეალიზმის მძლავრ ნაკადს. მართალია, სოფლის სამდურავი და სინამდვილის პესიმისტური აღქმა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში თითქოს ერთადერთ და უმთავრეს მომენტად იქცა, მაგრამ მათთვის უცხო იყო რეალური ცხოვრების ხელაღებით უარყოფა. ქართული რომანტიზმის პირველი დიდი წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846 წწ.) იყო. ერთ კაცში მოქცეული იყო მთელი წინააღმდეგობრივი ეპოქა: ის იყო ეკატერინე II-ის ნათლული და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი პატრიოტი, რუსეთის არმიის მამაცი გენერალი და უნაზესი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი. სანადიმო და სატრფიალო პოეზიის შედევრებთან ერთად, ა. ჭავჭავაძემ შექმნა მსოფლიო სევდის გამომხ-

ატველი ნაწარმოებები, რომლებიც ქართველი ერის დაჩაგრული მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

ქართული რომანტიზმის მეორე დიდი წარმომადგენლის, გრიგოლ ორბელიანის (1804-1883 წწ.) შემოქმედებისა და ცხოვრების გზა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი იყო. დედის მხრივ ერეკლე II-ის შთამომავალმა, 1832 წ. შეთქმულების მონაწილემ, მთელი ცხოვრება რუსეთის მეფის სამსახურში გაატარა და თანამდებობრივად მასზე დიდი წარმატება მანამდე არც ერთ ქართველს არ რგებია. გურიის აჯანყების დამშვიდებისა და დაღესტნის დამორჩილების მონაწილე, ერთხანს მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა. ამასთან, ის იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ადრინდელი იდეოლოგი, უაღრესად პატრიოტი პოეტი. მასვე ეკუთვნის სოციალური უთანასწორობის უარმყოფელი პოეტური აფორიზმი: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას; ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!“

ქართული რომანტიზმის გვირგვინია ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845 წწ.) პოეზია, რომლითაც დასრულდა ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბების ადრევე დაწყებული პროცესი. მან ღრმაასზროვანი პასუხი გასცა მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, დიდი გრძნობით უმღერა საკაცობრიო იდეალებს და უნუგეშო აწმყოთი უკმაყოფილომ, ადამიანის დანიშნულება უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში დაინახა. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, თუ დავით გურამიშვილი „ევროპიზმის დამნერგავია“ ქართულ ლიტერატურაში, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ევროპიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელია“.

40-50-იანი წლებიდანვე ქართულ ლიტერატურაში მთავარ ადგილს კრიტიკულ-რეალისტური მიმდინარეობა იკავებს. განსაკუთრებული როლი იმდროინდელი ქართული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის განვითარებაში პოეტმა და დრამატურგმა, ახალი ქართული თეატრისა და ჟურნალის დამაარსებელმა გიორგი ერისთავმა (1811-1864 წწ.) შეასრულა. ის უწინარეს ყოვლისა დიდი კომე-

დიოგრაფი, „შეშლილისა“ და „დავის“ (1840 წ.), „გაყრის“ (1849 წ.), „ძუნწისა“ (1850 წ.) და სხვათა ავტორი იყო. იგი თვალნათლივ ასახავდა ბიუროკრატ მოხელეთა ეგოიზმს, უფუნქციოდ დარჩენილი არისტოკრატიის დაცემას, ბურჟუაზიის გაძუნწებულ ვაჭრებს.

რეალისტური ლიტერატურის აღმავლობამ განაპირობა მხატვრული პროზის აღორძინებაც. გამოჩენილი მწერლის სახელი ლავრენტი არდაზიანს (1815-1870 წწ.) მოუპოვა რომანმა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც პირველად აისახა სავაჭრო და მევახშე ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი, მთელი მისი ქართული თავისებურებებით.

მეცნიერება. XIX ს. დამდეგს ადრინდელ ქართველ განმანათლებელთა მეორე თაობის წარმომადგენლებმა დავით ბაგრატიონმა, იოანე ბაგრატიონმა, სოლომონ დოდაშვილმა და სხვებმა გააღრმავეს წინამორბედთა მეცნიერული საქმიანობა.

იოანე ბატონიშვილმა „კალმასობის“ გარდა მრავალი ლექსიკოლოგიური, ისტორიოგრაფიული და სხვა ხასიათის ნაშრომი შექმნა.

დავით ბაგრატიონმა (1767-1819 წწ.) რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი უძღვნა სამშობლოს ისტორიას („საქართველოს ისტორია“, „ახალი ისტორია“ და სხვ.). იგი მუშაობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგშიც.

სოლომონ დოდაშვილმა (1805-1836 წწ.) ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაწერა და 1827 წ. გამოსცა „ლოგიკა“, რომელსაც მთელი რუსეთის საშუალო სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩეული იყო თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წწ.) ნაშრომებისათვის საქართველოს ისტორიისა („ივერიის ისტორია“) და რუსთველოლოგიის დარგში.

განსაკუთრებული წვლილი საქართველოს ისტორიის კვლევაში მიუძღოდა აკადემიკოს მარი ბროსეს (1802-1880 წწ.), მრავალი ისტორიულ-ფილოლოგიური ნაშრომის ავტორს, რომელმაც თანადროული ევროპული მეცნიერების დონეზე აიყვანა საქართველოს ისტორიის კვლევა. მასთან

თანამშრომლობდა დავით ჩუბინაშვილი (1814-1891 წწ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა. საქართველოს წარსულის შესწავლისათვის საყურადღებო იყო პლატონ იოსელიანის, სულხან ბარათაშვილისა (ბარათოვი) და სხვათა ნაწარმოებები.

თეატრი. 50-ანი წლების დამდეგს აღდგენილი იქნა ქართული თეატრი. იმ დროისათვის თბილისში უკვე არსებობდა რუსული დრამისა და იტალიური ოპერის თეატრები. ეს ეროვნული საქმე, რომლის იდეა მანანა ორბელიანის სალონში დაიბადა, განახორციელა გიორგი ერისთავმა. მან შექმნა მსახიობთა მუდმივი დასი. თეატრმა პირველი სპექტაკლი წარმოადგინა 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში. ეს იყო გიორგი ერისთავის „გაყრა". რუსი მწერლის ი. პოლონსკის ცნობით, „პიესა წარმოდგენის მეორე დღესვე სახალხოდ გადაიქცა... თავად ერისთავის სახელი ცნობილი გახდა, ხოლო კომედია ვრცელი მსჯელობის საგნად იქცა. რომელი მწერალი, რომელიც კომიკოსი არ ინატრებს ამას?"

ხელისუფლება მალე მიხვდა, რომ თეატრი ეროვნული სულისკვეთების კერად ყალიბდებოდა და მას მატერიალური დახმარება მოუსპო. გიორგი ერისთავი აიძულეს თბილისიდან წასულიყო. უბინაობისა და უსახსრობის გამო 1856 წ. თეატრმა არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ 1879 წლამდე მუდმივი ქართული თეატრი აღარ არსებობდა.

42. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

ყირიმის ომმა მკაფიოდ გამოამჟღავნა რუსეთის იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ჩამორჩენილობა, მისი სიდამპლე და უძლურება, საბოლოოდ დაარწმუნა ხელისუფლება ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის აუცილებლობაში.

ამის გარეშე შეუძლებელი იყო ახალი, კაპიტალისტური წყობილების გამარჯვება — წინსვლა. ქვეყნის შემდგომი პროგრესული განვითარება დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ სახელდობრ რა გზით წავიდოდა თვით კაპიტალიზმის განვითარება. ორი ძირითადი გზა არსებობდა: „პრუსიული" და „ამერიკული". „პრუსიული" გზა ბურჟუაზიულ რეფორმებთან ერთად მემამულური მიწათმფლობელობისა და ფეოდალური წყობილების გადმონაშთების შენარჩუნებასაც გულისხმობდა. უფრო სწრაფი და შედეგიანი „ამერიკული" გზა ფერმერული მეურნეობის საშუალებით ვითარდებოდა. რუსეთი „პრუსიული" განვითარების გზით წავიდა.

1861 წ. 19 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გლეხებმა მიიღეს პირადი თავისუფლება, ხოლო მიწა მემამულის საკუთრებად იქნა აღიარებული. ბატონყმობის გაუქმებამ დიდი როლი ითამაშა იმპერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ განვითარებას და დიდად შეუწყო ხელი საბაზრო ურთიერთობების, კაპიტალიზმის დამკვიდრებას.

ანტიბატონყმური მოძრაობა საქართველოშიც იყო. პირველ ანტიბატონყმურ ნაწარმოებს წარმოადგენს რაფიელ ერისთავის ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი", რომელიც 1857 წელს „ცისკარში" გამოქვეყნდა. ბატონყმობასთან აშკარა ბრძოლის მოწოდება იყო 1859 წ. გამოქვეყნებული დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე". ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებმა, რომლებიც 50-იანი წლების მიწურულს შეიქმნა. ესენი იყო — „გუთნისდედა", „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის

ცხოვრებიდან". საქართველოს ახალი თაობა შინაგანად მზად იყო დიდი რეფორმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე საფუძვლებზე, ოღონდ უფრო მოგვიანებით, ცენტრალურ მეტროპოლიაში, გატარდა ბატონყმობის გაუქმება საქართველოშიც. მისი მომზადება ჯერ კიდევ 1857 წელს დაიწყო, ხოლო 1862 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობამ სათანადო პროექტის შემუშავება დიმიტრი ყიფიანს დაავალა. მან შეიმუშავა ე. წ. „უმრავლესობის პროექტი" (1863 წ. აპრილი), რომელიც ფაქტობრივად გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებას გულისხმობდა. მიწა მემამულეს რჩებოდა, ხოლო გლეხს მისი მიწით უნდა ესარგებლა და სათანადო გადასახადი გადაეხადა. შემუშავდა ასევე ე. წ. „უმცირესობის პროექტი", რომელიც არსებითად არ განსხვავდებოდა დ. ყიფიანის პროექტისაგან. განსხვავებული პროექტი წარმოადგინა კონსტანტინე მამაცაშვილმა, რომელმაც ყმის მიწით განთავისუფლება მოითხოვა. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი, რომელსაც თავის სამშობლოში ადგილ-მამული არ ჰქონდა, ვერ დაინტერესდებოდა მისი ბედითა თუ უბედობით, ვერ განმსჭვალებოდა მისი ინტერესებით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასპარეზზე ახალგამოსული ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულების პოზიციას რეფორმის საკითხში. ეს პოზიცია „კრიტიკულ შენიშვნებში" ჩამოყალიბდა. იგი მოითხოვდა ბატონყმობის ნაშთების სრულ ლიკვიდაციას, გლეხობის მიწით განთავისუფლებას და დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის უარყოფას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა გლეხის ეკონომიკური ცხოვრების საიმედო ნიადაგზე დაყენება. საქმე ისაა, რომ გლეხებს ყველგან მიწის მცირე ნაკვეთს „ნადელს" უტოვებდნენ, მაგრამ მის მესაკუთრედ დროებით (გამოსყიდვამდე) კვლავ ყოფილი ბატონი რჩებოდა. ნადელის გამოსყიდვამდე გლეხი „დროებით ვალდებულად" ითვლებოდა. დროებით ვალდებულება მეტროპოლიაში XIX ს. 80-იან წლებში გაუქმდა, ხოლო საქართველოში 1912 წლამდე გაგრძელდა. აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმა გატარდა 1864 წელს, იმერეთში — 1865 წ., სამეგრელოში — 1867 წ., აფხაზეთში — 1870 წ. და სვანეთში — 1871 წ. რეფორმა

საერთო პრინციპებით გატარდა, უმნიშვნელო რეგიონალური განსხვავებების გათვალისწინებით. კერძოდ, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა უმრავლესობა „მცირეშენიანი“ იყო, იქ გლეხებს „ნადელები“ არ მისცეს. ყმა იურიდიულად განთავისუფლდა ბატონისაგან, მაგრამ ეკონომიკურად თითქმის 60 წლის განმავლობაში კვლავ მიჯაჭვული იყო მემამულეს, რადგან მას საკმარისი მიწა არ მისცეს, პირიქით, კიდევაც ჩამოაჭრეს, რითაც წინათ სარგებლობდა. მანამდელი 5 დესეტინის ნაცვლად რეფორმის შემდეგ ყოფილი ყმა, ახლა დროებით ვალდებული ქართველი გლეხი, 3 დესეტინით სარგებლობდა საშუალოდ. მას პირადი სარგებლობისათვის არ მისცეს არც ტყე, არც საძოვარი, რისთვისაც დიდი გადასახადი უნდა ეხადა სხვა ვალდებულებებთან ერთად, რომლებიც ყოფილი მებატონისა და სახელმწიფოსათვის უნდა შეესრულებინა. ამიტომ იყო, რომ ნიკო ნიკოლაძის აზრით, საგლეხო რეფორმა იყო „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულის დაკანონება“.

გლეხობა, ცხადია, უკმაყოფილო იყო რეფორმით, მაგრამ კმაყოფილი არ იყო თავადაზნაურობაც, რომელსაც ეცოტავებოდა სახელმწიფოს მიერ მისთვის მიცემული გამოსასყიდი — ყოველ ყმაზე 25-50 მანეთი. ქართველი თავადაზნაურობა არც იმით იყო მთლად გახარებული, რომ ეს ფული დიმიტრი ყიფიანმა მას ბანკის დასაარსებლად გადაადებინა და კიდევაც გაიხსნა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი თბილისში 1874 წელს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ქუთაისში კი — მოგვიანებით — ბესარიონ ღოლობერიძის ხელმძღვანელობით.

ბატონყმობის გაუქმებამ მიუხედავად თავისი არათანამიმდევრობისა და მძარცველური ხასიათისა, მაინც, ობიექტურად ხელი შეუწყო გლეხის პირადი დაინტერესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას, ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებასა და კაპიტალისტური ურთიერთობების საბოლოო გამარჯვებას.

43. XIX ს-ის 60-70-იანი წლების რეფორმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონყმობის გაუქმების შემდგომი ათი წლის განმავ-ლობაში საქართველოში სხვა კუდმოკვეცილი რეფორმები გატარდა — კერძოდ, სოფლის მმართველობის შემოღება, სასამართლო რეფორმა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღება.

ბატონყმობის გაუქმებამ აუცილებელი გახადა სოფლის ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, რადგან ადრე გლეხთა საქმეებს მთლიანად მებატონეთა დანიშნული მოურავები და პოლიციის წარმომადგენლები განაგებდნენ.

1865 წ. 11 აპრილის დებულებით საქართველოში სოფ-ლის მმართველობის უმაღლეს ორგანოდ მიჩნეული იქნა სოფლის ან თემის გლეხთა ყრილობა, რომელიც მამასახ-ლისს, მის მოადგილეს-ნაცვალს და გადასახადების ამკრეფს ირჩევდა. არჩევნების შედეგებს ამტკიცებდა გუბერნატორი, რომელსაც არჩეული პირების გადაყენების უფლებაც ჰქონდა. საგლეხო-სასოფლო სასამართლოს, რომელსაც ასევე ყრი-ლობა ირჩევდა, უფლება ჰქონდა განეხილა სამოქალაქო საქმეები 100 მანეთამდე ღირებულების საზღვრებში.

განაპირა მხარეებში და მათ შორის საქართველოშიც, იმპერიამ სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გაატ-არა. ამის მიზეზად ასახელებდნენ მოსახლეობის მოუმზა-დებლობას. სინამდვილეში, ხელისუფლებას არ სურდა სა-მართალწარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არ-ჩეული მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისათვის მიენდო. გაუქმდა ძველი, წოდებრივი სასამართლო და მოსახლეობის ყველა ფენისათვის საერთო სასამართლო შეიქმნა (1868 წ.). მაზრებში დაარსდა მომრიგებელი განყო-ფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით, გუბერნიებში საოლქო სასამართლოები. ამიერკავკასიის უმაღლესი სასა-მართლო ორგანო იყო სასამართლო პალატა, რომლის გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ იმპერიის სენატს შეე-ძლო. საქართველოში არ შემოულიათ მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა. სასამართლო ენაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის გაუგებარი და უცხო რუსული იყო.

XIX ს. რეფორმამდელ ხანაში საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებს პოლიცია განაგებდა. ერთგვარი გამონაკლისი იყო თბილისი, სადაც 1841 წ. ჩამოყალიბდა მმართველობა ქალაქის თავისა და 6 ხმოსნის შემადგენლობით. 1874 წ. 30 ოქტომბრის უმაღლესი ბრძანებით მეფისნაცვალს დაევალა ამიერკავკასიაში ახალი საქალაქო დებულება გაეტარებინა. იგი ყველაზე ადრე თბილისში გატარდა. დებულების თანახმად, ქალაქის თვითმმართველობებში უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებს და ვაჭარ-მრეწველებს გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდათ. აირჩიეს ქალაქის სათათბირო და მისი თავმჯდომარე — ქალაქის თავი. პირველი ქალაქის თავი თბილისში იყო დიმიტრი ყიფიანი, ქუთაისში — ნ. აბაშიძე. მომდევნო წლებში თვითმმართველობა მიიღო გორმა, ახალციხემ, ფოთმა, ბათუმმა.

60-70-იანი წლების რეფორმები, მიუხედავად შეკვეცილი ხასიათისა, დიდად პროგრესული შინაარსისა იყო, რამდენადაც საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობდა ბატონყმობისა და მისი ნაშთების თანდათანობითი ლიკვიდაციის საფუძველზე ახალ, საბაზრო (კაპიტალისტურ) ურთიერთობათა განვითარებას. რეფორმებმა საგრძნობლად დააჩქარეს საზოგადოების წინსვლა პროგრესის გზით.

44. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმის შემდგომ პერიოდში სწრაფი ტემპით ნავიდა კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ძლიერი იყო ბატონყმობის ნაშთები, უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა სასაქონლო წარმოების განვითარება და ნატურალური მეურნეობის რღვევა. უკვე XIX ს. დასასრულისათვის ბაზრისათვის განკუთვნილი პროდუქცია მარცვლეულის ნაწარმში 30-35%, ხოლო მელვინეობაში 55-60% იყო. დასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ ყოველ წელს 5-6 მლნ. ფუთი სიმინდი გაჰქონდათ. ამ ეპოქაში მთელი ტემპით ვითარდება ის ტენდენციები ეკონომიკაში, რომლის საწყისები 30-50-იან წლებში იყო უკვე შესამჩნევი.

საქართველოს გლეხობის მოლონიერების და საბაზრო ურთიერთობის განვითარების უდავო საბუთი იყო მათ მიერ თავიანთი „ნადელების" გამოსყიდვა. 1864-1904 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ნადელები გამოისყიდა დროებითვალდებულ გლეხთა თითქმის 32%-მა, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი 60%-მა. ამდენად, 1904 წლისათვის საქართველოს გლეხობის დაახლოებით ნახევარი უპირობო, კაპიტალისტური, სრული საკუთრების სახით ფლობდა მიწას. მემამულეთა ერთი ნაწილი დიდი რაოდენობით იყენებდა დაქირავებულ შრომას, რაც საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბაზრო წარმოებისათვის. კონსერვატული, მაგრამ ძალაუნებურად გაბურჟუების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის უმრავლესობა მხარს ველარ უსწორებდა ახალ მოთხოვნილებებს, მისი უმცირესობა თუ ახერხებდა შეეგუებინა მეურნეობა ახალი ვითარებისათვის. განათლებული თავადაზნაურობისა და ვაჭართა ფენის ცალკეული ლიბერალი წარმომადგენლებისაგან წარმოიშობოდა ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც თანდათანობით უპირისპირდებოდა არა მარტო ღარიბ ხალს, არამედ მდიდარ თავადაზნაურობას და უცხო ბურჟუაზიასაც.

სავაჭრო-სასაქონლო მეურნეობის განვითარების კვალო-

ბაზე მიმდინარეობდა როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია. მსხვილი ... ალო მემამულეები, ისევე როგორც მდიდარი ... სოფლის კაპიტალისტებად იქცეოდნენ. წვრილი აზნაურობის ნაწილი ღატაკდებოდა და თავისი რეალური მდგომარეობით, ეს „შემოდგომის აზნაური" არაფრით განსხვავდებოდა ღარიბი გლეხისაგან. სოფლის ეს სოციალური სტრუქტურა უკვე კაპიტალისტური იყო და არა ფეოდალურ-ბატონყმური.

უკვე საგლეხო რეფორმამდე დაიწყო საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო ანუ მანქანური წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნა, მაგრამ ეს პროცესი ფორსირებულად განვითარდა რეფორმის შემდგომ პერიოდში. 1875 წლისათვის მანქანური წარმოების წილი 55%-ზე მეტი იყო. უკვე საუკუნის დასასრულისათვის საქართველოში დამთავრებული იყო სამრეწველო გადატრიალება, რაც გულისხმობდა მსხვილი სამანქანო წარმოების მთავარ და წამყვან როლს.

70-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობის განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო — სარკინიგზო მშენებლობა და კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაცია. რკინიგზამ ერთმანეთს დააკავშირა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, მთელი ამიერკავკასია კასპის ზღვიდან შავ ზღვამდე. 1874 წლიდან 1884 წლამდე სამრეწველო საწარმოთა რიცხვი 521-დან 1160-მდე გაიზარდა; გამოშვებული სამრეწველო ნაწარმის ღირებულება 2,5 მლნ-დან 12,5 მლნ. მანეთამდე ავიდა. წინ წავიდა სამთამადნო წარმოება (ქვანახშირი, მანგანუმი).

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მსუბუქი და საშუნ მასალათა მრეწველობა. 1896 წ. საქართველოში, კერძოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში თამბაქოს 10 ფაბრიკა მუშაობდა. ორთქლის და გაზის ძრავებით აღჭურვილი დაზგები იდგმებოდა თამბაქოს მრეწველობაში, აგურის წარმოებაში. 1897 წ. საქართველოში 100-ზე მეტი ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო.

კერძო ინიციატივის ზრდამ, კაპიტალიზმის განვითარებამ უსწრაფესი ტემპებით უცვალა სახე ქალაქებს და მათი

არაჩვეულებრივი ზრდა გამოიწვია. განსაკუთრებით დაეტყო ეს ამიერკავკასიის ცენტრს, ქალაქ თბილისს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში აქ ითვლებოდა 3 ათასამდე დუქანი და 17 ქარვასლა. მისი მოსახლეობის რაოდენობა 71.000-დან (1865 წ.) 160 000-მდე (1897 წ.) ავიდა. განუხრელად უმჯობესდებოდა საქალაქო ყოფა, ტრანსპორტი, გარეგნული სახე. ინტენსიურად შენდებოდა ქვის დიდი სახლები და ხიდები, მშვენდებოდა და ფართოვდებოდა ძველი ქუჩაბანდები. მთელი ეს კაპიტალისტური საოცრება ქალაქს 20-30 წლის განმავლობაში დაეტყო.

მიუხედავად სწრაფი და თვალსაჩინო წინსვლისა, საქართველო მაინც აგრარულ ქვეყნად რჩებოდა. იგი კაპიტალისტური განვითარების ტემპით საერთო-საიმპერიო საშუალო დონეზეც ვერ იყო ასული. ამის ძირითადი მიზეზი იყო კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა და საკუთრივ ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტე. ძირითადი პოზიციები რუს, სომეხ და უცხოელ კაპიტალისტებს ეჭირათ. ისინი ცხადია, მოქმედებდნენ საკუთარი, და არა საქართველოს ინტერესებისათვის. ქართულ ბურჟუაზიას ბრძოლა უხდებოდა საკუთარ ქვეყანაში მტკიცე პოზიციების მოპოვებისათვის. მსხვილი ქართველი მრეწველები და მეცენატები იყვნენ დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები. მათ კვალს ბევრი სხვა მიჰყვებოდა.

რეფორმის შემდგომ უმიწოდ აღმოჩნდა ათასობით გლეხი, რომელთაც სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა შეევსოთ ქალაქის პროლეტარიატის რიგები, ან სოფლის უქონელ-პროლეტართა როლში დარჩენილიყვნენ. მათ შეუერთდა მცირემიწიანი გლეხობის ის ნაწილი, რომელმაც მიწის თუ წარმოების საშუალებების ნაკლებობის გამო ვერ შესძლო წარმოების გამართვა. მუშათა კლასის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა ხელოსანთა წრე, რომელთაც მსხვილი წარმოება მასობრივად აკოტრებდა. ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომლის დიდი ნაწილი არაეროვნული იყო, საქართველოს მუშების უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

45. საქართველოსთან აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთის სხვა ტერიტორიების კვლავ შეერთება და ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაცია

XVI-XVII საუკუნეებში თურქეთმა ისარგებლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს დასუსტებით დ მიიტაცა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, ტერიტორიების ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ აჭარა კვლავ თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა. 300 წლის განმავლობაში აჭარის მოსახლეობა თურქთა ბატონობას ვერ ეგუებოდა და აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდა: განსაკუთრებით აღსანიშნავია 1875 წლის აჯანყება ქობულეთში, რომელიც მთელ აჭარას მოედო. აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობა სულით და გულით დედა-სამშობლოსკენ მოისწრაფოდა.

აჭარისა და სხვა ძირძველი ქართული ტერიტორიების საქართველოსთვის დაბრუნების საკითხი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომმა გადაწყვიტა. ქართული საზოგადოება იმის მიუხედავად, რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში მის მხარეზე იყო, რადგან მოელოდა თურქ-დამპყრობელთაგან ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთ მიწა-წყლის განთავისუფლებას. ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ კვლავ აღედგინათ კავშირი ე. წ. „ოსმალოს საქართველოსთან". აჭარაში იმოგზაურა გ. ყაზბეგმა, ხოლო ი. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებას, ზემო აჭარის მმართველს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს, რათა აჭარა დაბრუნებოდა დედა-სამშობლოს. დიდი ილია წერდა „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევერთდეთ... დიდი ხნის განშორებულ ძმას (ქართველი) ძმურადვე მიიყრდენს, და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი

დაილვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამაპაპათა".

ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო ნებაყოფლობითი მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. მთლიანად ამ ომში მონაწილეობა მიიღო 30 000 ქართველმა.

რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა ორ ფრონტზე — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაში. ომის პირველ ეტაპზე რუსეთის ჯარმა ქართველებთან ერთად გადალახა თურქეთის საზღვარი, დაიკავა ბაიაზეთი, არტაანი და ალყა შემოარტყა ყარსის ციხე-სიმაგრეს.

რუსეთის ჯარმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სამი უშედეგო იერიში განახორციელა ქ. პლევნაზე. თურქებმა განახორციელეს კონტრშეტევა. რუსეთის ჯარმა დროებით ალყა მოხსნა ყარსზე. თურქებმა დესანტი გადმოსხეს აფხაზეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის დესანტი არ იყო ძლიერი, რუსებმა დატოვეს სოხუმი, რითაც პროვოცირება გაუკეთეს აფხაზებს, რომლებიც აჯანყდნენ და შეუერთდნენ თურქებს. ამის შემდეგ რუსეთის ჯარმა ისევ დაიკავა სოხუმი და აიძულა 30 000 აფხაზი წასულიყო თურქეთში (მაჰაჯირობა). ეს შეადგენდა აფხაზი მოსახლეობის 40%-ს. აფხაზეთის სანაპიროს ტერიტორიებზე კი ხელისუფლებამ დაიწყო რუსების, სომხების, ბერძნებისა და ესტონელების ჩამოსახლება. ომის მეორე ეტაპზე აღებული იქნა ყარსის ციხე-სიმაგრე და რუსეთის არმია და ქართველი მოლაშქრეები შევიდნენ შავშეთსა და აჭარაში. გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. რუსეთის არმიამ დაიკავა ქალაქები პლევნა, ადრიანოპოლი და დაემუქრა კონსტანტინოპოლს. 1878 წლის 3 მარტს რუსეთსა და თურქეთს შორის სანსტეფანოში დაიდო ზავი. ეს საზავო ხელშეკრულება რუსეთისათვის საზიანოდ ზოგიერთი ცვლილებებით დაადასტურა ბერლინის საერთაშორის კონგრესმა (1878 წ. 13 ივლისი) ქ. ბაიაზეთი დაუბრუნდა თურქეთს, ყარსი და არდაგანი რჩებოდა რუსეთს. რუსეთმა შემოიერთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი — აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ოლთისი. დიდი

კამათი გამოიწვია ბერლინის კონგრესზე ქ. ბათუმის საკითხმა, რომლის დათმობაც რუსეთისათვის არ სურდა ინგლისს. საბოლოოდ ქ. ბათუმი გამოცხადდა „პორტ-ფრანკოდ“, ე. ი. ღია ნავსადგურად.

ზავზე ხელისმოწერის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა, გულმოდგინედ მუშაობდნენ თურქეთის აგენტები, რათა აჭარის მუსლიმურ მოსახლეობას და ქართველთა შორის შუღლი ჩამოეგდოთ, მაგრამ ვარაუდი ჩაეშალათ. აჭარის მოსახლეობა, დიდი ზეიმით შეხვდა 25 აგვისტოს 1878 წელს ბათუმში შესულ რუსეთისა და საქართველოს მილიციის ნაწილებს. დიდი ქართველი მოღვაწე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგი მესხი თვითონ წაჰყვა ამ მოლაშქრეებს კორესპონდენტად და კორესპონდენციებს აგზავნიდა გაზ. „დროებაში“, სადაც აღნიშნული იყო, თუ რა ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო აჭარის მოსახლეობამ მათ ბათუმში. ქართველი საზოგადოება მხურვალედ მიესალმა აჭარის განთავისუფლებას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედის, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. ქართველი საზოგადოება არ ზოგავდა სახსრებს, რომ თავიანთ ძმებს დახმარებოდა. ილია წერდა: „აბა, ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს, ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“.

აჭარის დეპუტაცია მოწვეულ იქნა თბილისში, სადაც გაიმართა დიდი შეხვედრა 1878 წლის 20 ნოემბერს აჭარის დეპუტაციასა და თბილისის საზოგადოებას შორის. აჭარელთა დეპუტაციაში შედიოდნენ ამ მხარის და მთლიანად საქართველოს თვალსაჩინო შვილები — ჰუსეინ ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვ. მასპინძლობას უწევდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და სხვ. ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც აღნიშნა: „ვჰმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუ-

ნისამდე შეურყევლად და დღეის იქით ლხინშიც, ჭირშიც ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთი დედა საქართველოს შვილნი". საპასუხო სიტყვები დახვეწილი ქართულით წარმოთქვეს ჰუსეინ ბეჟანიძემ და შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა.

ამის შემდგომ, დღემდე, საქართველოსათვის ყველაზე ტრაგიკულ ისტორიულ პერიოდებში აჭარა ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო საქართველოსი, რომელიც ყოველთვის იბრძოდა ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს ბედნიერებისათვის.

რეფორმის შემდგომ ხანაში მოხდა ქართველი ერის კიდევ უფრო მჭიდრო კონსოლიდაცია, ვიდრე ეს ფეოდალურ ხანაში იყო შესაძლებელი. წოდებრიობით, ფეოდალურ სამფლობელოთა ბარიერებით და უცხო სახელმწიფოთა მიერ პოლიტიკურად გათიშული ქართველი ერი, მართალია, დიდი იმპერიის წიაღში, მაგრამ მაინც ერთ სხეულად შეიკრა. წინ იყო. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

46. ქართველი ხალხოსნები

XIX ს. 70-იან წლებში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში წარმოიშვა ახალი, რევოლუციური მიმდინარეობა, რომელიც ცნობილია „ნაროდნიკების“ ანუ ხალხოსნების სახელით. ისინი ძირითადად 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატების ნ. ჩერნიშევსკის და ნ. დობროლიუბოვის იდეებზე იყვნენ აღზრდილნი. ნაროდნიკები შეცდომით თვლიდნენ, რომ რუსეთში საზოგადოებრივი პროგრესი განხორციელდებოდა კაპიტალიზმის გვერდის ავლით, რადგან კაპიტალიზმს თვლიდნენ რეგრესულ მოვლენად რუსეთისათვის და მომავალი რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდნენ გლეხობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა მოწინავე ინტელიგენცია, ისინი დაამხობდნენ ცარიზმს და დაამყარებდნენ სოციალისტურ წყობილებას.

რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობაში რამდენიმე ეტაპი არსებობდა. პირველ ეტაპზე მათ მოაწყვეს ე. წ. „ხალხში გასვლა“, მაგრამ გლეხობამ ვერაფერი გაუგო მათ სოციალიზმს. მეორე ეტაპზე მათ დაიწყეს სოფლად დასახლება და გლეხობის მომზადება რევოლუციისათვის, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი პოლიციამ დააპატიმრა. პირველი და მეორე ეტაპების მარცხის შემდეგ ისინი გადავიდნენ ტერორზე. განსაკუთრებით, ტერორიზმით გამოირჩეოდა ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლია“. მათ „ნაროდოვოლცელებს“ უწოდებდნენ. „ნაროდოვოლცელებმა“ 1881 1 მარტს განახორციელეს ტერორისტული აქტი, რომლის დროსაც მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე II, მაგრამ მათი ჩანაფიქრი, რომ სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაციას მოყვებოდა არსებული რეჟიმის შეცვლა არ გამართლდა, პირიქით, ლიბერალი ალექსანდრე II-ის ნაცვლად ტახტზე ავიდა რეაქციონერი იმპერატორი ალექსანდრე III. რუსეთში 1881 წ. დაიწყო რეაქციის ხანა.

რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობდნენ ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებში. ერთ-ერთი ძლიერი ნაროდნიკული ორგანიზაცია იყო ე. წ. „მოსკოველთა წრე“, რომელაც სათავეში ედგნენ ივანე

ჯაბადარი და გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი. ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ რუსეთის ცნობილი რევოლუციონერები — პეტრე ალექსეევი, ლიდია ფიგნერი, დეპუტატ სუბოტინები და სხვ. ეს ორგანიზაცია ჟანდარმერიამ დააპატიმრა და მთავრობამ მოაწყო იმ დროს დიდად გახმაურებული სასამართლო „50-ის პროცესი". ამ ორგანიზაციის წევრები მკაცრად დასაჯეს.

საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა რუსეთის რევოლუციურ-ნაროდნიკული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველი ხალხოსნები არ ეთანხმებოდნენ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ეროვნული საკითხის პრიორიტეტულობაში და სოციალური საკითხი მიაჩნდათ უმთავრეს საკითხად.

XIX ს. 70-იან წლებში ხალხოსნური მოძრაობის ცენტრი საქართველოში იყო თბილისი, მათი ორგანიზაციები არსებობდა გორშიც, კახეთში, ქუთაისში, გურიაში. ქართველი ხალხოსნები სოფლებში ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას და მოუწოდებდნენ მშრომელებს არსებული წყობილების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ. აქტიურ როლს თამაშობდნენ ქართველი ხალხოსნები ეგნატე იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი და სხვ. ხალხოსნურ იდეებს ქადაგებდა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი (ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური). მათ იუმორით „ტეტიათა მოტრფიალეებსაც" ეძახდნენ. XIX ს. 70-იანი წლების შუა ხანებში ჟანდარმერიამ დააპატიმრა ხალხოსნების ძირითადი ორგანიზაციის წევრები. მართალია 1881-84 წლებში „ნაროდოვოლცური" წრეები დაარსდა თბილისში, გორში, კახეთში, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, გადაიქცა ლიბერალურ მოძრაობად. მათი მოღვაწეობა ლეგალური ჟურნალ-გაზეთების დაარსებაში და მათი სამოქმედო პროგრამის ლიტერატურულად დამუშავება-გაფორმებით გამოიხატა.

47. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX ს-ის II ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს. II ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების ვითარებაში მის განმანათლებლურ იდეოლოგიაში თანდათანობით ჩამოყალიბდა ჯერ ჰუმანისტურ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული და ხალხოსნურ-დემოკრატიული, მერე კი, 90-იანი წლებიდან, სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობანი.

პირველი დასი. ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის, ანუ პირველი დასის უმთავრესი თეორეტიკოსები იყვნენ ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.), აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.), იაკობ გოგებაშვილი (1840-1812 წწ.), ალექსანდრე ყაზბეგი (1847-1893 წწ.), ვაჟა ფშაველა (1861-1815 წწ.). ეს მიმდინარეობა ეროვნული მოძრაობის ასპარეზზე 1861 წლიდან ჩანს და ამ მოძრაობის მეორე ეტაპს იწყებს. ამ დროს დაიწყო ძველ და ახალთაობას შორის კამათი ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. პირველდასელები (თერგდალეულები) ერისა და კაცობრიობის პატრიოტულ-ჰუმანისტური თვალსაზრისით განიხილავდნენ ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, ეწეოდნენ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მათი საბოლოო მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ძველი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ლიბერალ-დემოკრატიულ საფუძველზე განვითარება. პირველდასელები აღიარებდნენ მრეწველობის განვითარების საჭიროებას და მიაჩნდათ, რომ აქაც მეთაურობა მესამე წოდებასა და თავადაზნაურობას უნდა შეესრულებინა. ისინი საზიანოდ თვლიდნენ კლასთა ბრძოლას ქართველი ერისათვის, არ მოითხოვდნენ კლასებისა და კერძო საკუთრების მოსპობას, თუმცა საყოველთაო ეროვნული კეთილდღეობის მომხრედ გამოდიოდნენ და იდეალად ესახებოდათ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი საზოგადოება. ის

სამართლიანი საზოგადოება, სადაც განხორციელდებოდა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, „ძმობის, ერთობის, თავისუფლებისა და თანასწორობის“ იდეალები.

მეორე დასი. ერისა და კაცობრიობის ჰუმანისტური გაგება უცხო არ იყო არც ეროვნული მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის — მეორე დასისათვის, მაგრამ მისი იდეოლოგები გიორგი წერეთელი (1842-1900 წწ.), სერგი მესხი - (1845-1883 წწ.), ნიკო ნიკოლაძე (1843-1928 წწ.) უარყოფდნენ ახალ საქართველოში ერისადმი თავადაზნაურობის მეთაურობის შესაძლებლობას და მესამე წოდების მშრომელი, განათლებული მესაკუთრენი მიაჩნდათ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველოს მშენებლებად. ისინი მეტი გაბედულებით გამოდიოდნენ ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, ქადაგებდნენ ქვეყნის დაჩქარებულ წინსვლას უპირველესად ვაჭრობა-მრეწველობის ფართო განვითარების გზით.

კულტურა. მეფის რუსეთის მხრივ მძაფრი ეროვნული ჩაგვრის პირობებში, განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა კულტურისა და განათლების სფეროში ქართული სულის შენარჩუნებისათვის.

ეროვნული მოძრაობის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები ერთსულოვანი იყვნენ ქართული ენისა და კულტურის დაცვაში. რუსიფიკაციის პოლიტიკას მათ დაუპირისპირეს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების შექმნა. ასეთი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც 1879 წ. დაარსდა. მას სათავეში დიდი პატრიოტი დიმიტრი ყიფიანი ჩაუდგა, ხოლო მისი დაღუპვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების ხარჯითა და თაოსნობით არაერთი ქართული სკოლა შეიქმნა, დიდი მუშაობა გაიშალა საისტორიო ძეგლების, ხელნაწერების მოვლა-პატრონობისათვის. სამეგრელოს თავადმა ნიკო დადიანმა საზოგადოებას უსასყიდლოდ შესწირა სამთავრო სახლის უმდიდრესი ხელნაწერებისა და დოკუმენტების კოლექცია. ქვეყნის განათლებისა და კულტურის სამსახურში ჩადგა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საგუბერნიო ბანკები ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მეთაურობით.

1880 წ. შეიქმნა ქართული დრამატული საზოგადოება. მისი თაოსნობით განახლებული ქართული თეატრი გადაიქცა ეროვნული შეგნების აღორძინების ცენტრად. საგანგებო შნავია დ. ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოღებული პიესის „სამშობლოს“ წარმატება. როდესაც სცენაზე ქართული დროშა გამოიტანეს, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორმა კატკოვმა ეროვნულ დროშას „ჩვარი“ უწოდა, ხოლო მისმა კორესპონდენტმა დროშის ცირკისათვის მიყიდვა ურჩია ქართველებს. ამ რეაქციონერებს საკადრისი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ.

1886 წ. თბილისის სემინარიის სტუდენტმა ი. ლალიაშვილმა უსამართლო მოპყრობისათვის მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ეგზარქოსმა პავლემ საჯაროდ დასწყევლა ტერორისტის მშობელი ერი. ამან საზოგადოება აღაშფოთა. ეს აღშფოთება გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა. მან წერილობით მოთხოვა ეგზარქოსს დაეტოვებინა მის მიერ დაწყევლილი სამწყსო. მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გაასახლა, სადაც „ოხრანკამ“ მოკლა მოხუცი პატრიოტი. დიმიტრი ყიფიანმა (1814-1887 წწ.) რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებით დაიწყო თავისი შეგნებული ცხოვრება და მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლით დაამთავრა იგი. ქართველმა ერმა დიდი პატივით ჩამოასვენა დიმიტრი ყიფიანი და მთაწმინდას მიაბარა მისი ნეშტი. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დიდ ეროვნულ დემონსტრაციად იქცა. ამ მოვლენას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა ლექსი „განთიადი“, რომელიც იმ დროინდელი ახალგაზრდობის საბრძოლო ჰიმნად გადაიქცა.

48. მუშათა მოძრაობის დაწყება საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმი, როგორც მსოფლმხედველობა და პოლიტიკური მოძღვრება დასავლეთ ევროპაში XIX ს. შუა ხანებიდან იწყებს გავრცელებას, ხოლო რუსეთის იმპერიაში 80-90-იანი წლებიდან, როდესაც აქ ჩამოყალიბება დაიწყო მუშათა კლასმა. რუსეთში მარქსიზმის გავრცელებას იწყებს გიორგი პლეხანოვის მიერ 1883 წ. ჟენევაში დაარსებული „შრომის განთავისუფლების ჯგუფი". საქართველოში ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა.

1894 წ. 8 მაისს მწერალ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე გურიის სოფ. ჩოჩხათში სილიბისტრო ჯიბლაძემ და ლადო დარჩიაშვილმა საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ერთი წლის წინათ შეიქმნა საზოგადოებრივი აზროვნებისა და მოძრაობის ახალი მიმართულება, რომლის მეთაური იყო ეგნატე ნინოშვილი და რომელიც მუშა ხალხის ინტერესების დამცველი და მისი საერთაშორისო მოძღვრების-მარქსიზმის მიმდევარი იყო.

ამ ახალ მიმდინარეობას „მეორე დასის" მეთაურმა გიორგი წერეთელმა „მესამე დასი" უწოდა და ფართოდ გადაუშალა თავისი გაზეთის ფურცლები თავიანთი პროგრამის პროპაგანდისათვის.

როგორც შემდეგ გაირკვა, 1893 წ. თბილისში მოწვეულ კრებაზე ეს ახალი ჯგუფი შეუქმნიათ ეგნატე ნინოშვილს, ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძეს, კარლო ჩხეიძეს, ისიდორე რამიშვილს, მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს და სხვ. მერე მათ შეუერთდნენ ალექსანდრე წულუკიძე, ლადო კეცხოველი, იოსებ ჯუღაშვილი და სხვ.

მესამედასელებს მიაჩნდათ, რომ საუკუნის ბოლოს საქართველოშიც ისეთივე სტრუქტურები ჩამოყალიბდა, როგორც კაპიტალისტურად განვითარებულ სხვა ქვეყნებში და ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სოციალურ-კლასობრივი ბრძოლა ძირითადი შინაარსი ხდებოდა მთელი სოციალური განვითარებისა. მათ საქართველოს სოციალურ-ეროვნული მოძრაობა მთელი რუსეთისა და მთელი მსოფლიო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

ნაწილადაც მიაჩნდათ და საყოველთაო სოციალურ და ეროვნულ კეთილდღეობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის იმედს რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატზე ამყარებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედასელთა ქედმაღლურ გამოსვლას „ივერიელ“ და „კვალელ“ პუბლიცისტთა მძაფრი იდეური კამათი მოჰყვა. სანამ გიორგი წერეთლის „კვალს“ მთლად დაეპატრონებოდნენ მესამედასელები, ბრძენმა ილია ჭავჭავაძემ ნოე ჟორდანია მიიწვია და „ივერიის“ რედაქტორობა შესთავაზა. ასე სცადა „ერის მამამ“ შვილთა უზომო პრეტენზიულობის დაშოშმინება. ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის წინადადება არ მიიღო და იდეური შეტაკება გარდაუვალი გახდა.

„ივერიელებს“ და „კვალელებს“ შორის მძაფრი იდეური კამათი იმით დამთავრდა, რომ საუკუნის ბოლოს საქართველოს სოციალური და ეროვნული მოძრაობის სათავეში სოციალ-დემოკრატია მოექცა, უფრო ორგანიზაციულად, ვიდრე იდეურად, რადგან იდეური ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

მესამედასელები მუშებს მართლაც დაუკავშირდნენ, ფაბრიკა-ქარხნებში საგანმანათლებლო წრეები და სკოლები შექმნეს, თბილისს გარდა ფილიალები ბათუმსა და ქუთაისშიც გაიჩინეს, ლეგალურად თუ არალეგალურად მარქსისტული და საერთო-საგანმანათლებლო იდეების ფართო პროპაგანდა იწყეს და 1896 წლისათვის ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად გაერთიანდნენ.

1896-1900 წლებში თბილისს გადაუარა მუშათა გაფიცვებისა და საპირველმაისო დემონსტრაციების ტალღამ, რომელთა ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

მესამედასელები სოციალური ბრძოლის პრიმატს აღიარებდნენ ეროვნულ ბრძოლასთან შედარებით, განსხვავებით ილიას მიმდევრებისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მათ ეროვნული საკითხი საერთოდ მეორეხარისხოვნად მიაჩნდათ. მესამედასელები აქტიურად მონაწილეობდნენ 1893 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებაში, 1895 წელს რაფიელ ერისთავის საიუბილეო, შემდეგაც ქართველი ერის საკონსოლიდაციო მსგავს დემონსტრაციებში. ერთ-ერთი ყველაზე რადიკალი

მესამედასელი იოსებ (სოსელო) ჯუღაშვილი თავიდან ბატრიოტი პოეტიც იყო, რაფიელ ერისთავს მშვენიერი ლექსი უძღვნა, საქართველოს კი — უკეთესი. სამწუხაროდ, ასეთი გეზი დიდხანს არ გაგრძელდა.

სოციალ-დემოკრატები დიდად აფასებდნენ რადიკალ-დემოკრატთა ეროვნულ და სოციალურ მოღვაწეობას, მათ ბრძოლას ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მაგრამ უხეშად ცდებოდნენ ჰუმანისტ-დემოკრატთა მოღვაწეობის შეფასებისას. მათ მიაჩნდათ, რომ ილია ჭავჭავაძე „ბნელეთის მოციქული" იყო და ქართველი ხალხის განვითარების გზას პირველდასელთა იდეოლოგიური მემკვიდრეობის გადალახვა — დასამარებაში ხედავდნენ. ასეთმა იდეურმა გეზმა მომავალში გაჰყო თვით სოციალ-დემოკრატია და დიდი ზიანი მოუტანა საერთო-ეროვნულ ბრძოლას.

49. ქართული კულტურა XIX ს-ის II ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს. II ნახევარში, ისევე როგორც ადრინდელ პერიოდებში, ქართული კულტურის ფლაგმანი მწერლობა იყო. ამ პერიოდისათვის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალთაობამ (თერგდალეულებმა) უკვე თქვა თავისი სიტყვა ენის საკითხში და შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, იოანე ბატონიშვილის ტრადიციების გამტარებლად მოგვევლინა. თერგდალეული მოღვაწეები ერთდროულად იყვნენ მწერლები და პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები, საბანკო საქმის მესვეურები. მთელი მათი მოღვაწეობა ერთიანი და მონოლითური იყო და საქმით თუ კალმით ერთ მიზანს, ეროვნულ განთავისუფლებას ემსახურებოდა. ლიტერატურის დანიშნულებაც მათ, სავსებით სწორად, ეროვნული იდეალების სამსახურად ესახებოდათ.

მწერლობა. ილია ჭავჭავაძე იყო მთლიანი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ყველაზე გამოჩენილი ხელმძღვანელი და იდეოლოგი. იგი ჩაუდგა 60-იანი წლებიდან სათავეში ქართულ ლიტერატურასაც. ილია 1857 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია, 1861-1863 წლებში ადრინდელ, იმუამად უკვე კონსერვატორ-განმანათლებლებს (გრ. ორბელიანი და სხვ.) ეკამათებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე; ქმნიდა შესანიშნავ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, რომლებიც მხურვალე პატრიოტიზმის, ცხოველმყოფელი ჰუმანიზმისა და ზომიერი დემოკრატიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. პარალელურად იგი რეალური ცხოვრების შუაგულში იყო, 1864-1973 წწ. დუშეთში მომრიგებელ შუამავლად მუშაობდა, შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ იყო. 70-იანი წლებიდან მას მძაფრი კამათი ჰქონდა საქართველოს ეროვნული და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე კონსერვატორებთან, ლიბერალებთან, რადიკალ-დემოკრატებთან, ხალხოსნებთან, სო-

ციალ-დემოკრატებთან და სოციალ-ფედერალისტებთანაც ბი, თუმცა მათთან ერთად იცავდა ჰუმანისტურ-პატრიოტულ, ეროვნულ და სოციალურ თვალსაზრისს.

აკაკი წერეთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე იყო. მანაც 1859-1862 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას გამოუცხადა ბრძოლა კონსერვატულ ცრუპატრიოტიზმს და ცარიზმს. აკაკი ფორმალურად არცერთ დაჯგუფებას არ მიმხრობია, არც სახელმწიფო სამსახურში შესულა, პროფესიული მწერალი გახდა და ბოლომდე ქართველი ერის „დაბალი წოდების" დამცველად გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, იგი არ ეთანხმებოდა ხალხოსან „ტეტიათა მოტრფიალეებს", რომლებიც ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი წინამორბედი დემოკრატიული თაობისადმი, უარყოფდნენ თავადაზნაურობის ეროვნულ როლს და მხოლოდ გაუნათლებელი გლეხობა მიაჩნდათ ერად.

ილიასა და აკაკის მხარში ედგნენ დიდი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა ფშაველა. ქართული კულტურისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების გვერდით მოღვაწეობდნენ რაფიელ ერისთავი და გიორგი წერეთელი. 70-80-იან წლებში ხალხოსნური საინტერესო მიმართულება შექმნეს ანტონ ფურცელაძემ, ნიკო ლომოურმა, სოფრომ მგალობლიშვილმა და ეკატერინე გაბაშვილმა. 80-90-იანი წლებიდან ასპარეზზე გამოვიდნენ ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, ეროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბარნოვი და სხვ.

პრესა. ეროვნული მოღვაწეობის გაცხოველებასთან ერთად სრულიად ახალ სიმაღლეზე ავიდა ქართული პრესა და პუბლიცისტიკა. ამ საქმეშიც განსაკუთრებული როლი ილია ჭავჭავაძემ შეასრულა, რომელსაც ხან გვერდში ედგნენ, ხან კი ეკამათებოდნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი. სწორედ მათ დააარსეს და მაღალ პროფესიულ დონეზე აიყვანეს ჟურნალ-გაზეთები „საქართველოს მოამბე" (1863 წ.), „დროება" (1860-1885 წწ.), „ივერია" (1877-1906 წწ.), „კვალი" (1893-1904 წწ.).

განათლება. მეცნიერება. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია სა-

ზოგადოებრივი მოთხოვნილებებისათვის და დაეშვა ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ სახალხო სკოლების გახსნის უფლება. 1864 წ. აღდგენილი იქნა 1861 წელს გაუქმებული კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო-მოძღვრ. 60-70-იან წლებში სახალხო სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. გლეხობა საკუთარი სახსრებით აშენებდა სკოლებს, იძენდა ინვენტარს და ინახავდა მასწავლებლებს. შეიქმნა პროფილური სკოლებიც (სახელოსნო, პედაგოგიური, სამუსიკო, სამხატვრო). ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები ცდილობდნენ არა მხოლოდ გაფართოებულიყო სასწავლო ქსელი, არამედ მომხდარიყო სწავლების პროცესის დემოკრატიზაცია. განსაკუთრებული ღვაწლი ამ მამულიშვილურ საქმეში იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა, რომლის შედგენილი „დედაენა" და "ბუნების კარი" დღემდე ითვლება ქართული პედაგოგიური აზროვნების სწორუპოვარ ნიმუშად.

ვინაიდან საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო უმაღლესი სასწავლებლები, ქართველი მეცნიერები რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოღვაწეობდნენ. პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძველი დაედო მძლავრ ქართველოლოგიურ სკოლას, რომელიც ქართული ენის კათედრის ბაზაზე მუშაობდა. ამ კათედრას ჯერ დ. ჩუბინაშვილი განაგებდა, ხოლო შემდეგ გამოჩენილი ენათმეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი.

ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ქიმიკოსები პროფ. ვ. პეტრიაშვილი (1845-1908 წწ.) და პეტრე მელიქიშვილი (1850-1927) — შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი და პირველი რექტორი. ოთხტომიანი „ქართული სიტყვიერების ისტორია" შექმნა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა.

საქართველოს ისტორიის პირველი პროფესიული ქართველი მკვლევარი იყო რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე (1827-1890 წწ.), რომელმაც ქართველი ერის ისტორიას არაერთი საყურადღებო ნაშრომი უძღვნა, მათ შორის დამხმარე ისტორიული დისციპლინების დარგში.

საუკუნის მიწურულისათვის ასპარეზზე გამოვიდნენ თვალ-

საჩინო ქართველი მეცნიერები და პატრიოტები — ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მსოფლიო სახელის მქონე დიდი ენათმეცნიერი და ქართველოლოგი, XX საუკუნის მთელი ქართველოლოგიური სკოლის აღმზრდელი აკადემიკოსი ნიკო მარი.

ხუროთმოძღვრება. თეატრი. 60-70-იანი წლებიდან, კაპიტალისტური ურთიერთობის მოღონიერების კვალობაზე, არაერთი შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობა აშენდა თბილისში, თუმცა ეს ხუროთმოძღვრული აღორძინება არ იყო ტრადიციულ-ეროვნული ხასიათისა. მეფისნაცვლის სასახლე თბილისში რუსული კლასიციზმისა და რენესანსულ-მავრიტანული სტილის ნაზავს წარმოადგენდა. ასევე მავრიტანული სტილით იყო ნაგები სახაზინო (ამჟამად ოპერისა და ბალეტის) თეატრისა და საქალაქო თვითმმართველობის (ამჟამად თბილისის მერია) შენობები. რენესანსულ-ბაროკული სტილით აიგო ქართული გიმნაზიის (ამჟამად უნივერსიტეტის I კორპუსი), საარტისტო საზოგადოების (ამჟამად რუსთაველის თეატრი), კონსერვატორიის, სასტუმრო „თბილისის" შენობები.

1879 წელს აღდგენილი იქნა თბილისის ქართული პროფესიული თეატრი. დრამატული დასი ჩამოყალიბდა ქუთაისშიც. ქართველ მსახიობთა და რეჟისორთა მთელმა პლეადამ ამ ორ თეატრში ქართველი, რუსი და ევროპელი დრამატურგების კლასიკური ნაწარმოებები დადგა. ქართული თეატრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ ტაძრად იქცა. ქართული პროფესიული თეატრის სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები — ვასო აბაშიძე (1854-1926 წწ.), ლადო მესხიშვილი (1875-1920 წწ.), ნატო გაბუნია (1859-1910 წწ.), მაკო საფაროვა-აბაშიძისა (1860-1940 წწ.), ვალერიან გუნია (1862-1928 წწ.) და სხვ.

სახვითი ხელოვნება. მუსიკა. XIX ს.II ნახევარში შეიქმნა ღრმად ეროვნული სახვითი ხელოვნება, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო.

60-70-იან წლებში ჯერ კიდევ ნაყოფიერად მოღვაწეობ-

და მხცოვანი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე (1814-1885 წწ.), ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა. მან მრავალი [illegible] პორტრეტი შექმნა და წინ წასწია ქართული [illegible]ული მხატვრობა.

80-იან წლებში სარბიელზე გამოვიდნენ რომანოზ გველესიანი (1859-1884 წწ.) და ალექსანდრე ბერიძე (1858-1917 წწ.). დიდი ნიჭით დაჯილდოებულმა რ. გველესიანმა ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არაერთი საინტერესო, რეალისტური ნაწარმოები შექმნა. ა. ბერიძემ დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებაში.

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებელი იყო გიგო გაბაშვილი (1862-1936 წწ.), რომელმაც ორი ათასზე მეტი სურათი დატოვა, მათ შორის ისეთი შედევრები, როგორებიცაა: „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „ბაზარი სამარყანდში", „მთვრალი ხევსური" და სხვ. 90-იანი წლების მიწურულს მას გვერდში ამოუდგნენ ალექსანდრე მრევლიშვილი (1866-1933 წწ). და მოსე თოიძე (1871-1951 წწ).

ცალკე საგანგებოდ აღსანიშნავია გამოჩენილი მხატვარი, თვითნასწავლი ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) (1860-1918 წწ.), რომელმაც გვიან დაიმკვიდრა ღირსეული სახელი.

XIX ს. II ნახევარში იაკობ ნიკოლაძის რუდუნებით გაჩნდა ახალი დარგი ქართული ხელოვნებისა — ქანდაკება. იაკობ ნიკოლაძე (1876-1951 წწ.) დიდი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის მოწაფე იყო. უკვე 1897 წ. გამოიფინა მისი პირველი მნიშვნელოვანი ქანდაკება — „შოთა რუსთაველი", რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

XIX ს. 70-80-იან წლებში ახალი გზებით ვითარდება მრავალსაუკუნოვანი, ორიგინალური ქართული მუსიკა. დაარსდა პირველი სამუსიკო სასწავლებელი (შემდეგში თბილისის კონსერვატორია). შეიქმნა ქართული სიმღერების შემსრულებელი პირველი გუნდები ხარლამპი სავანელისა (1845-1890 წწ.) და მელიტონ ბალანჩივაძის (1862-1937 წწ.) ხელმძღვანელობით. ქართული სამუსიკო ფოლკლორი დაღუპვას გადა-

არჩინა იოსებ რატილისა და ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობამ, რომელთაც შექმნეს „ქართული საერო ხორო“. მალე მსგავსი „ხორო“ საქართველოს ყველა კუთხეში შეიქმნა. მომზადდა ნიადაგი ქართული პროფესიული მუსიკის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის. 1866 წ. მელიტონ ბალანჩივაძემ დაიწყო პირველი ქართული ოპერის „თამარ ცბიერის“ შექმნა.

XIX ს. II ნახევრის ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის განვითარების უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს მისი ეროვნულობა და „ევროპეიზაცია“ წარმოადგენდა.

50. საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907 წწ) პერიოდში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმის შემდგომი პერიოდის რუსეთის სწრაფი აღმავალი განვითარება ძირითადად ეკონომიკის სფეროში მოხდა. პოლიტიკური ხელისუფლება კვლავ თვითმპყრობელი, შეუზღუდავი მეფისა და მემამულეთა ხელში რჩებოდა. პოლიტიკური წყობილების ეკონომიკურ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელი იყო ან რეფორმატორული ევოლუციით, ან ბურჟუაზიული რევოლუციის გზით. XX ს. დამდეგს რუსეთში, რომელიც მანამდე სამრეწველო აღმავლობის გზით მიდიოდა, მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა და მასობრივი უმუშევრობა დაიწყო; ეს დაკავშირებული იყო მსოფლიო სამრეწველო კრიზისთან. ასპარეზზე მოწინავეობის პრეტენზიით პროლეტარიატი გამოვიდა, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული. ახალმა პროცესებმა თავი იჩინა საქართველოშიც, სადაც თბილისში (1901 წ.) და ბათუმში (1902 წ.) მუშათა მასობრივი გაფიცვა-დემონსტრაციები მოეწყო. მოვლენებს არ ჩამორჩებოდა საქართველოს გლეხობაც. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით 1902-1903 წწ. გურიაში გლეხთა კომიტეტები შეიქმნა. ასე იყო სხვა რეგიონშიც.

XX ს. დამდეგიდან დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპი, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის პირველ რევოლუციას.

რუსეთის პირველი რევოლუცია დააჩქარა რუსეთ-იაპონიის 1904 წ. ომმა, რომელშიც უზარმაზარი იმპერია სამარცხვინოდ დამარცხდა პატარა იაპონიასთან.

რევოლუციის დასაწყისი. პოლიტიკური პარტიების პროგრამები. რევოლუციის უშუალო საბაბად იქცა 1905 წ. 9 (22) იანვრის „სისხლიანი კვირა", როდესაც პეტერბურგში დახვრიტეს მუშათა დემონსტრაცია. მთელი იმპერია რევოლუციურმა აღტკინებამ მოიცვა. დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია.

რევოლუციამ დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური პარტიების კრისტალიზაცია და მათი პროგრამების მკვეთრი გამოკვეთა.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოში ყველაზე დიდი გავლენა სოციალ-დემოკრატიას ჰქონდა. მართალია, სოციალ-დემოკრატები 1903 წლიდან 1912 წლამდე ბოლშევიკებთან ერთად ფორმალურად ერთ პარტიას შეადგენდნენ, უკვე იმთავითვე მასში ორი მიმდინარეობა არსებობდა (ბოლშევიკური, მენშევიკური). ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესაძლებლობა არსებობდა და უნდა ჩამოყალიბებულიყო მუშათა და გლეხთა დიქტატურა. ისინი სიტყვით კი აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, მაგრამ სინამდვილეში ეროვნული ავტონომიის წინააღმდეგიც იყვნენ. მენშევიკთა აზრით, საჭირო იყო მეფის თვითმპყრობელური იმპერიის დამხობა ან გაუქმება, დემოკრატიული წყობილების შექმნა საზოგადოების ყველა პროგრესული ძალის მონაწილეობით, საზოგადოების ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის განვითარება იმ ვარაუდით, რომ საბოლოოდ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოება გარდაქმნილიყო სოციალისტურად. იგულისხმებოდა ბოლშევიკური ექსტრემიზმის დაძლევა და სხვა ეროვნულ და დემოკრატიულ პარტიებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. ეროვნულ საკითხში მენშევიკები „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისაკენ“ იხრებოდნენ, ნაწილი კი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას უჭერდა მხარს.

რევოლუციაში პირველ პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდა 1904 წ. დაარსებული „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია“. მათ პროგრამაში ჰქონდათ რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის საშუალებით საქართველოს ავტონომიის მოპოვება. ისინი განმანათლებელ-დემოკრატების კვალდაკვალ არცერთ კლასს არ მიიჩნევდნენ ეროვნული და სოციალური მოძრაობის წამყვან ძალად და ამ როლს ეროვნულ ინტელიგენციას აკისრებდნენ. თვით პარტიაც უმთავრესად ინტელიგენტებისაგან შედგებოდა, თუმცა პირველი რევოლუციის დროს ისეთ „არაინტელიგენტურ“ საქმესაც აკეთებდნენ, როგორიც იყო საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ფედერალისტთა ლიდერები (არჩილ

ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, კიტა აბაშიძე და სხვ.) ქართველ განმანათლებელთა უმუალო იდეური მემკვიდრეები იყვნენ. 1903 წ. მათ ... გამოსცეს გაზეთი „საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯორჯაძის ვარაუდით, რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ქართველი ერი თვით გაუძღვებოდა საკუთარ ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას ეროვნული პარლამენტისა და სხვა ავტონომიური დაწესებულებების საშუალებით, რაც შესაძლებელს გახდიდა: ა) ქართული ენის დაცვას; ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნას; გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენას. სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძე ადრე გარდაიცვალა (1913 წ.), მაგრამ მისმა შექმნილმა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნაში.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან ახლო იდგნენ ქართველი სოციალ-რევოლუციონერები, „ნეოხალხოსნები“ ანუ ესერები: მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, ივანე ჯაბადარი და სხვ. ქართველი ესერები აქტიურად მონაწილეობდნენ პირველ რევოლუციაში, რამდენჯერმე სცადეს დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბება, მაგრამ ეს მხოლოდ 1918 წ. განახორციელეს. ამ პარტიას ეკუთვნოდნენ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, გიგო ნათაძე, ივანე და იოსებ გობეჩიები, ილია ნუცუბიძე და სხვ. ამავე პარტიაში იყვნენ კოსმოპოლიტ-ანარქისტები (შალვა და კომანდო გოგელიები), რომლებიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის იმედს სახელმწიფოს ლიკვიდაციაზე ამყარებდნენ.

1917 წ. ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მანამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიმდინარეობა იყო. მის სათავეებთან ილია ჭავჭავაძე იდგა, რომელსაც 1906 წელს წარუდგინეს პარტიის პროგრამა შესასწორებლად. მაშინ პარტიის დაარსება ვერ მოხერხდა. საამისოდ ეს მიმდინარეობა 1913-1914 წწ. მომწიფდა სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, ვასილ და მიხეილ წერეთლების, ზურაბ ავალიშვილის, გრიგოლ ვეშაპელის, რევაზ გაბაშვილისა და სხვათა მონაწილეობით. ამ მოღვაწეებმა დაჟინებით იწყეს საქართველოს სუვერენ-

იტეტის აღდგენის აუცილებლობის ისტორიული და თეორიული დასაბუთება. 1917 წ. 4 ივნისს თბილისში შეიკრიბა ეროვნულ-დემოკრატთა ყრილობა, რომელზეც შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მის პროგრამულ პრინციპებად აღიარებული იქნა — ეროვნულობა (ნაციონალიზმი), კაპიტალიზმი, დემოკრატიზმი. ყრილობამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია ნიკო ნიკოლაძე, ხოლო მოქმედ ხელმძღვანელად სპირიდონ კედია.

რევოლუციის აღმავლობა და მარცხი. 1905 წ. იანვარ-თებერვალში საქართველოს მოსახლეობის გამოსვლები უმთავრესად საპროტესტო ხასიათისა იყო, მაგრამ აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. თებერვალში სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს ჩაეშალათ შავრაზმელთა ცდა, თბილისში მოეწყოთ სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ულეტა. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1905 წ. ივნისის საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც თბილისის მუშებს მხარი დაუჭირეს ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურის გაფიცულმა მუშებმა. ორგანიზებული ხასიათი მიიღო გლეხთა კომიტეტების შექმნამ სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, რაჭა-ლეჩხუმის, დუშეთის მაზრებში.

1905 წ. ოქტომბერში მოეწყო სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელშიც საქართველო აქტიურად მონაწილეობდა. მასში ჩაება მოსახლეობის ყველა ფენა, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია და მიმდინარეობა. რუსეთის თვითმპყრობელობა პოლიტიკური კატასტროფის წინაშე დადგა. ნიკოლოზ II-ემ 1905 წ. 17 ოქტომბერს მანიფესტი გამოსცა და არჩევნების გზით რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — სახელმწიფო სათათბიროს („დუმის") შექმნა დაადგინა. მანიფესტი აღიარებდა პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვის, კრებებისა და კავშირების ძირითად პოლიტიკურ თავისუფლებებს.

მალე ოპოზიციური პარტიებისათვის ნათელი გახდა, რომ ეს იყო ერთგვარი მანევრი. 12 დეკემბერს თბილისში კვლავ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო. 15 დეკემბერს მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს თბილისს, შემდეგ კი დაიკავეს იგი. 18 დეკემბერს დაეცა

ნაძალადევი, რომელსაც მუშათა რაზმი იცავდა. მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ რევოლუციამ უკანდახევა დაიწყო, მაგრამ საქართველოში ბრძოლა გრძელდებოდა. 23 დეკემბრისათვის აჯანყება ფაქტობრივად სისხლში იყო ჩამხრჩვალი. დასავლეთ საქართველოს გლეხობის დასასჯელად რაზმი გაიგზავნა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

1907 წ. 3 ივნისს მეფის ბრძანებით გარეკეს სახელმწიფო სათათბირო. ახალ სათათბიროში უმრავლესობა თვითმპყრობელობას ჰყავდა. დაიწყო რეაქციის პერიოდი.

რევოლუციის მსვლელობაში ტერორი ბევრ გამოჩენილ ინტელიგენტს მოუწყვეს. რუს შოვინისტთა შავრაზმულ თარეშს ემსხვერპლა პედაგოგი გოლა ჩიტაძე, მეცნიერი საბა კლდიაშვილი, სტუდენტი ექვთიმე მუჯირი, მოსამართლე და ცნობილი მოღვაწე ნიკო ხიზანიშვილი. შემთხვევით გადაურჩა ტერორისტებს კომპოზიტორი ია კარგარეთელი, 26 სიკვდილმისჯილ თანამებრძოლთან ერთად ქუთაისის ციხიდან გაქცევა მოახერხა ლეო შენგელაია-ქიაჩელმა, გადასახლებაში დაიღუპნენ ჭოლა ლომთათიძე და ირიდიონ ევდოშვილი, სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწით უშველეს თავს მიხეილ ჯავახიშვილმა, თედო სახოკიამ, გერონტი ქიქოძემ. რუსეთს გადაასახლეს ეპისკოპოსი კირიონი.

51. საქართველო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის პერიოდში (1907–1916 წწ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წ. 3 ივნისს დაწყებული რეაქციის პერიოდი 3 წელს გაგრძელდა. საქართველო, რომელმაც სოციალურთან ერთად ეროვნული თავისუფლების მოთხოვნები წამოაყენა, საგანგებოდ ისჯებოდა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. უზარმაზარი იმპერიის რევოლუციურ, სოციალურ და ეროვნულ დემოკრატიას ძალა არ ეყო თვითმპყრობელურ მონარქიაზე გასამარჯვებლად, უამისოდ კი პატარა საქართველოს ეროვნული და სოციალური მოძრაობაც დამარცხდა. ვერაფერი შეედრებოდა იმ უბედურებას, რაც პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოს დაატეხა თავს რუსეთიდან გამოგზავნილმა მრავალრიცხოვანმა დამსჯელმა ჯარმა, რომელმაც უწყალოდ დაარბია და გაანადგურა მრავალი სოფელი და ქალაქი. „არც ერთი ბარბაროსული მთავრობა უძველესი დროისა, — ნათქვამია ერთ მაშინდელ საისტორიო საბუთში, — არ მოქცევია ასე აღებულ მტრის ქალაქს. სისხლი მდინარეებად იღვრებოდა. ყველგან გაისმის წყევლა-კრულვა, ტირილის ზარი და მომაკვდავთა კვნესა. საპყრობილეები აივსო. ასობით და ათასობით კაცს სამუშაოდან ითხოვენ და შიმშილის მსხვერპლად ხდიან“. მომსწრენი იგონებენ, რომ „რევოლუციის დათრგუნვის ეპოქაში საქართველომ განიცადა ისეთი განადგურება, თითქოს მას გადაეტანოს მტრის შემოსევა“.

მიუხედავად რევოლუციის მარცხისა, უმაღლესი ხელისუფლება იძულებული გახდა სახელმწიფო წყობილებაში სერიოზული ცვლილებები შეეტანა. მეფემ საკანონმდებლო ხელისუფლება სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოსთან ერთად გაინაწილა. სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩეული იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც სათავადაზნაურო ხმებით გავიდა, მაგრამ გამოაცხადა, რომ „მთელი საქართველოს“, მისი ყველა ფენის ინტერესების დამცველი იქნებოდა.

1907 წ. 30 აგვისტოს ხუთმა ტერორისტმა წიწამურთან მოკლა ილია ჭავჭავაძე. დღემდე გაურკვეველია, თუ ვისი

მითითებით ჩაიდინეს ეს ვერაგული მკვლელობა — მეფის „ოხრანკის“ დავალებით, როგორც ადრე იყო მიჩნეული თუ სოციალ-დემოკრატი ექსტრემისტების გადაწყვეტილებით, რომლებიც წლების განმავლობაში ყველა მეთოდით და საშუალებით ებრძოდნენ მას. საფიქრებელია, რომ საუკუნის ეს უდიდესი და ტრაგიკული, ამასთან, სამარცხვინო აქტი, უწინარესად მებრძოლ ძალთა ურთიერთდაპირისპირებულობაზე აღმოცენებული განუკითხაობის, შურისძიებისა და უაზრობის შედეგი იყო. ქართველმა ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის შვიდდღიანი გლოვაც კი საგანმანათლებლო მიზნით გამოიყენა და მთელ საქართველოს კი არა, მთელ ქვეყანას მოჰფინა თვალსაზრისი მისი დიდი შვილის და მასთან ერთად მისი ერის უკვდავებისა.

მალე რუსეთში თვითმპყრობელობა იძულებული გახდა გაეტარებინა აგრარული რეფორმა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის საერთო პროგრესის გზაზე. რეფორმის შედეგად გლეხობა მთლიანად განთავისუფლდა „ნადელების“ გამოსასყიდი გადასახადებისაგან. გლეხს უფლება მიეცა გასულიყო სასოფლო თემიდან და დამოუკიდებელი ფერმერული მეურნეობა შეექმნა. მას მიწის ყიდვა-გაყიდვის შეუზღუდავი უფლება მიეცა. სტოლიპინის რეფორმას იმპერია ფორსირებული ეკონომიკური განვითარების დიდ გზაზე გამოჰყავდა, რაც ხელს არ აძლევდა ექსტრემისტულ ძალებს, რომელთაც დიდი რეფორმატორი ტერორის გზით მოიცილეს.

სტოლიპინის რეფორმა საქართველოს ეკონომიკისათვისაც სასარგებლო გამოდგა, თუმცა ამ რეფორმას ანეიტრალებდა მის მიერ ხელშეწყობილი კოლონიზაცია რუსეთის შიდა ოლქებიდან განაპირა მხარეებში, კერძოდ საქართველოში. 1908-1915 წწ. საქართველოში ჩამოასახლეს 66 000 რუსულენოვანი მოსახლე. ეს დიდი გეგმის ნაწილი იყო, რადგან ხელისუფლება ვარაუდობდა 500 000 კოლონისტის ჩამოსახლებას ამიერკავკასიაში.

მცირე იყო ქართული ელემენტი საქართველოს ბურჟუაზიაში. ქართველ კაპიტალისტთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელიც კი არ იყო (გამოჩენილი მრეწველი-მოღვაწეები: დ. სარაჯიშვილი, ძმები კოტე, სტეფანე, პეტრე, იაკობ

ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია)... გაბატონებული მდგომარეობა საქართველოს მრეწველობაში უცხოელ და სომეხ მრეწველებს ეპყრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რევოლუციას საქართველოში ძირეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები არ მოჰყოლია, და სწორედ ამიტომაც მალე კვლავ აღმავლობა იწყო სოციალურმა და ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის წარმმართველი ძალა იყო მთელი მესამე წოდება, განსაკუთრებით მისი ყველაზე მოძრავი და წამყვანი ძალა — ინტელიგენცია.

სერიოზული ცვლილებები მოხდა პოლიტიკური პარტიების ძალთა თანაფარდობაში. ბოლშევიკები და მენშევიკები, ფორმალური გაერთიანების მიუხედავად, ფაქტობრივად დამოუკიდებელ პარტიებად რჩებოდნენ. მენშევიკებმა მოახდინეს თავის საქმიანობის ლეგალიზაცია და საქართველოს ყველაზე გავლენიან პარლამენტური ტიპის დემოკრატიულ პარტიად იქცნენ. ბოლშევიკები მთელი ენერგიით არალეგალურ-ექსტრემისტულ მოღვაწეობას მისდევდნენ. ეროვნული პარტიებიდან გამოირჩეოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის ძირითადი საპროგრამო მოთხოვნა კვლავ იყო ეროვნული ავტონომია.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ახლებურად დააყენა საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხები. ბოლშევიკების აზრით (მათ შორის ქართველთა), ეს ომი იყო ორივე მხრიდან უსამართლო. ამიტომაც ისინი ცდილობდნენ გადაექციათ იგი სამოქალაქო ომად, რევოლუციის შედეგად დაემხოთ მთავრობა და განემტკიცებინათ რუსეთისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთიანობა. ვისთვის რა სიკეთე უნდა მოეტანა პარტიას, რომელიც საკუთარი ქვეყნის დამარცხებას არათუ ფარულად უჭერდა მხარს, ეს თეზისი საპროგრამოდ ჰქონდა გამოტანილი.

საქართველოს მენშევიკები, რუსეთის მენშევიკების კვალდაკვალ აღიარებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მაგრამ თვლიდნენ, რომ ყოველი ქვეყნის პროლეტარიატს თავისი სამშობლო უნდა დაეცვა.

სოციალ-ფედერალისტები ითხოვდნენ ომისათვის „ეროვნული

ხასიათი“ მიეცათ. არცთუ ისე უსაფუძვლოდ ისინი თვლიდნენ, რომ ომმა აჩვენა კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრების მცდარობა.

ომმა მალე დაამტკიცა, რომ ჩამორჩენილ იმპერიას ვერ ძალუძდა სერიოზული და გადამწყვეტი შედეგებისათვის მიეღწია ფრონტებზე. გახანგრძლივებულმა ომმა მთლიანად გამოფიტა რუსეთის ახალწამოჩიტული ეკონომიკა და კატასტროფის წინაშე დააყენა ქვეყანა. შეიქმნა უმძაფრესი კრიზისი. თვით მმართველი ზედაფენა თვალნათლივ ხედავდა, რომ ხელისუფლების არსებული სახით შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

ომმა კატასტროფის წინაშე დააყენა პატარა საქართველოს მეურნეობაც. პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე 200 000 კაცი გაიწვიეს, რომელთა უმრავლესობა დაიღუპა ან დასახიჩრდა. შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის ფრონტებზე ყოფნის გამო დაქვეითდა სოფლის მეურნეობა, შეწყდა სამთამადნო სამუშაოები.

იმპერია და მისი პატარა ნაწილი, საქართველო, თავისი უახლესი ისტორიის ზღურბლზე იდგა.

52. თებერვლის რევოლუცია რუსეთში და საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 წლის დასაწყისში პეტროგრადში დაიწყო მუშათა მღელვარებები, რასაც მალე ჯარისკაცები შეუერთდნენ. საყოველთაო აჯანყებამ რუსეთში მოულოდნელად გამოიწვია თვითმპყრობელობის დამხობა. გაიმარჯვა 1917 წლის თებერვლის დიდმა რევოლუციამ. დაიწყო რუსეთის უზარმაზარი იმპერიის დაშლა, თუმცა თვითონ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთაგან შედგენილი დროებითი მთავრობა თავად გ. ლვოვის მეთაურობით და მისი მაკონტროლებელი ორგანო — პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო სოციალ-დემოკრატ კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით ერთხანს კიდევ ცდილობდნენ რუსეთის, როგორც „ერთიანი და განუყოფელი" სახელმწიფოს მართვას.

1917 წლის რევოლუციას კიდევ უფრო ნაკლებად მოელოდნენ საქართველოში. შემთხვევითი რიდი იყო, რომ როდესაც გოგიტა ფალავამ პეტროგრადიდან თბილისში კონსპირაციული დეპეშა გამოგზავნა — „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებსა და ნაცნობებსო" — ენაკვიმატი ხალხი ხუმრობდა — „რევოლუცია ფოსტით მივიღეთო". თბილისელები საზეიმო მიტინგებითა და მანიფესტაციებით შეხვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას. ქალაქიდან წავიდა მეფისნაცვალი. ასპარეზი ყველაზე პოპულარულ სოციალ-დემოკრატებს დარჩათ და მათი თაოსნობითვე იქნა არჩეული თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეობდა ესერი ვერეშჩაკი, ქალაქის ახალ თვითმმართველობას უძღვებოდნენ ნოე ჟორდანია, ხატისოვი და პოპოვი. მთელი ამიერკავკასიის მართვა რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაავალა საგანგებოდ შექმნილ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს („ოზაკომს") კადეტ ვ. ხარლამოვის მეთაურობით. წევრები იყვნენ ქართველთა, რუსთა და სომეხთა წარმომადგენლები, ქართველთაგან ჯერ კიტა აბაშიძე, მერე, მისი გარდაცვალების შემდეგ — აკაკი ჩხენკელი. საბჭოებს ფორმალურად განსაკუთრებული

კომიტეტის საქმიანობის გაკონტროლების ფუნქცია ჰქონდათ, ფაქტობრივად კი რეალურ ძალაუფლებასაც ფლობდნენ.

1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რისთვისაც რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან იბრძოდნენ ქართველი სასულიერო და საერო მოღვაწეები: კირიონი — გიორგი საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე ცაგარელი, თედო ჟორდანია და სხვ. 17 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონი. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ.

ამავე ხანებში ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფმა 1917 წელს მოწვეულ ყრილობაზე დაასრულა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის მრავალწლიანი პროცესი.

1917 წ. მაისში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე. რეზოლუციაში ძირითადად საუბარი იყო თავისუფალი კულტურული განვითარების უზრუნველყოფაზე რუსეთის ფარგლებში, რუსეთის სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაციის პირობებში. ეს, ყრილობის აზრით, რუსეთის ისტორიაში პირველად ქმნიდა საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით ეროვნული საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას. რეზოლუცია მიუთითებდა, რომ რუსეთის ყველა ერს სრული შინაგანი თვითმმართველობა უნდა მინიჭებოდა.

იმავე წლის 27 ივლისს განსაკუთრებულმა კომიტეტმა („ოზაკომმა") თავის მიმართვაში ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი დაგმო გლეხთა მიერ მიწების თვითნებური დაკავება და მოუწოდა მათ დალოდებოდნენ დამფუძნებელი კრების საბოლოო გადაწყვეტილებას მიწის საკითხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებული კომიტეტი დროებითი მთავრობის სახელით კანონის მთელი სიმძიმით დასჯას უქადდა თვითნებობის ჩამდენთ.

სრული დამოუკიდებლობის მოპოვება ჯერ რუსეთის დამფუძნებელი კრების კომპეტენცია ჩანდა. 1917 წ. აგვისტოში შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო, რომელშიც მენშე-

ვიკები, ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სამომავლო გეგმებს უთანხმებდნენ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მისი საზღვრების შესახებ მსჯელობას არ გასცილებია.

ამასობაში რუსეთის ცენტრში ახალი მოვლენები განვითარდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახ. სტ. 7 ნოემბერს) პეტროგრადში მოხდა ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალება. ა. კერენსკის დროებითი მთავრობა დაემხო.

საქართველოში მოქმედმა ყველა პარტიამ ოქტომბრის გადატრიალება ავანტურად მიიჩნია და უნდობლობა გამოუცხადა მას. მეტიც, ამ პარტიების შეთანხმების შედეგად ამიერკავკასიის სხვა პარტიებთან, თბილისში 1917 წ. 15 ნოემბერს შეიქმნა მთავრობა ამიერკავკასის კომისარიატის სახელწოდებით.

53. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის კომისარიატში შევიდნენ სოციალ-დემოკრატთა, დაშნაკციუტუნის, მუსავატისა და სოციალ-ფედერალისტთა წარმომადგენლები. მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ევგენი გეგეჭკორი. მთავრობის მიზანი იყო ამიერკავკასიის მართვა რუსეთში ანარქიის დამთავრებამდე და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ამ დროისათვის პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის ყოფილი იმპერიის დაშლის პროცესი კულმინაციას უახლოვდებოდა, იქმნებოდა ეროვნული საბჭოები. მაგალითად, საქართველოში უკვე შეიქმნა სომხების, რუსების, აფხაზების, ოსების ეროვნული საბჭოები. მომწიფდა საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნაც, რაც მოხდა 1917 წლის 19 ნოემბერს, ოპერის თეატრში გამართულ ეროვნულ ყრილობაზე, რომელსაც მთელი საქართველოს სხვადასხვა პარტიული რწმენის 324 დელეგატი ესწრებოდა, აგრეთვე მრავალი სტუმარი მეზობელი ქვეყნებიდან და უცხოეთიდანაც კი. ინტერპარტიული საბჭოს სახელით ეროვნული ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა. მოხსენება „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერი" გააკეთა ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულმა ნოე ჟორდანიამ. ყრილობამ მოიწონა ქართველი თავადაზნაურობის საკრებულოს პატრიოტული თაოსნობა — უსასყიდლოდ გადაეცა ქართველი საზოგადოებისათვის მრავალ მილიონ მანეთად ღირებული თავისი უძრავ-მოძრავი ქონება. ყრილობამ 20 დეკემბერს აირჩია ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ეროვნულმა საბჭომ, ამიერკავკასიის კომისარიატმა და თბილისის საბჭომ 1917 წლის 29 ნოემბერს ბოლშევიკ ჯარისკაცთა გარნიზონს თბილისში ხელიდან გამოგლიჯეს არსენალი, დეკემბერში კი ისიც მოახერხეს, რომ თურქეთის ფრონტიდან უწესრიგოდ დაბრუნებულ ჯარისკაცთა ბობოქარი მასა თბილისის გაუვლელად გააგზავნეს რუსეთში და ასე გადაარჩინეს ამიერკავკასიის კომისარიატი დამხობას, ხოლო საქართველო და ამიერკავკასიის დედაქალაქი

— ოკუპაციას რუსეთის არმიისაგან. სწორედ ეს ჰქონდათ განზრახული ბოლშევიკებს სტეფანე შაუმიანის მეთაურობით, რომელიც კრემლმა „კავკასიის კომისრად“ მანდატით აღჭურვილი, თბილისში გამოგზავნა ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

1918 წლის იანვარში გაიხსნა რუსეთის დამფუძნებელი კრების სესია, მაგრამ იმის გამო, რომ მან შეურიგებლობა გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკებმა გარეკეს იგი. სათათბიროს ამიერკავკასიელმა დეპუტატებმა, გარდა ირაკლი წერეთლისა, დასწრებაც კი ვერ მოახერხეს სესიაზე. ირაკლი წერეთელმა ბევრი ამტკიცა დამფუძნებელი კრების უზენაესობა დიქტატორულ საბჭოთა ხელისუფლებასთან შედარებით, მაგრამ ამაოდ. ისღა რჩებოდა, რომ 1918 წლის 22 იანვარს 26 ამიერკავკასიელი დეპატატი თბილისში შეკრებილიყო და შეექმნა საკანონმდებლო ორგანო „ამიერკავკასიის სეიმის“ სახელწოდებით.

1918 წლის იანვარში ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის. 18 იანვარს გერმანიის დელეგაციამ ჰკითხა ლევ ტროცკის, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს, არის თუ არა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის ნაწილი, რაზეც ტროცკიმ უპასუხა, არისო. მაშინ გერმანიამ მოითხოვა, რუსეთის ჯარმა, როგორც დამარცხებულმა, ისევე დატოვოს ამიერკავკასია, როგორც პოლონეთი, ბელორუსია და ლატვიის ნაწილი, უკრაინა და ფინეთიო. ეს სურდა გერმანიის მოკავშირე თურქეთსაც, რომლებიც არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქების მათთვის გადაცემას ითხოვდნენ. ბრესტის ზავის დადებისას ამიერკავკასიიდან არავინ მიუწვევიათ და რუსეთმა ქართველებისა და სომხების დაუკითხავად „დაუთმო“ დასახელებული ოლქები თურქეთს. ამიერკავკასიის მთავრობამ კარლო ჩხეიძისა და ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით უარი განაცხადა ბრესტის ზავის მეორე მუხლის ცნობაზე, სადაც საუბარი იყო მიწა-წყლის თურქებისათვის გადაცემაზე. თურქეთმა ძალით დაიკავა ეს ტერიტორია, ბათუმი აიღო და თბილისსაც უმიზნებდა. ჩაიშალა თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკება ტრაპიზონში. 11 მარტს ბათუმში ამიერკავკასიის მთავრობა

იძულებული გახდა ეცნო ბრესტის ზავის მძიმე პირობები, მაგრამ თურქეთი ამით უკვე აღარ კმაყოფილდებოდა და მთელი საქართველოს ოკუპაციას ესწრაფვოდა. გამოიჩინა ეროვნული წინააღმდეგობები ამიერკავკასიის სეიმშიც. ასეთ ვითარებაში საქართველოზე ზრუნვა ითავა მისმა ეროვნულმა საბჭომ, რომლის სახელით აკაკი ჩხენკელმა დაითანხმა ბათუმში საშუამავლო მისიით ჩამოსული გერმანიის დელეგაციის მეთაური, ჩარეულიყო ამიერკავკასია-თურქეთის დავაში. ამას მოჰყვა ამიერკავკასიის სეიმის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მას შემდეგ რაც თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა საკითხი ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარებისა და მის მიერ დაპყრობილ სამხრეთ კავკასიაში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. 22 აპრილიდან, ამიერკავკასია, სეიმის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებელი ფედერაციული სახელმწიფოს სტატუსით გამოდიოდა, მაგრამ ამან ვერ უშველა საქმეს. სიტუაციამ უკარნახა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას დათანხმებოდა აკაკი ჩხენკელის მოსაზრებას, რომლის მიხედვით თურქეთის შემოსევისათვის უნდა დაეპირისპირებინათ „გერმანიისაგან ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო". დამოუკიდებლობის აქტის პროექტი ბათუმში შეადგინეს ნოე ჟორდანიამ, ზურაბ ავალიშვილმა, აკაკი ჩხენკელმა, ნიკო ნიკოლაძემ და პეტრე სურგულაძემ. აქტი იუწყებოდა, რომ „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ გამოაქვეყნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". აღდგა 117 წლის წინ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. ეს ისტორიული აქტი იყო XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ეროვნული და სოციალური მოძრაობის დამაგვირგვინებელი უმთავრესი შედეგი.

54. ქართული კულტურა 1901-1917 წწ.

XX ს. დასაწყისისათვის დიდი ცვლილებები მოხდა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. იზრდებოდა ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის და ამავე დროს წინა პლანზე იდგა ეროვნული თვითშეგნება. ამ ორი საწყისის მორიგება იყო სხვადასხვა თაობისა და მიმდინარეობის ქართველ მოღვაწეთა უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავი.

მწერლობა. ქართული კულტურის მეთაურის როლს კვლავ მხატვრული ლიტერატურა ასრულებდა. საუკუნის დამდეგს მას ილია, აკაკი და ვაჟა წინამძღოლობდნენ. უკვე ამ დროისათვის სახელმოხვეჭილი მწერლები იყვნენ დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი და შიო არაგვისპირელი.

ჰუმანისტური სიბრალულის თვალსაზრისი უდევს საფუძვლად დავით კლდიაშვილის ცრემლნარევ სიცილსა და ნაზ იუმორსაც, რომლითაც იგი წარმოსახავს თავის მოთხრობებსა და პიესებში „შემოდგომის აზნაურთა" ტრაგიკომიკურ მდგომარეობას („შერისხვა", „მსხვერპლი", „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქამუშაძის გაჭირვება" და სხვ.).

შიო დედაბრიშვილი-არაგვისპირელი (1867-1926 წწ.) მოპასანს მიიჩნევდა თავის მასწავლებლად. მისი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ნოველების მთავარი თემები იყო ადამიანთა რაობა, პიროვნების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, მდაბიო ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გაღვიძება. შიო არაგვისპირელმა ასახა მესამე წოდების, განსაკუთრებით ინტელიგენციის განწყობილება და პროტესტი ადამიანის დაკნინების, ეროვნული ნიჰილიზმის, ჩაგვრისა და ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

ვასილ ბარნაველი-ბარნოვი 1900 წლამდე უმთავრესად მცირე ფორმის ნაწარმოებებს წერდა, შემდეგ კი ვრცელ რომანებსაც. მის შემოქმედებას ყველა სოციალური წრიდან გამოსულ „საშუალო ადამიანზე მოხაზულ-გამოჭრილი", ხალხის დიდი უმრავლესობისათვის ჩამოყალიბებული განმანათლებლურ-ლიბერალური თვალსაზრისი უდევს საფუძვლად.

პირველი რევოლუციის დროინდელი ქართული კრიტიკულ-რეალისტური პოეზიის ნატურალიზმის მიმართულებით სვლის მაჩვენებელი იყო ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას (1868-1951 წწ.) ახლებური რომანები („მოლიპულ გზაზე", „ბედის ტრიალი") და კონდრატე თათარაშვილი-უარაღოს (1872-1929 წწ.) სოციალური რომანები („მაძიებელნი", „მამელუკი").

ნატურალისტურმა რეალიზმმა, საზოგადოებრივი ცხოვრების შეუფარავმა, უშუალო, შიშველმა გადაღებამ, მხატვრული ფორმისა და აზროვნების უგულებელყოფამ თავი იჩინა პირველი და მეორე რევოლუციის დროინდელ ქართულ პოეზიაშიც, თუმცა იმავე დროს სწორედ პოეზიაში აისახა მეტი სისრულით ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარი ხალხის განწყობილება და მსოფლმხედველობა. იმდროინდელ ქართულ ლიტერატურას განსაკუთრებული კვალი დააჩნია ჯერ პოეტმა ეროდიონ ევდოშვილმა (1873-1916 წწ.) და მისმა სკოლამ (ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, სიკო ფაშალიშვილი, შიო მღვიმელი, დუტუ მეგრელი (ხოშტარია), ია ეკალაძე, გიორგი ქუჩიშვილი), მერე პოეტური პროზის დიდოსტატმა ჭოლა ლომთათიძემ (1878-1915 წწ.) და დრამატურგმა შალვა დადიანმა (1874-1959 წწ), რომელთა სახით აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის ეროვნულ-დემოკრატიზმს გვერდით ამოუდგა სოციალ-დემოკრატიზმი.

თავისებური რომანტიკულ-იმპრესიონისტური ელვარება ახლავს მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937 წწ.) იმ ათიოდე მოთხრობას, ხელისუფლების მიერ რევოლუციური ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის დევნილმა მწერალმა 1903-1913 წ. რომ გამოაქვეყნა („ჩანჩურა", „მეჩექმე გაბო", „უპატრონო", „ეკა", „კურკას ქორწილი", „ეშმაკის ქვა", „ჯილდო" და სხვ.), ეს მოთხრობები რეალიზმისა და ჰუმანიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მათში ზოგჯერ ყრუ, ზოგჯერ აშკარა პროტესტია გამოთქმული ადამიანის შეურაცხყოფელი წყობილებისადმი და თანაგრძნობა საზოგადოების ფსკერზე მოხვედრილი საბრალო ადამიანებისადმი.

კრიტიკული რეალიზმის გვერდით 900-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში თავს იჩენდა მისი საპირისპირო ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებაში, დასავლეთ ევროპაში, იმპრესიონიზმს უწოდებდნენ. იმპრესიონისტულ ნაწარმოებებში დიდ საზოგადოებრივ პრობლემათა დასმასთან ერთად მოვლენათა მასშტაბური სოციალური ასახვის ადგილს შეგრძნებათა და შთაბეჭდილებათა, განცდათა და წარმოდგენათა ელვისებური აღქმა, ერთი შეხედვით დანახვა იკავებდა. ამ პრინციპების მიხედვითაა შექმნილი არისტო ჭუმბაძის, ჯაჯუ ჯორჯიკიას, აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი ბელეტრისტული თუ პოეტური მინიატურა.

რეალიზმის გვერდით, მისი თანდათანობითი უარყოფის გზით ნეორომანტიზმზე გადასვლის ტენდენცია ჯერ კიდევ 900-იან წლებში გამოვლინდა ცალკეული ქართველი პოეტების შემოქმედებაში, მერე კი, 1910-იან წლებში ამ ტენდენციამ ლიტერატურული სკოლისა და მიმართულების სახე მიიღო „ცისფერყანწელებთან" (ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვ.).

XX ს. დამდეგს გამოვიდა ასპარეზზე გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959 წწ.), „ლირიკოსთა ლირიკოსი", რომელმაც ღრმა აზრი, უფაქიზესი განცდა და ჯერ არსმენილი მუსიკა მოიტანა ახალ ქართულ პოეზიაში. მან დაამკვიდრა საბოლოოდ თანამედროვე პოეტიკური კულტურა. ქართულ ლირიკას გალაკტიონ ტაბიძემ უნივერსალური, მსოფლიო რეზონანსი მოუპოვა. თავისი ეპოქის ფარგლებში მან საბოლოოდ დაასრულა ქართული პოეზიის ევროპეიზაციის ადრე დაწყებული პროცესი. გალაკტიონის მთავარი სალოცავი სამშობლო იყო („ხალხური მოტივებიდან", „მამული", „ძველი წისქვილი", „ციხის ნანგრევებთან", „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია" და სხვ.). შედარებით მცირე და სევდიანი, მაგრამ ადამიანის სულის ამამაღლებელი ლექსები შექმნა პოეტმა სიყვარულის მარადიულ თემაზე („უსიყვარულოდ", „მერი", „მესაფლავე", „მზეო თიბათვისა"...). სიახლის გრძნობა გალაკტიონს სულ უფრო უძლიერდებო-

და მოახლოებულ რევოლუციასთან ერთად. თვითმპყრობელობის დამხობამ პოეტს დიდებული ლექსები დაანერინა. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკით დამთავრდა ... დაიწყო უახლესი ქართული პოეზიის ისტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებით გააქტიურა თავის მოღვაწეობა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ასალორძინებლად 1917 წლიდან, როდესაც დაფუძნდა საქართველოს მწერალთა კავშირი კოტე მაყაშვილის, შალვა დადიანის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა მეთაურობით.

პრესა. XX ს. დამდეგიდან მნიშვნელოვნად განვითარდა ქართული პრესა. თუ XIX ს. უკანასკნელ ოცწლეულში ყოველწლიურად საშუალოდ 4-8 ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, 1902-1920 წწ. მათი რიცხვი 10-38-ს უდრიდა. პრესა ჟანრობრივადაც და თემატიკურადაც მრავალფეროვანი გახდა. გაფართოვდა მისი არეალი, რომელშიც მარტო საქართველოსი კი არა, საზღვარგარეთის რიგი ქალაქებიც შედიოდა. დაარსდა არაერთი ლიტერატურული, თეატრალური, საისტორიო, პედაგოგიური, ეკონომიკური, სამედიცინო და სხვ. ორგანო. საქართველოს ყველა პარტიას, პოლიტიკურ ძალას თავისი ორგანო ჰქონდა.

რაოდენობრივად და თვისობრივად იზრდებოდა ქართული წიგნის გამოცემის საქმეც. 1920 წლამდე თითქმის 300 წლის განმავლობაში დაბეჭდილი 6 ათასამდე წიგნიდან 3 ათასზე მეტი 1901-1920 წწ. გამოიცა. აქედან, 1903-1907 წწ. — 800-მდე, 1908-1913 წწ. — 1000-ზე მეტი, 1914-1920 წწ. კი 1298 დასახელების ქართული წიგნი.

განათლება. მეცნიერება. XX ს. დასაწყისიდან განუხრელად იზრდებოდა დაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვი. 1901-1915 წწ. საქართველოში დაწყებითი სკოლების რიცხვმა თითქმის ოთხჯერ იმატა. საშუალო სკოლებში (გიმნაზიებში) სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იმპერიის საერთო-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის ფონზე სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პირველმა ყრილობამ (1913 წ. დეკემბერი-1914 წ. იანვარი) ეროვნულ ენაზე სწავლება დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ წლებში გამოჩენილი ქართველი

პედაგოგების იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ილია წინამძღვრიშვილის, ანთიმოზ ჯუღელის, იოსებ ოცხელის, ლუარსაბ ბოცვაძის, თედო რაზიკაშვილის, ნიკოლაოს ჯანაშიას ღვაწლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგენას და განახლებას საჭიროებდა საქართველოს უმაღლესი განათლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, მაგრამ ხელისუფლება ამის ნებას არ იძლეოდა. XX ს. დამდეგს საუნივერსიტეტო შენობაც კი ააგეს, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობა ისე დაემხო, რომ ქართველ ხალხს უმაღლესი სასწავლებელი არ აღირსა. ამის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდობის არცთუ მცირე ნაწილი მაინც ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში, სადაც აღიზარდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული მეცნიერების ის რჩეული მოღვაწენი, რომელთაც 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს თბილისის უნივერსიტეტი დააარსეს. მისი დამფუძნებლები იყვნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები — ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ყიფშიძე, სიმონ ავალიანი, ანდრია რაზმაძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და სხვ.

. უნივერსიტეტის დაარსებამ და მთელი სასკოლო განათლების გაეროვნულებამ უაღრესად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო საქმიანობაზე. რამდენიმე თვით ადრე, 1917 წლის მაისში დაარსდა თბილისის კონსერვატორია. იმავე დროს დაარსდა თბილისში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთადერთი პროფესიული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება-კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქართველოლოგიური მეცნიერების ყველა დარგის წინსვლაში.

განახლებისა და განვითარების მიუხედავად, ქართული მეცნიერული აზროვნება XX საუკუნემდე კვლავ ტრიალებდა განმანათლებლობისა და უმთავრესად ფაქტების შეგროვების ჩარჩოებში, მხოლოდ ნიადაგს ამზადებდა თავის

ახალი ალმავლობისათვის.

ახალი ქართული მეცნიერების დარგებიდან XX ს. ოცწლეულში ყველაზე მეტად გაძლიერდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის კვლევა. ეს იყო პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის აყვავების წლები, როდესაც გამოქვეყნდა ფუნდამენტური საენათმეცნიერო, ისტორიული და სალიტერატურო გამოკვლევები. ამ სკოლის ხელმძღვანელმა ნიკო მარმა აღზარდა მთელი პლეადა ბრწყინვალე ქართველოლოგებისა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით. ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ცაგარელი, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე, მიხეილ წერეთელი და სხვ.

ძველი და ახალი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ყოველმხრივი შესწავლის ცდა იყო ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, კორნელი კეკელიძის, გერონტი ქიქოძისა და სხვათა კაპიტალური გამოკვლევები.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება შედეგი იყო არა მარტო ხელშემწყობი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების წარმოშობისა საქართველოს ახალი ისტორიის ბოლოს, არამედ ქართული მეცნიერების განვითარებისა წინა ხანაში. თავის მხრივ, ქართული უნივერსიტეტის შექმნამ ხელი შეუწყო მეცნიერების ყველა დარგის სწრაფ განვითარებას საქართველოში.

ხუროთმოძღვრება. XX ს. დამდეგს ვითარდებოდა ქართული ხუროთმოძღვრებაც. თბილისში შენდება რამდენიმე ნაგებობა დასავლეთევროპული „მოდერნის" სტილისა (სახალხო სახლი, ბანკი, უნივერმაღი, რეალური სასწავლებელი, კინოთეატრი „აპოლო"). იმავე დროს აღორძინებას იწყებს ხუროთმოძღვრების ეროვნული მოტივები. 1904-1910 წწ. აგებული ქაშუეთის ტაძარი სამთავისის ტაძრის ფორმას იმეორებდა და ქართული ჩუქურთმის მჭრელის, ნეოფიტე აგლაძის მიერ იყო მოჩუქურთმებული. ბევრად მეტ შემოქმედებით ელემენტს შეიცავდა ქართული ბანკის (ამჟამად საჯარო ბიბლიოთეკა) შენობა (1913-1916 წწ.), რომლის ჩუქურთმებიც აგლაძისა და მისი ძმების მიერაა ამოკვეთილი.

თეატრი. კინემატოგრაფია. საუკუნის დამდეგს პროფესიული თეატრი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში არსებობდა, მაგრამ თითქმის ყველა ქალაქში იყო სახალხო თეატრი. 1909 წელს გაიხსნა სახალხო სახლი ძმები ზუბალაშვილების მიერ აგებულ შენობაში, სადაც დაბინავდნენ თბილისის ქართული, სომხური, რუსული სახალხო თეატრები. ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, ნინო ჩხეიძე, შალვა დადიანი, ალექსანდრე წუწუნავა და მრავალი სხვა.

წარმოიშვა და წარმატებით ვითარდებოდა ქართული კინემატოგრაფია. 1908-1913 წწ. შეიქმნა მრავალი დოკუმენტური კინოფილმი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში". 1916 წ. რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ გადაიღო მხატვრული ფილმი „ქრისტინე", ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით.

სახვითი ხელოვნება. მუსიკა. ქართულ სახვით ხელოვნებაში წამყვანი ადგილი კვლავ ფერწერას ეკავა. უკვე ცნობილ ოსტატებს საუკუნის დასაწყისში მხარში ამოუდგნენ დავით კაკაბაძე (1889-1952 წწ.) და ლადო გუდიაშვილი (1896-1981 წწ.), პირველ ხანებში ისინი ევროპული მოდერნისტული მიმდინარეობების გავლენაში იყვნენ, მაგრამ მუდამ ინარჩუნებდნენ მჭიდრო კავშირს სამშობლოს ხალხთან და ბუნებასთან. უაღრესად ღრმა ეროვნულ ფესვებთან იყო დაკავშირებული დავით კაკაბაძის „დედა იმერეთი". ლადო გუდიაშვილის ადრინდელი ნაწარმოებები ასახავდნენ თბილისის მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებას, მის ეგზოტიკურ მხარეებსაც.

მთელი სისავსით გაიშალა იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება. სხვა შედევრებთან ერთად, მან შექმნა აკაკი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის ბიუსტები. განსაკუთრებული ეროვნული და მხატვრული ჟღერადობისა იყო ძეგლი „მწუხარე საქართველო", რომელიც ილია ჭავჭავაძის საფლავზე დაიდგა 1913 წ.

XX ს. დასაწყისიდან მნიშვნელოვნად განვითარდა ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკა. ქართული ხალხური

საგუნდო მუსიკა ისე წინ წავიდა, რომ 1915 წლისათვის მარტო თბილისში არსებობდა ქართული სიმღერების და ცეკვის 17 გუნდი. ქართული რომანსის ჟანრს ავითარებდნენ ია კარგარეთელი („არაგვო", „მშვენიერთა ხელმწიფავ"), ზაქარია ფალიაშვილი („ახალ აღნაგო სულო", „ნანა, შვილო"), კოტე ფოცხვერაშვილი („ლალე", „ინდი-მინდი"), დიმიტრი არაყიშვილი („მე შენ გელი", „ვარსკვლავიანსა ღამეს"). ნიკო სულხანიშვილმა პატრიოტული საგუნდო სიმღერები შექმნა. 10-იან წლებში თავიანთი ოპერები დაამთავრეს მელიტონ ბალანჩივაძემ („თამარ ცბიერი"), დიმიტრი არაყიშვილმა („თქმულება შოთა რუსთაველზე"), ზაქარია ფალიაშვილმა („აბესალომ და ეთერი"), ვიქტორ დოლიძემ („ქეთო და კოტე").

ახალი ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებას ემსახურებოდა 1905 წელს დარსებული „ქართული ფილარმონიის საზოგადოება".

55. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ ეროვნული საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ ჩამოაყალიბა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით.

ერთი თვეც არ გასულა, რომ მთავრობის თავმჯდომარე გახდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ზეიმით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, უმცირესობა ბოლშევიკების მეთაურობით — ავჯანყებებით, მეზობლები — ტერიტორიული პრეტენზიებით. თურქეთმა აიძულა საქართველო 1918 წ. 4 ივნისს ბათუმში ხელმოწერილი „ზავისა და მეგობრობის" ხელშეკრულებით მისთვის დაეთმო თითქმის მთელი მესხეთი. იმუქრებოდნენ სომხეთი და აზერბაიჯანიც.

საშინაო ვითარება. საქართველოს მთავრობა არ ჩქარობდა სოციალიზმის შემოღებას. ბუნებრივი რესურსებისა და მოხერხებული მდებარეობის მიუხედავად, მოსახლეობით მცირე და ტექნიკურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში დასავლური სოციალიზმი ვერ იხეირებდა. ჯერ კაპიტალიზმს უნდა გაეკეთებინა თავისი საქმე — განევითარებინა და გაეძლიერებინა ქვეყანა, წარმოეშვა ეროვნული კადრები და ბურჟუაზია, დაეწინაურებინა ეროვნული მეურნეობა და კულტურა. ქვეყანაში ჭირდა სურსათი, ჰყვაოდა სპეკულაცია. მთავრობას არ გააჩნდა ფინანსური რესურსები.

ასეთ ვითარებაში მთავრობამ თავისი სოციალისტური ორიენტაციის საფუძვლად ევროპული ტიპის მოდელი აირჩია, რაც ნიშნავდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარებით მომავალი სოციალიზმისათვის საფუძველის მომზადებას, აგრარული რეფორმის დამთავრებას, მრეწველობისა და საბანკო საქმის აწყობას, საკუთარი ფულის მოჭრას და სხვ.

უაღრესად საჭირო იყო ეროვნული არმიისა და გვარ-

დიის შექმნა, ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია.

1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. 130 სადეპუტატო ადგილიდან 109 სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს. კრების პირველი სხდომა თბილისში გაიხსნა 1919 წ. 12 მარტს, უკანასკნელი — ბათუმში 1921 წლის 17 მარტს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოები იყო სამაზრო და სათემო ერობანი და საქალაქო თვითმმართველობანი. ყველა ეროვნებას ჰქონდა თავისი ეროვნული საბჭო, რომელთა აზრს ითვალისწინებდა ხელისუფლება ამა თუ იმ საკითხის განხილვისას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისს ეწვია აფხაზთა დელეგაცია, რომელმაც აცნობა, მთავრობას, რომ აფხაზთა შორის არსებობდა ქართულთან ერთად თურქული და ჩრდილოკავკასიური ორიენტაციის ჯგუფები, რის გამოც ითხოვდნენ აფხაზეთიდან არ გამოყვანილიყო ქართული გვარდია. 1918 წ. 8 ივნისს ხელშეკრულებით აფხაზეთის წარმომადგენლობა ადასტურებდა საქართველოსაგან განუყოფლობას, ხოლო მთავრობა აღუთქვამდა მათ ავტონომიას საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1918 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა ორჯერ სცადეს გადატრიალების მოწყობა საქართველოსაგან გამოსაყოფად, მაგრამ ეს ცდები გენერალმა გ. მაზნიაშვილმა ჩაშალა. 1919 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭომ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა აფხაზეთის ავტონომიის აქტი, რომლის მიხედვით „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული". დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, რომ აფხაზეთი თავის „საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის შინაგან საქმეებს".

ახალგაზრდა რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით მისი მტრები სოციალურ აჯანყებებსაც აწყობდნენ. ვლადიკავკაზელი ქართველი და არაქართველი ბოლშევიკი ლიდერების მიერ წაქეზებულმა ოსებმა 1918-1920 წლებში რამდენიმე აჯანყება მოაწყეს შიდა ქართლში და აცნობეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, ვითომდა აქაურ მშრომელ-

თა სურვილი რუსეთთან შეერთებისა. აჯანყებები სხვაგანაც ეწყობოდა. სამეგრელოში 300-კაციანი რაზმი შექმნა ცნობილმა ბოლშევიკმა ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორმა. ბოლშევიკმა გლეხებმა 1918 წ. 25 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს დუშეთში. მთავრობა იძულებული იყო ყველა ეს აჯანყება, მის მონაწილეთა ეროვნების განურჩევლად, იარაღით ჩაექრო.

საგარეო ვითარება. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა მას მაინც ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა. აზერბაიჯანი ზაქათალის ოლქზე დავობდა, სომხეთი კი თვით თბილისსა და გორზე. გერმანიის მფარველობა საქართველოს მხოლოდ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე შველოდა. გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და გერმანიის ჯარმა დატოვა საქართველო. 1918 წლის მუდროსის ზავით სამხრეთ საქართველოს ტოვებდნენ თურქებიც. მათ ადგილს ინგლისი იჭერდა.

ამ რთულ ვითარებაში საქართველოს მოულოდნელად დაესხნენ თავს სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და დაიკავეს სანაინი და ალავერდი, რის შემდეგაც სომხეთის მთავრობამ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების დაცლა მოითხოვა. ქართულმა გვარდიამ დაამარცხა მოწინააღმდეგე და განდევნა იგი დაკავებული ქართული მიწა-წყლიდან. სომხეთის ტერიტორიაზე ქართული ჯარის შეჭრა რომ არ მომხდარიყო, ინგლისის სარდლობამ ამიერკავკასიაში აიძულა საქართველოს მთავრობა დათანხმებოდა ქართულ-სომხური შერეული მმართველობის შექმნას ბორჩალოში და ქართული ადმინისტრაცია მხოლოდ ახალქალაქში შეენარჩუნებინა.

მუდროსის ზავის თანახმად, თურქეთის მიერ დაკავებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორია კვლავ ქართულმა არმიამ დაიკავა. პროთურქულად განწყობილი სერვერ ბეგი (ჯაყელი) ბათუმში წავიდა და პარიზის საზავო კონფერენციას „მუსლიმური ეროვნული ყრილობის" სახელით მესხეთ-ჯავახეთის საქართველოსაგან მოწყვეტას სთავაზობდა. ინგლისის მხარდაჭერით ამასვე ცდილობდა დენიკინიც. მათ

იმედი გაუცრუა ბათუმის ოლქის მუსლიმ ქართველთა ყრილობამ, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა ბათუმის ოლქის „სამარადისო შეერთება“ დედა-საქართველოსთან. ეს მოთხოვნა დამფუძნებელ კრებას ჩამოუტანა მუსლიმ ქართველთა დელეგაციამ მეჰმედ-ბეგ-აბაშიძის მეთაურობით.

გენერალი დენიკინი და მისი მფარველობით შექმნილი ყუბანის რესპუბლიკა დიდ საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთიდან. 1918 წელს ისინი გაგრის რაიონში შეიჭრნენ და არა მარტო სოჭს, არამედ მთელს აფხაზეთს იჩემებდნენ.

გერმანიის დამარცხების შემდეგ იმედგაცრუებული საქართველოს დელეგაცია (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი) ბერლინიდან პარიზს გაეშურა და საზავო კონფერენციას საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება სთხოვა. კონფერენციამ საბჭოთა რუსეთს ანგარიში გაუწია და საქართველოს თავაზიანი დაპირების გარდა არაფერი არგუნა. ამას ხელს უწყობდა სასაზღვრო დავა თვით კავკასიის ქვეყნებს შორის. სომხეთი პარიზის კონფერენციას თხოვდა სამხრეთ საქართველოს და შავ ზღვაზე გასასვლელს, აზერბაიჯანი-ზაქათალის ოლქს, ყუბანის რესპუბლიკა — სოჭის მხარეს და აფხაზეთს. საქართველოს დელეგაციამ პარიზში ისღა მოახერხა, რომ თურქეთის, გერმანიისა და არგენტინის შემდეგ, 1920 წელს საქართველო დე-ფაქტოდ ცნეს ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ და დენიკინის სარდლობამ.

ამავე დროიდან საქართველოს საგარეო ვითარება სულ უფრო რთულდებოდა. წითელმა არმიამ დენიკინი განდევნა ჩრდილო კავკასიიდან, ბაქოში უბრძოლველად შევიდა, მთელი აზერბაიჯანი დაიკავა და სომხეთის გასასაბჭოებლად ემზადებოდა. ჟორდანიას მთავრობამ ისღა მოახერხა, რომ 1920 წლის 7 მაისს გ. ურუტაძის და ლ. კარახანის ხელმოწერით დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა „ყოველგვარი პირობის გარეშე“ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და იკისრა მის საქმეებში ჩაურევლობა. ხელშეკრულების ეს დებულება მთლად „უპირობოც“ არ გამოდგა. საქართველოს მთავრობამ ივალდებულა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა მიეცა

ე. წ. საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც 1920 წ. 20 მაისს გაფორმდა „დამოუკიდებლად". რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას შეეძლო განმტკიცებინა საქართველოს სტატუსი საერთაშორისო ასპარეზზე, კრემლს სხვა გეგმა რომ არ ჰქონოდა. ეს გეგმა საქართველოს დაპყრობას ითვალისწინებდა. ასე რომ, ეს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, 1783 წ. ტრაქტატის მსგავსად, ერთი მხრივ, ქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიას, მეორე მხრივ კი — მისი სუვერენიტეტის ხელყოფის შესაძლებლობას. საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრადაც 1920 წ. 16 დეკემბერს. ამ აქტით დასავლეთის სახელმწიფოებმა რუსეთს „ხათრი" არ გაუტეხეს და „რუსეთის საზღვარზე მყოფ ამ მამაც, მაგრამ პატარა სახელმწიფოს" დახმარების ხელი არ გაუწოდეს. დიდ ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებდა საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის ელჩი სერგეი კიროვი.

საქართველოს ოკუპაცია და ანექსია. 1920 წლის ბოლოსათვის კრემლში საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. წითელმა არმიამ მოიგერია პოლონელები, დაამარცხა ჟრანგელი, დაიპყრო სომხეთი. ინგლისმა საქართველოს საკითხი რუსეთის საშინაო საქმედ აღიარა. თურქეთი ბათუმისაკენ მოიწევდა. მტრული რკალი საქართველოს გარშემო შეკრული იყო. საჭირო იყო საქართველოში აჯანყების ინსცენირება, რევკომის შექმნა, რუსეთისათვის „საქართველოს მშრომელთა მიერ დახმარების" თხოვნა, რუსეთისაგან „ძმური" დახმარება და „საქართველოს საკითხიც" გადაწყდებოდა.

„საქართველოს მშრომელთა" აჯანყების ინსცენირება გლეხურ ტანსაცმელში გადაცმულმა წითელარმიელებმა ლორეს „ნეიტრალურ ზონაში" მოახდინეს. რევკომი კრემლში დაკომპლექტდა და შულავერში გამოცხადდა. 1921 წ. 11 თებერვალს წითელი არმია ლორედან საქართველოში შემოიჭრა.

15 თებერვალს საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა სახალხო კომისარმა და ბოლშევიკური პარტის პოლიტბიუროს წევრმა იოსებ სტალინმა-ჯუღაშვილმა ლენინის თანხმობით ბაქოში სერგო ორჯონიკიძეს ქართულად დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი" თბილისი. მანაც სომხეთიდან შემოჭრილ

მე-11 არმიის ნაწილებს აზერბაიჯანში განლაგებული ნაწილებიც მიაშველა. სოჭიდან შემოტევა დაიწყო მე-8, დარიალიდან მე-9, მამისონიდან მე-13 არმიებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ქართველი ხალხის მტრად გამოაცხადა შულავერის „მთავრობა“: ფილიპე მახარაძე (თავმჯდომარე), მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, საშა გეგეჭკორი და სხვ.

17-24 თებერვალს საქართველოს არმია გენერალ კვინიტაძის მეთაურობით შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა მე-11 არმიასთან იალღუჯთან, კოჯორთან, თბილისის კარიბჭესთან. ომის უპერსპექტივობისა და დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით მთავრობამ უბრძოლველად დათმო თბილისი. თურქეთი, რომელიც არდაგან-ართვინის დათმობის სანაცვლოდ დახმარებას პირდებოდა საქართველოს, აჭარაში შეიჭრა და ბათუმი დაიკავა. ამან მთავრობა იძულებული გახადა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას დათანხმებულიყო.

ასეთ უმძიმეს ვითარებაში, 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო. ფაქტობრივად, იგი პოლიტიკური ანდერძი აღმოჩნდა მომავალი თაობებისათვის.

17-18 მარტს აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი და ალექსანდრე სვანიძე საბჭოთა მხრიდან და საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შეთანხმდნენ შეეწყვიტათ ომი და ერთად ელაშქრათ ბათუმის და მთლიანად აჭარის გასანთავისუფლებლად. გენერალმა მაზნიაშვილმა გაათავისუფლა ბათუმი, მანამ სანამ იქ წითელი არმია მიაღწევდა. ნოე ჟორდანიამ ხელისუფლება ბათუმის დასაცავად ბათუმელ ბოლშევიკთა ლიდერებს, მათ შორის სერგო ქავთარაძეს გადასცა. 1921 წ. 16 მარტის ხელშეკრულებით ბათუმი და აჭარა „ფართო ადგილობრივი ავტონომიით“ საქართველოს მიეკუთვნა, არტაანისა და ართვინის ოლქები კი — თურქეთს.

1921 წ. 18 მარტს ნოე ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ, ასევე დამფუძნებელი კრების ნაწილმა საქართველო დატოვეს იმ იმედით, რომ დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა დახმარებით მალე დაბრუნდებოდნენ.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება, განახორციელა საქართველოს ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ფორმალური გახდა.

56. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოკუპაციო რეჟიმი. საქართველოს უახლესი ისტორია რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით, კვლავ დაპყრობით და დემოკრატიულის ნაცვლად დიქტატორული წყობილების დამყარებით დაიწყო. ეს იყო საქართველოს მეორე რესპუბლიკა, ნაცვლად პირველი, დემოკრატიული რესპუბლიკისა. საქართველოს რევკომმა დაითხოვა დამფუძნებელი კრება, არმია, სამაზრო ერობანი და საქალაქო თვითმმართველობანი და შექმნა სხვადასხვა დონის რევკომები. ეს იყო დროებითი საგანგებო ორგანოები, რომლებიც ასრულებდნენ როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას. შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება ფორმალურად გადაეცა სახალხო კომისართა საბჭოს ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით.

1922 წ. 25 თებერვალს მოიწვიეს ახალი საბჭოების I ყრილობა. მან ჩაიბარა ხელისუფლება რევკომისაგან, მიიღო საქართველოს მეორე (საბჭოური) კონსტიტუცია, აირჩია საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი („ცაკი") და მისი თავმჯდომარე — მიხა ცხაკაია.

1921 წ. ნოემბერში კავბიურომ სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების საჭიროების თაობაზე, რაც დაამტკიცა პოლიტბიურომ ლენინის წინადადებით. ამავე დროს პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ სტალინმა წამოაყენა წინადადება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლის, ანუ ავტონომიზაციისა. ეს მოკავშირე რესპუბლიკების ფორმალური სტატუსის ლიკვიდაციასაც ნიშნავდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა ცალკე შესვლას რუსეთის ფედერაციაში „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით". საქართველოს ცეკა, ცხადია, ვერ „მოერია" იოსებ სტალინს, სერგო ორჯონიკიძეს, სერგეი კიროვს და ფელიქს ძერჟინსკის. 1922 წ. 22 ოქტომბერს საქართველოს კო-

მპარტიის ცეკა (ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, კოტე ცინცაძე, ლევან დუმბაძე, თენგიზ ულენტი, მამია ორახელაშვილი) გადადგა. გასაოცარია, რომ ეს პირები, საკუთარ ქვეყანაში უცხო ჯარს რომ [illegible] და მოღალატურ შულავერის „მთავრობაში" მონაწილეობდნენ, ახლა ბუზღუნებდნენ ქვეყნის „დამოუკიდებლობის ატრიბუტებზე". მათი ე. წ. „ნაციონალ-უკლონიზმი" ხასიათდებოდა მათივე დახმარებით უკვე დაპყრობილი პატარა ქვეყნის ტოტალიტარულ-დიქტატორულ იმპერიაში „ფედერაციულად" თუ „ავტონომიურად" შესვლა-არშესვლის არარსებულ განსხვავებათა ძიებით.

პოლიტბიურომ და კავბიურომ უმტკივნეულოდ დანიშნეს საქართველოს ცეკას ახალი შემადგენლობა. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში. დეკლარაცია ამ სახელმწიფოს შექმნის შესახებ მიიღო საბჭოების პირველმა ყრილობამ მოსკოვში 1922 წ. 30 დეკემბერს. ამ დეკლარაციის საფუძველზე იქნა მიღებული პირველი საბჭოთა კონსტიტუცია.

მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობის სრულად აღსადგენად მისი გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ეს მოძრაობა გამოიწვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების მუხანათურმა დარღვევამ, ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვამ, ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის გაუქმებამაც კი. თბილისის გამოცხადებამ ამიერკავკასიის ცენტრად გამოიწვია რუსული ენის სტატუსის ზრდა ქართული ენის ხარჯზე. საქართველომ თავისი ტერიტორიების მეხუთედი დაკარგა. დაინგრა ასობით ეკლესია, აიკრძალა და ლიკვიდირებული იქნა არაბოლშევიკური პარტიები, მოხდა მიწის ნაციონალიზაცია, დაიწყო არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის წარმომადგენელთა განუკითხავი, არაადამიანური დევნა. დაიწყო მოსახლეობის ყველა ფენის ყოფა-ცხოვრების ღარიბული დონის სტაგნაცია.

1922 წ. აგვისტოში შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტი" ანუ „პარტეტული კომიტეტი", რომელიც ყველა არაბოლშევიკურ პარტიას აერთიანებდა. კომიტეტში იყვნენ ნიკოლოზ ქარცივაძე (თავმჯდომარე), კოტე ან-

დრონიკაშვილი (თავმჯდომარე ქარცივაძის შემდეგ), იასონ ჯავახიშვილი, კირილე ნინიძე, მიხეილ ბოჭორიშვილი, მიხეილ იშხნელი, გიორგი ჯინორია, შალვა ამირეჯიბი. აჯანყების მომზადება დაევალა „სამხედრო ცენტრს", რომელშიც იყვნენ გენერლები და ოფიცრები: კოტე აფხაზი (ხელმძღვანელი), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, გივი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი. პარტიზანული რაზმების გაერთიანება და ხელმძღვანელობა იკისრეს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთში და მიხეილ ლაშქარაშვილმა ქართლში.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1923 წ. მარტში დააპატიმრა და 19 მაისს დახვრიტა „სამხედრო ცენტრის" მთელი შემადგენლობა.

1924 წ. აჯანყება. „დამოუკიდებლობის კომიტეტმა" („დამკომმა") გადაწყვიტა საყოველთაო აჯანყება 1924 წლის თებერვალში დაეწყოთ, მაგრამ ბოლშევიკების ჩეკამ დააპატიმრა და დახვრიტა საზღვარგარეთიდან მოვლინებული ნოე ხომერიკი, ასევე სამხედრო კომისიის წევრები გოგიტა ფალავა, გიორგი წინამძღვრიშვილი. იმავე წლის მაისში საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოვიდნენ ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე... აჯანყება 17 აგვისტოსთვის დაინიშნა. ამასობაში დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი და მასობრივი რეპრესიები დაიწყო თბილისსა და ბათუმში.

აჯანყება დაიწყო ჭიათურაში 28 აგვისტოს. იმავე დღეს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ის ჩაახშო და უმკაცრესი რეპრესიები დაიწყო მრავალ მაზრასა და ქალაქში. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დუშეთი აიღო, მაგრამ დამხმარე ძალის გარეშე თბილისზე ვერ გაილაშქრა და ბოლოს იძულებული გახდა თურქეთს შეფარვოდა.

დასავლეთ საქართველოში აჯანყებაში მონაწილეობდა მოსახლეობის ნაწილიც შეიარაღებულ რაზმებთან ერთად. გურიაში აჯანყებულებმა მრავალი სოფელი აიღეს, მაგრამ ჩაიშალა შეტევა ოზურგეთზე. სენაკის აღების შემდეგ აჯანყებულებმა თითქმის მთელი სამეგრელო დაიკავეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დღით.

აჯანყება დამარცხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ იყო საყოველთაო და სათანადოდ ორგანიზებული.

უფრო გრძნობით, ვიდრე ცივი გონებით მოქმედებამ აჯანყებულებს საშუალება არ მისცა გაეთვალისწინებინათ რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობილი საქართველოს ხაზრთა-შორისო და საშინაო ვითარება. საქართველოს მარტოდ-მარტო, ცხადია არ შეეძლო დაემარცხებინა 14 სახელმწიფოს ინტერვენციის მომგერიებელი რუსეთი, თანაც დიდ სახელმწიფოთა ნეიტრალური პოზიციით ზურგგამაგრებული. ეს აჯანყება უფრო გმირობის, დამოუკიდებლობის დაკარგვისადმი შეურიგებლობის დემონსტრაცია იყო. ამ დემონსტრაციის შემდეგ ამუშავდა ბოლშევიკური რეპრესიული მანქანა, რომელმაც სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც შეინირა. ტყვეებსაც კი არ ინდობდნენ. დაპატიმრებული ჭიათურელები სატვირთო ვაგონებში ტყვიამფრქვევებით გაულიტეს.

მსოფლიოს მიერ უკვე აღიარებული საბჭოური იმპერიის პირობებში ქართველ ერს ეროვნული არსებობის შენარჩუნება შეიარაღებული ბრძოლით არ შეეძლო. ხსნის გზა იმპერიაში შემავალ ხალხებთან თანამშრომლობაზე, ქვეყნის შეძლებისდაგვარ კულტურულ-სამეურნეო გადარჩენა-განვითარებაზე გადიოდა, მანამ სანამ საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც იმპერიის სხვა ხალხებისა, არ მომწიფდებოდა საბჭოთა კავშირის შინაგანი და საგარეო ვითარების შესაბამისად. სხვა გონივრული გზა საქართველოსათვის და მასზე ბევრად დიდი საბჭოური რესპუბლიკებისათვის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ იმ დროს არ არსებობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცნობილ იქნა მთავრობად ემიგრაციაში, მანამ, სანამ დიდმა სახელმწიფოებმა დე-იურე არ იცნეს საბჭოთა კავშირი და საქართველო მის შემადგენლობაში.

საქართველოს არ განუცდია რუსული „სამხედრო კომუნიზმის" სუსხი, რადგან დემოკრატიულ რესპუბლიკას არ უცდია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე დაუყოვნებელი გადასვლა ძალდატანების გზით. გასაბჭოების შემდეგ აქაც გამოცხადდა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა", რაც გულისხმობდა კერძო საკუთრების დროებით დაშვებას სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობით.

ბოლშევიკებმა მოახდინეს წარმოების ძირითად საშუალებათა — მიწისა და მისი წიაღის, დიდი ფაბრიკა-ქარხნების, საფინანსო-საბანკო, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა ნაციონალიზაცია.

ინდუსტრიალიზაცია. 1925 წ. ბოლოს საკავშირო კომპარტიის XIV ყრილობამ გამოაცხადა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი, რომლის მიხედვით უპირატესად უნდა განვითარებულიყო მძიმე მრეწველობა და მანქანათმშენებლობა. ეს იყო სტალინური გეგმა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების თითქმის მონური შრომით, მართლაც მოკლე დროში დაგვირგვინდა. გარკვეული წილი აქედან საქართველოსაც ერგო. პირველ ხუთწლედში (1928-1932 წწ.) დაჩქარდა მრეწველობის განვითარების წინანდელი ტემპი. ხუთნახევარჯერ გაიზარდა მძიმე, თითქმის ოთხჯერ მსუბუქი მრეწველობა. მეორე ხუთწლედში (1933-1937 წწ.) ამუშავდა რიონჰესი, თბილისის ჩარხმშენებელი, ლითონკონსტრუქციების და სხვა დიდი ქარხნები ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში. წარმოების მექანიზაციის დონე მაგ. მანგანუმის მაღაროებში ათჯერ გაიზარდა. 1937 წლისათვის რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 76%-ს მრეწველობა იძლეოდა. ოცი წლის მანძილზე (1921-1941 წწ.) აშენდა 315 ფაბრიკა-ქარხანა. მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 26-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება 35-ჯერ გაიზარდა.

მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების გამო, სათანადოდ ვერ ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ერთ სამეურნეო კომპლექსად შერწყმული მრეწველობა საბჭოთა კავშირის მონოლითურ ერთიანობას ემსახურებოდა და მისი დაშლის შემთხვევაში სხვადასხვა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაც ცალკე დიდხანს ვერ ააწყობდა მუშაობას.

კოლექტივიზაცია. ინდუსტრიალიზაციის კურსის გამოცხადებიდან ორი წლის შემდეგ, 1927 წ. კომპარტიის XV ყრილობამ ქვეყნის კოლექტივიზაციის კურსი გამოაცხადა. ეს გულისხმობდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ნაცვლად მსხვილი კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებას, რომელნიც მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით

უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

ბოლშევიკებს ერჩიათ საქმე ჰქონოდათ არა ინდივიდუალურ-ბით გლეხ-ფერმერთან, არამედ მთლიანად სახელმწიფოზე დამოკიდებულ მსხვილ მეურნეობებთან, რომლებიც სახელმწიფო ექსპლუატაციის ოპტიმალურ ფორმას წარმოადგენდნენ.

30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეძლეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდება, მაგრამ ეს ხდებოდა მაქსიმალური ექსპლუატაციისა და შეძლებული და საშუალო გლეხობის ფიზიკური ლიკვიდაციის ფონზე. საქართველოს პარტიულმა ორგანოებმა გადაწყვიტეს „გადაჭარბებით შეესრულებინათ" ცენტრიდან მიღებული დავალებები და შეძლებული გლეხობა, რომელიც მთელი მასის 2%-ს შეადგენდა, 6%-მდე „გაადიდეს". ეს კი ამ ადამიანების გადასახლება-ლიკვიდაციას გულისხმობდა, ანუ „როგორც კლასის მოსპობას". 1937 წლისათვის კოლექტივიზაციის პროცენტმა 76,5%-ს მიაღწია, ხოლო წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციამ 82%-ს.

კულტურული რევოლუცია. XX ს. მეორე ოცწლეულში საქართველოში ჩატარდა ე. წ. „კულტურული რევოლუციაც". იგი პირველ რიგში უწიგნურობის ლიკვიდაციას გულისხმობდა, შემდეგ კი კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ოღონდ ბოლშევიკების თვალთახედვით და მათთვის მისაღები ფორმით. მიუხედავად შეზღუდვებისა და რეპრესიებისა, ამ პერიოდში მძლავრად განვითარდა ქართული კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგი.

თბილისის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება ძირითადად სწორედ ამ პერიოდში მოხდა. აიგო იმ დროისათვის გასაოცარი თერთმეტსართულიანი სახლი გმირთა მოედანზე, ხიდი მდ. მტკვარზე ყოფილი ჩელიუსკინელების (ამჟამად თამარ მეფის) გამზირზე, ფუნიკულიორის ზედა სადგური მთაწმინდაზე. დამშვენდა და განახლდა ბერიას (ამჟამად თავისუფლების) მოედანი. მდ. მტკვარს ორივე მხარეს ლამაზი სანაპიროები გაუკეთეს.

30-იანი წლების მეორე ნახევარში თითქმის მთელი საქართველო უკვე წიგნიერი ქვეყანა იყო. ჩამოყალიბდა დაწ-

ყებითი, არასრული და საშუალო განათლების ფართო ქსელი.

უმაღლესი განათლების კერა იყო 1918 წელს დაარსებული თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც უკიდურესი სიძნელეებისა და სუსხიანი რეპრესიების მიუხედავად ინარჩუნებდა თავის განსაკუთრებულ როლს. მის ბაზაზე ჩამოყალიბდა პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური ინსტიტუტები. თბილისის უნივერსიტეტმა საკავშირო აკადემიის ფილიალთან ერთად საფუძველი დაუდო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც. 20-30-იან წლებში შეიქმნა შემდეგში სახელგანთქმული ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიოლოგთა, მედიკოსთა, ფსიქოლოგთა სკოლები. მიუხედავად ბოლშევიკური დოგმების თავს მოხვევისა, არაერთ წარმატებებს მიაღწიეს ეროვნულმა ქართველოლოგიურმა დისციპლინებმა: ისტორიამ, ფილოლოგიამ, ენათმეცნიერებამ.

20-30-იან წლებში თავისებური და რთული გზით ვითარდებოდა ქართული მწერლობა. პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები თუ კრიტიკოსები სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფში იყვნენ გაერთიანებულნი. ესენი იყვნენ — „ცისფერყანწელები", „აკადემიური ჯგუფი", „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია" და სხვ. ყველა ისინი სხვადასხვაგვარად ასახავდნენ ახალი ეპოქის სოციალურ თუ ეროვნულ მოთხოვნებს. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი შედევრი ქართული მწერლობისა, თუმცა შემოქმედები ზოგჯერ იძულებული იყვნენ კონიუნქტურული ლიტერატურული მაკულატურაც შეექმნათ, რათა გადაერჩინათ მთავარი — ეროვნული სული და იდეოლოგია.

ქართველ პოეტთა მეფე გალაკტიონი, რომელმაც XX ს. II ოცეულში არაერთი შედევრი შექმნა, ამასთან უმღეროდა „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილ" უახლეს საქართველოს, ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას.

იგივე შეიძლება ითქვას პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის და სხვა „ცისფერყანწელების", ლეო ქიაჩელის, იოსებ გრიშაშვილის, თვით გრიგოლ რობაქიძის, პოლიკარპე კაკაბაძის და სხვა „აკადემიურჯგუფელთა"

პროზისა და დრამატურგიის, პავლე ინგოროყვას, გეროლტი ქიქოძის და სხვათა კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებზე. ისინი კიდევაც ეპაექრებოდნენ და კიდევაც ებრძოლებოდნენ ბოლშევიკ ლიდერებს, განსაკუთრებით 1928 წლიდან, როცა შეიქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“.

20-30-იან წლებში გამოვიდნენ ასპარეზზე ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა-მაშაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელთა ქმნილებების გარეშე არასრული იქნებოდა უახლესი ქართული ლიტერატურა. 30-იანი წლების მიწურულს ქართულ მწერლობას ახალი ძალები შეემატა დიდად ნიჭიერი ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის სახით.

XX ს. მეორე ოცწლეულში განვითარდა ქართული თეატრი, კინემატოგრაფი, სახვითი და სამუსიკო დარგები.

ქართული თეატრი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა, მათი ხელმძღვანელობით უნიჭიერეს ქართველ მსახიობთა მთელმა პლეადამ — უშანგი ჩხეიძემ, აკაკი ხორავამ, აკაკი ვასაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, პიერ კობახიძემ, სანდრო ჟორჟოლიანმა, ვასო გოძიაშვილმა, თამარ ჭავჭავაძემ და სხვ.

ქართველმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა — გიგო გაბაშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ, ნიკოლოზ კანდელაკმა, მოსე თოიძემ, ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ შექმნეს დიდი მხატვრული ტილოები და ქანდაკებები. მათ მხარში ამოუდგნენ ახალი თაობის წარმომადგენლები — უჩა ჯაფარიძე, კოტე მერაბიშვილი და სხვ.

20-30-იანი წლებიდანვე გაითქვა სახელი ქართულმა კინომ („წითელი ეშმაკუნები“, „არსენა“, „ნარინჯის ველი“, „დაკარგული სამოთხე“ და სხვ.), სადაც ალ. წუწუნავას, ი. პერესტიანის და სხვათა მოღვაწეობასთან ერთად ნიკოლოზ შენგელაიას დიდმა ნიჭმა გაიელვა. დიდ ასპარეზზე გამოვიდა ნ. ვაჩნაძე.

ქართველი პატრიოტ-ჰუმანისტები აშკარად თუ ფარულად უპირისპირდებოდნენ ბოლშევიკ მმართველებს, ლენინურ დოგმებს. თავდაპირველად ბოლშევიკები რეპრესიებთან ერთად,

გარკვეულ კომპრომისებზეც მიდიოდნენ, თვალს ხუჭავდნენ და დროდადრო ითმენდნენ პატრიოტულ გამოსვლებს. მას შემდეგ, რაც ქვეყანა მოლონიერდა და რეჟიმი გაბატკოცდა, ბოლშევიკები იდეოლოგიის დარგშიც განუყოფელ გატონობას ესწრაფვოდნენ და აღარ ითმენდნენ თავისუფალ აზრს.

რეპრესიები. 30-იან წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ფიზიკურად განადგურდა ბოლშევიკური პარტიის „ძველი გვარდია". დაიხვრიტნენ ისინი, ვინც წინ მოუძღოდა წითელ არმიას, შულავერის სამარცხვინო „მთავრობის" წევრები, „ნაციონალ-უკლონისტები" და მრავალი პარტიულ-საბჭოთა ხემძღვანელი. ეს იყო მძაფრი ბრძოლა ბოლშევიკურ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისათვის. ათასობით თანამემამულის სისხლში გასვრილმა ძველმა ბოლშევიკმა ლიდერებმა უმანკოების მანტია მოისხეს, თუმცა ის ბედი ერგოთ, რასაც სხვას უმზადებდნენ. ყველა ეს ორახელაშვილები, ოკუჯავები თუ მდივნები ერთმანეთად ღირდნენ. დაუნდობელ ბრძოლაში იმან გაიმარჯვა, ვისაც მხარს უჭერდა იმ მომენტში იოსებ სტალინი.

უბედურება ის იყო, რომ გაკოტრებულ ერის მოღალატეებს ფონად დაუგეს ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის ქართველი ერის უპირველესი შვილების, მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებისა. ზოგს სრულებით არ ჰქონდა დანაშაული, ზოგის „დანაშაული" კი ის იყო, რომ ნათესავად ერგებოდა განწირულ ბობოლა ბოლშევიკს.

1937-1938 წწ. რეპრესიებმა უდიდესი ზიანი მიაყენა ერის ინტელექტუალურ პოტენციალს. ვითარების განეიტრალების მიზნით რეპრესიების განგრძობა „შეცდომად" ჩაითვალა. უდანაშაულო ადამიანთა მრავალი დამსჯელი თვითონვე დახვრიტეს. ამასთან, დაიწყეს წარსული ისტორიისა და კულტურის შედარებით ობიექტური შეფასება. 1937 წელს დიდი იუბილე გაუმართეს შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს, რომელიც მანამდე რეაქციონერად იყო გამოცხადებული. ილია ოფიციალურად აღიარეს „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე პოპ-

ულარულ მოღვაწე-მოაზროვნედ". 1940 წელს ასეთი „სტა-ტუსი" მიენიჭათ აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშ-ვილს. 1939 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, რომელიც 20-იანი წლების ბოლოს და 30-იან წლებში თავისივე დაარსებული უნივერსიტეტიდან გაძევებული ჰყავდათ.

1938 წელს მიიღეს საქართველოს საბჭოთა რესპუბ-ლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1936 წლის საბჭო-თა კავშირის „სტალინურ კონსტიტუციას" ემყარებოდა. გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველო უშუალოდ შედიოდა სსრკ შემადგენლობაში. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ქართული და მას ფორმალურად შენარჩუნებული ჰქონდა სსრკ შემადგენლობიდან თავისუ-ფალი გასვლის უფლება. კონსტიტუცია მაღალი სტან-დარტებით იყო შესრულებული, მაგრამ სამწუხაროდ, მხ-ოლოდ ქაღალდზე.

57. საქართველო მეორე მსოფლიო ომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომ-ლისთვისაც დიდხანს ემზადებოდნენ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები: ერთი მხრივ, იაპონია-იტალია-გერმანიის ბლოკი (ე. წ. „ღერძის ქვეყნები"), მეორე მხრივ, ინგლის-საფრანგეთ-პოლონეთის კავშირი და ცალკე მდგომი საბ-ჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

1939 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მიმდინარეობდა ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკე-ბა ერთობლივი ძალით გერმანიის აგრესიის ალაგმვის შესახებ, მაგრამ იგი ჩაიშალა. იმავე წლის აგვისტოში შეთანხმდნენ გერმანია-საბჭოთა კავშირი და ურთიერთ-თავდაუსხმელობის პაქტი დადეს. პაქტი გერმანიას ხელფეხს უხსნიდა პოლონეთ-ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ, საბ-ჭოთა კავშირი კი უომრად „იერთებდა" მეფის რუსეთის იმპერიაში თავის დროზე შემავალ ბალტიისპირეთის რეს-პუბლიკებს, დას. უკრაინასა და დას. ბელორუსიას, ბესა-რაბიასა და ჩრდილოეთ ბუკოვინას.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლო-ნეთს, ხოლო 2 სექტემბერს მას ომი გამოუცხადეს ინ-გლისმა და საფრანგეთმა. 1940 წელს გერმანიამ თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა დაიპყრო საფრანგეთის ჩათვ-ლით, 1941 წლის 22 ივნისს კი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მართალია, გერმანიამ ვერ შეძლო მისი „ელვისე-ბური" დამარცხება, როგორც ვარაუდობდა ფიურერი ად-ოლფ ჰიტლერი, მაგრამ ზამთრამდე მათ გაანადგურეს ან დაატყვევეს მილიონობით წითელარმიელი, დაიკავეს ბალ-ტიისპირეთი და მოლდავეთი, თითქმის მთელი უკრაინა და ბელორუსია, რუსეთის ტერიტორიის ნაწილი და საფრთხე შეუქმნეს მოსკოვსა და ლენინგრადს.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ბოლშევიკური პარტიის გენერალური მდივანი იოსებ სტალინი საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარედაც დაინიშნა. ომის დაწყების შემდეგ, 1941 წლის 30 ივნისს მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა თავ-დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ვიაჩესლავ მოლოტოვის, ლავრენტი ბერიას, კლემენტ ვოროშილოვის, ლაზარ კაგა-

ნოვიჩის, მიხეილ კალინინისა და სხვათა შემადგენლობით. ამ კომიტეტის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება და მატერიალური რესურსები. სტალინი გახდა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

უზარმაზარი ქვეყნის მთელი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ოკუპირებული რაიონებიდან ურალში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში გადატანილი იქნა 1563 საწარმო. ქვეყანა მთლიანად სამხედრო ბანაკად იქცა.

გერმანიის არმია საქართველოს მიწა-წყალზე ვერ შემოვიდა, მაგრამ ომის მთელი სიმძიმე საბჭოთა კავშირის 200-მილიონიან მოსახლეობასთან ერთად საქართველოს 3-ნახევარმილიონიან ხალხსაც დააწვა მხრებზე. საქართველომ ომში გაგზავნა ყოველი მეხუთე მოქალაქე — 700 ათასამდე მეომარი, რომელთა უმრავლესობა წითელი არმიის ინტერნაციონალურ ნაწილებში ყველა ფრონტზე იბრძოდა. 1941 წლის ნოემბრიდან ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული დივიზიაც, რომლებმაც სახელი გაითქვეს ყირიმისა და კავკასიისათვის ბრძოლებში. ქერჩთან ათეულათასობით ქართველი მეომარი დაიღუპა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. ტყვე ქართველთაგან გერმანელები ეროვნულ ბატალიონებს ადგენდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს მათი შემოგზავნა საქართველოში კავკასიის უღელტეხილებზე დამარცხებისა და ქართველთა უარის გამო მშობელ ქვეყანასთან ბრძოლაზე.

ქართველ ტყვეთა ნაწილმა დააღწია თავი ტყვეობას და სახელი გაითქვა ჰოლანდიის, საფრანგეთის, იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ ქართველი ტყვეები ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. სიღნაღელმა ფორე მოსულიშვილმა იტალიის ეროვნული გმირის სახელი დაიმსახურა, ქართველი ემიგრანტის შვილი დიმიტრი ამილახვარი კი საფრანგეთის ეროვნული გმირი გახდა. ქართველი პარტიზანები იბრძოდნენ უკრაინისა და ბელორუსიის ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.

1942-1943 წწ. წითელი არმია სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა სტალინგრადის რეგიონში და კავკასიაში. გიგანტური ბრძოლა სტალინგრადთან გერმანელთა ძლიერი არმიის განადგურებით დამთავრდა 1943 წ. 2 თებერვალს.

ჩაიშალა კავკასიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმაც,

რაშიც განსაკუთრებული როლი რეგულარულ ჯართან ერთად, ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ხალხებმა შეასრულეს. ისინი განუწყვეტლივ ამარაგებდნენ ფრონტს იარაღით, სურსათით, საწვავით. ისედაც მცირე ხელფასიდან ნახევრად მშიერი მოსახლეობა ყიდულობდა შეიარაღებას, ტანსაცმელს, საკვებს ჯარისკაცებისათვის. კავკასიის დაცვის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ფრონტს უშუალოდ ხელმძღვანელობდა თავდაცვის კომიტეტის წევრი ლავრენტი ბერია.

1945 წ. 2 მაისს საბჭოთა არმიამ ბერლინი აიღო. გერმანიის რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვა „შემთხვევამ" წილად არგუნა რუსსა და ქართველს — მიხეილ ეგოროვსა და მელიტონ ქანთარიას.

ომში სახელი მოიხვეჭა ბევრმა სხვა ქართველმა ჯარისკაცმა, ოფიცერმა თუ გენერალმა — შოთა გამცემლიძემ, ჭიჭიკო ბენდელიანმა, ზაქარია ხიტალიშვილმა, დავით ბაქრაძემ, კონსტანტინე ლესელიძემ, პორფილე ჩანჩიბაძემ, ვლადიმერ ნანეიშვილმა... სულ დაჯილდოვდა 240 ათასი ქართველი მეომარი, აქედან 164-ს გმირის წოდება მიენიჭა. ომში გამარჯვებისათვის გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა იოსებ სტალინს, მარშლისა — ლავრენტი ბერიას. ჩამოყალიბება იწყო სტალინის კულტმა ქვეყნის შიგნით და სოციალისტურ ბანაკში, რომლის ტერიტორია, მოსახლეობა, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი მსოფლიო პოტენციალის ერთ მესამედს აღემატებოდა.

მეორე მსოფლიო ომში, ამ მანამდე უნახავ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტაში 60 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. აქედან პატარა საქართველომ 300 000 სიცოცხლე გაიღო.

58. საქართველო XX ს. 40-80-იან წლებში

ომმა საბჭოთა კავშირს 2-ნახევარი ტრილიონი ფაფეთის ზარალი მიაყენა. ამ ზარალში ცხადია, წილი ედო საქართველოსაც. მართალია, ომის დროს მისი ქალაქები და სოფლები არ დანგრეულა და მთლად არ გაპარტახებულა. სამხედრო წარმოება კიდევაც გაიზარდა. თბილისში აშენდა საავიაციო ქარხანა, გადმოტანილი იქნა სატანკო ქარხანა და სხვ., მაგრამ ომში 300 ათასი ჯანლონით სავსე ადამიანის დაკარგვამ, მრეწველობის ცალმხრივმა განვითარებამ, მექანიზაციის ბევრგან, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში ხელით შრომით შეცვლამ, საქონლისა და სურსათის უქონლობის გამო ფულის უზომოდ ინფლაციადევალვაციამ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებაც მოშალა. 20, ზოგ დარგში კი 40%-ით შემცირდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება და 18%-ით — შრომის ნაყოფიერება. კიდევ უფრო მეტად დაეცა მოსავლიანობა სოფლად.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სამ-ოთხ წელიწადში აღდგენილი და გადაჭარბებული იქნა საქართველოს ეკონომიკის ომამდელი დონე. ამუშავდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სხვ. დიდი საწარმოები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 4500 ტრაქტორი გადაეცა. ამას საფუძვლად ედო საქართველოსათვის გადაცემული წილი დამარცხებულ სახელმწიფოთა კონტრიბუციებიდან და რეპარაციებიდან ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, საგანგებო პოლიტიკურ-ორგანიზატორული ღონისძიებებით ხალხის ძალადობრივი დარაზმვა ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. 1951-1955 წწ. სამრეწველო წარმოება 71%-ით გაიზარდა.

მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად, ცხადია, საქართველო მონაწილეობდა იმ დროს გაჩაღებულ „ცივი ომის" გამო გამალებულ შეიარაღებაში. ამას მოწმობდა თბილისის საავიაციო ქარხნის გაფართოება. საკვლევი მიზნით მცირე ატომური სადგურიც აშენდა თბილისის ახლოს.

საქართველოში სწრაფად იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობა, შესაბამისად ცარიელდებოდა სოფელი, რაც იწვევ-

და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაცემას და სწრაფად მზარდი ქალაქების პურითა და სხვა პროდუქტებით მომარაგების შეფერხებას. ძლიერ დაბალი იყო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და ენერგოალჭურვილობის დონე. არ ხერხდებოდა ტექნიკურ კულტურათა დარგების სრული მექანიზაცია. ვერ გადაიჭრა საკუთარი მარცვლეულით და მეცხოველეობის პროდუქტებით რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანაც.

50-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში და საბჭოთა კავშირშიც ფართოდ გაშლილი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საქართველოს თითქმის არ შეხებია. იგი საბჭოთა კავშირში უმთავრესად სამხედრო-სამრეწველო წარმოებაში მიმდინარეობდა. ხელისუფლება ეკონომიკაში კვლავ უხეშ ადმინისტრირებას და პროდუქტთა სახელმწიფო განაწილებას მიმართავდა, ვინაიდან პროდუქტთა სიუხვე არ იყო მიღწეული.

ბოლშევიკურ-საბჭოური ხელისუფლება ომისშემდგომ წლებშიც პოლიტიკური საშუალებებით ცდილობდა იმის მიღწევას, რასაც ეკონომიკური საშუალებებით ვერ აღწევდა. ეს საშუალებები ხშირად ძალდატანებითი იყო მაშინაც, როცა იგი ადამიანთა ცხოვრების წესის ჩვეულებრივი ნორმების შესრულებას ეხებოდა. ომის დროს ტყვედ ნამყოფ ადამიანთა დიდი ნაწილი შორეულ ოლქებში გადაასახლეს, რათა ცუდი „ბურჟუაზიული" გავლენა არ მოეხდინათ თავისიანებზე.

ფორმალურად საბჭოთა კავშირში დაგმობილი იყო დოგმატიზმი, მაგრამ ფაქტობრივად შემოქმედებით ინტელიგენციას უზღუდავდნენ თავისუფალ აზროვნებას და ულმობლად აკრიტიკებდნენ „დასავლური კულტურის წინაშე ქედისმოხრის", „ფორმალიზმის", „კოსმოპოლიტიზმის" და სხვ. გამო. ასე დაგმეს დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე, ოთარ თაქთაქიშვილი და სხვ.

1947-1951 წწ. ხელისუფლებამ გამართა დისკუსიები ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ენათმეცნიერების, პოლიტეკონომიის საკითხებზე. მათში მონაწილეობდა თვით იოსებ სტალინი.

შედეგი ის იყო, რომ მეცნიერების „პარტიულ“ და „კლასობრივ“ მოვლენად გამოცხადებამ, მისმა შეზღუდვამ მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებით, ათასწლეულებით ჩამორჩენა ეს დარგები მსოფლიო მეცნიერების განვითარების დონისაგან.

40-50-იანი წლების მიჯნაზე პოლიტიკური რეპრესიებიც დაიწყო „საეჭვო პირთა“ წინააღმდეგ. 1951 წ. საქართველოში ვითომ აღმოაჩინეს „მეგრული ნაციონალიზმი“. ქართველი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, ასევე რიგითი მოქალაქეები სამეგრელოდან ციხეებში ჩაყარეს. მათ ბრალად ედებოდათ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მცდელობა. ეს აბსურდული აქცია მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის № 2 პოლიტიკური ფიგურის, ლავრენტი ბერიას დისკრედიტაციას და მოცილებას, რაც იოსებ სტალინმა ვერ შეძლო. სრულიად უდანაშაულო ხალხი კი სტალინის სიკვდილამდე საპყრობილეში იტანჯებოდა. ყოვლად უსამართლო იყო არა მარტო ეს საქმე, არამედ 1951 წლის 25 დეკემბრის აქტიც, როდესაც ერთი ღამის განმავლობაში რკინიგზის სატვირთო ვაგონებით საქართველოდან ყაზახეთისა და შუააზიის უდაბურ ადგილებში გადაასახლეს ათასობით უდანაშაულო მოქალაქე.

1953 წ. 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. ხალხის უმრავლესობამ გულწრფელად დაიტირა ეს დიდი და უცნაური პიროვნება, რომელიც 29 წელი განაგებდა უზარმაზარ საბჭოთა კავშირს და არა მარტო მას. მის სარეცელთან ლავრენტი ბერიას აღმოხდა ფრაზა — „ტირანი მოკვდა“. ეს იყო არსებითად სწორი შეფასება, თვით ბერია და მთელი პოლიტბიურო ამ ტირანიის საყრდენები რომ არ ყოფილიყვნენ.

მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა გიორგი მალენკოვი, რომელმაც ლავრენტი ბერიასთან ერთად სცადა სახელმწიფო ხელისუფლების განთავისუფლება პარტიული მეურვეობისაგან. ნიკიტა ხრუშჩოვს დაუთმეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, როგორც უკვე „უმნიშვნელო“. ხრუშჩოვის გარშემო მთელი პარტიული აპარატი დაირაზმა. 1953 წ. მაისში ბერლინში დაიწყო ანტისაბჭოური აჯანყება, რომლის ჩასაქრობად გაიგზავნა ლ. ბერია. მან თავი

გაართვა ამ ამოცანას და მოსკოვში დაბრუნდა. იგი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ფიქრობ„საერთაშორისო იმპერიალიზმის“ აგენტი, რომელიც პარტიის ხელმძღვანელი როლის მოსპობას და საბჭოთა კავშირის დაშლას ლამობდა. საბოლოოდ ხრუშჩოვმა გააძევა მთელი სტალინის დროინდელი ხელმძღვანელობა — მალენკოვი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ბულგანინი, კაგანოვიჩი — და თვითონ შეითავსა მთავრობის თავმჯდომარეობაც.

შესაბამისი ცვლილება მოხდა საქართველოშიც. 1953 წლიდან რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა ვასილ მჟავანაძე, რუსეთსა და უკრაინაში დიდხანს ნამსახური საბჭოთა გენერალი.

პარტიისა და მთავრობის სათავეში მოქცეულმა ხრუშჩოვმა 1956 წლის პარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გაილაშქრა სტალინის „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ. ისე გამოდიოდა, რომ სტალინი ცუდი იყო, ხოლო მისი ხელმძღვანელობით აშენებული „რეალური სოციალიზმი“ — კარგი. არაფერი თქმულა იმის თაობაზე, რომ თვით ხრუშჩოვი უზომოდ „ერთგული სტალინელი“ იყო და აქტიურად ახორციელებდა ათასობით „ხალხის მტრის“ ულეტას უკრაინაში, რომლის კომპარტიის პირველი მდივანი იგი კარგახანს იყო.

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში რეჟიმის ერთგვარი ლიბერალიზაცია მოხდა, სუსხიანი ტოტალიტარიზმის ერთგვარი „დათბობა“. რეაბილიტირებული იქნენ 1937-1938 წწ. რეპრესირებული ადამიანები (თუმცა არა ყველა). რეჟიმის ლიბერალიზაცია, ისევე როგორც ხრუშჩოვის ყველა სხვა ღონისძიება, ბოლომდე გაუმართავი, სანახევრო იყო.

სტალინის კრიტიკამ ფართო ხასიათი მიიღო და საკავშირო პრესაში ანტიქართული ელფერიც შეიძინა. ისე გამოდიოდა, რომ სტალინი, როგორც ეროვნებით ქართველი (თუმცა ის მშობლიურ ენად რუსულს აცხადებდა და საქმიანობითაც რუსული იმპერიის მშენებელი იყო), რაღაც მიკერძოებას იჩენდა საქართველოსადმი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ბუნებრივად ამაყობდა სტალინის ქართული წარმოშობით და მისი უზომო ქება-დიდების შემდეგ, ასევე უზომო ლანძღვა-

გინება უსამართლოდ მიაჩნდა. ქართველი ახალგაზრდობის მოზრდილ ნაწილსაც სტალინის, როგორც მოღვაწის, დაცვა ქართველობის დაცვად, უაღრესად პატრიოტულ საქმედ მიაჩნდა.

საპროტესტო მოძრაობა სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე დაიწყო. 1956 წ. 5 მარტს სტუდენტები ქუჩებში გამოვიდნენ ლენინისა და სტალინის სურათებით, ჩაიარეს ლენინის (ახლა თავისუფლების) მოედანი და მტკვრის სანაპიროზე მიტინგი გამართეს. აქ სამი დღე მიმდინარეობდა მიტინგები. ამასობაში საპროტესტო მოძრაობა მოედო გორს, თელავს, ქუთაისს, ბათუმს... დემონსტრანტებს ჰქონდათ ერთადერთი მოთხოვნა — საქართველოს ხელმძღვანელობას დაეგმო XX ყრილობის გადაწყვეტილებები. 9 მარტს მომიტინგეებმა ხრუშჩოვის გადაყენება და მოლოტოვის ხელმძღვანელობით ახალი მთავრობის ჩამოყალიბება მოითხოვეს. იმავე საღამოს ხრუშჩოვის ბრძანებით საბჭოთა ჯარმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ფედიუნინსკის ხელმძღვანელობით ტანკებით მიიტანა იერიში მშვიდობიან მომიტინგეებზე. დაიღუპა 26, დაიჭრა ათობით ახალგაზრდა. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას „ნაციონალიზმი" და „შოვინიზმი" დაბრალდა. ეს იყო გაუცნობიერებელი, გულუბრყვილო, მაგრამ სიღრმეში ეროვნული მოძრაობა, რომელიც ყველაზე გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო ლიდერის „დაცვის" ფორმით განხორციელდა.

უნდა მომხდარიყო საზოგადოებაში ჩამოვარდნილი უმედობის განწყობილების განმუხტვა. ასეთ ღონისძიებად იქნა მიჩნეული საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავის იუბილე. ეს იდეა 1956 წლის ბოლოს ცნობილ მეცნიერთა (შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, აკაკი სურგულაძე, მამია დუმბაძე, შალვა ცაგარეიშვილი) ინიციატივით ჩაისახა თბილისის კომიტეტში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო ეს გეგმა და 1958 წლის სექტემბერში ჩაატარა იუბილე, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა. თბილისის 1500 წლისთავი და შემდეგ „თბილისობანი" მთელი საქართველოს დღესასწაულად იქცა. გამგები გაიგებდა, რომ ეს თავისებური, ხალხის გამამხნევებელი აქტიც იყო დიდმპყ-

რობლური ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგოდ.

60-იანი წლების დასაწყისში ნათელი ხდებოდა, რომ საბჭოეთმა ვერ გადაწყვიტა ხრუშჩოვის მიერ დასმული ამოცანა — დასწეოდა და გაესწრო აშშ-სათვის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობით და წარმოებული პროდუქციის ხარისხით. მიუხედავად ამისა, ხრუშჩოვმა წამოაყენა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა", რომლის მიხედვით 60-70-იან წლებში თითქოს დასრულდებოდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება, 80-იან წლებში კი საბჭოთა კავშირი კომუნიზმში გადავიდოდა. ეს უტოპია ხრუშჩოვმა „პარტიის მესამე პროგრამის" სახით მიაღებინა პარტიის XXII ყრილობას 1961 წ. ოქტომბერში. 1964 წლისათვის ხრუშჩოვის ყველა რეფორმა ჩაიშალა. სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტების შედეგად 1963 წელს საბჭოთა კავშირს პური საყიდელი გაუხდა.

1964 წ. ოქტომბერში მოხდა უსისხლო გადატრიალება. ნიკიტა ხრუშჩოვი „თავისი სურვილით" გადააყენეს თანამდებობიდან. პარტიის სათავეში ჩადგა ლეონიდ ბრეჟნევი, ხოლო მთავრობისა ალექსი კოსიგინი. ბრეჟნევის გუნდმა დაიწყო ე. წ. „კოსიგინის ეკონომიკური რეფორმის" გატარება, რომელიც გულისხმობდა მატერიალური დაინტერესების ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. არსებული ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ეს რეფორმაც წინასწარვე განწირული იყო. სწრაფად დაიწყეს ხრუშჩოვისეული „სუბიექტივიზმისა" და „ვოლუნტარიზმის" გამოსწორება. სტალინის ძველი სახელისა და ავტორიტეტის აღდგენა ძნელი იყო, მაგრამ ნაწილობრივ, როგორც შეძლეს, აღადგინეს „სტალინიზმი", როგორც სისტემა.

ლეონიდ ბრეჟნევმა და მისმა გარემოცვამ ეკონომიკური ჩამორჩენის კომპენსაცია ახალი თეორიული „აღმოჩენით" სცადეს. გამოგონებული იქნა ე. წ. „განვითარებული სოციალიზმი", რომელიც თითქოს იყო ხანგრძლივი ეტაპი სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის. ყოველივე ეს ხდებოდა ეკონომიკური ჩამორჩენის მზარდი ტემპების ფონზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეუკავებლად ეცემოდა.

გადიდდა სასურსათო პროდუქციის იმპორტი, ხოლო ექსპორტს ძირითადად სტრატეგიული ენერგორესურსები შეადგენდნენ, როგორც ეს ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი.

საქართველოში ამ წლებში გადიდდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, მაგრამ ეს მოხდა ძირითადად არა კოლმეურნეობათა, არამედ საკარმიდამო ნაკვეთების ხარჯზე. ეს თვალნათლივი მოწმობა იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის სრული კრახისა და კერძო საკუთრებაზე დამყარებული მეურნეობის უპირატესობისა. იმ წლებში ქართული სოფელი ხელახლა მოშენდა. ძველი ფიცრული სახლები აგურისა და ქვის ნაგებობებმა შეცვალა. ხელმძღვანელობა ფაქტობრივად თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ეს დოვლათი, გარკვეულად „არასოციალისტური" გზით იყო შექმნილი. ამავე დროს ფართო მასშტაბი მიიღო პროტექციონიზმმა, კორუფციამ და მექრთამეობამ, რაც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, არ იყო მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი მოვლენა.

1972 წ. სექტემბერში პენსიაზე გაუშვეს ვასილ მჟავანაძე. რესპუბლიკის კომპარტიის პირველ მდივნად დაინიშნა ახალგაზრდა და ენერგიული ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე. მან უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა, როგორც მაშინ ეძახდნენ — „ნეგატიური მოვლენების" — კორუფციის, პროტექციონიზმის, უკონტროლობის წინააღმდეგ. ზნეობრივი პათოსის შეცვლამ ერთგვარად გამაჯანსაღებლად იმოქმედა რესპუბლიკის საზოგადოებრივ განწყობილობაზე. სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, წინ წავიდა ეკონომიკაც. 1972-1983 წწ., ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ მანამდე არნახულ დონეს მიაღწია, თუმცა ძირგამომპალი სოციალიზმის ხსნა მას არ შეეძლო.

ლეონიდ ბრეჟნევის ხელისუფლებამ, რომელმაც სრული ფიასკო განიცადა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ჩიხიდან გამოსვლა ახალი კონსტიტუციის მიღებით მოინდომა. მასში უნდა დაფიქსირებულიყო, რომ საბჭოთა კავშირი იყო „განვითარებული სოციალიზმის" ქვეყანა. ეს კონსტიტუცია, ცხადია, მიიღეს და მის საფუძველზე შე-

მუშავდა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ამოღებული იყო მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. ამან სამართლიანად აღაშფოთა მთელი ქართველი ერი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებმა 1978 წ. 12 აპრილიდან თბილისის ქუჩები გაავსეს. დაიწყო საბჭოთა კავშირისათვის არნახული დემონსტრაციები და მანიფესტაციები. განსაკუთრებით აქტიურობდა სტუდენტი ახალგაზრდობა, მთელი ინტელიგენცია. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 14 აპრილისათვის. სრულებით არ იყო გამორიცხული 1956 წ. სცენარის გამეორება. ედუარდ შევარდნაძემ შეძლო დაერწმუნებინა საკავშირო ხელისუფლება ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შენარჩუნების აუცილებლობაში და ფაქტობრივად ააცდინა ქვეყანას მოსალოდნელი ხოცვა-ულეტა. ამიერიდან 14 აპრილი იქცა ქართული ენის დაცვის დღედ. ეს იყო ტოტალიტარულ იმპერიასთან ფაქტობრივად პირველი შეტაკება, რომელიც ქართველი ერის წარმატებით დასრულდა.

მძაფრი პროტესტი დისიდენტური წრეებისა გამოიწვია რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატის 200 წლისთავის მოჭარბებული ზარ-ზეიმით აღნიშვნამ 1983 წელს, იმ ტრაქტატისა, რომლის შესრულებას მოითხოვდა ქართველობა რუსეთისაგან მთელი ორი საუკუნის მანძილზე.

საბჭოთა იმპერია, სერიოზული კრიზისის მიუხედავად, ვერ ელეოდა მსოფლიო ბატონობის ამბიციებს. 1979 წ. დეკემბერში „კლასობრივი სოლიდარობისა" და „ინტერნაციონალური ვალის" მოხდის მიზნით საბჭოთა კავშირმა დამოუკიდებელ ავღანეთში ჯარები შეიყვანა. ეს სისხლიანი და უნაყოფო ომი ათ წელზე მეტხანს გაგრძელდა. მან დიდი როლი შეასრულა სსრკ-ს შინაგან გახრწნასა და საგარეო დისკრედიტაციაში. ამასობაში, 1982 წ. ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე გახდა უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე იური ანდროპოვი. მას რეალური მონაცემები გააჩნდა ქვეყნის კატასტროფულ მდგომარეობაზე და თითქოს აპირებდა გარკვეული რეფორმების ჩატარებას, მაგრამ მას ეს არ დასცალდა. მძიმედ ავადმყოფი ანდროპოვი ისე გარდაიცვალა, რომ უხეში ადმინისტრაციული ღონისძიებების მეტი ვერაფერი მოასწრო.

59. ქართული კულტურა XX ს. 50-80-იან წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდის ერთგვარი ლიბერალიზაცია კულტურასაც შეეხო, თუმცა კულტურის „განთავისუფლება“ ისეთივე უდღეური იყო, როგორც ამ პერიოდის სხვა რეფორმები. მაინც, ბევრ შემოქმედს საშუალება მიეცა შედარებით თავისუფლად გამოეხატა თავისი აზრი. მკაფიოდ გამოჩნდა ეს მწერლობაში, მეცნიერებაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. ამასთან, ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც ძალზე სუსტად ერკვეოდა ხელოვნებაში, აქტიურად ერეოდა სპეციფიკურ სახელოვნებო საკითხებში და თავს ნებას აძლევდა „ესწავლებინა“ მათთვის, როგორ სჯობდა შემოქმედებითი მუშაობა. ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში კულტურის მართვაში დაუბრუნდნენ უფრო კონსერვატიულ მეთოდებს.

განათლება მეცნიერება. საქართველოში თვით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არ დახურულა არცერთი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი. დიდ ქალაქებში სკოლა გაიყო ქალთა და ვაჟთა სკოლებად.

1946 წლიდან სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით შემოღებული იქნა 11-წლიანი საშუალო სკოლა. ქართულად რესპუბლიკის მოსწავლეთა დაახლოებით 60% სწავლობდა. ძლიერ მოიმატა რუსულენოვანი მოსწავლეების რიცხვმა. სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური სკოლებიც ფაქტობრივად რუსულენოვანი იყო.

1959 წლიდან განხორციელდა საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაცია — შემოღებული იქნა საწარმოო-შრომითი სწავლება. შეიქმნა სკოლა-ინტერნატები ობოლი და ხელმოკლე ბავშვებისათვს. სკოლის პოლიტექნიზაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო სათანადო ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო.

1966 წლისათვის მოსწავლეთა რიცხვმა საქართველოში თითქმის მილიონს მიაღწია. ძლიერ საგრძნობი გახდა სკოლების ნაკლებობა. ამის მიუხედავად, შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება,

რაც პრაქტიკაში ვერ განხორციელდა.

ომისშემდგომ წლებში დიდად გაიზარდა უმაღლესი განათლებაც. 1956 წლისათვის მომზადდა 100 ათასზე მეტი სპეციალისტი, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე მთლიანად 1946 წლამდე. გაუმართლებელი იყო ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა (პარტისტორია, მეცნიერული კომუნიზმი და სხვ.) სწავლების უზომოდ და ცალმხრივად გაფართოება.

40-80-იანი წლები საქართველოში ქართული მეცნიერების განვითარების მეტად ნაყოფიერი პერიოდი იყო. საბჭოთა კავშირისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გამოკვლევებში თავისი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა მათემატიკოსებმა ნიკო მუსხელიშვილმა და ილია ვეკუამ. ომისშემდგომ პერიოდში დიდად განვითარდა ქართული ფიზიოლოგიური სკოლა ივანე ბერიტაშვილის მეთაურობით. განსაკუთრებით წინ წავიდნენ ქართველოლოგიური დისციპლინები. ფუნდამენტური მონოგრაფები შექმნეს აკაკი შანიძემ, გიორგი ახვლედიანმა, არნოლდ ჩიქობავამ, გიორგი წერეთელმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, თამაზ გამყრელიძემ... ქართული მეცნიერების სიმწიფის უდავო დადასტურება იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის", „საქართველოს ისტორიის ნარკვევებისა" და ქართული ენციკლოპედიის გამოცემა.

მწერლობა. მთელი საბჭოთა კავშირის მსგავსად, იდეოლოგიურ არტახებში ვითარდებოდა ქართული მწერლობა. თვით კლასიკოსებიც კი ვერ აცდნენ თავსმოხვეულ „სოციალურ შეკვეთას" და ერთგვარი ხარკის სახით ქმნიდნენ ხელისუფლების გემოვნების შესაფერის ნაწარმოებებს. ამასთან, ქართულ მწერლობას არ დაუგდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების თუნდაც შეფარულად ქადაგების, ეროვნული და საკაცობრიო ჭეშმარიტი იდეალების გზა.

ამ პერიოდში შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი", სადაც ავტორი კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ქართული ლიტერატურის კლასიკოს-დიდოსტატად.

ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის დიდად ნიჭიერი

წარმომადგენლები — გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ინანიშვილი, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ოტია იოსელიანი, გურამ ფანჯიკიძე და სხვ. განსაკუთრებული გავლენა ქართული მწერლობის განვითარებაზე მოახდინეს რომანებმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე" (ნ. დუმბაძე), „დათა თუთაშხია" (ჭ. ამირეჯიბი).

ქართულ პოეზიაში მოღვაწეობდნენ უფროსი თაობის დიდოსტატები — გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვ. უაღრესად ნაყოფიერი იყო შედარებით უმცროსი თაობის შესანიშნავი წარმომადგენლების — იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსულ ჩარკვიანის და სხვათა შემოქმედება.

წინააღმდეგობრივი გზით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა ქართული კრიტიკა და პუბლიცისტიკა (გერონტი ქიქოძე, ბესო ჟღენტი, გიორგი ნატროშვილი, გურამ ასათიანი და სხვ.).

1966 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ამ იუბილემ დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის წარმოჩინებას მთელს მსოფლიოში. უცხოეთში დაინტერესდნენ ქართული მწერლობით, ხელოვნებით, კულტურით სხვა დარგებით. ამ იუბილეს ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღოდა ირაკლი აბაშიძეს.

თეატრი. კინო. მუსიკა. ქართულ ლიტერატურასთან ერთად, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის საკაცობრიო იდეალებს ქადაგებდნენ ქართული თეატრი, კინო, სამუსიკო ხელოვნება, რომლებმაც დიდად წაიწიეს წინ. ქართული თეატრი დაადგა სოციალურიდან პიროვნულისაკენ შემობრუნების გზას, რაც მსოფლიო ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენცია იყო. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში მოღვაწეობდნენ დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, დოდო ანთაძე, გიგა ლორთქიფანიძე, თემურ ჩხეიძე, გიზო ჟორდანია... განსაკუთრებული პატივი და

მოწონება ხვდათ წილად რობერტ სტურუას სპექტაკლებს. ამ გამოჩენილი რეჟისორების გვერდით მოღვაწეობდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, გიორგი შავგულიძე, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი.

ამავე პერიოდში დიდად განვითარდა ქართული კინემატოგრაფია, რომელმაც თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საბჭოთა და მსოფლიო კინოხელოვნებაში. 50-იან წლებში ქართულ კინოში მოვიდა რეჟისორთა და მსახიობთა ახალი, ნიჭიერი თაობა. ესენი იყვნენ რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე, ლია ელიავა, ოთარ კობერიძე, დოდო აბაშიძე, ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა, თენგიზ არჩვაძე და სხვ. მაშინ ჯერაც ახალგაზრდა თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ფილმმა („მაგდანას ლურჯა") ჯილდო დაიმსახურა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

60-იან წლებში გამოვიდნენ ფართო ასპარეზზე ელდარ და გიორგი შენგელაიები, მიხეილ კობახიძე, მერაბ კოკოჩაშვილი და სხვ. 1958-1975 წწ. საქართველოში 700-მდე ფილმი შეიქმნა, რომელთა ერთმა ნაწილმა საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიები დაიმსახურეს.

საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ თენგიზ აბულაძის ფილმებს — „ვედრებას", „ნატვრის ხეს", „მონანიებას", რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას", ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივ გამოფენას", „შერეკილებს", „ცისფერ მთებს", გიორგი შენგელაიას „ვერის უბნის მელოდიებს", ოთარ იოსელიანის ფილმებს — „გიორგობისთვე", „პასტორალი", „იყო შაშვი მგალობელი" და სხვ.

40-80-იან წლებში დიდებული სამუსიკო ნაწარმოებები შექმნეს შალვა მშველიძემ (ოპერები „ამბავი ტარიელისა", „დიდოსტატის მარჯვენა"), ანდრია ბალანჩივაძემ, ალექსი მაჭავარიანმა (ბალეტი „ოტელო"), ოთარ თაქთაქიშვილმა (ოპერები „მინდია", „მთვარის მოტაცება"), რევაზ ლაღიძემ (მრავალი სიმღერა და ოპერა „ლელა"), გია ყანჩელმა, სულხან ცინცაძემ და სხვ.

ბოლო დროს დიდად განვითარდა საესტრადო მუსიკა (გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, სანდრო მირიანაშვილი, ოთარ თევდორაძე, ბიძინა კვერნაძე, ოთარ გურგენიძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვ.).

ბიბლიოთეკა

კლასიკურ და თანამედროვე მუსიკასთან ერთად ნაყოფიერად ვითარდებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. მსოფლიო მოიარეს ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა (ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი), ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე), ანსამბლმა „რუსთავმა" (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი) და სხვ.

დიდ წარმატებებს მიაღწია ქართულმა მუსიკალურმა საშემსრულებლო ხელოვნებამ (პიანისტები — ელისო ვირსალაძე, მარინე მდივანი, მევიოლინეები — მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე).

სახვითი ხელოვნება. ხუროთმოძღვრება. 40-80-იანი წლების პირველ ნახევარში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები — ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, სერგო ქობულაძე, ირაკლი თოიძე, იაკობ ნიკოლაძე. ამ გამოჩენილ მოღვაწეებს მხარში ამოუდგნენ გიორგი თოთიბაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ავთანდილ ვარაზი, ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი, თენგიზ მირზაშვილი და სხვ.

ქართულ ხელოვნებაში დიდ განვითარებას მიაღწია მონუმენტურმა ქანდაკებამ. დედაქალაქი დაამშვენა ელგუჯა ამაშუკელის „ქართვლის დედამ" და „ვახტანგ გორგასალმა", გიორგი ოჩიაურის „ვაჟა ფშაველამ", მერაბ ბერძენიშვილის „დავით გურამიშვილმა", „ზაქარია ფალიაშვილმა"... ირაკლი ოჩიაურმა და კობა გურულმა ააღორძინეს ძველი ქართული ჭედური ხელოვნება. მსოფლიოს მრავალ ქალაქს ამშვენებენ ზურაბ წერეთლის ნამუშევრები.

მიუხედავად ბევრი ობიექტური და სუბიექტური ხელისშემშლელი პირობებისა, შეძლებისდაგვარად ვითარდებოდა ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი დაამშვენა სპორტის სასახლემ, ფილარმონიამ, სასტუმრო „ივერიამ", მთავრობის სახლის ფასადმა და მთავარი ფოსტის შენობამ. გან-

საკუთრებით აღსანიშნავია მეტროპოლიტენი, რომლის ბევრი სადგური საყურადღებო ხუროთმოძღვრული ძეგლია. აღდგენილ იქნა ქალაქის ძველი უბნები (არქ. შოთა ყავლაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია და რადიო 40-80-იანი წლების საქართველოში მასობრივი ინფორმაციის და ყოველგვარი ცოდნის გავრცელების საშუალება გახდა და მათზე მოთხოვნილება დიდად გაიზარდა. იბეჭდებოდა ასობით დასახელების სასწავლო, სამეცნიერო, მხატვრული წიგნი მრავალათასიანი ტირაჟებით. გამოვიდა რამდენიმე ათეული გაზეთი. საქართველოს ტელევიზიამ პირველი გადაცემა დაიწყო 1956 წ. 30 დეკემბერს. უკვე 70-იან წლებში ტელევიზიისა და რადიოს 20-ზე მეტი მთავარი რედაქცია ემსახურებოდა მოსახლეობას.

ქართული კულტურა 40-80-იან წლებში, მიუხედავად იდეოლოგიური დოგმატიკის გავლენისა, ქართველად ზრდიდა ქართველს, უყალიბებდა მას უახლესი დროის შესაფერის ეროვნულ-საზოგადოებრივ აზროვნებას.

60. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ (1984 წ.), მცირე ხნით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი გახდა მძიმედ ავადმყოფი კონსტანტინე ჩერნენკო. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1985 წელს, ქვეყნის სათავეში მოვიდა მიხეილ გორბაჩოვი, რომელმაც პარტიის იდეოლოგად მოიწვია ალექსანდრე იაკოვლევი, ხოლო სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად — ედუარდ შევარდნაძე. მათი შეფასებით, საბჭოთა კავშირი იმ დროისათვის ყოველმხრივ კრიზისს განიცდიდა. ყველაფერი „დამპალი" იყო — პარტიაც, ხელისუფლებაც, ეკონომიკაც, იდეოლოგიაც.

1985 წ. დაიწყო დიდი რეფორმა, რომლის მიზანი იყო ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის გარდაქმნა დემოკრატიულ საწყისებზე. ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდა რიგი, უმთავრესად პოპულისტური ღონისძიებები, მაგალითად, „მშრალი კანონის" შემოღება, „საჯაროობის" გამოცხადება და სხვ. შერყეული ეკონომიკის პირობებში, საჯაროობამ და დემოკრატიზაციამ სწრაფად დაიწყო შიშზე დამყარებული იმპერიის რღვევა. საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა რესპუბლიკაში, წინა პლანზე წამოვიდნენ არაფორმალური გაერთიანებანი, დისიდენტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციები. მათ ენერგიულად გააჩაღეს ანტისაბჭოთა პროპაგანდა კავკასის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის დაწყების უარყოფის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიიდან საბჭოური ჯარის საწვრთნელი პოლიგონის სხვაგან გადატანის მოთხოვნით თუ სხვა ფორმით.

1988 წლიდან მასობრივი ანტისაბჭოური მიტინგები და დემონსტრაციები ფაქტობრივად ყოველდღე იმართებოდა საქართველოს დედაქალაქში, განსაკუთრებით ნოემბრის თვიდან. მიტინგების ორგანიზატორები მოითხოვდნენ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენას, საქართველოს ძალით გასაბჭოების და ოკუპაციის ფაქტის აღიარებას ხელისუფლების მიერ, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას, საბჭოთა არმიის

გაყვანას და ნატოს ჯარის შემოყვანას საქართველოში.

არაფორმალური გაერთიანებები შეიქმნა აფხაზეთში, და შიდა ქართლშიც („სამხრეთ ოსეთის ოლქი"), მაგ. საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება მოითხოვეს „დამოუკიდებელი რესპუბლიკების" სტატუსით.

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთის სეპარატისტებმა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით რუსეთთან შეერთების მოთხოვნა მიაღებინეს მრავალათასიან თავყრილობას სოფ. ლიხნში. მწიფდებოდა მსგავსი სეპარატისტული აქტები შიდა ქართლშიც. აფხაზ და ოს სეპარატისტთა უკან საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლების რეაქციული ფრთა იდგა.

აფხაზი და ოსი სეპარატისტების ყოველგვარ საფუძველსმოკლებულმა, პროვოკაციულმა მოთხოვნებმა უაღრესად გაამწვავეს ვითარება რესპუბლიკაში. თბილისში კვლავ დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები. ახალგაზრდობის ჯგუფმა სასახლის წინ დაიწყო შიმშილობა. 1989 წ. 4 აპრილიდან იქვე მიმდინარეობდა მიტინგები. 7 აპრილს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ პატიაშვილ-ნიკოლსკის მეთაურობით დახმარება სთხოვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიტინგის ძალით აღსაკვეთად. მოსკოვიდან ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე კოჩეტოვი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას ებრძანა ემოქმედა სიტუაციის მიხედვით.

1989 წ. 8 აპრილის გამთენიისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მოუწოდა მიტინგის მონაწილეებს გადასულიყვნენ მთავრობის სასახლის მოედნიდან იქვე ქაშუეთის ეკლესიაში. მიტინგის ხელმძღვანელებმა ეს რჩევა უარყვეს. სპეცრაზმი სასანგრო ნიჩბებით დაიძრა მიტინგის მონაწილეთა გასაფანტავად, დაერია მათ და დაიწყო განუკითხავი ულეტა. დაიღუპა 20, დაშავდა ასობით ადამიანი. ამის შემდეგ სპეცრაზმმა დატოვა ასპარეზი და ქალაქში პოზიციები დაიკავა რეგულარულმა არმიამ.

9 აპრილის ტრაგედია მთელ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში გახმაურდა. იგი დაგმო ყველამ, მათ შორის საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამაც. 9

აპრილის მოვლენებმა მძლავრი იმპულსი მისცეს ანტისაბ-ჭოთა ბრძოლას მთელი იმპერიის მასშტაბით. 9 აპრილის ტრაგედია მოწმობდა, რომ საბჭოთა კავშირში „გარდაქმნა" დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. საქმეს ვერ უშველა მოსკოვში საპრეზიდენტო ხელისუფლების შემოღებამაც. 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა რამდენიმე პარ-ტია, იატაკქვეშეთიდან უკვე გამოსული იყვნენ ადრე დაარსე-ბული პარტიები. 1989 წ. განსაკუთრებულად საყოველთაო-საზეიმო ვითარებაში აღინიშნა 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული.

1990 წ. 13-15 მარტს თბილისში შედგა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო კონფერენცია, რომელ-მაც საბჭოთა ხელისუფლების საპირისპიროდ და ახალი არჩევნების მოსაწყობად შექმნა ეროვნული ფორუმი, რომელიც მალე გაითიშა. ეროვნული ფორუმი დატოვეს და ზვიად გამსახურდიას მეთაურობით პოლიტიკური გაერთიანება, შემდეგში საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავის-უფალი საქართველო" შექმნეს ჰელსინკის კავშირმა, წმ. ილია მართლის საზოგადოებამ, ტრადიციონალისტებმა და სხვ. ეროვნული ფორუმის პარტიებმა 1990 წლის 23 მაისს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე გადაწყვიტეს შეექმ-ნათ „ეროვნული კონგრესი" გიორგი ჭანტურიას და ირაკ-ლი წერეთლის მეთაურობით. იმავე წელს კიდეც აირჩიეს ეს ორგანო, რომელმაც მოითხოვა საქართველოდან რუსე-თის საოკუპაციო ჯარის გაყვანა, ყველა საბჭოური ორგა-ნოს გაუქმება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდ-გენა.

ოფიციალურმა ხელისუფლებამ, საქართველო სსრ უზე-ნაესმა საბჭომ თვით დაიწყო ამ მოთხოვნების თანდათანო-ბითი განხორციელება. კერძოდ, მან 1921 წ. 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპა-ციად და დაპყრობად, ხოლო 1922 წ. ხელშეკრულება საქართველოს სსრ კავშირში შესვლის შესახებ გაუქმებუ-ლად გამოაცხადა. ახალი საყოველთაო, მრავალპარტიული არჩევნები დაინიშნა 1990 წ. 28 ოქტომბრისათვის.

პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა „მრგვალ მაგიდას", რომელსაც მანდატების უმრავლე-

სობა ერგო. უზენაესი საბჭოს სესიის წინაშე უფლებამ-ოსილება მოიხსნა უკანასკნელმა კომუნისტურმა მთავრობამ. სესიამ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ანატოლი სიგუა.

1991 წ. 31. მარტს მოეწყო რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმად 1991 წ. 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წ. 26 მაისს პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

ახალმა ხელისუფლებამ, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებთან ერთად არაერთი მავნე ღონისძიება გაატარა. აგენტებად და მოღალატეებად გამოაცხადეს არა მარტო საბჭოთა ხელისუფალნი, არამედ თავიანთი გუშინდელი თანამოაზრენი ეროვნულ-დემოკრატები, ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ფარული თუ აშკარა დევნა დაუწყეს ყველას, ვინც მათ არ ეთანხმებოდა. ფაქტობრივად შენარჩუნებული იქნა ძველი, კომუნისტურ სამმართველო სტრუქტურები, ადმინისტრირების ძველებული მეთოდები.

პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში განსაკუთრებით დაიძაბა მოსკოვის 1991 წლის აგვისტოს პუტჩის წინა და მომდევნო ხანაში. გადადგა პრემიერი, გაითიშა გვარდია, რომლის სარდალი პრემიერთან ერთად ოპოზიციას მიემხრო. ისინი გამოდიოდნენ დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნით.

ამასობაში, 1991 წ. დეკემბერში გაუქმდა საბჭოთა კავშირი, დაიშალა საბჭოური იმპერია. დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს არა მარტო იმ რესპუბლიკებმა, რომელთაც მსხვერპლი გაიღეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არამედ იმათაც, ვისაც მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი მოსკოვთან დაპირისპირებით. ისინი ცნეს რუსეთმა და მრავალმა სხვა ქვეყანამ. საქართველო კი, რომელმაც პირველმა გაიღო მსხვერპლი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იზოლაციაში აღმოჩნდა, რადგან მისი რეჟიმი არ იქნა ცნობილი დემოკრატიულად.

1992 წ. დასაწყისში პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას რეჟიმი სამხედრო ძალით დაემხო. შეიქმნა სამხედრო საბჭო. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის შემადგენლობით. მან თავიანთი დეკრეტით შექმნეს დროებითი მთავრობა, რომლის პრემიერად თ. სიგუა დაინიშნა.

1992 წ. გაზაფხულზე, საქართველოში უმძიმესი ვითარების გამო, სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო ედუარდ შევარდნაძემ. მცირე ხნის შემდეგ სამხედრო საბჭო გაუქმდა. შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც სათავეში ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა. ამ დროებით ორგანოს ქვეყანა არჩევნებამდე უნდა ემართა. ახალი რეჟიმის მხარდასაჭერად საქართველოში ჩამოვიდნენ აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმზ ბეიკერი და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებმა და იმავე წლის ზაფხულში იგი მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ამრიგად, საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

1992 წ. 11 ოქტომბერს არჩეული იქნა პარლამენტი. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით არჩეული იქნა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე აფხაზეთის სეპარატისტები და მათი მფარველები რუსი რეაქციონერების მხრიდან, ამზადებდნენ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის თითქმის მთლიანად გაწყვეტს. შემდეგ სეპარატისტებმა დაიწყეს ადამიანთა გატაცება და თავდასხმები საქართველოში მომავალ სატვირთო მატარებლების შემადგენლობებზე, მათ გასაძარცვავად. სატრანსპორტო მაგისტალების დაცვის მიზნით, აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, იქ შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. პროვოკაციების შედეგად ჯარი ჩათრეული იქნა საბრძოლო მოქმედებაში. სუსტი სახელმწიფოს არაორგანიზებული ჯარი ხშირად თვითნებურადაც

მოქმედებდა, რისი მაგალითიც იყო მათ მიერ სოხუმის დაკავება. ასე დაიწყო ომი აფხაზეთისათვის. მასში აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ დაქირავებულები, მათ მხარს უჭერდა ადგილზე განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილები. გარეშე ძალების აქტიური დახმარებით, სეპარატისტებმა აიღეს გაგრა, შემდეგ დიდი ბრძოლების შედეგად სოხუმი, ოჩამჩირე, გალი და ენგურზე გაავლეს საზღვარი. სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, გენერალი ჟიული შარტავა.

აფხაზეთიდან გამოიდევნა 300 000-მდე ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე. ობიექტურად მტერს უწყობდა ხელს ექსპრეზიდენტის ლაშქრის მოქმედებაც, რომელთაც არ ისურვეს სეპარატისტებთან ომი, პირიქით· სამოქალაქო ომი გააჩაღეს, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის ზოგიერთი რაიონი დაიკავეს და ქუთაისისა და თვით თბილისის აღებითაც იმუქრებოდნენ. ეს მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ თავისი უარყოფითი როლი მთლიანად შეასრულა. ასეთივე როლი შეასრულა სამთავრობო ჯარებში გაერთიანებული კრიმინალური ნაწილების თარეშმა სამეგრელოში. საქართველოს ამ უძველეს კუთხეში ისინი უცხო დამპყრობლებივით იქცეოდნენ.

დაახლოებით ამგვარი ვითარებაა შიდა ქართლშიც, რომლის ლიდერებს არ ასვენებთ ამ მხარის რუსეთთან შეერთებისა და „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეა.

უკანასკნელ დრომდე ქვეყნის შიგნითაც გრძელდებოდა ანარქია და უწესრიგობა. სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა მუშაობა ქმედითუნარიანი ქართული არმიის, პოლიციისა და უშიშროების ორგანოების შესაქმნელად. ვერ ხერხდებოდა საკუთარი თუ უცხო მოქალაქეების უფლებების და თავისუფლებების დაცვა. ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა გამოესწორებინა მდგომარეობა იმ მცირე ვადებში, რაც მას ჰქონდა ახალი არჩევნების ჩატარებამდე, რომელიც ახალი კონსტიტუციის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

61. საქართველოს 1995 წ. კონსტიტუცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად ადრევე შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც შეჯერებული პროექტი განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. ხანგრძლივი და მძაფრი დებატების შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც სრულიად განსხვავებულ ეტაპს იწყებდა ქვეყნის ცხოვრებაში. პირველ ყოვლისა, ეს იყო დამოუკიდებელი, საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე დაინიშნა თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტის ახალი და პარლამენტის არჩევნები. ახალი კონსტიტუცია ძალაში უნდა შესულიყო ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან. ქვეყნის დესტრუქციულ ძალებს ხელს არ აძლევდათ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, არც ახალი კონსტიტუცია. ეს ინსტიტუტები დიდხანს ვერ მოითმენდნენ ქაოსსა და ანარქიას. დესტრუქციულმა ძალებმა, როგორც გაირკვა, თავის დროზე თავიდან მოიცილეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და ფონდ „აღორძინება და დემოკრატიის" თავმჯდომარე. განსაკუთრებული იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას მკვლელობა, რომელიც უკვე პოლიტიკურ ტერორს მოასწავებდა... ამჯერად მიზანში თვით სახელმწიფოს მეთაური ამოიღეს, რომელიც პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო. 1995 წ. 29 აგვისტოს მოეწყო ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად, შეთქმულთა აზრით, ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო მეთაური და ხელისუფლება მათ ხელში უნდა გადასულიყო. ეს გეგმა ვერ განხორციელდა. სახელმწიფოს მეთაური გადარჩა, ხოლო ტერაქტმა მისი ორგანიზატორებისა და შემსრულებლების საბოლოო გამოაშკარავებას და იზოლაციას შეუწყო ხელი.

1995 წ. 28 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს ახალი პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტად არჩეულ იქნა ედურად შევარდნაძე. საქართველოს ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

საქართველოს 1995 წ. კონსტიტუცია მტკიცე საფუძველს უქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში. მან გამოაცხადა საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. კონსტიტუციის საფუძველი გახდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები და საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წ. 21 დეკემბრის (სსრკ დაშლის) მდგომარეობით. აღიარებული იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი.

საქართველოს პარლამენტში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ იქნება ორი პალატა — ეროვნული საბჭო და სენატი. პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელობითი ორგანო.

სახელწიფო ხელისუფლების ცენტრალური ფიგურაა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არის საქართველოს სახელმწიფოს და ამავე დროს მთავრობის მეთაური. პრეზიდენტი ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის, კონსტიტუციის დაცვისა და განხორციელების უმთავრესი გარანტია.

საქართველოს 1995 წ. კონსტიტუციამ პირველად რეალურად განახორციელა ხელისუფლების დაყოფა და სათანადო ადგილი დაუთმო დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც ხორციელდება უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა კონსტიტუციურად განისაზღვრება ერთიანობის აღდგენის შემდეგ.

ქართველ ერს, საქართველოს ყველა მოქალაქეს უბრუნდება არა მხოლოდ გადარჩენის, არამედ საყოველთაო კეთილდღეობის, ღონიერი, სამართლიანი და რეალურად თავისუფალი საზოგადოების აშენების იმედი და რწმენა.

საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონი წლის წინ — პირველყოფილი ადამიანის დასახლება კავკასიაში

35 ათასი წლის წინ — ზედა პალეოლითის დასაწყისი, გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბება

12 ათასი წლის წინ — მეზოლითის დასაწყისი

6-8 ათასი წლის წინ — ნეოლითი

6-7 ათასი წლის წინ — ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანის) დასაწყისი

ჩვ. წ-აღ-მდე IV-III ათასწლეულის მიჯნაზე — ბრინჯაოს ხანის დასაწყისი

ჩვ. წ-აღ-მდე III ათასწლეული — მტკვარ-არაქსის კულტურა (ადრე ბრინჯაოს ხანა)

ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის I ნახ. — თრიალეთის კულტურა (შუაბრინჯაოს ხანა)

ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის II ნახ. — გვიანბრინჯაოს ხანა — დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული კულტურების ჩამოყალიბება

ჩვ. წ-აღ-მდე XII ს. — მესხების ანუ მუშქების შეჭრა წინა აზიაში. დიაოხის და კოლხას სახელმწიფოების წარმოქმნა

ჩვ. წ-აღ-მდე IX-VIII ს. მიჯნა — დიაოხის მეფის უტუფურსის ბრძოლა ურარტუს მეფეების მენუასა და არგიშთის წინააღმდეგ

ჩვ. წ-აღ-მდე VIII ს. დასაწყისი — დიაოხის დაპყრობა ურარტუს და კოლხას მიერ

ჩვ. წ-აღ-მდე 750-741 წწ. — ურარტუს მეფე სარდურ II-ის ორგზის ლაშქრობა კოლხაში

ჩვ. წ-აღ-მდე VIII 20-იანი წწ. — კოლხას განადგურება კიმერიელების მიერ

ჩვ. წ-აღ-მდე 590 წ. — ურარტუს განადგურება მიდიელების მიერ

ჩვ. წ-აღ-მდე VII-VI სს. მიჯნა — ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა

ჩვ. წ-აღ-მდე VI საუკუნიდან — ბერძნები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აარსებენ ახალშენებს. ამავე საუკუ-

ნეში კოლხეთში მოჭრეს „კოლხური თეთრი“

ჩვ. წ-აღ-მდე VI საუკუნის ბოლოს — მესხური ტომების შემოჭრა აღმოსავლეთ საქართველოში

IV-III სს. მიჯნა ჩვ. წ-აღ-მდე — ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

ჩვ. წ-აღ-მდე — III ს. — ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანა

ჩვ. წ-აღ-მდე 190 წ. — რომაელები ამარცხებენ სელევკიდებს

ჩვ. წ-აღ-მდე 111-63 წ. — მითრიდატე VI პონტოელის მეფობა

ჩვ. წ-აღ-მდე 65 წ. — პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში

I ს. — ფარსმან I-ის მეფობა ქართლში. ბრძოლა სომხეთისათვის

63 წ. — ზავი რომსა და პართიას შორის

69 წ. — ანიკეტის აჯანყება

II ს.-20-30-იანი წლები — ფარსმან II მეფობა ქართლში

II ს. II ნახევარი — სერაფიტის წარწერა

დაახლ. 337 წ. — ქრისტიანობის სახელწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში

IV ს. ბოლო წლებში — თბილისში იჯდა ირანის შაჰის მოხელე-პიტიახში

428 წ. — მეფობის გაუქმება სომხეთში

463 წ. — მეფობის გაუქმება ალბანეთში

IV ს. ბოლოს — ეგრისის ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება

V ს. მეორე ნახევარი — ვახტანგ გორგასლის მეფობა

483 წ. — ბრძოლა გარდაბნის ველზე

484 წ. — ქართლსა და სომხეთში ირანელთა დიდი ჯარის შემოსვლა

დაახლ. 502 წ. — ბრძოლა სამგორის ველზე

523 წ. — ქართლის მეფის გურგენის აჯანყება. მეფობის გაუქმება

532 წ. — საუკუნო ზავი ბიზანტიას და ირანს შორის

542-562 წწ. — დიდი ომიანობა ეგრისში

554 წ. — ეგრისის მეფე გუბაზის მკვლელობა

550 წ. — აბაზგების აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ

555 წ. — მისიმიელების აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ

VI ს. 70-იანი წლები — სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების დაწყება. ერისმთავრობის დაწესება ქართლში

591 წ. — ქართლის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან

608 წ. — საეკლესიო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის

627 წ. — ჰერაკლე კეისრისა და ჯიბღუს ლაშქრობა ქართლში

628 წ. — თბილისის აღება ხაზართა მიერ

VII ს. 40-იანი წლები — არაბთა პირველი შემოსევები ამიერკავკასიაში

654 წ. — ქართლის დამორჩილება არაბების მიერ. ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი

697 — პატრიკიოზ სერგი ბარნუკის-ძის აჯანყება. არაბთა გადასვლა დასავლეთ საქართველოში

735-738 წწ. — მურვან-ყრუს ლაშქრობები საქართველოში

VIII ს. 80-იან წწ.— კახეთის და ჰერეთის სამთავროების წარმოქმნა

VIII ს. 90-იანი წწ. — აფხაზთა (ეგრისის) სამეფოს წარმოქმნა

IX ს. დასაწყისი — ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბება აშოტ ბაგრატიონის (კურაპალატის) მოღვაწეობა

853 წ. — ბუღა თურქის ლაშქრობა.

IX ს. პირველი ნახევარი — თბილისის საამიროს სახალიფოდან გამოყოფა.

IX ს. ბოლოს — (დაახლ. 888 წ.) — ადარნასე ბაგრატიონის მიერ მეფის ტიტულის მიღება

914 წ. — არაბთა სარდლის აბულ-კასიმის ლაშქრობა

X ს. მეორე ნახევარი — დავით III კურაპალატის მეფობა (გარდაიცვალა 1001 წელს)

975-1014 წწ. — ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მეფობა

978 წ. — ბაგრატ III ქუთაისში აკურთხეს მეფედ

1008-1010 წწ. — ბაგრატ III-ემ დაიკავა კახეთ-ჰერეთი

ომარ ოთარ ნუ ლ ი
ბიბლიოთეკა

1014-1027 წწ. — გიორგი I-ის მეფობა
1021-1023 წწ. — საქართველო-ბიზანტიის ომი
1027-1072 წწ. — ბაგრატ IV-ის მეფობა
1058 წ. — ლიპარიტ ბალვაშის შეპყრობა
1064 წ. — თურქ-სელჩუკების პირველი შემოსევა
1068 წ. — თურქ-სელჩუკების მეორე შემოსევა
1072-1089 — გიორგი II-ის მეფობა
1080 წ. — „დიდი თურქობა" საქართველოში
1089-1125 წწ. — დავით IV აღმაშენებლის მეფობა
1104 წ. — რუის-ურბნისის საეკლესიო კრება
1101-1103 წწ. — კახეთ-ჰერეთის შემოერთება
1105 წ. — ერწუხის ბრძოლა
1110-1118 წწ. — სამშვილდის, რუსთავის, ლორეს განთავისუფლება
1118 წ. — ყივჩაღთა მუდმივი ლაშქრის შექმნა
1121 წლის 12 აგვისტო — დიდგორის ბრძოლა
1122 წ. — თბილისი გათავისუფლება
1123 წ. — დმანისის განთავისუფლება
1124 წ. — შარვანისა და ჩრდილოეთ სომხეთის შემოერთება
1125-1156 წწ. — დემეტრე I-ის მეფობა
1156-1184 წწ. — გიორგი III-ის მეფობა
1177 წ. — დიდგვაროვანთა ამბოხება ივანე ორბელის მეთაურობით
1178 წ. — თამარის თანამოსაყდრედ კურთხევა
1184-1207 — თამარის მეფობა (ზოგიერთი მოსაზრებით გარდაიცვალა 1213 წ.)
1184 წ. — ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა
1118-1189 წწ. — დაალ. — დასავლეთ საქართველოს დიდებულთა აჯანყება
1195 წ. — შამქორის ბრძოლა
1202 წ. — ბასიანის ბრძოლა
1204 წ. — ტრაპიზონის საკეისროს დაარსება
1210 წ. — ქართველთა ლაშქრობა ირანში
1207-1222 წწ. — გიორგი IV ლაშას მეფობა
1220 წ. — მონღოლთა პირველი შემოჭრა საქართველოში
1223 წ. — მონღოლები მდ. კალკაზე ამარცხებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებულ არმიას
1222-1245 წწ. — რუსუდანის მეფობა
1225-1231 წწ. — ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები
1225 წ. ნოემბერი — გარნისის ბრძოლა
1225-1242 წწ. — საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ
1247 წ. — დავით VI-ის და დავით VII-ის საქართველოს მეფეებად დამტკიცება მონღოლთა მიერ.
1254-1256 წწ. — საქართველოს აღწერა მონღოლების მიერ
1259 წ. — დავით რუსუდანის-ძის (ნარინის) აჯანყება
1260 წ. — დავით გიორგის-ძის (ულუს) აჯანყება
1265 წ. — ბერქა ყაენის ლაშქრობა
1270-1289 წწ. — დემეტრე II თავდადებულის მეფობა
XIII-XIV სს. მიჯნა — მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება დავით VIII-ის მეთაურობით
1314-1346 წწ. — გიორგი V ბრწყინვალის მეფობა
XIV ს. 30-იანი წწ. — საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან
1360-1393 წწ. — ბაგრატ V-ის მეფობა
1386-1403 წწ. — თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში
1393-1407 წწ. — გიორგი VII-ის მეფობა
1407-1411 წწ. — კონსტანტინე I-ის მეფობა
1412-1442 წწ. — ალექსანდრე I დიდის მეფობა
1446-1465 წწ. — ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის მეფობა
1463 წ. — ბრძოლა ჩიხორთან
1465 წ. — ბრძოლა ფარავნის ტბასთან
1466-1476 წწ. — გიორგი VIII მეფობა კახეთში
XV ს. ბოლო — საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად
1476-1511 წწ. — ალექსანდრე I-ის მეფობა კახეთში
1479-1505 წწ. — კონსტანტინე დიმიტრის-ძის მეფობა ქართლში
1505-1525 წწ. — დავით X-ის მეფობა ქართლში
1510-1565 წწ. — ბაგრატ ალექსანდრეს-ძის მეფობა იმერეთში

1510 წ. — ოსმალთა პირველი შემოსევა დასავლეთ საქართველოში
1545 წ. — სოხოისტას ბრძოლა
1520-1574 წწ. — ლევანის მეფობა კახეთში
1564 წ. — ლევან კახთა მეფის ელჩის ჩასვლა მოსკოვში
1527-1556 წწ. — ლუარსაბ I-ის მეფობა ქართლში
1541-1553 წწ. — შაჰ-თამაზის შემოსევები ქართლში
1555 წ. — ირან-ოსმალეთის შეთანხმება საქართველოს გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ (ამასიის ზავი)
1556 წ. — გარისის ბრძოლა
1556-1600 წწ. — სიმონ I მეფობა ქართლში
1569 წ. — სიმონ I ტყვედ ჩავარდნა ფარცხისთან
1578 წ. — სიმონ I განთავისუფლება
1600 წ. — სიმონ I დატყვევება ოსმალების მიერ
1611 წ. — სიმონის გარდაცვალება სტამბოლში
1574-1605 წწ. — ალექსანდრე II ლევანის-ძის მეფობა კახეთში
1587-1589 წწ. — პირველი მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმება კახეთსა და რუსეთს შორის
1590 წ. — ირან-ოსმალეთის შეთანხმება ამიერკავკასიის ოსმალეთის საკუთრებად ცნობის შესახებ
XVI ს. ბოლოს — სამცხის, აჭარის და ჭანეთის დაპყრობა თურქ-ოსმალთა მიერ
1605 წ. 12 მარტი — ალექსანდრე კახთა მეფის მკვლელობა
1606-1660 წწ. — თეიმურაზ I მეფობა
1614-1618 წწ. — კახეთის აოხრება შაჰ-აბასის მიერ
1606-1614 წწ. — ლუარსაბ II მეფობა ქართლში
1609 წ. — ტაშისკარის ბრძოლა
1624 წ. 12 სექტემბერი — ქეთევან დედოფლის წამება
1625 წ. 25 მარტი — მარტყოფის ბრძოლა
1625 წ. 1 ივლისი — მარაბდის ბრძოლა
1626 წ. — ბაზალეთის ბრძოლა
1629 წ. — გიორგი სააკაძის დალუპვა ოსმალეთში
1633-1658 წწ. — როსტომ-ხანის მმართველობა ქართლში
1660 წ. — კახეთის აჯანება

1658-1675 წწ. — ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობა ქართლში
1703-1724 წწ. — ვახტანგ VI-ის მმართველობა ქართლში
1722 წ. — პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში
1723-1735 წწ. — „ოსმალობა“ საქართველოში
1735-1747 წწ. — „ყიზილბაშობა“ საქართველოში
1745 წ. 1 ოქტომბერი — თეიმურაზ II-ის კურთხევა მეფედ სვეტიცხოველში
1744-1760 წწ. — თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი მეფობა ქართლ-კახეთში
1751 წ. — აზატ-ხანის დამარცხება ყირბულახთან
1754 წ. — ნურსალ-ბეგის დამარცხება მჭადიჯვართან
1755 წ. — ნურსალ-ბეგის დამარცხება ყვარელთან
1760 წ. — თეიმურაზ II-ის ვიზიტი პეტერბურგს
1762-1798 წწ. — ერეკლე II-ის მეფობა ქართლ-კახეთის სამეფოში
1752-1784 წწ. — სოლომონ I-ის მეფობა იმერეთში
1758 წ. — ხრესილის ბრძოლა
1765 წ. — ქართლის თავადთა შეთქმულება პაატა ბატონიშვილის მეთაურობით
1768-1774 წწ. — რუსეთ-თურქეთის ომი
1769 წ. — რუსეთის არმიის შემოსვლა გენ. ტოტლებენის სარდლობით
1770 წ. 20 აპრილი — ასპინძის ბრძოლა
1774 წ. — „მორიგე ჯარის“ შექმნა
1783 წ. 24 ივლისი — გეორგიევსკის ტრაქტატი
1785 წ. — ომარ-ხანის შემოსევა
1790 წ. — ხელშეკრულება საქართველოს მეფე-მთავრებს შორის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ
1795 წ. 10-11 სექტემბერი — კრწანისის ბრძოლა
1798 წ. 11 იანვარი — ერეკლე II გარდაცვალება
1798-1800 წწ. — გიორგი XII-ის მეფობა
1799 წ. — გიორგი XII-ის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის განახლება
1801 წ. 12 სექტემბერი — რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის გაუქმების შესახებ

1803 წ. — სამეგრელოს სამთავროს შესვლა რუსეთის მფარველობაში

1804 წ. — იმერეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. აჯანყება ქართლის მთიანეთში

1804-1813 წწ. — რუსეთ-ირანის ომი

1806-12 წწ. — რუსეთ-თურქეთის ომი

1810 წ. — იმერეთის სამეფოს ანექსია რუსეთის მიერ

1812 წ. — აჯანყება კახეთში

1819-1820 წწ. — აჯანყება იმერეთ-გურიაში

1828-29 წწ. — რუსეთ-თურქეთის ომი. ახალციხის, ახალქალაქის, აწყურის, ხერთვისის და ფოთის შემოერთება

1832 წ. — შეთქმულება რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ

1841 წ. — გლეხთა აჯანყება გურიაში

1853-56 წწ. — ყირიმის ომი

1856-57 წწ. — სამეგრელოს გლეხთა აჯანყება

1857 წ. — სამეგრელოს სამთავროს გაუქმება

1858 წ. — სვანეთის სამთავროს გაუქმება

1864 წ. — აფხაზეთის სამთავროს გაუქმება

1861 წ. 19 თებერვალი — ბატონყმობის გაუქმება რუსეთში

1864 წ. — ბატონყმობის გაუქმება აღმოსავლეთ საქართველოში

1865 წ. — ბატონყმობის გაუქმება იმერეთში

1867 წ. — ბატონყმობის გაუქმება სამეგრელოში

1870 წ. — ბატონყმობის გაუქმება აფხაზეთში

1871 წ. — ბატონყმობის გაუქმება სვანეთში

1865 წ. — ბურჟუაზიული რეფორმის გატარება სოფლად

1868 წ. — სასამართლო რეფორმა საქართველოში

XIX ს. 70-იანი — 80-იანი წლები — საქალაქო რეფორმა

1877-1878 წწ. — რუსეთ-თურქეთის ომი. აჭარის დაბრუნება

1880 წ. — „ქართული დრამატული საზოგადოების“ ჩამოყალიბება

1887 წ. 26 ოქტომბერი — დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა

1892-93 წწ. — მესამედასელთა პირველი და მეორე შეკრება

1905-1907 წწ. — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში

1907 წ. 30 აგვისტო — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

1914-1918 წწ. — პირველი მსოფლიო ომი

1917 წ. თებერვალი — რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შექმნა (ოზაკომი)

1917 წ. 12 მარტი — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

1917 წ. 25 ოქტომბერი — ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალება

1917 წ. 15 ნოემბერი — ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა

1917 წ. 19 ნოემბერი — არჩეულ იქნა ეროვნული საბჭო

1918 წ. 6 იანვარი — რუსეთში ბოლშევიკებმა განდევნეს დამფუძნებელი კრება

1918 წ. 10 თებერვალი — ამიერკავკასიის სეიმის გახსნა

1918 წ. 9 აპრილი — სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა

1918 წ. 26 მაისი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება

1919 წ. 12 მარტი — დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა

1920 წ. 7 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა რუსეთის მიერ

1921 წ. 21 თებერვალი — დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

1921 წ. 2: თებერვალი — საქართველოს დაპყრობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ

1922 წ. — ამიერკავკასის ფედერაციის შექმნა და მისი შეყვანა სსრკ-ში

1924 წლის აგვისტო — აჯანყება საქართველოში დამოუკიდებლობის აღსადგენად

1937-1938 წწ. — რეპრესიები საქართველოში

1941-1945 წწ. — საქართველო მეორე მსოფლიო ომში

1956 წ. 9 მარტი — მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევა თბილისში

1978 წ. 14 აპრილი — გრანდიოზული დემონსტრაცია ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შესანარჩუნებლად

1989 წ. 9 აპრილი — მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა სისხლიანი დარბევა

1990 წ. 28 ოქტომბერი — მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში

1991 წ. 9 აპრილი — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება

1992 წ. დასაწყისი — პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რეჟიმის დამხობა

1992 წ. 11 ოქტომბერი — საქართველოს პარლამენტის არჩევნები

1995 წ. 24 აგვისტო — საქართველოს კონსტიტუციის მიღება

1995 წ. 29 აგვისტო — ტერაქტი სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ

1995 წ. 28 ოქტომბერი — საქართველოს პრეზიდენტისა და ახალი პარლამენტის არჩევნები

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს ისტორიის საგანი .....
2. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო
   და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება 5
3. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოში 9
4. უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე 16
5. ეგრისის (კოლხეთის) სამეფო. ქართლის (იბერიის)
   სამეფოს წარმოქმნა 21
6. საქართველო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე 27
7. რელიგია და კულტურა ქართველურ ტომებში და
   პირველ ქართულ სახელმწიფოებში 34
8. საქართველო III-IV სს. 39
9. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
   V ს. II ნახევარში. მეფე ვახტანგ გორგასალი 48
10. საქართველო VI ს-ში 53
11. საქართველო VII ს-ში 59
12. არაბთა ბატონობა ქართლში VIII ს-ში 64
13. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების
    წარმოქმნა VIII-IX სს. 67
14. საზოგადოებრივი განვითარება და კულტურა
    IV-VIII სს-ში 69
15. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის IX-X სს. 73
16. საქართველო XI ს-ში 79
17. ქართული კულტურა IX-XI სს-ში 90
18. მეფე დავით აღმაშენებელი 94
19. საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება
    დავით აღმაშენებლის შემდეგ თამარის გამეფებამდე 99
20. თამარ მეფე 103
21. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი
    განვითარება XII საუკუნესა და XIII ს-ის დასაწყისში 110

22. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში 116
23. ქართული კულტურა XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში 126
24. საქართველო XIII ს-ის I მესამედში 129
25. მონღოლთა მიერ საქართველოს დაბყრობა 133
26. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ 136
27. საქართველო XIV ს-ის I ნახევარში. გიორგი V ბრწყინვალე 142
28. თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში და მისი შედეგები 146
29. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის I ნახევარში 154
30. საქართველო XVI ს-ის II ნახევარსა და XVII ს-ის დასაწყისში 161
31. ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII ს-ში 167
32. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XVI-XVII სს-ში 175
33. ქართული კულტურა XVI-XVII სს-ში 177
34. ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის I ნახევარში 180
35. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII ს-ის 50-70-იან წლებში 187
36. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს-ის II ნახევარში 196
37. აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ 199
38. ქართული კულტურა XVIII ს-ის II ნახევარში 207
39. აღმოსავლეთ საქართველო XIX ს-ის I მესამედში 211
40. საქართველო XIX ს-ის 30-50-იან წლებში. გლეხთა აჯანყებები 218

41. ქართული კულტურა XIX ს-ის I ნახევარში 223
42. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში 229
43. XIX ს-ის 60-70 წლების რეფორმები 232
44. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში 234
45. საქართველოსთან აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთის
სხვა მხარეების კვლავ შეერთება და ქართველი ერის
შემდგომი კონსოლიდაცია 237
46. ქართველი ხალხოსნები 241
47. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი
ბრძოლა XIX ს-ის II ნახევარში 243
48. მუშათა მოძრაობის დაწყება საქართველოში 246
49. ქართული კულტურა XIX ს-ის II ნახევარში 249
50. საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის
პერიოდში 255
51. საქართველო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს
შორის პერიოდში 260
52. თებერვლის რევოლუცია რუსეთსა და საქართველოში 264
53. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 267
54. ქართული კულტურა 1901-1917 წწ. 270
55. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
(1918-1921 წწ.) 278
56. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში 285
57. საქართველო მეორე მსოფლიო ომში 295
58. საქართველო XX ს-ის 40-80-იან წლებში 298
59. ქართული კულტურა XX ს-ის 50-80-იან წლებში 306
60. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენა 312
61. საქართველოს 1995 წ. კონსტიტუცია 318
საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები 320
შინაარსი 330

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ანთელავა, მ. ბაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე,
ბ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი

საქართველოს ისტორია

დამხმარე კურსი
საშუალო და არასპეციალური უმაღლესი
სკოლისათვის

ილია ანთელავას
რედაქციით

წიგნი გამოდის საკუთარი ხარჯით

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა 1232 ტირაჟი 10 000

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოს“ სტამბა. თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა